

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი  
**შრომათა კრებული**

ARCHIL ELIASHVILI INSTITUTE OF CONTROL SYSTEMS  
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY  
**PROCEEDINGS**

ИНСТИТУТ СИСТЕМ УПРАВЛЕНИЯ АРЧИЛА ЭЛИАШВИЛИ  
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА  
**СБОРНИК ТРУДОВ**



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

შრომათა კრებული

ARCHIL ELIASHVILI INSTITUTE OF CONTROL SYSTEMS  
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PROCEEDINGS

ИНСТИТУТ СИСТЕМ УПРАВЛЕНИЯ АРЧИЛА ЭЛИАШВИЛИ  
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

СБОРНИК ТРУДОВ

№16, 2012

თბილისი \* TBILISI \* ТБИЛИСИ

შრომათა კრებული მოიცავს ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევების შედეგებს. შრომები ეხება ძირითადად სამ მთავარ მიმართულებას: მართვის თეორიას, მართვის სისტემების დამუშავებას, მათ შორის მართვის პროცესებს ენერგეტიკულ სისტემებში და ინფორმატიკას.

მართვის თეორიის მიმართულებით განხილულია ვექტორული ოპტიმიზაციის, მათემატიკური დაპროგრამების, არაწრფივი იდენტიფიკაციის და სხვა პრობლემები.

კრებულში გაშუქებულია მართვის კონკრეტული სისტემების მოდელირებისა და აგების პრინციპები, მათ შორის დღეისათვის ისეთ აქტუალურ დარგში, როგორცაა ენერგეტიკა.

დიდი ადგილი ეთმობა შრომებში ინფორმატიკას. აქ წარმოდგენილია მანქანური ინტელექტის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციული სისტემები, ლინგვისტიკური ცოდნის კომპიუტერული წარმოდგენის ამოცანები და სხვ.

აგრეთვე წარმოდგენილია სადისკუსიო ნაშრომი თემაზე “ახალი მიმართულება მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის აგებაში და ტროპიკული კრიპტოგრაფია“ და სტატია მეცნიერების ისტორიისთვის.

The research results carried out by the Institute’s scientists through 2012 year are given in the proceedings. The presented papers are related to three basic scientific topics: control theory, development of control systems including control processes in energy systems, and informatics.

The problems of vector optimization, mathematical programming, nonlinear identification etc are considered in the control theory sphere.

Some problems of simulation and of construction of concrete control systems are presented, including such a topical sphere, as a power engineering.

A considerable attention is devoted to informatics. Some problems connected with machine intelligence, informational systems of different types, computer representation of linguistic knowledge are considered.

The work “New direction in construction of matrix one-way function and tropical cryptography” for discussion and an article for history of sciences are presented as well.

Настоящий сборник трудов содержит результаты исследований, проведенных научными сотрудниками института в 2012 году. Труды отражают три главных научных направления исследований института: теорию управления, разработку систем управления, в том числе управление в энергетических системах, и информатику.

В области теории управления рассмотрены проблемы векторной оптимизации, математического программирования, нелинейной идентификации и др.

В сборнике освещены задачи моделирования и построения конкретных систем управления, в том числе в такой актуальной области, каковой является энергетика.

Большое место в трудах уделено информатике. Рассмотрены вопросы, связанные с проблемой машинного интеллекта, информационные системы различного типа, задачи компьютерного представления лингвистических знаний и др.

А также представлены дискуссионная работа на тему «Новое направление в построении матричной односторонней функции и тропическая криптография» и статья об истории науки.

შრომათა კრებული გამოდის წელიწადში ერთხელ.

კრებული იბეჭდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.

**მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი**

**აკად. მ. სალუქვაძე**

**ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა**

- ტ.მ.დ. აბარდაველიძე, ტ.მ.კ. გვაბისონია (მთ. რედაქტორის მოადგილე), ტ.მ.დ. ზ. გასიტაშვილი, მ. გეგეჭკორი (პასუხისმგებელი მდივანი), ტ.მ.დ. ო. ლაბაძე, ტ.მ.დ. თ. მაგრაქველიძე, ფ.მ.დ. ლ. მარგველანი, ფ.-მ.მ.კ. ვ. მაისურაძე, ტ.მ.კ. მ. მიქელაძე, დ. სისარულიძე (ტექ. რედაქტორი), ტ.მ.კ. თ. ტროყაშვილი, აკადემიის წ/კ ა. ფრანგიშვილი, ტ.მ.კ. ნ. ყავლაშვილი, ტ.მ.დ. ბ. შანშიაშვილი, ფ.მ.დ. გ. ჩიკოიძე, ტ.მ.კ. ზ. წვერაიძე, აკად. ვ. ჭიჭინაძე, ნ. ჯავაშვილი, ტ.მ.დ. ნ. ჯიბლაძე.

**ინსტიტუტის მისამართი:**

0186 თბილისი, ე.მინდელის ქ. №10

ტელ.: (+995 32) 319871

ფაქსი: (+995 32) 319871

ელ.ფოსტა: ics@gtu.com

# სარჩევნო – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ

## მართვის თეორია – CONTROL THEORY - ТЕОРИЯ УПРАВЛЕНИЯ

არასუცილებლად ამოწმებულ სიმრავლეთა განცალკევება..... 7 გ. მაისურაძე, მ. სალუქვაძე, ვ. გაბისონია	7
STRUCTURAL IDENTIFICATION OF NONLINEAR SYSTEMS USING BLOCK-ORIENTED MODELS ..... 31 B. Shanshiashvili, M .Salukvadze	31
PARAMETRIC IDENTIFICATION OF ONE CLASS OF THE LINEAR NONSTATIONARY SYSTEMS ..... 37 B. Shanshiashvili	37
ON ITERATIVE ALGORITHMS FOR SOLVING HIGH-DIMENSIONAL LINEAR PROGRAMMING PROBLEMS ..... 43 N. Jibladze, A. Topchishvili, M.Andguladze	43
საუპირობო ვარიანტის კვების ერთი ალგორითმის შესახებ ორიენტირებულ ბრძოლაში..... 50 ქ. კუთხაშვილი	50
თბილისი დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაცია რეკონსტრუქციის და რეკონსტრუქციის მეთოდებით..... 55 ა. ბარდაველიძე, ხ. ბარდაველიძე	55
სამონტაჟის მართვის დაგეგმვის მრავალკრიტიკული ამოცანის ანალიზური ამოხსნის შესახებ ..... 60 დ. სისარულიძე	60
უმოკლესი გზის ძიება ბრძოლაში და რეალიზაციასთან დაკავშირებული ანონსი..... 66 ნ. ანანიაშვილი, ნ. ოთხოხორია	66

## მართვის სისტემები - CONTROL SYSTEMS - СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ

ინტეგრალურ-ობიექტური კონტროლი 4x4 ..... 71 ზ. ბუაჩიძე, ა. გიგინეიშვილი, ა. ჭირაქაძე, ნ. ყავლაშვილი	71
ხელმძღვანელი მოკროკლიმატის პარამეტრების მართვის სისტემების დამუშავება თანამდროვე სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით ..... 75 ნ. ყავლაშვილი, ო. ლაბაძე, ლ. გვარამაძე, გ. კიკნაძე, თ. საანიშვილი	75
მუდმივი მანძილის სტაციონარული ველის განაწილების კვლევა, მათი თავისებურებანი და გამოყენების სფეროების დადგენა ..... 79 ო. ლაბაძე, ა. ლომია, დ. ერემიანი, ვ. ბახტაძე, თ. ხუციშვილი	79
უკონტაქტო სამოციციური დინამიური ობიექტის აბების ფიზიკური საშუალებები და თავისებურებანი..... 83 ო. ლაბაძე, მ. ცერცვაძე, თ. ლაბაძე, პ. მანჯავიძე	83
უპრობლემური ბარდამქმნელის იდენტიფიკაცია და მისი რეგულაცია ავტომატური მართვის სისტემების რბოლის მოდელის დადგენა ..... 89 ო. ლაბაძე	89
მიმდებარე-გადამცემი უპრობლემური ტიპის ანტიმანქანის აბების ფიზიკური საშუალებები, თავისებურებანი და გამოყენების სფეროები ..... 93 ო. ლაბაძე, თ. მახარაშვილი, ვ. მალლაკელიძე	93
სამკროტინატული ინფორმაციის პირველადი ბარდამქმნელის აბების ზოგადი პრინციპები ..... 99 ო. ლაბაძე	99
მდინარე ენდორის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისების აუცილებლობისა და მასთან დაკავშირებული სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების შესახებ..... 105 თ. მაგრაქველიძე, ვ. ჭიჭინაძე, ხ. ლომიძე, ი. არჩუაძე, მ. ჯანიკაშვილი	105
პარამანის მუდმივად შესახებ ტრეპულენტურ ნაკადში სინქრონული განაწილების ლობარითრულ ფორმულაში ..... 112 თ. მაგრაქველიძე	112
პრანდტლის რიცხვის გავლენა თბობაცემისა და სარმინან აბრატში..... 116 თ. მაგრაქველიძე, ნ. ბანცაძე, ნ. ლეკვიშვილი, ხ. ლომიძე, ა. მიქაშვილი, ჯ. რუსიშვილი	116
პრავებისა და გენერატორების მართვის საკითხები..... 121 თ. ტროყაშვილი, გ. ურუშაძე	121
დაბალი სიხშირის სიბნელის პირველი და მეორე რიგის წარმომავლის განსაზღვრა ..... 124 თ. ტროყაშვილი, დ. ცინცაძე	124

თხემი აირის მასის განსაზღვრა ჩაკეტილ რემერვზარში.....	128
ბ. აზმაიფარაშვილი, ნ. ოთხოზორია, ვ. ოთხოზორია, მ. ნარჩემაშვილი	
ჰიდრომატიული ტუმბოს დამუშავება.....	133
დ. ფურცხვანიძე	
მომხდომი მანქანების „სოტუმის“ აღაბურთების სისტემა.....	136
დ. ფურცხვანიძე	
ავტომატიზებული დანადგარი ნაღველის მეთაღრბიული თვისებების შესწავლისათვის .....	140
ბ. გიქელიშვილი, ქ. წერეთელი, ნ. მირიანაშვილი, ვ. ხათაშვილი	

**ინფორმატიკა – INFORMATICS - ИНФОРМАТИКА**

СЕМАНТИКА ДВУХ ГРУЗИНСКИХ ПАДЕЖЕЙ: ТВОРИТЕЛЬНОГО И ОБСТОЯТЕЛЬСТВЕННОГО.....	145
Е. Доквадзе, Г. Чикоидзе	
GEORGIAN “ANCESTORS” OF THE LOGICAL IMPLICATION .....	158
G. Chikoidze, N. Amirezashvili, N. Javashvili	
კომპიუტერული საკომუნიკაციო სისტემა სპეციფიკური კატეგორიის მომხმარებელთათვის.....	166
ლ. ლორთქიფანიძე, ლ. სამსონაძე	
ლექსიკა „თოვლის“ აღწერა ლექსიკური ფუნქციებით.....	171
ე. დოკვაძე	
ქართული ენის კომპიუტერიზაციის კონცეფციები.....	177
ლ. მარგველანი	
0 თემისნოშინანი მდროატივების ზმნური მდღელები ელექტრონული ლექსიკონისთვის.....	181
ნ. ჯავაშვილი	
წინადადების უშუალო შემადგენლური სტრუქტურა და სინონიმური ჩანაცვლებები სახელურ ფრაზაში.....	185
ა. ჩუტკერაშვილი	
ქმნის აღაბურთებული ქვანთური პარალელური აღბურთებები.....	189
მ. არჩუაძე, ვ. ბესიაშვილი, მ. ხაჩიძე	
РОЛЬ И МЕСТО СБОЕВ В ИНФОРМАЦИОННОЙ БЕЗОПАСНОСТИ СОВРЕМЕННЫХ СЛОЖНЫХ СИСТЕМ.....	197
М. Сургуладзе	
ღრუბლოვანი ბაზოთვლები, კონცეფცია და არსი.....	203
თ. ბახტაძე, ი. მარგალიტაძე, მ. გეგეჭკორი, თ. კაიშაური	
თავისუფალი პროგრამები საბანანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში .....	207
მ. გეგეჭკორი, ვ. ბახტაძე, თ. ჟვანია, ჯ. გაგლოშვილი, ნ. ნარიშანიძე, თ. ბურჭულაძე	
ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНАЯ СИСТЕМА МЕДИЦИНСКОЙ ДИАГНОСТИКИ И ВЫБОРА ЛЕЧЕНИЯ.....	212
В. Радзиевский, Н. Джалябова Д. Радзиевский	
დაავადებათა დიფერენცირება ინტელექტუალური სისტემის მეშვეობით.....	219
ნ. ჯალიაბოვა ვ. რადიევსკი	
ეკოლოგიური სისტემის დინამიკის აღწერა წინასწარგების თვალსაზრისით და მისი უსაბლო	
დადგენების მიზეზობრივი ანალიზი.....	226
ვ. რადიევსკი, ნ. ჯალიაბოვა, მ. მიქელაძე, დ. რადიევსკი	
ПРОГРАММА РАСПОЗНАВАНИЯ СТЕПЕНИ ЗАГРЯЗНЕНИЯ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ ПО ОТДЕЛЬНЫМ ЕЁ	
КОМПОНЕНТАМ – ВОЗДУХУ, ВОДЕ И ПОЧВЕ.....	233
Д. Радзиевский	
<u>რუბრიკა: მეცნიერების ისტორიისთვის</u>	
მათემატიკის როლის შესახებ ფიზიკაში .....	239
ა. გიგინეიშვილი, ვ. გოდერძიშვილი, თ. გეგეჭკორი	
<u>რუბრიკა: თემა დისკუსიისთვის</u>	
NEW DIRECTION IN CONSTRUCTION OF MATRIX ONE-WAY FUNCTION AND TROPICAL	
CRYPTOGRAPHY.....	244
R. Megrelishvili	

**მართვის თეორია**

**CONTROL THEORY**

**ТЕОРИЯ УПРАВЛЕНИЯ**

# არააუცილებლად ამოზნექილ სიმრავლეთა ბანცალგებლობა

ვ. მაისურაძე, მ. სალუქვაძე, ვ. ბაბოსონია

wmaisuradze@yahoo.com

## 1. ძირითადი ფაქტები

ვთქვათ,  $Y$  არის წრფივი ტოპოლოგიური სივრცე, ხოლო  $f: Y \rightarrow \bar{R}$  - მოცემული ნამდვილი ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციის ეფექტურობის არე და ეპიგრაფი შესაბამისად განისაზღვრება ტოლობებით:

$$\text{dom}f = \{y \in Y \mid f(y) < \infty\},$$

$$\text{epif} = \{(y, t) \in Y \times R \mid f(y) \leq t\}.$$

**განსაზღვრა 1.1.**  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციას ეწოდება ამოზნექილი, თუ  $\text{epif}$  არის ამოზნექილი ქვესიმრავლე  $Y \times R$  დეკარტულ ნამრაველში.

**განსაზღვრა 1.2.**  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციას ეწოდება საკუთრივი, თუ ის არ ღებულობს  $-\infty$  მნიშვნელობას და  $\text{dom}f \neq \emptyset$ , ე.ი. სრულდება პირობები:

$$\begin{aligned} f(y) &\neq -\infty, \forall y \in Y, \\ \exists y \in Y: f(y) &< \infty. \end{aligned} \tag{1.1}$$

**შენიშვნა 1.1.** თუ  $f$  ფუნქცია საკუთრივი არ არის, მაშინ  $\alpha, \beta \in [0, \infty)$  რიცხვებისათვის ჯამი  $\alpha f(y_1) + \beta f(y_2)$  შეიძლება აღმოჩნდეს უსასრულოდ მცირე. მაგალითად თუ  $f(y_1) = -\infty$ ,  $f(y_2) = -\infty$  ან ორივე ტოლობა სრულდება ერთდროულად, მაშინ  $\alpha f(y_1) + \beta f(y_2) = -\infty$ . თუ  $f$  საკუთრივია, მაშინ

$$\alpha f(y_1) + \beta f(y_2) \neq -\infty, \forall \alpha, \beta \in [0, \infty).$$

**ლემა 1.1.** თუ  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქცია საკუთრივია, მაშინ მისი ამოზნექილობისათვის აუცილებელია და საკმარისი, რომ სრულდებოდეს პირობა:

$$f(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2) \leq \lambda f(y_1) + (1-\lambda)f(y_2), \forall y_1, y_2 \in Y, \forall \lambda \in [0, 1]. \tag{1.2}$$

**დამტკიცება.** ვთქვათ,  $f$  ამოზნექილია. მაშინ  $\text{epif}$  არის ამოზნექილი, ამიტომ მართებულია ჩართვა:

$$\lambda(y_1, t_1) + (1-\lambda)(y_2, t_2) \in \text{epif}, \forall (y_1, t_1), (y_2, t_2) \in \text{epif}, \forall \lambda \in [0, 1].$$

მეორე მხრივ

$$\begin{aligned} \lambda(y_1, t_1) + (1-\lambda)(y_2, t_2) &= (\lambda y_1, \lambda t_1) + ((1-\lambda)y_2, (1-\lambda)t_2) = \\ &= (\lambda y_1 + (1-\lambda)y_2, \lambda t_1 + (1-\lambda)t_2), \end{aligned}$$

ამიტომ  $(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2, \lambda t_1 + (1-\lambda)t_2) \in \text{epif}$ , ანუ  $f(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2) \leq \lambda t_1 + (1-\lambda)t_2$ , სადაც  $t_1, t_2$  ნამდვილი რიცხვებისათვის მართებული უნდა იყოს  $f(y_1) \leq t_1, f(y_2) \leq t_2$  არამკაცრი უტოლობები. რადგან  $t_1 = f(y_1), t_2 = f(y_2)$  აღნიშნულ პირობებს აკმაყოფილებს, ამიტომ

$$f(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2) \leq \lambda f(y_1) + (1-\lambda)f(y_2), \forall y_1, y_2 \in Y, \forall \lambda \in [0, 1].$$

ვთქვათ ახლა, რომ სრულდება (1.2) პირობა და ვაჩვენოთ, რომ  $\text{epif}$  არის ამოზნექილი. განვიხილოთ ნებისმიერი  $(y_1, t_1), (y_2, t_2) \in \text{epif}$  ორი ელემენტი. მაშინ  $\forall \lambda \in [0, 1]$  ნამდვილი რიცხვისთვის გვაქვს:

$$\lambda(y_1, t_1) + (1-\lambda)(y_2, t_2) = (\lambda y_1 + (1-\lambda)y_2, \lambda t_1 + (1-\lambda)t_2) \in Y \times R.$$

(12) - დან გამოდინარეობს, რომ,  $f(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2) \leq \lambda f(y_1) + (1-\lambda)f(y_2)$ . რადგან  $(y_1, t_1), (y_2, t_2) \in epif$ , ამიტომ  $f(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2) \leq \lambda t_1 + (1-\lambda)t_2$ , რაც თავისთავად ნიშნავს, რომ

$$(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2, \lambda t_1 + (1-\lambda)t_2) \in epif,$$

ანუ  $\lambda epif + (1-\lambda)epif \subset epif, \forall \lambda \in [0,1]$ . უკანასკნელი ნიშნავს  $epif$  სიმრავლის, ანუ  $f$  ფუნქციის ამოზნექილობას #

**ლემა 12.** თუ  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქცია არის ამოზნექილი, მაშინ მისი ეფექტურობის არე  $domf$  აგრეთვე არის ამოზნექილი.

**დამტკიცება.** თუ  $y_1, y_2 \in domf$ , მაშინ არსებობს  $t_1, t_2 \in R$ , რომელთათვისაც სრულდება უტოლობები  $f(y_1) \leq t_1, f(y_2) \leq t_2$ , ანუ  $(y_1, t_1), (y_2, t_2) \in epif$ . ამიტომ  $\forall \lambda \in [0,1]$  რიცხვისათვის  $\lambda(y_1, t_1) + (1-\lambda)(y_2, t_2) \in \lambda epif + (1-\lambda)epif$ . რადგან  $f$  ამოზნექილია, ამიტომ  $\lambda epif + (1-\lambda)epif \subset epif$ . მეორე მხრივ მართებულია ტოლობა

$$\lambda(y_1, t_1) + (1-\lambda)(y_2, t_2) = (\lambda y_1 + (1-\lambda)y_2, \lambda t_1 + (1-\lambda)t_2),$$

ამიტომ  $(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2, \lambda t_1 + (1-\lambda)t_2) \in epif$ , ანუ  $f(\lambda y_1 + (1-\lambda)y_2) \leq \lambda t_1 + (1-\lambda)t_2$ .

რადგან  $\lambda t_1 + (1-\lambda)t_2 \in R$ , ამიტომ  $\lambda y_1 + (1-\lambda)y_2 \in domf, \lambda \in [0,1]$  #

**შენიშვნა 12.**  $domf$  შეიძლება იყოს ამოზნექილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც  $f$  ამოზნექილი ფუნქცია არ არის საკუთრივი.

**ლემა 13.** თუ  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქცია არის ამოზნექილი, არსებობს ელემენტი  $y \in Y$ , რომლისთვისაც  $f(y) = -\infty$  და  $\text{int } domf \neq \emptyset$ , მაშინ მართებულია ტოლობა

$$f(x) = -\infty, \forall x \in \text{int } domf.$$

**დამტკიცება.** ცხადია, რომ  $y \in domf$ . რადგან  $domf$  ამოზნექილია, ამიტომ  $\text{int } domf$  არის ამოზნექილი და ნებისმიერი  $z \in \text{int } domf$  ელემენტისათვის ნახევარ ინტერვალში  $[z, y)$  აკმაყოფილებს  $[z, y) = \{x \in Y \mid x = \lambda z + (1-\lambda)y, \lambda \in (0,1]\} \subset \text{int } domf$  პირობას [1]. ამიტომ თუ  $x \in [z, y)$ , მაშინ  $x \in \text{int } domf$ . ეს ნიშნავს, რომ არსებობს  $Y$  სივრცის ნულის დია მიდამო  $V$ , რომლისთვისაც  $x+V \subset domf$ . მეორე მხრივ, ყოველთვის მოინახება იმდენად მცირე  $\tau > 0$ , რომლისთვისაც  $\tau(x-y) \in V$ , ანუ შესრულდება პირობა  $u = x + \tau(x-y) \in domf$ . რადგან  $u = (1+\tau)x - \tau y, x = (1+\tau)^{-1}u + \tau(1+\tau)^{-1}y$ . თუ  $\lambda = (1+\tau)^{-1}$ , მაშინ  $\lambda \in [0,1]$  და  $x = \lambda u + (1-\lambda)y$ . მეორე მხრივ,  $u \in domf$  ხართვიდან ვასკვნი, რომ მოიძებნება ნამდვილი რიცხვი  $t$ , რომლისთვისაც მართებული იქნება უტოლობა  $f(u) \leq t$ , ანუ  $(u, t) \in epif$ . რადგან  $f(y) = -\infty$ , ამიტომ ნებისმიერი უსასრულოდ მცირე  $\{t_n\} \subset R$  მიმდევრობის წევრებისათვის მართებულია  $f(y) \leq t_n$  უტოლობა, ანუ  $(y, t_n) \in epif$ . რადგან  $domf$  არის ამოზნექილი, ამიტომ

$$\lambda(u, t) + (1-\lambda)(y, t_n) = (\lambda u + (1-\lambda)y, \lambda t + (1-\lambda)t_n) \in epif,$$

ე.ი.  $f(x) \leq \lambda t + (1-\lambda)t_n, n=1,2,\dots$  რადგან  $t_n \rightarrow -\infty, n \rightarrow \infty$ , უკანასკნელ უტოლობაში ზღვარზე გადასვლით ვღებულობთ, რომ  $f(x) = -\infty, \forall x \in \text{int } domf$  #

$frD$ - თი აღვნიშნოთ  $D \subset Y$  სიმრავლის საზღვარი, ანუ  $frD = clD \setminus \text{int } D$ .

**შენიშვნა 13.** ლემა 13-დან უშუალოდ გამოდინარეობს, რომ არასაკუთრივ ამოზნექილ ფუნქციას სასრული მნიშვნელობები შეუძლია მიიღოს მხოლოდ საკუთარი ეფექტურობის არის საზღვარზე ე.ი, თუ  $y \in domf$ , მაშინ  $y \in frdomf$ .

**განსაზღვრა 13.** ვთქვათ,  $B$  არის არაცარიელი ქვესიმრავლე  $Y$  სივრცეში.  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციას ეწოდება  $B$ - მონოტონური, თუ ნებისმიერი ორი  $y_1, y_2 \in Y$  ელემენტისათვის, რომელთათვისაც აზრი აქვს  $f(y_2) - f(y_1)$  სხვაობას, მართებულია იმპლიკაცია:

$$y_2 - y_1 \in B \Rightarrow f(y_1) \leq f(y_2). \quad (13)$$

**განსაზღვრა 14.**  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციას ეწოდება სუბადიტიური, თუ ნებისმიერი  $y_1, y_2 \in Y$  ორი ელემენტისათვის, რომელთათვისაც აზრი აქვს  $f(y_1) + f(y_2)$  ჯამს, მართებულია უტოლობა

$$f(y_1 + y_2) \leq f(y_1) + f(y_2). \quad (14)$$

**განსაზღვრა 15.**  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციას ეწოდება დადებითად ერთგვაროვანი, თუ ნებისმიერი  $y \in Y$  და  $\lambda > 0$  ორი ელემენტისათვის მართებულია ტოლობა

$$f(\lambda y) = \lambda f(y). \quad (15)$$

ცნობილი ფაქტის თანახმად, ფუნქცია  $f: Y \rightarrow \bar{R}$  არის ნახევრად უწყვეტი ქვემოდან მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც *epif* არის ჩაკეტილი  $Y \times R$  სივრცის ტოპოლოგიაში [2].

$D \subset Y$  ქვესიმრავლე არის საკუთრივი, თუ  $Y \setminus D \neq \emptyset$ , ანუ  $D \neq Y$ . ქვემოთ, განსაკუთრებული შენიშვნის გარეშე, ჩავთვალოთ, რომ  $D$  არის არაცარიელი და საკუთრივი ქვესიმრავლე  $Y$  სივრცეში და  $k^0 \in Y \setminus \{0\}$  ვექტორი აკმაყოფილებენ პირობას

$$D + tk^0 \subset D, \forall t \geq 0. \quad (16)$$

ასეთი ფიქსირებული  $D$  სიმრავლისა და  $k^0 \in Y \setminus \{0\}$  ვექტორისათვის  $D' \subset Y \times R$  სიმრავლე განვსაზღვროთ ტოლობით:

$$D' = \{(y, t) \in Y \times R \mid y \in tk^0 - D\}. \quad (17)$$

**ლემა 14.** მართებულია იმპლიკაცია:

$$(y, t) \in D', t \leq \tau \Rightarrow (y, \tau) \in D'. \quad (18)$$

**დამტკიცება.**  $(y, t) \in D'$  ჩართვიდან გამომდინარეობს, რომ

$$y \in tk^0 - D = \tau k^0 - (D + (\tau - t)k^0).$$

რადგან  $\tau - t \geq 0$ , (16) - ის თანახმად,  $-(D + (\tau - t)k^0) \subset -D$ , ამიტომ  $y \in \tau k^0 - D$ , ე.ი. მართებულია ჩართვა  $(y, \tau) \in D' \#$

$T: Y \times R \rightarrow Y$  ასახვა განვსაზღვროთ ტოლობით:  $T(y, t) = tk^0 - y$ ,  $(y, t) \in Y \times R$ . მარტივად შეიძლება შემოწმდეს, რომ  $T$  არის წრფივი და უწყვეტი ოპერატორი  $Y \times R$  ტოპოლოგიური სივრციდან  $Y$  ტოპოლოგიურ სივრცეში. განვიხილოთ სიმრავლეები:

$$T(D') = \{T(y, t) \in Y \mid (y, t) \in D'\} \subset Y, \quad (19)$$

$$T^{-1}(D) = \{(y, t) \in Y \times R \mid T(y, t) \in D\} \subset Y \times R.$$

**ლემა 15.** მართებულია ტოლობა  $T(D') = D$ .

**დამტკიცება.** თუ  $z \in T(D')$ , მაშინ  $\exists (y, t) \in D'$ , რომლისთვისაც  $z = T(y, t)$ , ანუ  $z = tk^0 - y$ . რადგან  $y \in tk^0 - D$ ,  $\exists h \in D$ , რომლისთვისაც  $-y = -tk^0 + h$ , ანუ მართებულია ტოლობა  $z = tk^0 - tk^0 + h = h \in D$ . ამრიგად,  $T(D') \subset D$ . ვთქვათ, რომ  $z \in D$  და  $y = tk^0 - z$ . მაშინ  $y \in tk^0 - D$ , ანუ  $(y, t) \in D'$ . ამიტომ  $T(y, t) \in T(D')$ . მაგრამ  $T(y, t) = tk^0 - y = z$ , ამიტომ  $D \in T(D') \#$

**ლემა 16.** სამართლიანია შემდეგი დებულებები:

1. თუ  $D \subset Y$  არის ჩაკეტილი, მაშინ  $D' \subset Y \times R$  არის ჩაკეტილი;

2. თუ  $D \subset Y$  არის ამოზნექილი, მაშინ  $D' \subset Y \times R$  არის ამოზნექილი;
3. თუ  $D \subset Y$  არის კონუსი, მაშინ  $D' \subset Y \times R$  არის კონუსი.

**დამტკიცება.**

1.  $D$  ლემა 1.5-დან გამომდინარეობს, რომ  $T^{-1}(D) = D'$ . ცნობილი ფაქტის თანახმად, ჩაკეტილი სიმრავლის წინასახე უწყვეტი ასახვის შემთხვევაში არის ჩაკეტილი [3]. რადგან  $T$  არის უწყვეტი,  $D$ - ჩაკეტილი, ხოლო  $D'$  არის  $D$  სიმრავლის წინა სახე  $T$  ასახვისათვის, ამიტომ  $D'$  არის ჩაკეტილი.

2. ვთქვათ, რომ  $(y_1, t_1), (y_2, t_2) \in T^{-1}(D)$ . მაშინ  $T(y_1, t_1), T(y_2, t_2) \in D$ . რადგან  $D$  ამოზნექილია, ამიტომ  $\lambda T(y_1, t_1) + (1-\lambda)T(y_2, t_2) \in D, \forall \lambda \in [0, 1]$ . რადგან  $T$  არის წრფივი ოპერატორი, გვაქვს:

$$\lambda T(y_1, t_1) + (1-\lambda)T(y_2, t_2) = T(\lambda(y_1, t_1) + (1-\lambda)(y_2, t_2)) \in D. \quad (1.10)$$

რადგან  $\lambda(y_1, t_1) + (1-\lambda)(y_2, t_2) = (\lambda y_1 + (1-\lambda)y_2, \lambda t_1 + (1-\lambda)t_2) \in Y \times R$  და სრულდება (1.9),  $\lambda(y_1, t_1) + (1-\lambda)(y_2, t_2) \in T^{-1}(D), \forall \lambda \in [0, 1]$ . ეს ნიშნავს, რომ  $T^{-1}(D)$  არის ამოზნექილი, ანუ  $D'$  არის ამოზნექილი.

3. ნებისმიერი  $(y, t) \in T^{-1}(D)$  - სთვის მართებულია  $T(y, t) \in D$ . რადგან  $T$  წრფივი ოპერატორია, ხოლო  $D$ - კონუსი, ამიტომ  $\lambda T(y, t) = T\lambda(y, t) \in \lambda D \subset D, \forall \lambda > 0$ , ე.ი.  $T\lambda(y, t) \in D$ . რადგან  $\lambda(y, t) = (\lambda y, \lambda t) \in Y \times R$ , ამიტომ  $\lambda(y, t) \in T^{-1}(D)$ , ანუ  $\lambda T^{-1}(D) \subset T^{-1}(D), \forall \lambda > 0$ . ამრიგად,  $T^{-1}(D)$  არის კონუსი. რადგან  $T^{-1}(D) = D'$ , ამიტომ  $D'$  არის კონუსი #

ფიქსირებული  $D \subset Y$  არაცარიელი ქვესიმრავლისა და  $k^0 \subset Y \setminus \{0\}$  ვექტორისათვის ფუნქციონალი  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  განვსაზღვროთ ტოლობით [4]:

$$\varphi(y) = \inf \{t \in R \mid (y, t) \in D'\} = \inf \{t \in R \mid y \in tk^0 - D\}. \quad (1.11)$$

**ლემა 1.7.** თუ  $D$  არის ჩაკეტილი ქვესიმრავლე  $Y$  სივრცეში, მაშინ სამართლიანია ტოლობა

$$dom\varphi = Rk^0 - D. \quad (1.12)$$

**დამტკიცება.** თუ  $y \in Rk^0 - D$ , მონახება  $t \in R$ , ისეთი, რომ  $y \in tk^0 - D$ .  $\varphi$  ფუნქციონალის (1.11) განსაზღვრის თანახმად,  $\varphi(y) \leq t < \infty$ . ეს ნიშნავს, რომ  $y \in dom\varphi$ , ანუ  $Rk^0 - D \subset dom\varphi$ . ვთქვათ,  $y \in dom\varphi$ . მაშინ მოიძებნება  $t \in R$ , რომლისთვისაც  $\varphi(y) \leq t$ . (1.11) ტოლობის თანახმად, ნებისმიერი ნატურალური  $n$ -სთვის მოიძებნება წყვილი  $(y, t_n) \in D'$ , რომლის მეორე კომპონენტაც აკმაყოფილებს პირობას  $\varphi(y) \leq t_n < \varphi(y) + n^{-1}$ , საიდანაც გამომდინარეობს, რომ  $t_n < t + n^{-1}$ . ლემა 1.4-ის თანახმად, ნებისმიერი ნატურალური  $n$ -სთვის მართებულია ჩართვა  $(y, t + n^{-1}) \in D'$ . რადგან მართებულია კრებადობა  $(y, t + n^{-1}) \rightarrow (y, t), n \rightarrow \infty$ , ხოლო  $D'$  ჩაკეტილია  $D$  სიმრავლის ჩაკეტილობის გამო, ამიტომ  $(y, t) \in D'$ , ე.ი.  $y \in tk^0 - D \subset Rk^0 - D$ . ამით დამტკიცდა რომ  $y \in Rk^0 - D$ , ე.ი.  $dom\varphi \subset Rk^0 - D$ . უკანასკნელი, ზემოთ უკვე დასაბუთებულ შემრუნებულ ჩართვასთან ერთად ნიშნავს, რომ სამართლიანია ტოლობა (1.12) #

**ლემა 1.8.** სამართლიანია ჩართვები:

$$D' \subset epi\varphi \subset clD' \quad (1.13)$$

**დამტკიცება.** თუ  $(y, t) \in D'$ , მაშინ  $(y, t) \in Y \times R$  და  $y \in tk^0 - D$ .  $\varphi$  ფუნქციონალის (1.11) განსაზღვრის თანახმად, სამართლიანია უტოლობა  $\varphi(y) \leq t$ , ეს უკვე ნიშნავს, რომ  $(y, t) \in \text{epi}\varphi$ , ე.ი.  $D' \in \text{epi}\varphi$ . ვთქვათ, რომ  $(y, t) \in \text{epi}\varphi$ . მაშინ  $(y, t) \in Y \times R$  და  $\varphi(y) \leq t$ . ზუსტი ქვედა საზღვრის განსაზღვრის თანახმად, ნებისმიერი ნატურალური  $n$  სათვის მოიძებნება  $t_n \in R$  რიცხვი, ისეთი, რომ  $t_n < \varphi(y) + n^{-1}$  და  $y \in t_n k^0 - D$ . ეს ნიშნავს, რომ  $\{(y, t_n)\} \subset D'$ . რადგან  $\varphi(y) \leq t$ , ამიტომ  $t_n < t + n^{-1}$ . აქედან გამომდინარეობს, რომ  $(y, t_n) \rightarrow (y, t), n \rightarrow \infty$ . მაგრამ  $(y, t) \in \text{cl}D'$ , ამიტომ სამართლიანია  $\text{epi}\varphi \subset \text{cl}D'$  ჩართვაც. ამით საბოლოოდ დადგინდა, რომ სამართლიანია (1.13) #

**ლემა 19.** თუ  $D$  ჩაკეტილია, მაშინ  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალი არის ქვემოდან ნახევრად უწყვეტი  $Y$  სივრცეზე.

**დამტკიცება.** რადგან  $D$  ჩაკეტილია და  $D' = T^{-1}(D)$ , ამიტომ  $D'$  აგრეთვე არის ჩაკეტილი, ე.ი.  $\text{cl}D' = D'$ . (1.13) - დან გამომდინარეობს, რომ  $D' \subset \text{epi}\varphi \subset D'$ , ანუ  $\text{epi}\varphi = D'$ . ეს ნიშნავს, რომ  $\text{epi}\varphi$  არის ჩაკეტილი ქვესიმრავლე  $Y \times R$  სივრცეში, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალი არის ქვემოდან ნახევრად უწყვეტი  $Y$  სივრცეზე #

**თეორემა 11.**  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალისათვის სამართლიანია ტოლობა:

$$\varphi(y + \lambda k^0) = \varphi(y) + \lambda, \forall y \in Y, \forall \lambda \in R. \quad (1.14)$$

**დამტკიცება.** გვაქვს:

$$\begin{aligned} \varphi(y + \lambda k^0) &= \inf \{t \in R \mid y + \lambda k^0 \in tk^0 - D\} = \\ &= \inf \{t \in R \mid y \in (t - \lambda)k^0 - D\} = \inf \{s + \lambda \in R \mid y \in sk^0 - D\} = \\ &= \inf \{s \in R \mid y \in sk^0 - D\} + \lambda = \varphi(y) + \lambda. \end{aligned}$$

ამით (1.14) ტოლობა დამტკიცდა. #

**თეორემა 12.**  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალი ამოზნექილია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $D$  არის ამოზნექილი; თუ  $D$  არის კონუსი  $Y$  სივრცეში, მაშინ  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  არის დადებითად ერთგაროვანი, ე.ი. ნებისმიერი  $y \in Y$  ელემენტისა და  $\lambda > 0$  რიცხვისთვის მართებულია ტოლობა

$$\varphi(\lambda y) = \lambda \varphi(y). \quad (1.15)$$

**დამტკიცება.** ვთქვათ  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  არის ამოზნექილი. მაშინ  $\text{epi}\varphi = D'$  არის ამოზნექილი. რადგან  $T(D') = D$  და წრფივი ოპერატორი ინვარიანტულია ამოზნექილობის მიმართ, ამიტომ  $D$  არის ამოზნექილი. პირიქით, თუ  $D$  არის ამოზნექილი, მაშინ  $D' = T^{-1}(D)$  არის ამოზნექილი. რადგან  $D' = \text{epi}\varphi$ , ამიტომ  $\text{epi}\varphi$  არის ამოზნექილი. ეს კი ნიშნავს, რომ  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  არის ამოზნექილი. ვთქვათ, ახლა  $D$  არის კონუსი. მაშინ ნებისმიერი  $y \in Y$  და  $\lambda > 0$  ელემენტებისთვის გვაქვს:

$$\begin{aligned} \varphi(\lambda y) &= \inf \{t \in R \mid \lambda y \in tk^0 - D\} = \\ &= \inf \left\{ t \in R \mid y \in \frac{t}{\lambda} k^0 - \frac{1}{\lambda} D \right\} = \inf \left\{ \lambda s \in R \mid y \in sk^0 - \frac{1}{\lambda} D \right\}. \end{aligned}$$

რადგან  $D$  არის კონუსი და  $\lambda^{-1} > 0$ , ამიტომ  $\lambda^{-1}D = D$ , ე.ი. სრულდება ტოლობა:

$$\varphi(\lambda y) = \inf \{ \lambda s \in R \mid y \in sk^0 - D \} = \lambda \inf \{ s \in R \mid y \in sk^0 - D \} = \lambda \varphi(y).$$

ამით (1.15) დამტკიცდა #

**შენიშვნა 1.4.** რადგან  $k^0 \in Y \setminus \{0\}$ , ამიტომ აღნიშნული ვექტორის პარალელური და  $z \in Y$  წერტილზე გამავალი წრფე განისაზღვრება ტოლობით:

$$l(z, k^0) = \{y(t) \mid y(t) = z + tk^0, t \in R\}.$$

ცხადია, რომ ნებისმიერი  $z \in Y$ -სთვის  $l(z, k^0) \subset Y$ .  $D \subset Y$  სიმრავლე არ შეიცავს  $k^0 \in Y \setminus \{0\}$  ვექტორის პარალელურ წრფეს, თუ  $l(z, k^0) \not\subset D, \forall z \in Y$ , ანუ არსებობს ელემენტი  $y(t) \in l(z, k^0), t \in R$ , რომლისთვისაც  $y(t) \notin D$ . ამრიგად,  $D \subset Y$  სიმრავლე არ შეიცავს  $k^0$  არანულოვანი ვექტორის პარალელურ წრფეს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ სრულდება პირობა:

$$\forall z \in Y, \exists t \in R: z + tk^0 \notin D. \quad (1.16)$$

**თეორემა 1.3.** თუ  $D \subset Y$  ჩაკეტილია,  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალი არის საკუთრივი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $D$  არ შეიცავს  $k^0$  ვექტორის პარალელურ წრფეს, ანუ სრულდება პირობა (1.16).

**დამტკიცება.** რადგან  $D \subset Y$  ჩაკეტილია, ამიტომ სამართლიანია ტოლობა (1.12), ანუ  $dom\varphi = Rk^0 - D$ , ამიტომ  $dom\varphi \neq \emptyset$ . ამრიგად, დებულების დასამტკიცებლად საკმარისია ვაჩვენოთ, რომ  $\varphi(y) \neq -\infty, \forall y \in Y$ . დავუშვათ, რომ  $\varphi$  ფუნქციონალი არ არის საკუთრივი. მაშინ მოიძებნება  $y \in Y$  ელემენტი, რომელიც დააკმაყოფილებს პირობას  $\varphi(y) = \inf \{t \in R \mid y \in tk^0 - D\} = -\infty$ . მაშინ ნებისმიერი  $t \in R$  - სთვის  $\varphi(y) < t$ . (1.12)

ტოლობის გათვალისწინებით უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ  $y \in tk^0 - D$ , ე.ი. სამართლიანია იმპლიკაცია:

$$\varphi(y) = -\infty \Rightarrow y \in tk^0 - D, \forall t \in R.$$

პირიქით, თუ ნებისმიერი  $t \in R$  - სთვის  $y \in tk^0 - D$ , მაშინ ისევ (1.12)-ის თანახმად სამართლიანია უტოლობა  $\varphi(y) \leq t, \forall t \in R$ , რომელიც შეიძლება შესრულდეს ერთადერთ შემთხვევაში - როდესაც  $\varphi(y) = -\infty$ . ამრიგად,  $y \in tk^0 - D, \forall t \in R \Rightarrow \varphi(y) = -\infty$ . რადგან  $z = -y \in Y$  და  $y \in tk^0 - D \Leftrightarrow -y + tk^0 \in D$ , შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლიანია ექვივალენტობა

$$\varphi(y) = -\infty \Leftrightarrow z + tk^0 \in D, \forall t \in R. \quad (1.17)$$

რადგან სიმრავლე  $\{z + tk^0 \mid t \in R\}$  არის  $k^0$  ვექტორის პარალელური წრფე  $Y$ -ში, (1.17) ნიშნავს, რომ  $\varphi$  ფუნქციონალი არ არის საკუთრივი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $D$  შეიცავს  $k^0$  ვექტორის პარალელურ წრფეს. ამრიგად,  $\varphi$  ფუნქციონალი საკუთრივია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $D$  სიმრავლე არ შეიცავს  $k^0$  ვექტორის პარალელურ წრფეს, ანუ სრულდება პირობა (1.16) #

**თეორემა 1.4.** თუ  $D \subset Y$  ჩაკეტილია, მაშინ:  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალი არის სასრული მნიშვნელობების მქონე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $D$  არ შეიცავს  $k^0$  ვექტორის პარალელურ წრფეს და სრულდება პირობა

$$Rk^0 - D = Y. \quad (1.18)$$

**დამტკიცება.** დაცულია თეორემა 1.3-ის პირობები, ე.ი.  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალი არის საკუთრივი. ეს ნიშნავს, რომ  $\varphi$  ფუნქციონალი არ დებულებს  $-\infty$  მნიშვნელობას და  $dom\varphi \neq \emptyset$ . რადგან  $D \subset Y$  ჩაკეტილია, (1.12) ტოლობის თანახმად  $dom\varphi = Rk^0 - D$ . პირობა (1.18) -ს თანახმად მართებულია  $dom\varphi = Y$  ტოლობა. ამრიგად, თუ დაცუ-

ღია თეორემა 14 -ის პირობები, მაშინ  $\varphi(y) \neq -\infty, \forall y \in Y$  და  $\varphi(y) < \infty, \forall y \in \text{dom}\varphi = Y$ . ეს ნიშნავს, რომ  $\varphi$  ფუნქციონალი მხოლოდ სასრულ მნიშვნელობებს ღებულობს, ანუ სინამდვილეში სამართლიანია ასახვა  $\varphi: Y \rightarrow R$ . პირიქით, თუ  $\varphi$  ფუნქციონალი მხოლოდ სასრულ მნიშვნელობებს ღებულობს, ანუ სამართლიანია ასახვა  $\varphi: Y \rightarrow R$ , მაშინ ცხადია, რომ, ერთი მხრივ,  $\varphi$  ფუნქციონალი არის საკუთრივი, ანუ თეორემა 13-ის თანახმად  $D$  არ შეიცავს  $k^0$  ვექტორის პარალელურ წრფეს, ხოლო, მეორე მხრივ,  $\text{dom}\varphi = Y$ . რაც (1.12) ტოლობის თანახმად ნიშნავს, რომ  $Rk^0 - D = Y \#$

**თეორემა 15.** ვთქვათ,  $D \subset Y$  ჩაკეტილია. მაშინ  $B \subset Y$ -არაცარიელი ქვესიმრავლისათვის  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალი არის  $B$  - მონოტონური მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულდება პირობა

$$D + B \subset D. \quad (1.19)$$

**დამტკიცება.** წინასწარ შევნიშნოთ, რომ რადგან  $D$  ჩაკეტილია, ამიტომ ღემა 17 - ის თანახმად,  $\text{dom}\varphi = Rk^0 - D$ , ხოლო (1.13) -ის თანახმად  $\text{epi}\varphi = D'$ . ამიტომ აღნიშნულ სიმრავლეთა პროექციები  $Y$  სივრცეზე ერთმანეთს ემთხვევა. რადგან ნებისმიერი, მაგრამ ფიქსირებული  $t \in R$  -სთვის აღნიშნულ სიმრავლეთა პროექციები  $Y$  სივრცეზე შესაბამისად არის  $\{y \in Y \mid \varphi(y) \leq t\}$  და  $tk^0 - D$ , ამიტომ სამართლიანია ტოლობა

$$\{y \in Y \mid \varphi(y) \leq t\} = tk^0 - D, \forall t \in R. \quad (1.20)$$

კერძოდ,  $t = 0$  - სთვის გვაქვს:

$$\{y \in Y \mid \varphi(y) \leq 0\} = -D. \quad (1.21)$$

ვთქვათ, რომ მართებულია (1.19). ვაჩვენოთ (1.3) -ის მართებულობა. განვიხილოთ ორი ელემენტი  $y_1, y_2 \in Y$ , რომელთათვისაც  $y_2 - y_1 \in B$ . თუ  $\varphi(y_2) = \infty$ , მაშინ ყოველთვის მართებულია  $\varphi(y_1) \leq \varphi(y_2)$  უტოლობა. ვთქვათ ახლა, რომ  $\varphi(y_2) < \infty$ . მაშინ  $y_2 \in \text{dom}\varphi$ . ამიტომ არსებობს სასრული  $t \in R$ , რომლისთვისაც  $\varphi(y_2) = t$ , ანუ (1.20) - ის თანახმად,  $y_2 \in tk^0 - D$ . მეორე მხრივ,  $y_1 \in y_2 - B$ , ამიტომ მართებულია ჩართვები:  $y_1 \in tk^0 - D - B = tk^0 - (D + B) \subset tk^0 - D$ . ამით დამტკიცდა, რომ  $y_1 \in tk^0 - D$ , ანუ  $\varphi(y_1) \leq t$ . რადგან  $\varphi(y_2) = t$ , ამიტომ  $\varphi(y_1) \leq \varphi(y_2)$ . ამით საბოლოოდ დამტკიცდა, რომ (1.19)  $\Rightarrow$  (1.3).

ვთქვათ, რომ  $\varphi$  ფუნქციონალი არის  $B$ - მონოტონური, ე.ი. სრულდება (1.3), ვაჩვენოთ, რომ სამართლიანია (1.19). ვთქვათ, რომ  $y \in D$  და  $b \in B$ . რადგან  $-y \in -D \subset Y$ , ამიტომ (1.21) ტოლობიდან ვასკენით, რომ  $\varphi(-y) \leq 0$ . მეორე მხრივ გვაქვს:  $b = (-y) - (-y - b) \in B$ . ამიტომ (1.3) -დან ვასკენით, რომ  $\varphi(-y - b) \leq \varphi(-y)$ . რადგან  $\varphi(-y) \leq 0$ , ამიტომ  $\varphi(-y - b) \leq 0$ . რადგან  $-y - b \in Y$ , ამიტომ (1.21) -ის თანახმად  $-y - b \in -D$ , ე.ი.  $y + b \in D$ . რადგან  $y + b$  არის ნებისმიერი ელემენტი  $D + B$  სიმრავლიდან, ამიტომ  $D + B \subset D$ , ე.ი. (1.3)  $\Rightarrow$  (1.19) #

**თეორემა 16.** ვთქვათ, რომ  $D \subset Y$  ჩაკეტილია. მაშინ  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციონალი არის სუბადიტიური მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულდება პირობა

$$D + D \subset D. \quad (1.22)$$

**დამტკიცება.** ვაჩვენოთ, რომ (1.22)  $\Rightarrow$  (1.4). განვიხილოთ ნებისმიერი ორი ელემენტი  $y_1, y_2 \in Y$ . ცხადია, რომ თუ  $\varphi(y_1), \varphi(y_2)$  მნიშვნელობებიდან ერთი მაინც არის  $\infty$ , მაშინ ყოველთვის სამართლიანი  $\varphi(y_1 + y_2) \leq \varphi(y_1) + \varphi(y_2)$  უტოლობა. ამიტომ

დებულების დასამტკიცებლად საკმარისია ჩავთვალოთ, რომ  $y_1, y_2 \in \text{dom} f$ . მაშინ მოიძებნება  $t_1, t_2 \in \mathbb{R}$  რიცხვები, რომელთათვისაც  $\varphi(y_1) = t_1, \varphi(y_2) = t_2$ . რადგან დაცულია თეორემა 1.5 - ის პირობები, ამიტომ სამართლიანია (1.20) და (1.21) ტოლობები. ამიტომ აღნიშნულ პირობებში (1.20) - დან ვღებულობთ, რომ  $y_1 \in t_1 k^0 - D, y_2 \in t_2 k^0 - D$ , ე.ი.  $y_1 + y_2 \in (t_1 + t_2)k^0 - D - D$ . რადგან სრულდება (1.22), ამიტომ  $-D - D \subset -D$ , საიდანაც გამომდინარეობს, რომ  $y_1 + y_2 \in (t_1 + t_2)k^0 - D$ . (1.20) - ის თანახმად, უკანასკნელი ნიშნავს, რომ  $\varphi(y_1 + y_2) \leq t_1 + t_2$ . რადგან  $t_1 = \varphi(y_1), t_2 = \varphi(y_2)$ , ამიტომ მართებულია უტოლობა  $\varphi(y_1 + y_2) \leq \varphi(y_1) + \varphi(y_2)$ . ამით საბლოდ დამტკიცდა, რომ (1.22)  $\Rightarrow$  (1.4).

ვთქვათ, რომ  $\varphi$  ფუნქციონალი არის სუბადიტიური, ე.ი. სრულდება (1.4), ვაჩვენოთ, რომ მართებულია (1.22). განვიხილოთ ნებისმიერი ელემენტი  $y_1 + y_2 \in D + D$ . მაშინ ცხადია, რომ  $-y_1, -y_2 \in -D \subset Y$ , ამიტომ (1.21) ტოლობიდან ვასკვნით, რომ

$$\varphi(-y_1) \leq 0, \varphi(-y_2) \leq 0.$$

რადგან  $\varphi$  სუბადიტიურია, ამიტომ  $\varphi(-y_1 - y_2) = \varphi((-y_1) + (-y_2)) \leq \varphi(-y_1) + \varphi(-y_2)$ . ამ უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ  $\varphi(-y_1 - y_2) \leq 0$ . რადგან  $-y_1 - y_2 \in Y$ , ამიტომ უკანასკნელი უტოლობიდან (1.21) - ის გათვალისწინებით ვასკვნით, რომ  $-y_1 - y_2 \in -D$ , ანუ სამართლიანია ჩართვა  $y_1 + y_2 \in D$ . ეს, ცხადია, ნიშნავს რომ მართებულია ჩართვა  $D + D \subset D$ , ანუ (1.4)  $\Rightarrow$  (1.22) #

**თეორემა 1.7.** ვთქვათ, რომ  $D \subset Y$  ჩაკეტილია და სრულდება პირობა:

$$D + tk^0 \subset \text{int} D, \forall t \in (0, \infty). \quad (1.23)$$

მაშინ  $\varphi: Y \rightarrow \bar{\mathbb{R}}$  ფუნქციონალი არის უწყვეტი  $Y$ - ზე და მართებულია ტოლობები:

$$\{y \in Y \mid \varphi(y) < t\} = tk^0 - \text{int} D, \forall t \in \mathbb{R}, \quad (1.24)$$

$$\{y \in Y \mid \varphi(y) = t\} = tk^0 - \text{Fr} D, \forall t \in \mathbb{R}. \quad (1.25)$$

**დამტკიცება.** განვიხილოთ ნებისმიერი  $t \in \mathbb{R}$ , რომლისთვისაც  $z \in Y$  ელემენტი აკმაყოფილებს  $\varphi(z) < t$  პირობას. ეს ნიშნავს, რომ  $z \in \{y \in Y \mid \varphi(y) < t\}$  და მონახება ნამდვილი რიცხვი  $\tau < t$ , რომელიც დააკმაყოფილებს  $\varphi(z) \leq \tau$  პირობას. აქედან ვასკვნით, რომ  $z \in \tau k^0 - D$ . რადგან  $t - \tau > 0$ , ამიტომ  $y \in \tau k^0 - D = tk^0 - (D + (t - \tau)k^0) \subset tk^0 - \text{int} D$ , ე.ი.  $z \in tk^0 - \text{int} D$ . ეს ნიშნავს, რომ

$$\{y \in Y \mid \varphi(y) < t\} \subset tk^0 - \text{int} D, \forall t \in \mathbb{R}. \quad (1.26)$$

ვთქვათ ახლა, რომ  $z \in tk^0 - \text{int} D$ . მაშინ  $tk^0 - z \in \text{int} D$ . განვიხილოთ  $k^0 \neq 0$  ვექტორის შემცველი  $0 \in Y$  წერტილის ნებისმიერი  $V$  მიდამო. რადგან  $\text{int} D$  ღიაა, ყოველთვის მონახება  $\varepsilon > 0$  რიცხვი ისეთი, რომ  $tk^0 - z - \varepsilon V \in \text{int} D$ . მეორე მხრივ, რადგან  $\varepsilon k^0 \in \varepsilon V$ , ამიტომ  $tk^0 - z - \varepsilon k^0 \in \text{int} D \subset D$ , ე.ი.  $(t - \varepsilon)k^0 - z \in D$ , ანუ მართებულია ჩართვა  $z \in (t - \varepsilon)k^0 - D$ . უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ  $\varphi(z) \leq t - \varepsilon$ , ანუ  $\varphi(z) + \varepsilon \leq t$ . რადგან  $\varepsilon > 0$ , ამიტომ  $\varphi(z) < t$ . ეს ნიშნავს, რომ  $tk^0 - \text{int} D \subset \{y \in Y \mid \varphi(y) < t\}, \forall t \in \mathbb{R}$ . უკანასკნელიდან, (1.26) - ის გათვალისწინებით ვასკვნით, რომ მართებულია ტოლობა (1.24), საიდანაც გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი  $t \in \mathbb{R}$  - სთვის  $A(t) = \{y \in Y \mid \varphi(y) < t\}$  არის ღია ქვესიმრავლე  $Y$ - ში, რადგან

$tk^0 - \text{int } D$  სიმრავლე არის ღია. მეორე მხრივ, თუ  $B(t) = \{y \in Y \mid t \leq \varphi(y)\}$ , მაშინ  $A(t) \cap B(t) = \emptyset, \forall t \in R$  და მართებულია ტოლობა  $B(t) = Y \setminus A(t), \forall t \in R$ , საიდანაც გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი  $t \in R$  - სთვის  $B(t) \subset Y$  არის ჩაკეტილი. რადგან  $B(t) = \{y \in Y \mid (-\varphi)(y) \leq -t\}, \forall (-t) \in R$ , ამიტომ  $(-\varphi): Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციის ეპიგრაფი  $\text{epi}(-\varphi) = \{(y, -t) \in Y \times R \mid (-\varphi)(y) \leq -t\}$  არის ჩაკეტილი, ანუ  $(-\varphi): Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქცია არის ნახევრად უწყვეტი ქვემოდას  $Y$ -ზე. ეს, ცხადია, ნიშნავს, რომ  $\varphi = -(-\varphi)$  ფუნქცია არის ზემოდან ნახევრად უწყვეტი  $Y$ -ზე. ლემა 1.9 - ის თანახმად,  $\varphi$  არის ქვემოდას ნახევრად უწყვეტიც  $Y$ -ზე, ამიტომ საბოლოოდ დადგინდა, რომ  $\varphi$  არის უწყვეტი  $Y$ -ზე.

ვაჩვენოთ (1.25) ტოლობის მართებულობა. ვთქვათ, რომ  $z \in \{y \in Y \mid \varphi(y) = t\}$ . რადგან,  $\{y \in Y \mid \varphi(y) = t\} \subset \{y \in Y \mid \varphi(y) \leq t\}$ , ამიტომ  $z \in \{y \in Y \mid \varphi(y) \leq t\}$ .  $D \subset Y$  სიმრავლის ჩაკეტილობის გამო მართებულია (1.20), ამიტომ  $z \in tk^0 - D$ . ეს ნიშნავს, რომ  $tk^0 - z \in D$ . ცხადია, რომ  $tk^0 - z \notin \text{int } D$ , რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, (1.24) -ის თანახმად, შესრულდებოდა მკაცრი უტოლობა  $\varphi(y) < t$ . ამრიგად,  $tk^0 - z \in D \setminus \text{int } D$ . რადგან  $D \subset Y$  ჩაკეტილია,  $\text{cl } D = D$ , ამიტომ  $tk^0 - z \in \text{cl } D \setminus \text{int } D = \text{fr } D$ . ეს ნიშნავს, რომ  $z \in tk^0 - \text{fr } D$ . ამით დამტკიცდა ჩართვა:

$$\{y \in Y \mid \varphi(y) = t\} \subset tk^0 - \text{fr } D, \forall t \in R. \quad (1.27)$$

ვთქვათ, რომ  $z \in tk^0 - \text{fr } D$ , ანუ  $tk^0 - z \in \text{fr } D$ .  $D \subset Y$  სიმრავლის ჩაკეტილობის გამო  $\text{fr } D \subset D$ , ამიტომ  $tk^0 - z \in D$ . (1.20) - ის თანახმად სამართლიანი უნდა იყოს უტოლობა  $\varphi(y) \leq t$ . უკანასკნელში არ შეიძლება სრულდებოდეს მკაცრი უტოლობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში (1.24) - ის თანახმად მართებული იქნებოდა ჩართვა  $tk^0 - z \in \text{int } D$ . რადგან  $\text{int } D \cap \text{fr } D = \emptyset$ , ამიტომ ადგილი აქვს მკაცრ ტოლობას  $\varphi(y) = t$ . ამით დამტკიცდა, რომ  $tk^0 - \text{fr } D \subset \{y \in Y \mid \varphi(y) = t\}, \forall t \in R$ . (1.27) - ის გათვალისწინებით, უკანასკნელი ჩართვიდან ვასკენით. რომ მართებულია (1.25) #

**განსაზღვრა 1.6.** ვთქვათ, რომ  $B$  არის არაცარიელი ქვესიმრავლე  $Y$ -ში.  $f: Y \rightarrow \bar{R}$  ფუნქციას ეწოდება მკაცრად  $B$ - მონოტონური, თუ ნებისმიერი ორი  $y_1, y_2 \in Y$  ელემენტისათვის, რომელთათვისაც აზრი აქვს  $f(y_2) - f(y_1)$  სხვაობას, მართებულია იმპლიკაცია:

$$y_2 - y_1 \in B \setminus \{0\} \Rightarrow f(y_1) < f(y_2). \quad (1.28)$$

**თეორემა 1.8.** ვთქვათ, რომ  $D \subset Y$  ჩაკეტილია. მაშინ  $B \subset Y$ -არაცარიელი ქვესიმრავლისა და  $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$  საკუთრივი ფუნქციონალისათვის მართებულია ექვივალენტობა:

$$\varphi \text{ არის } B\text{- მონოტონური} \Leftrightarrow \text{fr } D + B \subset D. \quad (1.29)$$

**დამტკიცება.** 1. თეორემა 1.5 მართებულია  $\varphi$  ფუნქციონალის საკუთრივობის მოთხოვნის გარეშე, ამიტომ თეორემა 1.5 სამართლიანია საკუთრივი  $\varphi$  ფუნქციონალის შემთხვევაში. აღნიშნული თეორემის თანახმად, თუ  $\varphi$  საკუთრივი ფუნქციონალი არის  $B$ - მონოტონური, მაშინ  $D + B \subset D$ . რადგან  $\text{fr } D \subset D$ , ამიტომ  $\text{fr } D + B \subset D + B \subset D$ . აქედან გამომდინარეობს, რომ მართებულია იმპლიკაცია:

$$\varphi \text{ არის } B\text{- მონოტონური} \Rightarrow \text{fr } D + B \subset D.$$

ვთქვათ, რომ  $frD+B \subset D$  და  $y_1, y_2 \in Y$  ელემენტები აკამაყოფილებენ  $y_2 - y_1 \in B$  პირობას. ვაჩვენოთ, რომ საკუთრივი  $\varphi$  ფუნქციონალი არის  $B$ - მონოტონური. მართლაც, თუ  $\varphi(y_2) = \infty$ , მაშინ ყოველთვის სამართლიანი  $\varphi(y_1) \leq \varphi(y_2)$  უტოლობა. დაეუშვათ, რომ  $\varphi(y_2) < \infty$ . რადგან  $\varphi$  ფუნქციონალი არის საკუთრივი, ამიტომ  $\varphi(y_2) \neq -\infty$ . ეს ნიშნავს, რომ არსებობს რიცხვი  $t \in \mathbb{R}$ , რომლისთვისაც  $\varphi(y_2) = t$ . დაცულია თეორემა 1.7 -ის პირობები, ამიტომ, (1.25) - ის თანახმად,  $y_2 \in tk^0 - frD$ . მეორე მხრივ,  $y_1 \in y_2 - B$ , ამიტომ  $y_1 \in tk^0 - (frD+B)$ . რადგან  $frD+B \subset D$ , ამიტომ  $y_1 \in tk^0 - (frD+B) \subset tk^0 - D$ , ე.ი.  $y_1 \in tk^0 - D$ , რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ  $\varphi(y_1) \leq t$ . რადგან  $\varphi(y_2) = t$ , ამიტომ  $\varphi(y_1) \leq \varphi(y_2)$ . ამრიგად, დამტკიცდა იმპლიკაცია

$$frD+B \subset D \Rightarrow \varphi \text{ არის } B\text{- მონოტონური.}$$

უკანასკნელი, ზემოთ უკვე დადგენილ იმპლიკაციასთან ერთად, ნიშნავს (1.28) ექვივალენტობის მართებულობას #

**თეორემა 1.9.** ვთქვათ, რომ  $D \subset Y$  ჩაკეტილია. მაშინ  $B \subset Y$  არაცარიელი ქვესიმრავლისა და  $\varphi: Y \rightarrow \bar{\mathbb{R}}$  სასრული მნიშვნელობების მქონე ფუნქციონალისათვის სამართლიანია იმპლიკაციები:

$$\begin{aligned} \varphi \text{ არის მკაცრად } B\text{- მონოტონური} &\Leftrightarrow \\ \Leftrightarrow D+(B \setminus \{0\}) \subset \text{int } D &\Leftrightarrow frD+(B \setminus \{0\}) \subset \text{int } D. \end{aligned}$$

**დამტკიცება.** ვთქვათ, რომ  $\varphi$  არის მკაცრად  $B$ - მონოტონური. განვიხილოთ ნებისმიერი ორი ელემენტი  $y \in D, b \in B \setminus \{0\}$ . თუ  $y_2 = -y$  და  $y_1 = -y - b$ , მაშინ მართებულია ტოლობა  $b = -y - (-y - b) = y_2 - y_1 \in B \setminus \{0\}$ . რადგან  $\varphi$  არის მკაცრად  $B$ - მონოტონური, უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ მართებულია მკაცრი უტოლობა  $\varphi(y_1) < \varphi(y_2)$ . რადგან  $y_2 \in -D$  და მართებულია (1.21)  $D \subset Y$  სიმრავლის ჩაკეტილობის გამო, მართებულია უტოლობა  $\varphi(y_1) < \varphi(y_2)$ , რაც თავისთავად ნიშნავს, რომ  $\varphi(-y-b) < 0$ . ისევ  $D \subset Y$  სიმრავლის ჩაკეტილობის გამო მართებულია (1.24) ტოლობა, რომელიც  $t = 0$  შემთხვევაში დებულობს სახეს

$$\{y \in Y \mid \varphi(y) < 0\} = -\text{int } D. \quad (1.30)$$

აქედან ვასკენით, რომ  $y+b \in \text{int } D$ . რადგან  $y+b$  იყო ნებისმიერი ელემენტი  $D+B \setminus \{0\}$  სიმრავლიდან, მართებულია ჩართვა  $D+B \setminus \{0\} \subset \text{int } D$ . მეორე მხრივ,  $D \subset Y$  სიმრავლის ჩაკეტილობის გამო,  $frD \subset D$ , ამიტომ  $frD+B \setminus \{0\} \subset D+B \setminus \{0\}$ . ამრიგად,  $D+B \setminus \{0\} \subset \text{int } D$  პირობიდან გამომდინარეობს, რომ  $frD+B \setminus \{0\} \subset \text{int } D$ . ამით დამტკიცდა იმპლიკაციები:

$$\begin{aligned} \varphi \text{ არის მკაცრად } B\text{- მონოტონური} &\Rightarrow \\ \Rightarrow D+(B \setminus \{0\}) \subset \text{int } D &\Rightarrow frD+(B \setminus \{0\}) \subset \text{int } D. \end{aligned} \quad (1.31)$$

ვაჩვენოთ, რომ მართებულია იმპლიკაცია

$$D+(B \setminus \{0\}) \subset \text{int } D \Rightarrow \varphi \text{ არის მკაცრად } B\text{- მონოტონური.} \quad (1.32)$$

განვიხილოთ ნებისმიერი ორი ელემენტი  $y_1, y_2 \in Y$ , რომელთათვისაც  $y_2 - y_1 \in B \setminus \{0\}$ . რადგან  $\varphi$  მხოლოდ სასრულ, მნიშვნელობებს დებულობს, ამიტომ 1.3 და 1.4 თეორემების თანახმად,  $\varphi$  არის საკუთრივი და მართებულია ტოლობა  $\text{dom } \varphi = Y$ , ე.ი.  $y_1, y_2 \in \text{dom } \varphi$ . ამრიგად,  $\varphi(y_2) - \varphi(y_1)$  სხვაობას აზრი აქვს ნებისმიერი  $y_1, y_2 \in Y$  - სთვის. რადგან  $y_2 \in \text{dom } \varphi$ , ამიტომ არსებობს  $t \in \mathbb{R}$ , რომლისთვისაც  $\varphi(y_2) = t$ , ანუ,

(1.20) – ის თანახმად,  $y_2 \in tk^0 - D$ . მეორე მხრივ  $y_1 \in y_2 - B \setminus \{0\}$ , ამიტომ მართებულია ჩართვები:

$$y_1 \in tk^0 - D - B \setminus \{0\} = tk^0 - (D + B \setminus \{0\}) \subset tk^0 - D.$$

ვთქვათ, რომ სრულდება პირობა  $D + (B \setminus \{0\}) \subset \text{int } D$ . მაშინ მართებულია ჩართვა  $y_1 \in tk^0 - \text{int } D$ . ამიტომ, (1.24) – ის თანახმად, მართებულია მკაცრი უტოლობა  $\varphi(y_1) < t$ . არადგან  $\varphi(y_2) = t$ , ამიტომ  $\varphi(y_1) < \varphi(y_2)$ . ეს უკვე ნიშნავს, რომ  $\varphi$  არის მკაცრად  $B$ - მონოტონური, ანუ დადგინდა იმპლიკაცია (1.32). უკანასკნელიდან (1.31) – ის გათვალისწინებით ვასკენით, რომ მართებულია ექვივალენტობა

$$\varphi \text{ არის მკაცრად } B\text{- მონოტონური} \Leftrightarrow D + (B \setminus \{0\}) \subset \text{int } D. \quad (1.33)$$

ვაჩვენოთ, რომ მართებულია იმპლიკაცია

$$frD + (B \setminus \{0\}) \subset \text{int } D \Rightarrow \varphi \text{ არის მკაცრად } B\text{- მონოტონური}. \quad (1.34)$$

განვიხილოთ ნებისმიერი ორი ელემენტი  $y_1, y_2 \in Y$ , რომელთათვისაც  $y_2 - y_1 \in B \setminus \{0\}$ . რადგან  $\varphi$  მხოლოდ სასრულ მნიშვნელობებს ღებულობს,  $\varphi$  არის საკუთრივი და მართებულია ტოლობა  $dom \varphi = Y$ , ამიტომ  $y_1, y_2 \in dom \varphi$ , ე.ი.  $\varphi(y_2) - \varphi(y_1)$  სხვაობას ყოველთვის აქვს აზრი და არსებობს სასრული ნამდვილი რიცხვი  $t \in \mathbb{R}$ , რომლისთვისაც  $\varphi(y_2) = t$ .  $D \subset Y$  სიმრავლის ჩაკეტილობის გამო მართებულია ტოლობა (1.25), ამიტომ  $y_2 \in tk^0 - FrD$ . მეორე მხრივ, გვაქვს:

$$y_1 \in tk^0 - FrD - B \setminus \{0\} = tk^0 - (FrD + B \setminus \{0\}).$$

თუ სრულდება პირობა  $frD + (B \setminus \{0\}) \subset \text{int } D$ , მაშინ  $y_1 \in tk^0 - \text{int } D$ . ისევე  $D \subset Y$  სიმრავლის ჩაკეტილობის გამო მართებულია ტოლობა (1.24), ამიტომ  $\varphi(y_1) < t$ . რადგან  $t = \varphi(y_2)$ , მართებულია მკაცრი უტოლობა  $\varphi(y_1) < \varphi(y_2)$ . ამით დამტკიცდა რომ მართებულია (1.34), რომლიდანაც, (1.31) – ის გათვალისწინებით ვასკენით, რომ მართებულია ექვივალენტობა:

$$\varphi \text{ არის მკაცრად } B\text{- მონოტონური} \Leftrightarrow frD + (B \setminus \{0\}) \subset \text{int } D. \quad (1.35)$$

(1.33) და (1.35) – დან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ მართებულია იმპლიკაციები:

$$\begin{aligned} &\varphi \text{ არის მკაცრად } B\text{- მონოტონური} \\ &\Leftrightarrow D + (B \setminus \{0\}) \subset \text{int } D \Leftrightarrow frD + (B \setminus \{0\}) \subset \text{int } D \# \end{aligned}$$

**თეორემა 1.10.** ვთქვათ, რომ  $D \subset Y$  ჩაკეტილია. მაშინ  $\varphi: Y \rightarrow \bar{\mathbb{R}}$  საკუთრივი ფუნქციონალისათვის მართებულია ექვივალენტობები:

$$\varphi \text{ არის სუბადიტიური} \Leftrightarrow D + D \subset D \Leftrightarrow frD + frD \subset D. \quad (1.36)$$

**დამტკიცება.** თეორემა 1.6 – ის თანახმად, მართებულია ექვივალენტობა:

$$\varphi \text{ არის სუბადიტიური} \Leftrightarrow D + D \subset D. \quad (1.37)$$

ამიტომ ღებულების დასაბუთებისათვის საკმარისია დამტკიცდეს, რომ მართებულია ექვივალენტობა:

$$\varphi \text{ არის სუბადიტიური} \Leftrightarrow frD + frD \subset D. \quad (1.38)$$

ვთქვათ, რომ სრულდება პირობა  $frD + frD \subset D$ . განვიხილოთ ნებისმიერი ორი ელემენტი  $y_1, y_2 \in Y$ . რადგან  $\varphi$  არის საკუთრივი, ამიტომ  $\varphi(y_1) \neq -\infty, \varphi(y_2) \neq -\infty$ . თუ  $\varphi(y_1), \varphi(y_2)$  რიცხვებიდან ერთი, ან ორივე ერთად ღებულობს  $\infty$  მნიშვნელობას, მაშინ ყოველთვის მართებულია უტოლობა  $\varphi(y_1 + y_2) \leq \varphi(y_1) + \varphi(y_2)$ . ამიტომ საკმარისია ჩავთვალოთ, რომ  $y_1, y_2 \in dom \varphi$ . მაშინ არსებობს  $t_1, t_2 \in \mathbb{R}$  რიცხვები, რომელთათვისაც  $\varphi(y_1) = t_1, \varphi(y_2) = t_2$ , რადგან  $D \subset Y$  ჩაკეტილია, ამიტომ (1.25) ტოლობის თანახმად

მართებულია ჩართვები  $y_1 \in tk^0 - FrD, y_2 \in t_2k^0 - FrD$ , საიდანაც უშუალოდ გამომდინარეობს, რომ  $y_1 + y_2 \in (t_1 + t_2)k^0 - (FrD + FrD)$ . უკანასკნელიდან ცხადია, რომ მართებულია ჩართვა  $y_1 + y_2 \in (t_1 + t_2)k^0 - D$ , ანუ  $\varphi(y_1 + y_2) \leq \varphi(y_1) + \varphi(y_2)$ . ამით სინამდვილეში დამტკიცდა იმპლიკაცია

$$frD + frD \subset D \Rightarrow \varphi \text{ არის სუბადიტიური.} \quad (139)$$

ვთქვათ, რომ  $\varphi$  ფუნქციონალი არის სუბადიტიური. განვიხილოთ ნებისმიერი ელემენტი  $y_1 + y_2 \in frD + frD$ , სადაც  $y_1, y_2 \in frD$ .  $D \subset Y$  ჩაკეტილია, ამიტომ  $frD \subset D$ , ანუ  $-y_1, -y_2 \in -D$ . რადგან მართებულია (121), ამიტომ მართებულია უტოლობები  $\varphi(-y_1) \leq 0, \varphi(-y_2) \leq 0$ . რადგან  $\varphi$  ფუნქციონალი სუბადიტიურია, მართებულია უტოლობა  $\varphi(-y_1 - y_2) = \varphi((-y_1) + (-y_2)) \leq \varphi(-y_1) + \varphi(-y_2) \leq 0$ . რადგან  $-y_1 - y_2 \in Y$ , ამიტომ უკანასკნელი უტოლობიდან (121) - ის გათვალისწინებით ვასკვნით, რომ  $-y_1 - y_2 \in -D$ , ანუ სამართლიანია ჩართვა  $y_1 + y_2 \in D$ . რადგან  $y_1 + y_2$  არის ნებისმიერი ელემენტი  $frD + frD$  ჯამიდან, უკანასკნელი ნიშნავს, რომ  $frD + frD \subset D$ . ამიერივით, მართებულია იმპლიკაცია

$$\varphi \text{ არის სუბადიტიური} \Rightarrow frD + frD \subset D. \quad (140)$$

(139) და (140) - დან ვასკვნით, რომ მართებულია (138) ექვივალენტობა, საიდანაც უშუალოდ გამომდინარეობს დებულების მართებულობა #

ყველა დანარჩენ ელემენტებს. მარცხენა რკალის წონები იქნება  $\tau_{\xi_1}$  და  $r_1$ , ხოლო მარჯვენა რკალის წონები ნულის ტოლია. შემდეგ შრეზე გადასვლა ხდება შემდეგნაირად, მარცხენა კვანძის შვილობილი ორი კვანძიდან მარცხენა იქნება მოცემული სიმრავლის  $\xi_2$  ელემენტი და მისი შესაბამისი რკალის წონები გახდება  $\tau_{\xi_1} + \tau_{\xi_2}$  და  $r_1 + r_2$ . მარჯვენა კვანძის ელემენტები იქნებიან მოცემული სიმრავლის ყველა ელემენტი, გარდა  $\xi_1$  და  $\xi_2$  ელემენტებისა და შესაბამისი რკალის წონები გახდება  $\tau_{\xi_1}$  და  $r_1$ . წინა შრის მარჯვენა კვანძის (რომელიც არ შეიცავდა  $\xi_1$  ელემენტს) შვილობილი ორი კვანძიდან მარცხენა კვანძის ელემენტი იქნება მოცემული სიმრავლის  $\xi_2$  ელემენტი და მისი შესაბამისი რკალის წონები გახდება  $\tau_{\xi_2}$  და  $r_2$ . მარჯვენა კვანძის ელემენტები იქნებიან მოცემული სიმრავლის ყველა ელემენტი, გარდა  $\xi_1$  და  $\xi_2$  ელემენტებისა და შესაბამისი რკალის წონები იქნება ნულის ტოლი. თუ რომელიმე რკალისთვის ირღვევა (1) და (2) უტოლობებიდან ერთი მაინც, მაშინ ამ შტოს გასწვრივ ხის აგება წყდება, რადგან შესაბამისი აგებული ქვესიმრავლე არაკორექტული ქვესიმრავლეა, ხოლო დანარჩენი შტოების გასწვრივ ვაგრძელებთ ბინარული ხის აგებას ანალოგიურად, სანამ მოცემული სიმრავლე არ ამოიწურება ან ყველა შტოს შესაბამისი რკალების წონები არ დაარღვევენ (1) და (2) უტოლობებიდან ერთს მაინც. როდესაც ყველა შტოს აგება შეწყდება ყველაზე გრძელი შტოს გასწვრივ აგებული ქვემიმდევრობა იქნება საძიებელი მაქსიმალური ქვესიმრავლე.

ამის შემდეგ აგებული მაქსიმალური ქვესიმრავლის ელემენტებს დავტოვებთ, ხოლო დანარჩენ წევრობებს ამოვშლით გრაფიდან და ახლა ჩვენი მიზანია ავაგოთ ალგორითმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შემოვიართო მოცემული გრაფის ყველა წევრობა და ამასთან, თითოეულ წევრობაში მოვხვდეთ მხოლოდ ერთხელ, ისე, რომ შესრულდეს (3) ან (4) პირობები. ამ მიზნის მისაღწევად აგებული ალგორითმი განეკუთვნება დინამიური პროგრამირების და გრაფთა თეორიის, კერძოდ, სიგრძეში ძეგნის კომბინირებულ მეთოდს. დინამიური პროგრამირების მეთოდს ოპტიმიზაციის მეთოდებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ მეთოდის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დიდი რაოდენობის პარამეტრების ერთდროული განხილვის ნაცვლად, მათი მორიგეობით ამორჩევა ხდება. ამრიგად, ოპტიმიზაციის მრავალგანზომილებიანი ამოცანა მრავალსაფეხურა და ნაკლებგანზომილებიანი ამოცანაზე დაიყვანება.

დასაწყისში  $X$  სისტემა დაეყოს  $J_i$  ჯგუფებად,  $X = \bigcup_i J_i$ , “ $\subset$ ” მიმართების დაცვით

და იმის მიხედვით, თუ რომელი ობიექტებია პრიორიტეტული. ვთქვათ ასეთი ჯგუფების რაოდენობა არის  $IN$ . როგორც ცნობილია, თითოეული ობიექტი ხასიათდება დროის იმ  $t_{\xi_j}^0$  მომენტით, რომელშიც შესაძლებელია დაწყებულ იქნეს ამ ობიექტის შექმნა. თუ დასმული ამოცანის სპეციფიკას გავითვალისწინებთ (პროცესორების რაოდენობა განუსაზღვრელია) ყველა ობიექტის შექმნა შეიძლება დაიწყოს მისი სისტემაში მოხვედრისთანავე. ამიტომ, თავდაპირველად  $t'_{\xi_j} = t_{\xi_j}^0$ , ხოლო  $t''_{\xi_j} = t_{\xi_j}^0 + \tau_{\xi_j}$ .

ცხადია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ამოცანა ხდება არაკორექტული.

შევადგინოთ  $I$  სიმრავლე ყველა ასეთი  $j$ -ური ობიექტებისა  $\xi_j \in I$  და თავიდან მოცემული  $X$  სიმრავლის მაგივრად, განვიხილოთ  $X = X \setminus I$  სიმრავლე.  $J_i$  ქვესიმრავლეებიდან გამოვყოთ ყველა ისეთი  $J_i \subset X$  ( $i=1, \dots, IN$ ) ქვესიმრავლე, რომლის

$$\text{ელემენტებისათვის სრულდება პირობა } \sum_{\xi_j \in J_i} \sum_{t \in I_k} \omega_{\xi_j}^l(t) \leq \sum_{k=1}^K A_{T_k}^l, \quad i=1, 2, \dots, IN. \quad (5)$$

განვიხილოთ მხოლოდ ის  $J_i$ ,  $i=1, \dots, IN$ , ჯგუფები, რომლებიც აკმაყოფილებენ (5) პირობას. თითოეული  $J_i$  ( $i \in IN$ ) ჯგუფი დაეყოს ისეთ ორ ქვესიმრავლედ, რომ  $J_i = J_i^P \cup J_i^{NP}$ , და  $J_i^P \cap J_i^{NP} = \emptyset$ , სადაც  $J_i^P$  ( $i \in IN$ ) არის ქვესიმრავლე, რომელიც მოიცავს ისეთ ობიექტებს, რომლებსაც აქვთ პრიორიტეტი, ანუ მათი შესრულების



თუ ყველა  $\xi_j \in J_i^{NP}$ -თვის შეირჩევა შესაბამისი  $t'_{\xi_j}$ , მაშინ ასეთი  $J_i^{NP}$  ჯგუფი აკმაყოფილებს დასმულ ამოცანას. მინიმალური  $t'_{\xi_j}$ -ს შერჩევა ხდება შემდეგნაირად. თავიდან, როგორც უკვე აღინიშნა,  $t'_{\xi_j}$ -ის არჩევა ხდება ქვემოთ მოყვანილი პრინციპის გათვალისწინებით: არც ერთი ობიექტი რიგში არ დგას და როგორც კი ობიექტი მოხვდება სისტემაში, მაშინვე დაიწყება მისი დამუშავება. ანუ  $t'_{\xi_j} = t_{\xi_j}^0$ , ხოლო,

$$\xi_j \in J_i^{NP}. \text{ თუ ასეთი } t'_{\xi_j} \text{ -თვის } \left\| A_T^l - \sum_{t \leq T_k} \sum_{j \in IN1} \omega'_{\xi_j}(t) \right\|_{k=1, \dots, K}^{l=1, \dots, L} \text{ მატრიცის რომელიმე ელემენტი}$$

უარყოფითია, მაშინ  $t'_{\xi_j} = t'_{\xi_j} + 1$  და ხელახლა ხდება  $IN2$  სიმრავლის ფორმირება. ეს პროცესი მანამ გრძელდება, სანამ შესრულდება პირობა  $t''_{\xi_j} + \tau_j > T$  ან შეირჩევა  $IN2$  სიმრავლე ისე, რომ ის არაცარიელია. თუ სიმრავლე  $IN2$  ცარიელი აღმოჩნდა, მაშინ განხილულ ამოცანას არ გააჩნია ამონახსნი. თუ იგი შედგება მხოლოდ ერთი ელემენტისაგან, მაშინ მიღებული შესაბამისი ჯგუფი  $J_i$  უნდა იყოს დასმული ამოცანის ოპტიმალური ამონახსნი და საჭიროა გადასვლა ეფექტურობის იმ კრიტერიუმების განხილვაზე, რომლებიც იძლევიან ოპტიმალურ ამონახსნს. ანუ უნდა შეირჩეს ის ჯგუფები, რომლებიც აკმაყოფილებენ (3) ან (4)- პირობებს.

**საშუალო ვარიანტის კმბნის ერთი ალგორითმის შესახებ  
ორიენტირებულ გრაფში**

*ქ.კუთხაშვილი*

**რეზიუმე**

მრავალი პრაქტიკული ამოცანის ამოხსნა მოითხოვს ისეთი ალგორითმების აგებას, რომლებსაც საფუძვლად უდევს გრაფთა თეორიის მეთოდები.

განიხილება ოპტიმიზაციის ერთი ამოცანის ამოხსნის ალგორითმი ორიენტირებულ გრაფზე. კერძოდ, მოცემულია  $n$  წვეროსაგან შედგენილი ბმული ორიენტირებული გრაფი, რომლის რკალებზეც განსაზღვრულია წონითი ფუნქციები  $T(n)$  და  $R(n)$ . საჭიროა ავაგოთ ალგორითმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიპოვოთ გზა, რომლის საშუალებითაც შემოვივლით გრაფის ყველა წვეროს, ამასთან, თითოეულ წვეროში უნდა მოვხვდეთ ზუსტად ერთხელ, ისე, რომ შესრულდეს წონით ფუნქციებზე დადებული გარკვეული შეზღუდვები და ეს გზა იყოს საუკეთესო ერთი რომელიმე კრიტერიუმის თვალსაზრისით.

**ON AN ALGORITHM OF FINDING THE BEST VARIANT OF THE ORIENTED GRAPH**

*K.KUTKHASHVILI*

**Summary**

Various practical problems need algorithms to be written that are based on the methods of Graph Theory. Solution of the optimization problem by an algorithm of oriented Graph will be considered here. Namely, there is a given  $n$  vertex linked oriented Graph on which arcs there are defined weighted functions  $T(n)$  and  $R(n)$ . We need to construct an algorithm, which enables us to find a way, by which we can rout all the vertices only each time, so that definite restrictions are attached to the weighted functions and this way is the best in terms of one of any criteria.

**ОБ ОДНОМ АЛГОРИТМЕ НАХОЖДЕНИЯ НАИЛУЧШЕГО ВАРИАНТА В  
ОРИЕНТИРОВАННОМ ГРАФЕ**

*К.КУТХАШВИЛИ*

**Резюме**

Многие практические задачи решаются с помощью алгоритмов, которые основаны на методах теории графов. В статье рассмотрен алгоритм одной задачи оптимизации на ориентированном графе. В частности, задан связной ориентированный граф, состоящий из  $n$  вершин, на дугах которого определены весовые функции  $T(n)$  и  $R(n)$ . Надо построить алгоритм, который даст возможность найти наилучший путь обхода всех вершин, так, чтобы удовлетворялись некоторые ограничения, наложенные на весовые функции, а также некоторые критерии оптимальности.

**ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА**

1. Теория расписаний и вычислительные машины (под редакцией Э.Г.Коффмана). - М.: Наука. - 1984.
2. Левитин А. «Алгоритмы. Введение в разработку и анализ. Изд. «Вильямс», 2006г.
3. ვაბისონია, ქკუთხაშვილი გრძელვადიანი პროექტების დაგეგმვა შეზღუდული რესურსების პირობებში \ \ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. - საქართველო, თბილისი, გამომცემლობა "მოდესტა". - 2006.
4. Танаев В.С., Гордон В.С., Шафранский Я.М., Теория расписаний. М.: Наука. - 1983.

**თბუში დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაცია რეგრესიული და რეკონსტრუქციული მეთოდებით**

*ბ. ბარდაველიძე, ა. ბარდაველიძე*

*bardaveli\_x@yahoo.com, bardaveli@yandex.ru*

მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში დინამიკური ობიექტების სიზუსტის და საიმედოების ამაღლება თხოვლობს იდენტიფიკაციის მეთოდების განვითარებას და სრულყოფას. დღეისათვის ყველაზე მეტად მოთხოვნილია ექსპერიმენტული მონაცემების შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფქმედების, საიმედოობის, მოხმარებული ენერჯის ეკონომიის და მესხიერების მოცულობის მაღალ მაჩვენებლებს. წრფივ დინამიკურ ობიექტებში შემავალი სიგნალებისა და პარამეტრების შეფასების რიცხვითი ალგორითმების დამუშავების პრობლემების გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს სრული მოცულობით გადავწყვიტოთ პრაქტიკაში წამოჭრილი ამოცანები.

ობიექტების იდენტიფიკაციის ყველაზე გავრცელებული ამოცანაა სამართავი ობიექტის გადამცემი ფუნქციის განსაზღვრა მისი გარდამავალი მახასიათებლით, როგორც რეაქცია შესასვლელზე საფესურეობრივი ზემოქმედებით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს MatLab პროგრამული პაკეტის საშუალებით თბური დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაცია უმცირეს კვადრატთა მეთოდის (უმმ) რეგრესიული და რეკონსტრუქციული მიდგომით.

ავლნიშნოთ, რომ თბური ობიექტი სტაციონალური და წრფივია შემავალი სიგნალის ამპლიტუდის ცვლილების დიაპაზონში, მუშა რეჟიმის არეში. იდენტიფიკაციისათვის საწყის მონაცემებს წარმოადგენს ობიექტის გაქანების მრუდის  $y_j$  ექსპერიმენტული მნიშვნელობები, რომელიც მიღებულია დისკრეტული  $t_j, j=1, 2, \dots, N$  დროის მომენტში. მოდელისა და ობიექტის საუკეთესო შესაბამისობის პირობიდან გამომდინარე გადამცემი ფუნქციის კოეფიციენტების მნიშვნელობების განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ უმცირეს კვადრატთა მეთოდი, წინასწარ დადგენილი გარდამავალი ფუნქციის და დინამიკური თვისებების საფუძველზე.

აქტიური ექსპერიმენტის შედეგად მიღებული  $y_j$  მონაცემები შეიძლება აპროქსიმირდეს აპერიოდული რგოლის დინამიკური მახასიათებლით, შემდეგი გადამცემი ფუნქციით:

$$W_0(P) = \frac{K_0}{(T_1P+1)(T_2P+1)}. \quad (1)$$

დავსვათ ობიექტის მოდელის  $K_0, T_1, T_2$  პარამეტრების განსაზღვრის ამოცანა, რომელიც უზრუნველყოფს მოდელური აღწერისა და ექსპერიმენტული მონაცემების საუკეთესო შესაბამისობას.

იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტისათვის ობიექტის მოდელიდან გადავიდეთ (1) გადამცემი ფუნქციის ფორმაზე  $h(t)$  გაქანების მრუდის დროით მახასიათებელზე, ლაპლასის უკუგარდასახვის გამოთვლებით [1]:

$$h(t) = K_0 \left[ 1 - \frac{T_1}{T_1 - T_2} e^{-\frac{t}{T_1}} + \frac{T_2}{T_1 - T_2} e^{-\frac{t}{T_2}} \right]. \quad (2)$$

$h(t)$  გარდამავალი ფუნქცია განვიხილოთ, როგორც  $K_0, T_1, T_2$  კოეფიციენტებზე პარამეტრულად დამოკიდებული და დროზე დამოკიდებული ფუნქცია.

გარდამავალი მახასიათებლის პარამეტრების პოვნისათვის შევადგინოთ  $y_j$  ექსპერიმენტული მონაცემებისა და საანგარიშო მნიშვნელობების კვადრატული შეუთავსებლობის ფუნქციონალი (2)-ის მიხედვით  $t=t_j$  დროის მომენტისთვის და მოვახდინოთ მისი მინიმიზაცია:

$$\min_{K_0, T_1, T_2} j(K, T_1, T_2) = \min_{K_0, T_1, T_2} \sum_{j=1}^N \left[ k_0 \left[ 1 - \frac{1}{T_1 - T_2} e^{-\frac{t_j}{T_1}} + \frac{T_2}{T_1 - T_2} e^{-\frac{t_j}{T_2}} \right] - y_j \right]^2. \quad (3)$$

$K_0, T_1, T_2$  საძიებელი პარამეტრების შეფასების მისაღებად უმცირეს კვადრატთა

მეთოდით, (3) ფუნქციის მინიმუმის პირობისათვის ვექტორული ფორმით ვწერთ:

$$\frac{\partial J}{\partial(k_0, T_1, T_2)} = 0. \quad (4)$$

(4) სისტემის ამოხსნის კონკრეტულ ხერხებს მივყავართ უმცირეს კვადრატთა მეთოდის (შპმ) გამოყენების სხვადასხვა ვარიანტებთან.

(4) განტოლების ამოხსნა, რომელიც შედგენილია (2) ობიექტის უწყვეტი მოდელისათვის დაკავშირებულია ანალიზური გამოთვლების განსაზღვრულ სიძნელეებთან. გარდა ამისა, ვითვალისწინებთ, რომ საწყის მონაცემებს წარმოადგენენ შემაჯავლი და გამომაჯავლი სიგნალების მნიშვნელობათა მასივი, რომელიც მიღებულია დისკრეტული დროის მომენტში გარკვეული  $\Delta t$  კვანტირების პერიოდით, ხშირად მოხერხებულია გამოვიყენოთ ობიექტის დისკრეტული მოდელი [2].

განვიხილოთ შპმ-ის გამოყენება მეორე რივის ციფრული მოდელის იდენტიფიკაციისათვის, რომელიც აპროქსიმირებულია ზემოთ მოყვანილი მეორე რივის აპერიოდულ ობიექტად და აღიწერება შემდეგი სახის უწყვეტი მოდელით:

$$T_1 \frac{d^2 y}{dt^2} + T_2 \frac{dy}{dt} + y(t) = k_0(u(t)). \quad (5)$$

(5) მოდელის დისკრეტიზაციის პროცედურას მივყავართ წრფივი რეგრესიის განტოლებასთან [2], რომლისთვისაც განსაზღვრულია რივი  $n=2, m=2$

$$y(k) = a_1 y(k-1) + a_2 y(k-2) + bu(k-1), \quad k = 1, 2, \dots, N \quad (6)$$

სადაც

$$a_1 = \frac{2T_1 - T_2 \Delta t}{T_1}; \quad a_2 = \frac{(T_2 - \Delta t) \Delta t - T_1}{T_1}; \quad b = \frac{k_0 \Delta t^2}{T_1} \quad (7)$$

- შეფასებას დაქვემდებარებული დისკრეტული მოდელის პარამეტრებია;  $\Delta t$  - კვანტირების პერიოდი. (6) მოდელის პარამეტრების შეფასებისათვის გამოვიყენოთ რეგრესიული პროცედურა.

თუ მოცემულია ობიექტის შემაჯავლი და გამომაჯავლი სიგნალები გაზომვის  $N$  რიცხვი, დისკრეტული მოდელის რივის გათვალისწინებით ( $n=2$ ), მაშინ იდენტიფიკაციის კვადრატული შეცდომის მამინიზაციის ფუნქციონალს ექნება სახე:

$$J = \sum_{k=3}^N [y(k) - (a_1 y(k-1) + a_2 y(k-2) + bu(k-1))]^2 \rightarrow \min. \quad (8)$$

$a_1, a_2, b$  უცნობი პარამეტრების საძიებელ განტოლებათა სისტემას აქვს სახე:

$$\begin{aligned} \frac{\partial J}{\partial a_1} &= -2 \sum_{k=3}^N [y(k) - a_1 y(k-1) - a_2 y(k-2) - bu(k-1)] y(k-1) = 0; \\ \frac{\partial J}{\partial a_2} &= -2 \sum_{k=3}^N [y(k) - a_1 y(k-1) - a_2 y(k-2) - bu(k-1)] y(k-2) = 0; \\ \frac{\partial J}{\partial b} &= -2 \sum_{k=3}^N [y(k) - a_1 y(k-1) - a_2 y(k-2) - bu(k-1)] u(k-1) = 0. \end{aligned} \quad (9)$$

გარკვეული აღნიშვნების და გარდაქმნების შემდეგ (9) განტოლებათა სისტემა მიიღებს სახეს:

$$\begin{aligned} \frac{\partial J}{\partial a_1} &= -2S_2 + 2a_1 S_3 + 2a_2 S_6 + 2bS_7 = 0; \\ \frac{\partial J}{\partial a_2} &= -2S_4 + 2a_1 S_6 + 2a_2 S_8 + 2bS_9 = 0; \\ \frac{\partial J}{\partial b} &= -2S_5 + 2a_1 S_7 + 2a_2 S_9 + 2bS_9 = 0 \end{aligned} \quad (10)$$

სადაც  $S_i$  - ცალკეულ გაზომვათა შესაბამის ნამრავლთა ჯამია,  $t = k\Delta t$  დისკრეტული დროის მომენტში.

(10) წარმოვიდგინოთ მატრიცული ფორმით:

$$\begin{bmatrix} S_3 & S_6 & S_7 \\ S_6 & S_8 & S_9 \\ S_7 & S_9 & S_{10} \end{bmatrix} \begin{bmatrix} a_1 \\ a_2 \\ b \end{bmatrix} = \begin{bmatrix} S_2 \\ S_4 \\ S_5 \end{bmatrix}. \quad (11)$$

(11) მატრიცული გამოსახულებიდან უკმ-ით რეგრესიული პროცედურის საშუალებით, ვიპოვოთ შესაფასებელი პარამეტრების ვექტორის დისკრეტულ მოდელს:

$$\begin{bmatrix} a_1 \\ a_2 \\ b \end{bmatrix} = \begin{bmatrix} S_3 & S_6 & S_7 \\ S_6 & S_8 & S_9 \\ S_7 & S_9 & S_{10} \end{bmatrix}^{-1} \begin{bmatrix} S_2 \\ S_4 \\ S_5 \end{bmatrix}. \quad (12)$$


(12) სისტემის ამოხსნის საფუძველზე, (7) თანაფარდობების გათვალისწინებით განვსაზღვრავთ უწყვეტი მოდელის  $K_0, T_1, T_2$  პარამეტრებს, რომლებიც ერთსახად არის დაკავშირებული დისკრეტული მოდელის  $a_1, a_2, b$  საიდენტიფიკაციო პარამეტრებთან:

$$T_1 = \frac{\Delta t^2}{1 - a_1 - a_2}; \quad T_2 = \frac{(a_2 + 1)T_1 + \Delta t^2}{\Delta t}; \quad k_0 = \frac{bT_1}{\Delta t^2}.$$

თბუში ობიექტების დისკრეტულ და უწყვეტ მოდელთა პარამეტრების შეფასების რეგრესიული პროცედურის რეალიზაციისათვის განვიხილოთ საშრობი აპარატის მოდელი კოეფიციენტებით:  $K_0 = 0,671$ ,  $T_1 = 24$ ,  $T_2 = 5,7$ .


ნაშრომში ჩატარებული სამუშაოს შესასრულებლად გამოთვლებისათვის გამოყენებულია Matlab პროგრამული პაკეტი [3].

ობიექტისა და მოდელის გარდამავალი მახასიათებლის შედარება, შემთხვევითი შეშფოთების გარეშე, გვიჩვენებს შეფასების მაღალ სიზუსტეს. ობიექტის საიდენტიფიკაციო და ჭეშმარიტი მახასიათებლების გრაფიკული ანალიზი (ნახ. 1) გვიჩვენებს პრაქტიკულ შედეგთა ზუსტ დამთხვევას.



ნახ. 1 საშრობი აპარატის გარდამავალ მახასიათებელთა შედარება (ა) შეფერხების გარეშე და (ბ) შეფერხებით.

ზემოთ აღნიშნული მაგალითი - საშრობი აპარატის იდენტიფიკაცია განვიხილოთ უკმ-ის რეკურენტულ დისკრეტულ შემთხვევაში [2, 4], რომლისთვისაც შედგენილი იქნა Matlab პროგრამა M-ფაილის სახით. მიღებული შედეგები კი გრაფიკულად წარმოდგენილია ნახ. 2-ზე - პარამეტრების თავსებადობის პროცესი განხილული საშრობი აპარატის მოდელის შესაბამისი კოეფიციენტებისათვის.



ნახ. 2 საშრობი აპარატის დისკრეტული მოდელის პარამეტრების შეფასება უმცირეს კვადრატთა რეკურენტული მეთოდით.

ანგარიშით მიღებული შედეგებიდან ჩანს ობიექტის ყველა პარამეტრის შეფასების მაღალი დონე. საანგარიშო პრაქტიკამ გვინვენა, რომ დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაცია უკმ-ის რეკურენტული პროცედურებით უკმ-ის რეგრესიულ პროცედურებთან შედარებით ფლობს უკეთეს თავსებადობას და იგივე სიზუსტის მიღწევის შესრულებისას თხოულობს მცირე ბიჯთა რაოდენობას და მცირე საანგარიშო დროს.

### თბური დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაცია რეგრესიული და რეკურენტული მეთოდებით

ბ. ბარდაველიძე, ა. ბარდაველიძე  
რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თბური დინამიკური ობიექტის იდენტიფიკაციის ამოცანის დასმა. კერძოდ, ობიექტის გადამცემი ფუნქციის კოეფიციენტების განსაზღვრისათვის გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდი. აქტიური ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მრუდი აპროქსიმირებულია მეორე რიგის აპერიოდული რგოლით. გარდამავალი მახასიათებელი განიხილება, როგორც მოდელის კოეფიციენტებზე პარამეტრული დამოკიდებულება. დადგენილია, რომ ობიექტის უწყვეტი მოდელი იწვევს განსაზღვრულ სიძნელეებს და უფრო მოხერხებულია ობიექტის დისკრეტული მოდელის გამოყენება.

ობიექტის იდენტიფიკაცია გამოკვლეულია უმცირეს კვადრატთა მეთოდის რეგრესიული და რეკურენტული პროცედურებით. დადგენილია, რომ რეკურენტული მეთოდი ფლობს უკეთეს თავსებადობას ობიექტის ჭეშმარიტ მახასიათებელთან, ვიდრე რეგრესიული მეთოდით მიღებული მახასიათებელი.

### IDENTIFICATION OF THERMAL DYNAMICAL OBJECTS BY REGRESSION AND RECURSION METHODS

KH. BARDAVELIDZE, A. BARDAVELIDZE

#### Summary

In the work is discussed the task definition of identification for thermal dynamic object. For determination coefficients object's of transfer function is used the least squares method. In resulting of active identification received curve is approximated by aperiodic element of second order. The transient response is considered as parametrical dependence on model's coefficient. It's established

that continuous model of object causes some determined difficulties, so it's more convenient to use the object discrete model.

Object identification is researched by regression and recursion procedures of the least squares method. It's established that recursion procedure have better accordance to real object response than received response with regression method.

## ИДЕНТИФИКАЦИЯ ТЕПЛОВЫХ ДИНАМИЧЕСКИХ ОБЪЕКТОВ ПО РЕГРЕССИОННЫМИ И РЕКУРРЕНТНЫМИ МЕТОДАМИ

*Х. БАРДАВЕЛИДЗЕ, А. БАРДАВЕЛИДЗЕ*

### Резюме

В работе рассмотрена постановка задачи идентификации теплового динамического объекта. Для определения коэффициентов объекта передаточной функции применен метод наименьших квадратов. В результате активной идентификации полученная кривая аппроксимированна с апериодическим звеном второго порядка. Переходная характеристика рассматривается как параметрическая зависимость на коэффициентов моделья. Установлено, что непрерывная модель объекта вызывает определенных трудностей и более подходящим является применение дискретной модели объекта.

Идентификация объекта исследованно по регрессионными и рекуррентными процедурами метода наименьших квадратов. Установлено, что рекуррентный метод содержит лучшее соответствие к реальной характеристике объекта, чем принятая характеристика по регрессионным методом.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Методы классической и современной теории автоматического управления: Учебник в 5-и томах.; 2-е изд., перераб. и доп. Т2: Статистическая динамика и идентификация систем автоматического управления/ под ред. К.А. Пупкова и Н.Д. Егупова. - Москва: Издательство МГТУ им. Н.Э. Баумана, 2004. - 646с.
2. Льюнг Л. Идентификация систем. Теория для пользователя. - Москва: Наука, 1991. - 432 с.
3. ა. ბარდაველიძე, ხ. ბარდაველიძე. კომპიუტერული მოდელირება მართვის სისტემებში. ლაბორატორიული პრაქტიკები, MatLab 7.5. - ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008წ. - გვ. 166
4. П.Эйкхофф. Современные методы идентификации систем. - Москва: Мир, 1983. - 400 с.

საქონლის მარაგის დაგეგმვის მრავალკრიტერიული ამოცანის ანალიზური ამოხსნის შესახებ

დ.სიხარულიძე

dali\_sx@yahoo.com

მოდელში განხილულია სავაჭრო ობიექტში რამდენიმე სახის საქონლის მარაგის დაგეგმვის ამოცანა. საგეგმო პერიოდში საქონელზე მოთხოვნა წინასწარაა განსაზღვრული, ხოლო მარაგის დონე თანაბრად მცირდება. საქონლის მიწოდება წარმოებს გეგმის მკაცრი დაცვით. მარაგის მართვის დანახარჯები კი განისაზღვრება მხოლოდ შემოტანისა და შენახვის დანახარჯებით.

შემოვიღოთ შემდეგი სახის აღნიშვნები. ვთქვათ, საჭიროა  $n$  სახის საქონლის მარაგის დაგეგმვა. მთლიანი დანახარჯები ჩავთვალოთ მხოლოდ მიწოდების  $x_i, i = 1, 2, \dots, n$  ცვლადებზე დამოკიდებულად.  $Q_i$  იყოს საგეგმო პერიოდში  $i$ -ური საქონლის საქონელბრუნვის მოცულობა,  $C_i$  -  $i$ -ური საქონლის ერთეულის შენახვაზე დანახარჯები მთელი წლის განმავლობაში, ხოლო  $K_i$  - დანახარჯები  $i$ -ური საქონლის ერთი პარტიის შემოტანაზე.

საგეგმო პერიოდში მიმდინარე  $i$ -ური საქონლის საშუალო მარაგის სრული დანახარჯები შეადგენს  $C_i \frac{x_i}{2}$  [1], რადგან იგულისხმება, რომ მისი დონე თანაბრად

ეცემა  $x_i$  მაქსიმალური მნიშვნელობიდან კრიტიკულ ძალიან მცირე  $\alpha_i > 0$  მნიშვნელობამდე. საგეგმო პერიოდში შემოტანილი  $i$ -ური საქონლის პარტიების რიცხვია  $\frac{Q_i}{x_i}$ , ამიტომ მის შემოტანაზე გაღებული დანახარჯები შეადგენს  $K_i \frac{Q_i}{x_i}$ , ამრიგად,

მარაგის მართვის ჯამური დანახარჯია  $C(x) = \sum_{i=1}^n C_i \frac{x_i}{2} + \sum_{i=1}^n K_i \frac{Q_i}{x_i}$ . თუ დავუშვებთ,

რომ საგეგმო პერიოდის (სავარაუდოდ, ერთი წლის) განმავლობაში  $i$ -ური საქონლის ყოველი  $x_{ik} = x_i, k = 1, \dots, \frac{Q_i}{x_i}$ , პარტიის გასაყიდი ფასი  $p_{ik}$  მუდმივია, მაშინ ფირმის

წლიური შემოსავალი იქნება  $R(x_i) = \sum_{i=1}^n p_i x_i$ , სადაც  $p_i = \sum_{k=1}^{\frac{Q_i}{x_i}} p_{ik}$ , ხოლო წლიური

მოგება იქნება  $P(x_i) = \sum_{i=1}^n p_i x_i - \sum_{i=1}^n C_i \frac{x_i}{2} - \sum_{i=1}^n K_i \frac{Q_i}{x_i}$ .  $x_i$  ცვლადებზე შესაძლებელია

სხვადასხვა შეზღუდვები კერძოდ, შეზღუდვები, გამოწვეული საწყობის ზომით. ვთქვათ,  $i$ -ური საქონლის შესანახად გეჭირდება  $v_i$  ( $m^3$ ) მოცულობის სათავსი, ხოლო საწყობის მთელი მოცულობა შეადგენს  $V$  ( $m^3$ ). მთელი საქონლის მიწოდების შეზღუდვა განესაზღვროთ შემდეგნაირად:

$$\sum_{i=1}^n v_i x_i \leq V,$$

იგი დაემატება შემდეგ შეზღუდვებს :

$$x_i \geq \alpha_i > 0, i = 1, \dots, n.$$

ამგვარად, ვღებულობთ შემდეგ მრავალკრიტერიულ ამოცანას არაწრფივი მიზნის ფუნქციებით და წრფივი შეზღუდვებით:


$$\begin{aligned}
 -C(x) &= -\sum_{i=1}^n C_i \frac{x_i}{2} - \sum_{i=1}^n K_i \frac{Q_i}{x_i} \rightarrow \max . \\
 P(x) &= \sum_{i=1}^n p_i x_i - \sum_{i=1}^n C_i \frac{x_i}{2} - \sum_{i=1}^n K_i \frac{Q_i}{x_i} \rightarrow \max . \\
 x_i &\geq \alpha_i > 0, i = 1, \dots, n \\
 \sum_{i=1}^n v_i x_i &\leq V
 \end{aligned} \tag{1}$$

როგორც ვხედავთ, მიზნის ფუნქციები უწყვეტად დიფერენცირებადია განსახილავ არეზე და ამასთან მკაცრად ჩაზნექილიცაა, როგორც წრფივი და მკაცრად ჩაზნექილი ფუნქციების ჯამი, ხოლო დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე კი  $\alpha_i, Q_i, v_i, V, i = 1, \dots, n$ , ცვლადების რეალური მნიშვნელობებისათვის ამოზნექილი კომპაქტია არაცარიელი შიგა ნაწილით. ამგვარად, სრულდება ძირითადი განტოლების ამოხსნის პარეტო ოპტიმალობის საკმარისი პირობები (თეორემა 2,[2]), რაც შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს (1) ამოცანის პარეტო ოპტიმალური ამოხსნა ანალიზურად, როგორც გარკვეულ ინტეგრალურ ტოლობათა სისტემის ამონახსნი.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ მარტივი მაგალითი, როდესაც საუბარია ორი ტიპის საქონლის მარაგზე.

ჩაეწეროთ (1) ამოცანა შესაბამისი სახით:

$$\begin{aligned}
 -C(x) &= -C_1 \frac{x_1}{2} - C_2 \frac{x_2}{2} - \frac{K_1 Q_1}{x_1} - \frac{K_2 Q_2}{x_2} \rightarrow \max \\
 P(x) &= p_1 x_1 + p_2 x_2 - C_1 \frac{x_1}{2} - C_2 \frac{x_2}{2} - \frac{K_1 Q_1}{x_1} - \frac{K_2 Q_2}{x_2} \rightarrow \max \\
 x_1 &\geq \alpha_1 > 0, \quad x_2 \geq \alpha_2 > 0, \\
 v_1 x_1 + v_2 x_2 &\leq V
 \end{aligned} \tag{2}$$



ნახ.1

ბოლო უტოლობიდან ვღებულობთ:

$$x_2 \leq -\frac{v_1}{v_2}x_1 + \frac{V}{v_2}, \quad (3)$$

რადგან  $v_1, v_2$  ცვლადები, ამოცანის შინაარსიდან გამომდინარე, მკაცრად დადებითია, (3) წრფე  $OX$  ღერძის დადებით მიმართულებასთან ბლაგვ კუთხეს შექმნის და (2')- (2'') უტოლობებით განსაზღვრულ არეს აქვს ნახ.1-ზე მოყვანილი სახე ( იმის გამო, რომ  $\frac{V}{v_2} = x_2 \geq \alpha_2$ . თუ  $\frac{V}{v_2} = \alpha_2$ , სისტემა (2')- (2'') არათავსებადია, ამიტომ ვიხილავთ

შემთხვევას, როდესაც  $\frac{V}{v_2} > \alpha_2$ ). თეორემა 2 -ის თანახმად [2],  $l_1$  სივრცის ნორმის

შემთხვევაში ვლემულობთ შემდეგ ინტეგრალურ ტოლობათა სისტემას:

$$\int_{\alpha_1}^{x_1} \left( \left| -\frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right| + \left| p_1 - \frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right| \right) dx_1 =$$

$$= \int_{\alpha_1}^{-\frac{v_2 x_2 + V}{v_1}} \left[ \left( -\frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right)^+ + \left( p_1 - \frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right)^+ \right] dx_1; \quad (4)$$


$$\int_{\alpha_2}^{x_2} \left( \left| -\frac{C_2}{2} + \frac{K_2 Q_2}{x_2^2} \right| + \left| p_2 - \frac{C_2}{2} + \frac{K_2 Q_2}{x_2^2} \right| \right) dx_2 =$$

$$= \int_{\alpha_1}^{-\frac{v_1 x_1 + V}{v_2}} \left[ \left( -\frac{C_2}{2} + \frac{K_2 Q_2}{x_2^2} \right)^+ + \left( p_2 - \frac{C_2}{2} + \frac{K_2 Q_2}{x_2^2} \right)^+ \right] dx_2; \quad (5)$$

აქ ნიშანი “+” ფრჩხილების თავზე აღნიშნავს ფუნქციის დადებით ნაწილს.


ამ განტოლებათა სისტემის ამოხსნის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მოდულის და დადებითი ნაწილის ადების ოპერაციები ართულებს ინტეგრალქვეშა ფუნქციებს, ისინი ერთი ანალიზური გამოსახულებით აღარ ჩაიწერება და ამიტომ მოგვიწევს ინტეგრების ინტეგრალის რამდენიმე ნაწილად დაყოფა, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიახლოებითი მეთოდებით ამ სისტემის ამოხსნა ხერხდება .

(4)-(5) განტოლებების მარცხენა ნაწილში მდგომ ინტეგრალქვეშა ფუნქციების პირველ შესაკრებს აქვს შემდეგი სახე:



ნახ.2

თუ ჩავთვლით, რომ  $p_i > \frac{C_i}{2}$  ( რაც მოსალოდნელია რენტაბელური ეკონომიკის შემთხვევაში - გასაყიდი ფასი დანახარჯის ნახევარს აღემატება), მაშინ მეორე შესაკრებს მოღული მოეხსნება, ხოლო მარჯვენა ნაწილის პირველ შესაკრებს კი ექნება შემდეგი სახე:



ნახ.3

აქ  $\beta_i$  აღნიშნავს  $-\frac{C_i}{2} + \frac{K_i Q_i}{x_i^2}, i=1,2$  ფუნქციების  $OX_1$  ღერძის დადებით ნაწილთან გადაკვეთის წერტილების აბსცისებს:

$$\beta_i = \sqrt{\frac{2K_i Q_i}{C_i}}, i=1,2.$$

გამოვთვალოთ პირველი ტოლობის მარცხენა მხარეში მდგომი ინტეგრალი იმ შემთხვევაში, როდესაც

$$\alpha_1 < \beta_1 < x_1 \leq -\frac{v_2}{v_1} x_2 + \frac{V}{v_1}$$

(შემთხვევა, როდესაც

$$\alpha_1 < x_1 < \beta_1 \leq -\frac{v_2}{v_1} x_2 + \frac{V}{v_1} \text{ ან } \alpha_1 < x_1 \leq -\frac{v_2}{v_1} x_2 + \frac{V}{v_1} < \beta_1$$

ანალოგიურად განიხილება).

$$\begin{aligned} \int_{\alpha_1}^{x_1} \left( \left| -\frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right| + \left| p_1 - \frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right| \right) dx_1 &= \int_{\alpha_1}^{\beta_1} \left( -\frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right) dx_1 + \int_{\beta_1}^{x_1} \left( \frac{C_1}{2} - \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right) dx_1 + \\ &+ \int_{\alpha_1}^{\beta_1} \left( p_1 - \frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right) dx_1 + \int_{\beta_1}^{x_1} \left( p_1 - \frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right) dx_1 = C_1(\alpha_1 - \beta_1) - \frac{2K_1 Q_1}{\beta_1} + \frac{2K_1 Q_1}{\alpha_1} + \\ &+ p_1 x_1 - p_1 \alpha_1 \end{aligned} \tag{6}$$

მარჯვენა მხარეში:

$$\int_{\alpha_1}^{-\frac{v_2}{v_1} x_2 + \frac{V}{v_1}} \left[ \left( -\frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right)^+ + \left( p_1 - \frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right)^+ \right] dx_1 = \int_{\alpha_1}^{\beta_1} \left( -\frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right) dx_1 +$$

$$\begin{aligned}
 + \int_{\alpha_1}^{\frac{v_2 x_2 + V}{v_1}} \left( p_1 - \frac{C_1}{2} + \frac{K_1 Q_1}{x_1^2} \right) dx_1 = & -\frac{C_1 \beta_1}{2} - \frac{K_1 Q_1}{\beta_1} + \frac{C_1 \alpha_1}{2} + \frac{2K_1 Q_1}{\alpha_1} + \left( p_1 - \frac{C_1}{2} \right) \left( -\frac{v_2}{v_1} x_2 + \frac{V}{v_1} \right) - \\
 & - \frac{K_1 Q_1}{-\frac{v_2}{v_1} x_2 + \frac{V}{v_1}}; \tag{7}
 \end{aligned}$$

(5) განტოლების ორივე მხარის ინტეგრალი ზუსტად ასევე გამოითვლება (აქაც ვგულისხმობთ, რომ

$$\alpha_2 < \beta_2 < x_2 \leq -\frac{v_1}{v_2} x_1 + \frac{V}{v_2}.$$

მათი საბოლოო სახეების მისაღებად შეგვიძლია (6)-(7) ფორმულებში ინდექსი “1” შევცვალოთ “2”-ით და პირიქით.

როგორც ვხედავთ, (4)-(5) განტოლებათა სისტემა დაიყვანება ორუცნობიან მეორე ხარისხის განტოლებათა სისტემაზე:

$$\begin{aligned}
 \frac{C_1 v_2^2}{2v_1^2} x_2^2 - \frac{p_1 v_2}{v_1} x_1 x_2 + \frac{p_1 v}{v_1} x_1 - \left( \frac{C_1 \alpha_1}{2} - \frac{C_1 \beta_1}{2} - \frac{K_1 Q_1}{\beta_1} - p_1 \alpha_1 - \frac{p_1 V}{v_1} + \frac{C_1 V}{v_1} \right) \frac{v_2}{v_1} x_2 + \\
 + \frac{v}{v_1} \left( \frac{C_1 \alpha_1}{2} - \frac{C_1 \beta_1}{2} - \frac{K_1 Q_1}{\beta_1} - p_1 \alpha_1 - \frac{p_1 V}{v_1} + \frac{C_1 V}{2v_1} \right) + K_1 Q_1 = 0 \\
 \\
 \frac{C_2 v_1^2}{2v_2^2} x_1^2 - \frac{p_2 v_1}{v_2} x_1 x_2 + \frac{p_1 V}{v_2} x_2 - \left( \frac{C_2 \alpha_2}{2} - \frac{C_2 \beta_2}{2} - \frac{K_2 Q_2}{\beta_2} - p_2 \alpha_2 - \frac{p_2 V}{v_2} + \frac{C_2 V}{v_2} \right) \frac{v_1}{v_2} x_1 + \\
 + \frac{V}{v_2} \left( \frac{C_2 \alpha_2}{2} - \frac{C_2 \beta_2}{2} - \frac{K_2 Q_2}{\beta_2} - p_2 \alpha_2 - \frac{p_2 V}{v_2} + \frac{C_2 V}{2v_2} \right) + K_2 Q_2 = 0,
 \end{aligned}$$

რომელიც ამოიხსნება მიახლოებითი მეთოდებით.

## საქონლის მარაგის დაბეზვების მრავალპარტიული ამოცანის ანალიზური ამოხსნის შუასაბუთი

*დ.სიხარულიძე*

### რეზიუმე

განიხილება მარაგის მართვის ერთ-ერთი მოდელი, რომელშიც იგულისხმება, რომ საგემო პერიოდში მუდმივია საქონლის პარტიების მოცულობები, მათზე დანახარჯები და შენახვის ხარჯები, თუმცა თითოეული პარტიის გასაყიდი ფასი ცვალებადია. ამოცანა ყალიბდება, როგორც არაწრფივი ორკრიტერიუმიანი ამოცანა წრფივი შეზღუდვებით. ორი ტიპის საქონლის შემთხვევაში მოყვანილია ანალიზური ამოხსნა.

**ОБ АНАЛИТИЧЕСКОМ РЕШЕНИИ МНОГОКРИТЕРИАЛЬНОЙ ЗАДАЧИ  
ПЛАНИРОВАНИЯ ТОВАРНЫХ ЗАПАСОВ**

*Д. СИХАРУЛИДZE*

**Резюме**

Рассматривается одна из моделей управления запасами, в которой подразумевается, что в планируемый период постоянны объемы партий товаров, затраты на них и расходы на хранение, хотя рыночная цена каждой партии различна. Задача формулируется, как задача с двумя нелинейными критериями и линейными ограничениями. В случае двух типов товаров приводится аналитическое решение.

**TO ANALYTICAL SOLVE OF GOODS RESERVE PLANNING MULTICRITERIA  
PROBLEM**

*D. SIKHARULIDZE*

**Summary**

One model of goods reserve control is considered in the paper. It implies, that in planning period the scopes of consignments of goods, their costs and storage expenditure are constant, although the prices of all consignments are different. The problem is formulated as a problem with two nonlinear criteria with linear constaraints. Analytical solution is given in the case of two types of goods.

**ლიტერატურა – REFERENCES- ЛИТЕРАТУРА**

1. იოსავა ჯ., დავითაია ა. ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება ვაჭრობის მართვასა და დაგეგმვაში. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1985.
2. Майсурадзе В. Об одном аналитическом методе нахождения решения многокритериальных задач. Тбилиси. Сборник трудов ЮЛППИ Института систем управления Арчила Элиашвили, №13,2009.

**ბრაფში უმოკლესი გზის პიკის ალგორითმების შედარებითი ანალიზი**

*ნ.ანანიშვილი, ნ.ოთხოზორია*

*natela.ananiashvili@iliauni.edu.ge, notkhozoria@cu.edu.ge*

გრაფთა თეორიის ბევრი ამოცანა მოდის პრაქტიკული საჭიროებებიდან. გრაფში უმოკლესი გზების ძიება მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით. ამდენად მეტად მნიშვნელოვანია შესაბამისი ალგორითმული და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. დღეისათვის არსებობს ბევრი ალგორითმი, რომლებიც რეალურ დროში იძლევიან სასურველ შედეგს. მხოლოდ საჭიროა ამ ალგორითმების მოქნილი რეალიზაცია და სათანადო პროგრამული პაკეტების შექმნა. ალგორითმების ეფექტურობის გათვალისწინებით ჩვენს მიერ ამ ნაშრომში შემოთავაზებულია გრაფში უმოკლესი გზების დათვლის ორი ალგორითმის: დეიქსტრის და ფორდ-ბელმანის დაპროგრამების ენაზე C++ ჩვენეული რეალიზაციის შედეგები. მოვიყვანოთ ეს ალგორითმები ბიჯების სახით: ვთქვათ, მოცემული გვაქვს  $G(X, \Gamma)$  გრაფი  $n$  წვეროთი, სადაც  $X$  წვეროების სიმრავლეა, ხოლო  $\Gamma$  არის  $X$ -ის  $X$ -ში ასახვა. დეიქსტრის ალგორითმში იგულისხმება რომ წონები  $c_{ij} \geq 0$  ( $\forall i = 1 \dots n, j = 1 \dots n$ ).

ვთქვათ,  $l(x_i)$  არის  $x_i$  წვეროს მონიშვნა.

*საწყისი მნიშვნელობების მინიჭება*

ბიჯი 1. ავიღოთ  $l(s) = 0$  და ჩავთვალოთ ეს მონიშვნა მუდმივად. ავიღოთ  $l(x_i) = \infty$ , ყოველი  $x_i \neq s$  და ჩავთვალოთ ეს მონიშვნები დროებითად. ავიღოთ  $p = s$ .

*მონიშვნების განახლება*

ბიჯი 2. ყოველი  $x_i \in \Gamma(p)$ -სათვის, რომელთათვისაც მონიშვნები დროებითია, მონიშვნები შეეცვალოთ შემდეგი გამოსახულების შესაბამისად:

$$l(x_i) \leftarrow \min[l(x_i), l(p) + c(p, x_i)] \quad (1)$$

*მონიშვნები რომლებიც მუდმივ მონიშვნებად გადაიქცევიან*

ბიჯი 3. დროებითი მონიშვნების მქონე წვეროებს შორის ვიპოვოთ ისეთი, რომლისთვისაც:

$$l(x_i^*) = \min[l(x_i)] \quad (2)$$

ბიჯი 4.  $x_i^*$ -ის მონიშვნა ჩავთვალოთ მუდმივად და ავიღოთ:  $p = x_i^*$ .

ბიჯი 5. (i) (თუ საჭიროა ვიპოვოთ უმოკლესი გზა მხოლოდ  $s$ -დან  $t$ -მდე) თუ  $p = t$ , მაშინ  $l(p)$  არის უმოკლესი გზა. ძეზის დასასრული.

(ii) (თუ საჭიროა  $s$ -დან ყველა დანარჩენ წვერომდე გზის მოძებნა)

თუ ყველა წვეროს აქვს მუდმივი მონიშვნა, მაშინ ეს მონიშვნები გვაძლევს უმოკლესი გზების სიგრძეებს. ძეზის დასასრული.

თუ კიდევ გვაქვს წვეროები დროებითი მონიშვნებით, მაშინ გადავიდეთ მე-2 ბიჯზე.

ფორდმა და ბელმანმა შეიმუშავეს ალგორითმი იმ სიტუაციისათვის როდესაც შესაძლებელია, რომ გრაფის წონები იყოს უარყოფითი. ახლა მოვიყვანოთ ფორდ-ბელმანის ალგორითმი ბიჯების სახით:

ვთქვათ  $l^k(x_i)$  არის  $x_i$  წვეროს მონიშვნა  $(k+1)$ -ე იტერაციის შემდეგ.

*საწყისი მნიშვნელობების მინიჭება:*

ბიჯი 1. ავიღოთ:  $S = \Gamma(s)$ ,  $k = 1$ ,  $l^1(s) = 0$ ,  $l^1(x_i) = c(s, x_i)$  ყოველი  $x_i \in \Gamma(s)$  და  $l^1(x_i) = \infty$  ყველა დანარჩენი  $x_i$  წვეროსათვის.

*მონიშვნების განახლება*

ბიჯი 2. ყოველი  $x_i \in \Gamma(s)$ -სათვის ( $x_i \neq s$ ), შეეცვალოთ მისი მონიშვნა შემდეგნაირად:

$$l^{k+1}(x_i) \leftarrow \min[l^k(x_i), \min_{x_j \in T_i} \{l^k(x_j) + c(x_j, x_i)\}] \quad (3)$$

სადაც,  $T_i = \Gamma^{-1}(x_i) \cap S$  (ახლა უკვე  $S$  სიმრავლე შეიცავს ყველა წვეროს, რომელთათვისაც უმოკლესი გზები  $s$ -დან შედგებიან  $k$  რკალისაგან).

$T^i$  სიმრავლე შეიცავს იმ წვეროებს, რომელთათვისაც მიმდინარე უმოკლესი გზები შედგებიან  $k$  რკალისაგან (ე. ი. ის წვეროები, რომლებიც  $S$ -ში შედიან) და რომელთათვისაც არსებობს რკალები  $x_i$  წვერომდე. აღვნიშნოთ რომ თუ  $x_i \in \Gamma(s)$ , მაშინ

უმოკლესი გზა  $s$ -დან  $x_i$ -მდე არ შეიძლება შედგებოდეს  $k+1$  რკალისაგან და ამიტომაც  $x_i$  წვეროს მონიშვნის შეცვლა არ არის საჭირო. ავიღოთ  $I^{k+1}(x_i) = I^k(x_i)$  (4).

*დასრულების შემოწმება*

ბიჯი 3. (ა) თუ  $k \leq n-1$  და  $I^{k+1}(x_i) = I^k(x_i)$  ყოველი  $x_i$ -სათვის, მაშინ მიღებულია ოპტიმალური პასუხი და მონიშვნები უდრის უმოკლესი გზების სიგრძეებს. დასასრული.

(ბ) თუ  $k < n-1$  და  $I^{k+1}(x_i) \neq I^k(x_i)$  რომელიღაცა  $x_i$  წვეროსათვის, მაშინ გადავიდეთ მე-4 ბიჯზე.

(გ) თუ  $k = n-1$  და  $I^{k+1}(x_i) \neq I^k(x_i)$  რომელიღაცა  $x_i$  წვეროსათვის, მაშინ გრაფში არსებობს უარყოფითი წონის ციკლი და ამოცანას არა აქვს ამოხსნა. ძებნის დასასრული.

*მომდევნო იტერაციის მომზადება*

ბიჯი 4. განვაახლოთ სიმრავლე შემდეგნაირად:

$$S = \{x_i | I^{k+1}(x_i) \neq I^k(x_i)\} \quad (3)$$



(ახალი  $S$  სიმრავლე შეიცავს ყველა წვეროს, რომელთათვისაც უმოკლესი გზები  $s$ -დან ამ წვეროებამდე შედგებიან  $k+1$  რკალისაგან).

ბიჯი 5. ავიღოთ  $k = k+1$  და გადავიდეთ მე-2 ბიჯზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეიქსტრის ალგორითმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც წონები არაუარყოფითებია  $c_{ij} \geq 0$ , ყოველი  $i$  და  $j$ -სათვის. მხოლოდ თუ გვჭირდება  $s$ -დან ყველა დანარჩენ წვერომდე უმოკლესი გზის მოძებნა, მაშინ როდესაც  $c_{ij}$ -ები შეიძლება იყოს უარყოფითიც, უნდა გამოვიყენოთ ფორდ-ბელმანის ალგორითმი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში გრაფი არ უნდა შეიცავდეს უარყოფით ციკლებს. ფორდ ბელმანის ალგორითმი ყოველ ბიჯზე მოითხოვს წინა იტერაციაზე მიღებული ყველა მონიშვნის დამახსოვრებას. ამავე დროს თუ შევადარებთ (1) და (3) ტოლობებს, (1)-ში თითოეული წვეროსათვის მხოლოდ ერთი შეკრება და ერთი შედარება გვჭირდება (3)-ში კი რამოდენიმე ყველა იტერაციაზე, რაც ზრდის თვლის დროს.

შეაფასოთ ახლა კონკრეტულად ოპერაციების რაოდენობა დეიქსტრის ალგორითმში თავდაპირველად "გადაიხედება"  $(n-1)$  მონიშვნა (შესრულებს შესაბამისად შეკრების ოპერაცია), შემდეგ აირჩევა უმცირესი  $(n-1)$  მონიშვნას შორის (შესრულებს შეკრების ოპერაცია), და ასე ყველა  $(n-1)$  იტერაციაზე. საბოლოო ჯამში გამოვა  $3n(n-1)/2$  ოპერაცია, მაშასადამე შეიძლება ითქვას რომ დეიქსტრის ალგორითმის სირთულე  $O(1.5n^2)$ -ია. ვინაიდან დეიქსტრის ალგორითმში თითოეული წვეროს მონიშვნა ხდება ერთხელ, ხოლო ფორდის ალგორითმში  $(n-1)$ -ჯერ აქედან შეიძლება დავასკვნათ რომ ფორდ-ბელმანის ალგორითმის დროითი სირთულე არის  $O(1.5n^3)$ .

ჩვენ ორივე ალგორითმით დავითვალეთ უმოკლესი გზები 1 წვეროდან 3 წვერომდე შემდეგ გრაფებში:



და შესაბამისად პირველი გრაფისათვის მივიღეთ უმოკლესი გზის სიგრძე 3 და გზა:  $1 \rightarrow 2 \rightarrow 3$ , თვლის დრო დეიქსტრის ალგორითმს დასჭირდა 8.06 მწმ, ფორდ-ბელმანის ალგორითმს 53.41 მწმ.

მეორე გრაფისათვის მივიღეთ უმოკლესი გზის სიგრძე 8 და გზა:  $1 \rightarrow 4 \rightarrow 2 \rightarrow 3$ , თვლის დრო დეიქსტრის ალგორითმით 16.04 მწმ, ფორდ-ბელმანის ალგორითმით 99.1 მწმ.

შევნიშნოთ, რომ დეიქსტრის ალგორითმი მხოლოდ დადებითი წონების შემთხვევაში გამოიყენება. თუ გვაქვს უარყოფითი წონაც, მაშინ უნდა გამოვიყენოთ მოდიფიცირებული ალგორითმი, მაგ. ფორდ-ბელმანის.

ალგორითმების პროგრამული რეალიზაციისათვის შესაბამისი კოდი შედგენილია დაპროგრამების ენა C++-ზე. ტესტირება ჩატარდა სტანდარტული სიმძლავრის პერსონალურ კომპიუტერზე მონაცემებით: Intel(R) Pentium(R) Dual CPU E2220 2.40 GHz, 2.00 GB of RAM.

**ბრაფში უმოკლესი გზების ძიების ალგორითმების შედარებითი ანალიზი**

*ნ.ანანიშვილი, ნ.ოთხოზორია*

**რეზიუმე**

ბრაფში უმოკლესი გზების დათვლა უმნიშვნელოვანესი და ხშირად გამოყენებადი ამოცანაა. ამ ამოცანების ამოხსნის პრაქტიკული რეალიზაცია შესაძლებელია უკვე არსებული და აპრობირებული მეთოდების გამოყენებით. მნიშვნელოვნად ჩაეთვალიერა ორი მათგანის: დეიქსტრის და ფორდ-ბელმანის ალგორითმების რეალიზაცია, ვინაიდან დროითი სირთულით მნიშვნელოვნად უკეთესია დეიქსტრის ალგორითმი დადებით-წონიანი გრაფების შემთხვევაში უმჯობესია მისი გამოყენება, უარყოფითწონიანი გრაფების შემთხვევაში კი ფორდ-ბელმანის.

**COMPARATIVE ANALYSIS OF SEARCHING FOR THE SHORTEST  
ROUTES OF GRAPH**

**Summary**

*N.ANANIASHVILI, N.OTKHOZORIA*

Counting the shorrest routs in graphs is very useful and important task. The practical realization of the taks is possible due to already existed and tested approaches. We thought algorithm realizations of two – Deixtry and Ford-Belman important. We considered algorithm of Deixtry in case of positive-weighted graphs to be preferable as it it much better by complexity of time. As for in case of negative-weighted graphs we prefer algorithm of Ford-Belman.

**СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ АЛГОРИТМОВ ПОИСКА КРАТЧАЙШЕГО ПУТИ  
В ГРАФЕ**

*Н.АНАНИАШВИЛИ, Н.ОТХОЗОРИЯ*

**Резюме**

Расчет кратчайшего пути в графе является важнейшей и часто встречающейся задачей. Практическая реализация решения этой задачи возможна с использованием существующих и апробированных уже методов. Мы сочли важным реализацию двух из них: алгоритмов Дейкстра и Форда-Беллмана. Так как по временной сложности значительно лучше алгоритм Дейкстра, его выгоднее использовать в случае графов с положительными весами, а в случае графов с отрицательными весами лучше использовать алгоритм Форда-Беллмана.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Майника Э. Алгоритмы оптимизации на сетях и графах. -М.: Мир, 1961. -321с.
2. Кристофидес Н. Теория графов. Алгоритмический подход. -М.: Мир, 1978. -432с.
3. Свами М., Тхуласираман К., Графы, сети и алгоритмы. -М.: Мир, 198". - 444с.

**მართვის სისტემები**

**CONTROL SYSTEMS**

**СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ**

## ინტეგრალურ-ოპტიკური კომუტატორი 4x4


ზ. ბუაჩიძე, ა. ბიბინიძე, ა. ჭირაქაძე, ნ. ჭავჭავაძე

zbuachidze@yahoo.com, achiraqadze@yahoo.com, nkavlash@gmail.com

გადასაცემი და დასამუშავებელი ინფორმაციების მოცულობის მკვეთრად გაზრდა მოითხოვს საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, რაც გამოიხატება კავშირგაბმულობის ახალი საშუალებებისა და ალგორითმების შექმნაში. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა ციფრული მიკროელექტრონიკის სწრაფი განვითარება და მნიშვნელოვანი მიღწევები, არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრა მიკროელექტრონული ტექნოლოგიებით ვერ ხერხდება. საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნილებებს მნიშვნელოვანწილად აკმაყოფილებს მონაცემთა გადაცემის, დამუშავებისა და შენახვის ოპტოელექტრონული სისტემები. ამ მიმართულებით ფართოდ არის გამოყენებული ბოჭკოვან-ოპტიკური კავშირგაბმულობის სისტემები. ამ სისტემებს შეუძლიათ არსების სპექტრალური შემჭიდროვების გამოყენებით, რეგენერაციის გარეშე ინფორმაციის გადაცემა 5 ტერაბიტი/წმ-მდე სიჩქარით 1000 კმ-მდე მანძილზე.


ოპტოელექტრონული სისტემების უპირატესობების სრული რეალიზაცია შესაძლებელია შესაბამისი ელემენტური ბაზის არსებობის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით დიდ სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს ინტეგრალური ოპტიკის [1] ფუნქციონალური ელემენტები და მოწყობილობები, რომლებშიც ელექტრული სიგნალები გარდაიქმნებიან ოპტიკურ სიგნალებში და პირიქით. გარდა ამისა, ისინი საშუალებას იძლევიან ინფორმაცია დამუშავდეს ოპტიკურ დონეზე. ინტეგრალურ-ოპტიკური ელემენტები ხასიათდებიან: მუშა სიხშირეების ფართო დიაპაზონით, მცირე წონით და გაბარიტებით, დაბალი ენერგომოხმარებით (მოხმარებული სიმძლავრე მკვტ-ების რიგის), მაღალი საიმედოობით და მარტივი შეთავსებადობით ბოჭკოვან-ოპტიკურ ხაზებთან. თანამედროვე ეტაპზე ინტეგრალურ-ოპტიკური პასიური და აქტიური ელემენტები, როგორცაა ტალღამტარული პასიური (ლინზები, განმშტოვებლები, არსების შემკრებები, სელფოკები და ა.შ.) და აქტიური (მოდულატორები, დეფლექტორები, გადამრთველები, ნახევარგამტარული ლაზერები, ფოტომოდულატორები და ა.შ.) იწარმოება დიდი რაოდენობით და გამოიყენება ბოჭკოვან-ოპტიკურ კავშირგაბმულობის სისტემებში, რომელთა საფუძველზეც შექმნილია ინტერკონტინენტარული და გლობალური კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემების უმრავლესობა. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი პრობლემა, რომელიც მოითხოვს ამ სისტემების როგორც ფიზიკო-ტექნიკურ, ასევე კონსტრუქციულ დახვეწას და გაუმჯობესებას.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ინტეგრალურ-ოპტიკური აქტიური ელემენტი, კოპერენტული სინათლის ტალღამტარული კომუტატორ-გადამრთველი. ასეთი სახის კომუტატორ-გადამრთველები ფართოდ არის მოთხოვნილი ბოჭკოვან-ოპტიკურ კავშირგაბმულობის სისტემებში. დღესდღეობით ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები ახალი გაუმჯობესებული მახასიათებლების მქონე კომუტატორ-გადამრთველების 2x2, 4x4 და 32x32 შესაქმნელად. გამოქვეყნებულ შრომებში [2-11] განხილულია სხვადასხვა კონფიგურაციისა და მახასიათებლების კომუტატორ-გადამრთველები. მაგალითად, სურ. 1-ზე ნაჩვენებია ზოლოვანი ტალღამტარული კომუტატორი 2x2-ზე [2]. მოცულობით ელექტროოპტიკურ კრისტალში მიღებულია 2 ზოლოვანი ტალღამტარი, რომელთა შორისაც მანძილი 3.1 მკმ-ია (დაშტრიხული უბნები ელექტროდებია). მათზე 30 ვ. ძაბვის მოდებით TM მოდის სინათლის სხივი ტალღის სიგრძით  $\lambda=1.3$  მკმ ერთი არხიდან გადადის მეორეში. ნაშრომში [3] განხილულია სინათლის გადამრთველი 4x4-ზე და 32x32-ზე. გადამრთველი 32x32-ის საბაზო ელემენტია გადამრთველი 2x2-ზე. ამ შემთხვევაში სქემის სირთულის გამო (ზოლოვანი ოპტიკური არსების ურთიერთგადაკვეთის თავიდან აცილებისათვის) გამოყენებულია ერთმოდინი ბოჭკოვან-ოპტიკური ხაზები, რომლებიც საბოლოოდ ერთიანდებიან ინფორმაციის გადამტან ოპტიკურ კაბელში.



სურ.1 ინტეგრალურ-ოპტიკური გადამრთველი 2x2-ზე

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინტეგრალურ-ოპტიკური გადამრთველის 4x4-ზე სქემა ნაჩვენებია სურ. 2-ზე. მოცულობითი კრისტალურ საფენად გამოყენებულია ელექტროოპტიკური კრისტალი  $\text{LiNbO}_3$ , რომლის ელექტროოპტიკური კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია ( $r_{33}=31\text{კმ/ვ}$ ,  $r_{13}=9\text{კმ/ვ}$ ). მოცულობით კრისტალში ტალღგამტარული ფენის შესაქმნელად ფოტოლიტოგრაფიული ტექნოლოგიის გამოყენებით და Ti-ის თერმული დიფუზიით მიიღება  $\text{LiNbO}_3:\text{Ti}$  ზოლოვანი ტალღგამტარები [5-6], რომელთა ზომებია: სიგანე 1.5 მკმ, სიღრმე  $\approx 2$  მკმ. მანძილი ზოლებს შორის შეადგენს 1.5 მკმ. ოპტიკური არხების ასეთი კონფიგურაცია უზრუნველყოფს  $\lambda=1.3$  მკმ ტალღის სიგრძის სინათლის 1 TM მოდის გავრცელებას. მმართველი ძაბვა შეადგენს  $\approx 15\text{ვ}$ . გადართვის სიჩქარე დამოკიდებულია ელექტროდების კონფიგურაციაზე და შესრულების ტექნოლოგიაზე (ჩვენს შემთხვევაში შეადგენს  $\approx 40\text{-}50$  პიკოწმ).



სურ. 2 ინტეგრალურ - ოპტიკური გადამრთველი 4x4

- ელექტროდები,      — ერთმოდანი ბოჭკოვან-ოპტიკური ხაზი
- ზოლოვანი ტალღგამტარი

სურ. 2-ზე ნაჩვენებია მმართველი მეტალური (Au-ის ფენა) ელექტროდების ზოლოვან ტალღამტარებზე განლაგების სქემა. ტალღამტარებში გავრცელებული სინათლის ენერჯის მეტალურ ელექტროდებზე დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ტალღამტარებსა და ელექტროდებს შორის თავსდება თხელი (ტალღის სიგრძის რიგის) დიელექტრიკული ( $SiO_2$ ) ბუფერული ფენა, რომლის გარდატეხის მაჩვენებელი ნაკლებია ტალღამტარის გარდატეხის მაჩვენებელზე. სურათზე ნაჩვენებია აგრეთვე ერთმოდინი ბოჭკოვან-ოპტიკური ხაზები, რომლებიც ცნობილი ტექნოლოგიებით [9] დაკავშირებულია ზოლოვან ტალღამტარებთან. ისინი გამოყენებულია ტალღამტარების ურთიერთგადაკვეთის თავიდან ასაცილებლად და ამასთანავე ქმნიან შორ მანძილებზე საინფორმაციო მონაცემთა გადაცემის ოპტიკურ კაბელებს.

ოპტიკური სიგნალების გადართვა-კომუტაცია წარმოდგენილ სქემაში ხორციელდება ელექტროდებზე ელექტრული სიგნალების მიწოდებით წინასწარ მოთხოვნილი არხების დასაკავშირებლად. კომუტატორში შემავალი 4 არხი შესაბამის ელექტროდებზე ძაბვის მოდებით უკავშირდება კომუტატორიდან გამომავალ ნებისმიერ არხს. მაგალითად, შემავალი პირველი არხი გვინდა დაუკავშიროთ გამომავალ მეოთხე არხს. ამისათვის საჭიროა ელექტრული სიგნალი მიეწოდოს ზემოდან მეორე და მარცხენიდან პირველი ელექტროდების წყვილს. ამ დროს  $LiNbO_3$  კრისტალის შესაბამის ზოლოვან ტალღამტარებს შორის არსებული ზედაპირული ზოლის გარდატეხის მაჩვენებელი იზრდება ცენტრალური (არხი 1) არხის TM მოდის სინათლის სხივისათვის, რაც იწვევს ტალღამტარებს შორის არსებული ოპტიკური კავშირის კოეფიციენტის ზრდას და ოპტიკური სიგნალის მეზობელ არხში (კომუტატორიდან გამომავალი არხი 4) გადართვას.

წარმოდგენილი ოპტიკური კომუტატორ-გადამრთველის უპირატესობა არსებულ ანალოგებთან არის:

1. იგი ხასიათდება ყველა იმ უპირატესობებით, რაც გააჩნიათ ინტეგრალურ-ოპტიკურ აქტიურ ელემენტებს;

2. თითოეული ოპერაციის (სინათლის სხივის არხიდან არხში გადართვა) შერულებისათვის საკმარისია ერთი ელექტრული სიგნალის მიწოდება შესაბამის ელექტროდებზე, განსხვავებით არსებული სქემებისაგან, რომლებშიც იმავე ოპერაციის შესრულებას საშუალოდ 2 ელექტრული სიგნალი ესაჭიროება. სქემის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ერთმოდინი ზოლოვანი ტალღამტარებისა და ბოჭკოვან-ოპტიკური ხაზების კავშირების რაოდენობის გაზრდა, რაც იწვევს შეერთების წერტილებში ოპტიკური სიგნალის სიმძლავრის დანაკარგებს.

განხილული კომუტატორ-გადამრთველი შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაზო ელემენტად მონაცემთა გადაცემის ბოჭკოვან-ოპტიკურ გლობალურ ქსელებში, კომუტატორების (32 x32, 64 x64, 128 x128 და ა.შ.) შესაქმნელად, მისი მრავალჯერადი გამოყენებით. ჩვეულებრივ ამ ტიპის კომუტატორებს ემატება ოპტიკური გამამკლიერებლები, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია ინფორმაციის გადაცემის მანძილზე.

### ინტეგრალურ-ოპტიკური კომუტატორი 4x4

ზ.ბუაჩიძე, ა.ბიბინიშვილი, ა.ჭირაქაძე, ნ.ყავლაშვილი

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია კომუტატორ-გადამრთველი, შექმნილი  $LiNbO_3:Ti$  ზოლოვან ტალღამტარის საფუძველზე. კომპერენტული ოპტიკური გამოსხივების გადართვა ზოლოვანი ტალღამტარიდან მეზობელ ტალღამტარში ხდება პოკელის წრფივი

ელექტროოპტიკური ეფექტის საფუძველზე. გადართვის სინქარე არის  $\pi$  ს რიგის, ხოლო გადამრთველი ელექტრული სიგნალის სიმძლავრე-  $\mu$  ვ-რიგის.

### INTEGRATE-OPTIC SWITCHER 4×4

Z.BUACHIDZE, A.GIGINEISHVILI, A.CHIRAKADZE, N.KAVLASHVILI

#### Summary

This article describes the commutating switcher 4x4 based on an integrated-optical strip waveguide. Switching of coherent light emission from one channel to another is performed due to linear electro-optic effect. Switching speed is of the order of  $\pi$ s and control voltage power - of the order of  $\mu$ W.

### ИНТЕГРАЛЬНО-ОПТИЧЕСКИЙ КОММУТАТОР 4×4

З. БУАЧИДЗЕ, А. ГИГИНЕИШВИЛИ, А. ЧИРАКАДЗЕ, Н. КАВЛАШВИЛИ

#### Резюме

В статье рассмотрен коммутатор-переключатель созданный на основе полоскового волновода  $\text{LiNbO}_3:\text{Ti}$ . Переключение когерентного оптического излучения с полоскового волновода в соседний полосковой волновод происходит на основе линейного электрооптического эффекта По克尔са. Скорость переключения - порядка  $\pi$ -ов. Мощность переключающего электрического сигнала- порядка  $\mu$  вт-ов.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА


1. Ансперджер Р. Интегральная оптика: Теория и технология. – М.: Мир, 1985.
- 2.S.K. Lahiri and P. Ganguly LITHIUM NIOBATE INTEGRATED OPTICS: MODELING, SIMULATION AND EXPERIMENTS. Integrated Optics Laboratory Advanced Technology Development Centre Indian Institute of Technology Kharagpur-721 302, India. Pran@ece.iitkgp.ernet.in [Http://library.tuit.uz/skanir\\_knigi/book/volokonno\\_optich\\_seti](http://library.tuit.uz/skanir_knigi/book/volokonno_optich_seti)
3. ოპტიკური არხების გადამრთველი <http://www.computerra.ru/offline/1998/232/1055/>
4. A.Boyland, S. Mailis, J. M. Hendricks, P. G. R. Smith et al. Electro-optically controlled beam switching via total internal reflection at a domain-engineered interface in  $\text{linbo}_3$  // Optical Communications - 2001. - v. 197 - p. 193-200.
5. Ju-Feng Liu, Yih-Bin Lin, Way-Seen Wang. Fine adjustment of the coupling length of a Ti-diffused  $\text{linbo}_3$  directional coupler with a groove structure // Optical Technology Letters - 2001. - v. 29 - p. 301-303.
6. Геокчаев Ф. Г. Номер патента: 2107318 Класс(ы) патента: G02F1/295, G02F1/315 Номер заявки: 96107292/25 Дата подачи заявки: 09.04.1996 Дата публикации: 20.03.1998
7. Божевольный С.И., Бурицкий К.С., Золотов Е.М. и др. Исследование электрооптического модулятора на связанных канальных диффузных волноводах. Квантовая электроника, 1982, т. 9, № 9, стр. 1809-1816.
8. Fukuma M., Noda J. Optical properties of titanium-diffused  $\text{linbo}_3$  waveguides and their coupling-to-fiber characteristics. Applied Optics, 1980, v. 19, No 4, pp. 591-597.
9. 10.Ramaswamy V., Divino M.D., Standley R.D. Balanced bridge modulator switch using Ti-diffused  $\text{linbo}_3$  strip waveguides. Appl. Phys. Lett., 1978, v. 32, No 10, pp. 644 -646.
10. Suzuki S. Optical wavelength-divission multiplex transmission network device using transceiver having 2-input/ 2-output optical path switch. Patent EP 1043847, 2000 y.

**ხელოვნური მოკროკლიმატის პარამეტრების მართვის სისტემების  
დამუშავება თანამედროვე სემიოტაქნიკური საშუალებების გამოყენებით**  
*ნ. ჯავლაშვილი, ო. ლაბაძე, ლ. ბგარამაძე, ბ. პიძნაძე, ო. საანიშვილი*

*tapesa@mail.ru*

ხელოვნური მოკროკლიმატის მართვის სისტემების დამუშავება და შექმნა წარმოადგენს რთულ კოპლექსურ ამოცანას, რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპს. მათ შორის ძირითადებია: სისტემის პროექტირება, დამზადება, ტესტირება და საბოლოო კორექტირება. სისტემის პროექტირება და დამზადება ერთმანეთთან დაკავშირებული ამოცანებია. მათი გადაწყვეტა დამოკიდებულია როგორც ობიექტის სირთულეზე, მის სტრუქტურასა და დამკვეთის მოთხოვნებზე, ასევე იმ მატერიალურ საშუალებებზე, რომლის დახარჯვაზე თანხმაც დამკვეთი ამოცანიჯს გადასაწყვეტად. პრაქტიკულად ის წარმოადგენს კომპრომისულ ამოცანას რომლის კორექტული გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული სწორი კომპრომისული პოლიტიკის არჩევაზე.

ხელოვნური მოკროკლიმატის მართვის სისტემის ტრადიციული სტრუქტურა [1,2] მოიცავს ცენტრალურ კომპიუტერს 1 და მასთან სხვადასხვა ტიპის ინტერფეისებით 2,3 დაკავშირებულ პირველადი ინფორმაციის გარდამქმნელებსა 4 და ობიექტზე ზემოქმედების მოწყობილობებს 5. ნახ.1



ნახ. 1

ცენტრალურ კომპიუტერზე რეალიზებულია სისტემის მართვის ალგორითმი. ასეთი მიდგომა არის უნივერსალური, რადგანაც ცენტრალური კომპიუტერზე ადვილად შესაძლებელია პრაქტიკულად ნებისმიერი სირთულის ალგორითმის რეალიზაცია და თანამედროვე მაღალი დონის ენების საშუალებით მომხმარებელთან ურთიერთობისათვის კომფორტული ინტერაქტიული სისტემის აგება. სირთულეს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ინტერფეისების აგება კომპიუტერსა და გარდამქმნელებსა და კომპიუტერსა და ობიექტზე ზემოქმედების მოწყობილობებს შორის. ეს გარემოება გამოწვეულია თანამედროვე უნივერსალური კომპიუტერის პორტების ჩამონათვალის სიმწირით (პრაქტიკულად მარტო USB პორტი), რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ზემოთ ჩამოთვლილ პერიფერიულ მოწყობილობებთან ციფრული ინფორმაციის გაცვისათვის. ანალოგიური ინფორმაციის გაცვლისათვის აუცილებელი ხდება აპარატურული საშუალებების დამატებაც ინტერფეისის სტრუქტურაში ანალოგიური ციფრული და ციფრო ანალოგიური გარდამქმნელების სახით. ამასთან ორივე შემთხვევაში აუცილებელი ხდება სპეციალური პროგრამული დრაივერების შექმნაც USB პორტებთან ურთიერთობისათვის, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ართულებს ამოცანას.

ხელოვნური მოკროკლიმატის მართვის სისტემის ინტერფეისების აგებისათვის აპარატურული პრობლემების გადაჭრის გამარტივებისათვის შესაძლებელია თანამედროვე მიკროკონტროლერების გამოყენება. მიკროკონტროლერები თავის სტრუქტურაში მოიცავენ, როგორც ანალოგიური და ციფრული სიგნალების შეტანა/გამოტანის შესაძლებლობებს, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის სტანდარტული ინტერფეისების რეალიზაციის აპარატურულ შესაძლებლობებს. მიკროკონტროლერების გამოყენების

სირთულე განპირობებულია მათი დაპროგრამირებისათვის დაბალი დონის ენის (ASSEMBLER) გამოყენების აუცილებლობით. ამასთან მიკროკონტროლერის ASSEMBLER-ზე პროგრამირებისათვის აუცილებელია სპეციალური მოწყობილობა – პროგრამატორი. თავად პროგრამირების პროცესი შრომატევადია და ითხოვს შემსრულებლისაგან მიკროკონტროლერის სტრუქტურის და შესაძლებლობების ზედმიწევნით ცოდნას.


ბოლო წლებში ტექნიკური სისტემების სქემოტექნიკაში ერთერთ პერსპექტიულ მიმართულებათ ჩამოყალიბდა მათი კონსტრუირების დროს სხვადასხვა ფორმის მიკროკონტროლერების საფუძველზე აგებული ფუნქციონალურად დასრულებული ბლოკების გამოყენება, რომლებსაც გააჩნიათ ანალოგური და ციფრული სიგნალების შეტანა/გამოტანის შესაძლებლობები და სხვადასხვა ტიპის ინტერფეისები სხვა ბლოკებთან ინფორმაციის გაცვლისათვის. ბლოკში არსებული მიკროკონტროლერების დაპროგრამირებისათვის გამოიყენება სპეციალური ინტერაქტიული სისტემები რომელთა პროგრამულ საფუძველს წარმოადგენს პროგრამირების მაღალი დონის ენები ან მათი დიალექტები.

ნაშრომში განხილულია ერთერთ ასეთ პლატფორმის (Arduino) [3] გამოყენების შესაძლებლობა ხელოვნური მოკროკლიმატის პარამეტრების მართვის სისტემების აგებისათვის. Arduino არის აპარატურული გამოთვლითი პლატფორმა, რომლის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს ფირმა Atmel-ის Atmega328 ტიპის მიკროკონტროლერზე შესრულებული შეტანა/გამოტანის მარტივი დაფა და დამუშავების გარემო ენაზე Processing/Wiring, რომელიც წარმოადგენს C -ს დიალექტს. Arduino-ს დაფები იძლევა საშუალებას გამოვიყენოთ სისტემაში მიკროკონტროლერის შეტანა/გამოტანის გამოყენების დიდი ნაწილი. მაგალითად Arduino UNO-ს დაფაზე მისაწვდომია 14 ციფრული შესავალ/გამოსავალი, 6 მათგანს შეუძლიათ განივი იმპულსების გენერირებით ანალოგური სიგნალის გამოსავალის უზრუნველყოფა. 6 ანალოგური შესასვლელი უზრუნველყოფს შემაგალი სიგნალის დაქვანტვას 10 თანრიგიანი ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელით.

Arduino-ს დაფები დაპროექტებულია ისეთნაირად, რომ ისინი ქმნიან გაფართოებათ სისტემას ე.ი. მოთხოვნილების მიხედვით ისინი შეიძლება გავაფართოვოთ ახალი კომპონენტების დამატებით. ეს კომპონენტები წარმოადგენს ე.წ. გაფართობის დაფებს «shields». ისინი უერთდებიან ძირითად დაფას მასზე განლაგებული სპეციალური გასართების საშუალებით. არსებობს სხვადასხვა ფორმების მიერ შესრულებული სხვადასხვა ფუნქციებით დატვირთული ასეთი დაფები. ჩვენი სისტემის აგების დროს მიკროკლიმატის პარამეტრების (ტემპერატურისა და ტენიანობის) სამართი მოწყობილობებთან ინტერფეისის რეალიზაციისათვის გამოიყენებულია დაფა, რომელიც წარმოადგენს SainSmart ფირმის მოდულს SainSmart 8-Channel 5V Relay Module for Arduino DSP AVR PIC ARM-ის გამოიყენება Arduino-ს დაფის გამომავალი ციფრული სიგნალების გაძლიერებისათვის. ის ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით: შემაგალი სიგნალები 5ვ., 20მა., გამომავალი პარამეტრები AC250V 10A , DC30V 10A. მოდული უზრუნველყოფს 8 სიგნალის გაძლიერებას, რომლებიც გამოიყენება ტემპერატურის, ტენიანობის, ჰაერის ნაკადების მიმართულების შეცვლის მოწყობილობების მართვისათვის. მიკროკლიმატის პარამეტრების (ტენიანობის და ტემპერატურის) გაზომვისათვის სისტემაში გამოიყენებულია DHT-22 გარდამქმნელები, რომლებიც ხასიათდებიან შემდეგი პარამეტრებით: ტემპერატურა დიაპაზონი  $-40^{\circ}\text{C}$  -  $+120^{\circ}\text{C}$ , ცდომილება  $\pm 0,5^{\circ}\text{C}$ ; ტენიანობა 0-100% სიზუსტე 2-5%; მოხმარებული დენი 2,5მა; კვების ძაბვა 3,5-5ვ.

შემოთავაზებული სქემოტექნიკური გადაწყვეტილების საფუძველზე ქვემოთ მოყვანილია ხელოვნური მოკროკლიმატის პარამეტრების მართვის სისტემის სტრუქტურის რეალიზაცია. (ნახ.2.) სისტემა შედგება:

1. სტანდარტული PC კომპიუტერისაგან;
2. Arduino UNO ბლოკისაგან;
3. კვების ადაპტერისაგან;
4. SainSmart 8-Channel 5V Relay Module რელეების მოდულისაგან;
5. DHT-22 ტიპის შეთავსებულ ტემპერატურისა და ტენიანობის გარდამქმნელებისაგან.



ნახ.2

Arduino UNO ბლოკი USB გასართით შეერთებულია კომპიუტერის ერთსახელა პორტთან. ღია პროგრამული პლატფორმა იძლევა საშუალებას მარტივად მოვახდინოთ სისტემის ფუნქციონირების ალგორითმის შესაბამისად აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და გამართვა. კომპიუტერის მონიტორი გამოიყენება სისტემის მართვისათვის აუცილებელი მონაცემების შეტანისათვის და ასევე ტემპერატურისა და ტენიანობის მიმდინარე მნიშვნელობების ინდიკაციისათვის. სისტემაში შემავალი ბლოკები ჩვეულებრივად ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ენერჯიას იღებენ კომპიუტერის USB პორტიდან. 3 კვების ადაპტერი იძლევა საშუალებას ვამუშავოთ სისტემა ავტონომიურ რეჟიმში კომპიუტერისაგან დამოუკიდებლად.

შემოთავაზებული სისტემა გამოირჩევა რეალიზაციის სიმარტივით და მცირე ეკონომიკური დანახარჯებით აპარატურის შექმნაზე და მარტივია დაპროგრამირებისათვის.

**ხელოვნური მიკროკლიმატის პარამეტრების მართვის სისტემების დამუშავება თანამედროვე სემიოტექნიკური საშუალებების გამოყენებით**

*ნ. ყავლაშვილი, ო. ლაბაძე, ლ. გვარამაძე, ბ. პიპნაძე, თ. საანიშვილი*

**რეზიუმე**

განხილულია ხელოვნური მიკროკლიმატის პარამეტრების კონტროლისა და მართვის სისტემების აგების თავისებურებები.

მოცემულია მართვის ტექნიკური სისტემების კონსტრუირების ერთერთი თანამედროვე საშუალების ფორმა Arduino-ს მოწყობილობების გამოყენების შესაძლებლობები.

ამ სექტორტექნიკური გადაწყვეტილების საფუძველზე შემოთავაზებულია სისტემის სტრუქტურის რეალიზაცია რომელიც იძლევა საშუალებას 2-5 დისკრეტული წერტილიდან ორი პარამეტრის (ტემპერატურა, ტენიანობა) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ობიექტზე განვახორციელოთ 8 სამართ ზემოქმედებამდე.

**DEVELOPMENT OF CONTROL SYSTEMS OF THE PARAMETERS OF THE ARTIFICIAL MICROCLIMATE BY MEANS OF MODERN OPPORTUNITIES OF CIRCUITRY**

*N. KAVLASHVILI, O. LABADZE, L. GVARAMADZE, G. KIKNADZE, T. SAANISHVILI*

**Summary**

The features of the construction of control systems of the parameters of the artificial microclimate are considered.

Possibilities of using Arduino platform in the design of technical control systems are presented.

Using such circuit solutions proposed implementation of a control system of artificial climate parameters, which on the basis of information received from 2-5 discrete points (temperature, humidity) allows to sell up to 8 control actions on the object.

**РАЗРАБОТКА СИСТЕМ УПРАВЛЕНИЯ ПАРАМЕТРАМИ ИСККУСТВЕННОГО МИКРОКЛИМАТА С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ СОВРЕМЕННЫХ ВОЗМОЖНОСТЕЙ СХЕМОТЕХНИКИ**

*Н. КАВЛАШВИЛИ, О. ЛАБАДЗЕ, Л. ГВАРАМАДЗЕ, Г. КИКНАДЗЕ, Т. СААНИШВИЛИ*

**Резюме**

Рассмотрены особенности построения систем контроля и управления параметрами искусственного микроклимата.

Представлены возможности использования платформы Arduino при конструировании технических систем управления.

На основе использования таких схемотехнических решений предложена реализация системы управления параметрами искусственного микроклимата, которая позволяет на основе полученной информации с 2-5 дискретных точек (температура, влажность) реализовать до 8 управляющих воздействий на объект.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. ვ. ბახტაძე, ლ. გვარამაძე, გ. კიკნაძე, ო. ლაბაძე. დიდი მოცულობის სათავსოებში მიკროკლიმატის პარამეტრების გადამწოდების სივრცეში განთავსების საკითხები. სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომების კრებული, 2010, №14, გვ. 113-117.
2. ო. ლაბაძე, ნ. ყავლაშვილი, თ. საანიშვილი, ლ. გვარამაძე. ინფორმაციის გარდაქმნის თანამედროვე მეთოდების გამოყენება თვითაწყობადი ადაპტური მართვის სისტემების აგების პრინციპების დამუშავებაში. სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2010, №14, გვ. 118-126.
3. Massimo Banzi. Getting Started with Arduino. Released: December 2008, Pages: 128.

**მუღმივი მაგნიტუბის სტაციონარული ველის განაწილების კვლევა, მათი  
თავისებურებანი და გამოყენების სფეროების დადგენა**

*ო. ლაბაძე, ა. ლომია, ღ. ერემიანი, ვ. ბახტაძე, თ. ხუციშვილი*

*olabadze@gmail.com*

მართვის სისტემების ასაგებად მნიშვნელოვანია ისეთი ენერჯის წყაროების გამოყენება, რომლებიც საიმედოდ უზრუნველყოფენ ქმედითი და შესატყვისი მექანიკური უკონტაქტო ოპერაციის ჩატარებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება მაგალითად, მიზიდვა, განზიდვა, აწევა, დაწევა, შემობრუნება და სხვა. ასეთი სახის ძალური მოქმედების ჩასატარებლად ხშირად იყენებენ მუდმივ მაგნიტს, ელექტრომაგნიტს, ან მაგნიტ-ელექტრომაგნიტიდან შედგენილ კომბინირებულ სისტემას [1,2].

უკონტაქტო ორპოზიციური მართვის სისტემის დამუშავებისას შესწავლილი იყო ორპოლუსა მაგნიტური ველების სივრცული განაწილება გარე სრული და სიმეტრულად შესრულებული ცილინდრული ფორმის (ზოგ შემთხვევაში სიმეტრულად ჩატრილი), ხოლო შიდა სხვადასხვა სახის ღრუების (ცილინდრის და ელიფსის ფორმის) მქონე მაგნიტებზე [3].

მიზაშეწონილად მივიჩნიეთ დამატებით გამოგვეკვლია ღრუების გარეშე მაგნიტების მაგნიტური ძალწირების განაწილების სახეები სრული ორპოლუსა სფეროსათვის და სრული პრიზმული ფორმის მაგნიტებისათვის. ამ მიზნით კვლევები ჩატარდა ჩვენს მიერ დამზადებული 37 მმ დიამეტრის მქონე ორ ნახევარსფერულ და რადიალურად (კერძოდ, გეომეტრიული ცენტრის გავლით) დამაგნიტებული ერთ ნახევარსფერულ, სრული სფერული ფორმის სახით შედგენილ და სრული პრიზმული ფორმის მაგნიტებზე.


ნახ.1 და ნახ.2-ზე მოყვანილია ჩვენს მიერ დამზადებული ნახევარსფერული და სფერული ფორმის მაგნიტებზე ექსპერიმენტული კვლევის შედეგების (ცხრილი 1) მრუდები. მოყვანილი რიცხობრივი მნიშვნელობები ასახავენ მაგნიტური ველის პოტენციალის ცვლილებას მაგნიტის ნახევარ და სრული სფეროს ზედაპირებზე სხვადასხვა არა მარტო  $\alpha$  კუთხით წანაცვლებისას, არამედ ზედაპირიდან  $d$  მანძილით დაშორებით, შესაბამისად. მოყვანილი მახასიათებლებიდან ჩანს, რომ ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრთან მიახლოებისას მაგნიტური ველის ძალწირები იცვლიან ნიშანს საპირისპიროდ, რაც ნიშანდობლივია, ვინაიდან მაგნიტური ველის ძალწირები სივრცეში ან თვით მაგნიტში გავლისას განაწილდებიან მაგნიტური წინაღობის მინიმალური მნიშვნელობების მქონე მაგნიტის და/ან საპარო უბნების გავლით. ეს მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მაგნიტურ ძალწირებს აქვს უნარი შეადწიოს მაგნიტის გულარში, რაც გამოიხატება გაზომვით მიღებული უარყოფითი მნიშვნელობებით.

ცხრილი 1


მექანიკური პარამეტრები						
მაგნიტის დიამეტრი პოლუსების გამყოფ ხაზზე						35.70, მმ
მაგნიტის დიამეტრი პოლუსებს შორის						36.00, მმ
იზოლაციის სისქე, $d$						
კუთხე გრადუსებში, $\alpha, ^\circ$	$d=0$ , მმ		$d=0.05$ , მმ		$d=0.1$ , მმ	
	<i>B</i> , მლტ ნახევარი სფერო	<i>B</i> , მლტ სრული სფერო	<i>B</i> , მლტ ნახევარი სფერო	<i>B</i> , მლტ სრული სფერო	<i>B</i> , მლტ ნახევარი სფერო	<i>B</i> , მლტ სრული სფერო
0°	-10	0	-20	0	-30	0
15°	15	15	5	15	-10	22
30°	35	30	18	25	10	20
45°	45	40	32	35	25	30
60°	52	50	40	45	34	40
75°	58	60	45	52	40	45
90°	60	65	50	56	45	50

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მაგნიტების გარემოცვის განსხვავებულ გეომეტრიულ წერტილებში მაგნიტური ველის ინდუქციის ცვლილება თვალსაჩინოა.

რაც მიუთითებს, რომ ერთის მხრივ, მაგნიტის ველი არ არის ერთგვაროვანი, მეორეს მხრივ კი მას შეუძლია აღძრას ელექტრომაგნიტური ძალა სხვა სახის ჩაკეტილ მოძრავ გამტარებში და ამის შედეგად მოხდეს მექანიკური ზემოქმედება ერთმანეთზე, მაგალითად მიზიდვა, განზიდვა ან სრული გაჩერება.




ნახ. 1



ნახ. 2

მნიშვნელოვანი იყო პრიზმული ფორმის მაგნიტების მიერ შექმნილი მაგნიტური ველის განაწილება სივრცის ისეთ გარემოში, რომელშიც ველი შეიქმნებოდა სამი იდენტური პრიზმული ფორმის მაგნიტისაგან, რომლებიც მდებარეობენ წესიერი ექვსწახნაგა ფორმის მქონე გამტარზე  $120^\circ$  წანაცვლებით (იხ. ნახ.3). მაგნიტები განლაგებულია წახნაგებზე თითო წახნაგის გამოტოვებით, წახნაგის გრძივი სიმეტრიის ღერძიდან სიმეტრიულად, რაც უზრუნველყოფს ფორმით სიმეტრიულ სამპოლუსა მაგნიტის შექმნას. ზემოაღწერილის ანალოგური გამოკვლევების ჩასატარებლად ნებისმიერ ცილინდრული ფორმის მაგნიტორბილ გამტარში (მაგალითად, სპილენძი, თითბური ან სხვა მასალა) იდენტური ზომის და თვისებების მქონე პრიზმული ფორმის მაგნიტები განთავსდა ჩაშენებით გამტარის ტანში ისე, რომ არ დაირღვა სიმეტრიულობა და აქედან გამომდინარე მაგნიტური ველის განაწილების განზოგადოებული სურათი.

შესაძლებელი იყო, რომ შევჩერებულიყავით მაგნიტების განთავსებით ექვსწახნაგა გამტარზე, მაგრამ გამოკვლევის სიზუსტისათვის გამოვიყენეთ ზემოთ აღწერილი ჩაშენების ხერხი, რომელიც უზრუნველყოფს  $120^\circ$  კუთხის მაღალი სიზუსტით დაფიქსირებას.



ნახ. 3

ნახ.3-ზე ნაჩვენებია პრიზმული ფორმის მაგნიტების განთავსება არამაგნიტური, მაგრამ მაგნიტოგამტარი (სასურველია, მაგნიტობილი) მასალისაგან დამზადებულ ცილინდრში.

ნახ. 3-ზე მოცემული ღერძები - შესაბამისი მაგნიტების მიერ შექმნილი პოლუსებია (N-S-N). პუნქტირის ხაზი - მაგნიტური ველის ამსახველი ძალწირების გავრცელება ცილინდრის ტანში. მაგნიტები გარემოცვაში ცვლის მაგნიტური ველების სივრცეში გავრცელების სურათს. ცილინდრის განივ ჭრილში ცვლით დადგენილი ძალწირების განაწილების სურათი ასახულია ცხრილ 2-ში. ვინაიდან ცილინდრის ტანში გავრცელებული მაგნიტური ველის ძალწირები გაზომვას არ ექვემდებარებიან, ისინი ცხრილში აღნიშნულია ნულებით.

ცხრილი 2

$\alpha,^{\circ}$	$d_1=0,00\text{მმ}$	$d_2=0,37\text{მმ}$	$d_3=0,68\text{მმ}$	$d_4=0,90\text{მმ}$	$d_5=1,25\text{მმ}$	$d_6=1,55\text{მმ}$
0	80	52	40	32	22	22
2	72	50	40	30	20	20
4	62	45	36	28	18	18
6	50	45	36	28	18	18
8	32	28	22	15	12	12
10	12	12	15	10	10	10
12	0	6	6	7	7	8
14	0	0	4	5	6	7
16	0	0	0	0	3	3
18	0	0	0	0	2	2
20	0	0	0	0	0	0
100	0	0	0	0	0	0
102	0	0	0	0	0	0
104	0	0	0	0	1	2
106	0	0	0	2	4	4
108	8	5	4	3	6	6
110	32	10	8	7	8	8
112	45	16	15	14	13	11
116	68	40	25	20	15	14
120	70	46	36	31	22	18
122	57	46	36	31	20	18
124	50	41	35	30	19	18
126	43	37	32	25	17	15
128	30	28	25	20	15	12
130	8	17	18	13	11	10
134	0	1	6	5	5	4
138	0	0	4	5	5	4
140	0	0	0	2	2	2
142	0	0	0	0	0	0

გამოკვლევების შედეგების ანალიზით დადგინდა მაგნიტური ველის გავრცელების თავისებურებანი. როგორც მოსალოდნელი იყო, შემოადწერილი მაგნიტებით შექმნილი გარე მაგნიტური ველი არ არის ერთგვაროვანი. ანათვლებით თუ ვიმსჯელებთ, ცილინდრის ზედაპირიდან დაშორებისას სარძობლად მცირდება მაგნიტების მიერ შექმნილი მაგნიტური ველის ინდუქცია, რაც ასევე მოსალოდნელი იყო.

ამ გარემოებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასეთი სახის ველები შესაძლებელია გამოყენებელი იქნეს გარე მაგნიტური ველის შემოქმედებისას ბრუნვადი სხეულების წანაცვლების, მობრუნების, დაფიქსირების ან უცვლელ მდგომარეობაში გაჩერების დროს. მბრუნავი ან უძრავი მაგნიტების ველები იმოქმედებენ გამტარებზე, მაშინაც კი, როდესაც გარე მავალელები მართვის იმპულსები (იმპულსი) იქნება მოხსნილი, ხოლო მაგნიტური ძალწირები იქნება გადანაწილებული გარე მაგნიტურ მასალებში, ან მართვად ელექტრომაგნიტების გულარებში.

ამასთან, მაგნიტების პოლუსების ტორსების სიბრტყეში ველი კვაზიერთგვაროვანია, ხოლო გარეთ - არაერთგვაროვანი. ბოლო დასკენიდან გამომდინარეობს, რომ მაგნიტების გარშემო სივრცეში განაწილებული ველის ძალწირების სიმკვრივე ბევრად შესუსტებულია და ამიტომ ის ვერ იქონიებს გავლენას სისტემის (მაგნიტი-მაგნიტოგამტარი, ან მაგნიტი-ელექტრომაგნიტის გულარი) წონასწორობიდან გამოყვანაზე. ვინაიდან, მაგნიტის და ელექტრომაგნიტის გულარის ტორსებს შორის ველი ერთგვაროვანია, ხოლო საპირველ გარე ველის გრადიენტი პოლუსის ორივე მხარეს უარყოფითი ნიშნისაა (ანუ მისი ველის სიმკვრივე მცირდება), არ მოხდება წონასწორობის დარღვევა. ამიტომ საწარმოო პირობებში ვიბრაციების დროს სისტემა დამატებით უზრუნველყოფს სტაციონარულ რეჟიმში მყოფი მბრუნავი მაგნიტის საწყისი, ან შეცვლილი მდებარეობის შენარჩუნებას.

სამი დამოუკიდებელი კვანძისაგან შემდგარი სისტემა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამპოზიციური მართვის სისტემის განხორციელებისათვის, რომლის ადგილმდებარეობა უცვლელი დარჩება მართვადი იმპულსის მოხსნის შემდეგ.

**მუდმივი მაგნიტების სტაციონარული ველის განაწილების კვლევა, მისი თავისებურებანის და გამოყენების სფეროების დადგენა**

ო. ლაბაძე, ა. ლომია, დ. ერემიანი, ვ. ბახტაძე, თ. ხუციშვილი

**რეზიუმე**

მიღებულია ნახევარსფერული, სფერული და პრიზმული ფორმის მაგნიტებისგან შედგენილი სამპოლუსა მუდმივი მაგნიტების მაგნიტური ველის ძალწირების განაწილება მათ ზედაპირზე. დადგენილია მათი თავისებურებანი, თვისებები და გამოყენების სფეროები.

**RESEARCH OF DISTRIBUTIONS OF STATIONARY MAGNETIC FIELD, THEIR PROPERTIES AND SCOPE OF APPLICATION**

O. LABADZE, A. LOMIA., D. EREMYAN, V. BAKHTADZE, T. KHUTSISHVILI

**Summary**

Distribution of magnetic field lines on the surface of the tripole permanent magnets made from hemispherical, spherical and prism magnets are obtained. Their characteristics, properties and scope of application are established.

**ИССЛЕДОВАНИЕ РАСПРЕДЕЛЕНИЯ СТАЦИОНАРНОГО МАГНИТНОГО ПОЛЯ, ЕГО ОСОБЕННОСТИ И УСТАНОВЛЕНИЕ СФЕРЫ ПРИМЕНЕНИЯ**

О. ЛАБАДЗЕ, А. ЛОМИА, Д. ЕРЕМЯН, В. БАХТАДЗЕ, Т. ХУЦИШВИЛИ

**Резюме**

Получены распределения магнитных силовых линий на поверхности трехполюсных постоянных магнитов, составленных из магнитов, имеющих форму призм, полусфер и сфер. Установлены их характеристики, свойства и области их применения.

**ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА**

1. ო. ლაბაძე, პ. მანჯავიძე. ერთ სიბრტყეში მწკრივად განლაგებულ მაგნიტებზე დინამიური ძალების მოქმედების ანალიზი. საქართველოს მეცნ. აკად. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები. №5, 2001წ. გვ. 95-97.
2. ო. ლაბაძე, პ. მანჯავიძე. ინდიკატორი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქპატენტი” პატენტი P 3220. განცხადებულია 16.01.2002 წ., გამოქვეყნებულია 10.09.2003 წ., სამრეწველო საკუთრების ოფიციალური საიფონრმაციო ბიულეტენი 2003 წ., № 17, გვ. 12.
3. ო. ლაბაძე, პ. მანჯავიძე. უკონტაქტო ორხედური ინდიკატორის აგების ფიზიკური საფუძვლები. საქართველოს მეცნ. აკად. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები. 1999წ. გვ. 109-112.

**უპონტაქტო სამპოზიციური დინამიური ობიექტის აბეზის ფიზიკური  
საფუძვლები და თავისებურებანი**

*ო. ლაბაძე, მ. ცერცვაძე, თ. ლაბაძე, პ. მანჯავიძე*

*olabadze@gmail.com*

მასობრივი და კოლექტიური სარგებლობის ინფორმაციის ასახვის მრავალი ხერხი არსებობს: მექანიკური, ელექტრომექანიკური, ოპტიკური, ელექტრული, მაგნიტური და ელექტრომაგნიტური. ყველაზე სრულყოფილად მიიჩნევა ელექტრომაგნიტური მოვლენების გამოყენებით აგებული ინფორმაციის წყაროები ცვალებადი ნიშნით, ისეთი, როგორცაა ინდიკატორი [1], მარტივული ინდიკატორული ხელსაწყო [2], ცვლადი საინფორმაციო ნიშანი [3], ტაბლო [4], მრავალფეროვანი ინდიკაციის ხელსაწყო [5], მაგნიტური ველის ზემოქმედების გამოყენების საშუალებით აგებული მბრუნავი ინდიკატორი [6].

სამპოზიციური ინდიკატორი გამოიყენება სარეკლამო ინდუსტრიაში ან მართვადი საგზაო ნიშნების ასაგებად. ისინი უზრუნველყოფენ არა მარტო უსაფრთხო მოძრაობას საავტომობილო მაგისტრალზე ბუნებრივი პირობების შეცვლის დროს (წვიმა, ქარი და სხვა) სინქარეზე შეზღუდვების დაწესებით [7], არამედ, პიკის საათებში, რიგების რაოდენობის პერიოდული ცვლილებით.

მოქნილი დინამიური სისტემის შექმნა იძლევა საშუალებას მომავალში დავამუშაოთ საგზაო ნაკადების მართვის (გადანაწილების სახით) დინამიური ალგორითმები, რაც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხელთ არსებული ტექნიკური რესურსები და თავიდან ავაციოთ გარემოს დაბინძურებას გამონახობლქვების სახით.

ტერმინი “სამპოზიციური დინამიური ობიექტი” ძირითადად დაკავშირებულია სამპოზიციური ინფორმაციის ამსახველ მოწყობილობებთან, რომლებშიც წინასწარ მიცემული დროის შუალედის გავლის შემდეგ, ხედური ინფორმაციები პერიოდულად ენაცვლებიან ერთმანეთს. ასეთი სახის სისტემა შედგება რამდენიმე (3-დან 100-მდე ან მეტი) იდენტური მბრუნავი კვანძისგან და განლაგებულია ერთ სიბრტყეში. მონაცვლე ხედური ინფორმაციის შეცვლა შესაძლებელია მმართველი კვანძების 120<sup>0</sup>-იანი კუთხით შემობრუნებით ერთდროული, მიმდევრობითი ან უბან-უბან ერთდროული ან სხვა კომბინირებული ხერხის გამოყენებით. ასეთი ტექნიკური ამოცანის გადასატრედად იყენებენ შემობრუნების გადაცემის მექანიკურ ან ელექტრომაგნიტურ ხერხს. ცნობილი ელექტრომაგნიტური ხერხის გამოყენებით ინფორმაციის მატარებელი ფირფიტა შემობრუნდება არა თავისი სიმეტრიის ღერძის, არამედ ერთ-ერთი პირობითად დაფიქსირებული და წიბოსთან დაკავშირებული ღერძის გარშემო, რაც უმეტეს შემთხვევაში პრაქტიკაში გამოიყენებელია. ბრუნვის განხორციელების მექანიკურ ხერხებს შორის გამოიყენება სამი ტიპის შემსრულებელი მოწყობილობები, რომლებიც კინემატიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან ღვედური, ჯაჭვური ან კბილანური გადაცემით, შესაბამისად. აქედან გამომდინარეობს, რომ ინფორმაციის შეცვლისათვის არსებობს სამი მიდგომა. ტექნიკის განვითარების დღევანდელ პირობებში ბრუნვის გადაცემა ძირითადად ექვსწახნაგას გამოყენებით ხორციელდება, რომელიც ბიჯური ამძრავის ზემოქმედებით შეუჩერებელი ბრუნავს, ხოლო მასზე განთავსებული ერთნაირი გეომეტრიული ფორმის, მაგრამ პერიმეტრზე განთავსებული სხვადასხვა ოდენობის მავალბელი კბილანები შედიან რა მექანიკურ კავშირში მათ მიმართ 90<sup>0</sup>-ით განლაგებული ფირფიტის მოსაბრუნებელ კბილანებთან, აიძულებენ მას მობრუნდნენ მავალბელი კბილანებით განსაზღვრული კუთხით. ექვსწახნაგას მიერ სრული მობრუნების შემდეგ ფირფიტის მობრუნება განმეორდება.

განხილული მექანიკური შემობრუნების მეთოდის ღირსებებია: კბილანური მექანიკური გადაცემა, რომელიც ამორიცხავს ბრუნვით გამოწვეული მიღვევადი რხევების გამოწვევას და ხედური ინფორმაციის შეცვლის საიმედოობა. ნაკლოვანებების რიცხვს მიეკუთვნება: აუცილებელი კინემატიკური კავშირი, ანუ ის, რომ მექანიკური კონტაქტის გარეშე მისი ფუნქციონირება შეუძლებელია; ინფორმაციის განახლების (შეცვლის) და პერიოდულობის შუალედები პირდაპირ დაკავშირებულია მბრუნავი ღერძის კუთხურ სინქარეზე და არჩეული კბილანების რიცხვზე; ენერგიის დიდი მოხმარება (ექვსწახნაგა ღერძი გაუჩერებლად ბრუნავს სადღეამისო რეჟიმში გამორთვამდე); ინფორმაციის ამსახველი ღრუ სამკუთხა პრიზმის ფორმის ელემენტები ვერ შექმნიან, მაგალითად, წრიულ, ელიფსურ ან ოვალურ ხედურ სიბრტყეს, ვინაიდან ბრუნვის მავალბელი ღერძი

ექსპლანაგაა და შეუძლია იბრუნოს მხოლოდ ერთი წრფის გასწვრივ. შესაძლებელია შეიქმნას უბან-უბან წრფივი უბნები, მაგრამ მაშინ ბრუნვის გადაცემა შეუძლებელი იქნება, თუ დამატებით არ გამოვიყენებთ სპეციალურ კბილანურ ან სხვა სახის მოქნილ ბრუნვის გადამცემ მოწყობილობას, რაც ამცირებს საიმედოობას და ზრდის არა მარტო მოხმარებული ელექტრული ენერჯის ხარჯს, არამედ შემოაქვს დამატებითი ხარჯები კინემატიკურ ელემენტების დამზადებაზე, მის მონტაჟზე და გაწყობაზე.


უკონტაქტო სამპოლიციური დინამიური ობიექტის მართვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია დადგინდეს ძალური ზემოქმედების ფიზიკური საფუძვლები და შემდეგ გამოვლინდეს თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინებით აიგება მართვის ალგორითმი და სისტემა.

ამოცანის გადაწყვეტას საფუძვლად უდევს ელექტრომაგნიტების და მუდმივი მაგნიტების მიერ შექმნილი მაგნიტური ველების ურთიერთმოქმედება როგორც სტატიკაში, ასევე დინამიკაში.

განვიხილოთ ცილინდრული ფორმის მაგნიტოგამტარი (მაგალითად, სპილენძი ან თითბერი), რომელშიც განთავსებულია (ჩაშენებულია) სამი ფორმით, ზომით და შემადგენლობით იდენტური წესიერი პრიზმული ფორმის მაგნიტები. მაგნიტები ერთმანეთის მიმართ განთავსებულია ისე, რომ მათი გრძივი სიმეტრიის ღერძები და სიბრტყეები ერთმანეთის მიმართ შეადგენენ  $120^{\circ}$ -იან კუთხეებს (იხ. ნახ.3ა და ნახ.3ბ), ხოლო პოლუსების თავები იმყოფებიან ცილინდრის გარე ზედაპირზე.


მართვის განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ ერთი სახის პოლუსი იყოს განთავსებული ორ სხვა პოლუსს შორის, ვინაიდან ორი სახის პოლუსის არსებობის შემთხვევისას განსხვავებული სამპოლუსა მაგნიტების შექმნა შესაძლებელია სულ ორი ხერხით (S-N-S) და (N-S-N).

იდენტური ზომის და თვისებების მქონე პრიზმული ფორმის მაგნიტები ჩაშენებით განთავსდებიან ცილინდრის ტანში ისე, რომ არ დაირღვევა სიმეტრიულობა და აქედან გამომდინარე მაგნიტური ველის განაწილების განზოგადოებული სურათი.




ნახ. 3

ნახ. 3ა და 3ბ მოყვანილია იდენტური პრიზმული ფორმის ერთნაირი მაგნიტების განთავსება (ჩაშენება) არამაგნიტურ, მაგრამ მაგნიტოგამტარი (სასურველია, მაგნიტობილ), მასალისაგან დამზადებულ ცილინდრში. ერთმანეთისაგან განსხვავებული სამპოლუსების (S-N-S) და (N-S-N) მაგნიტები გარემოცვაში ცვლის მაგნიტური ველების სივრცეში გავრცელების სურათს. სიბრტყულ ჭრილში ძალწირების განაწილების სურათი მოყვანილია ნახ. 4-ზე იმის გათვალისწინებით, რომ სივრცეში მაგნიტური ველის ძალწირები განთავსდებიან ისე, რომ ისინი პოულობენ უმცირესი წინააღობის მქონე უმოკლეს მანძილებს აირში. ცნობილია, რომ ძალწირები არ გადაიკვეთებიან (ეს დასტურდება ექსპერიმენტალურად).



ნახ. 4

მოყვანილი მაგნიტური ველის განაწილების სურათი საშუალებას იძლევა განვასორცელოთ მათზე ქმედითი ზემოქმედება ელექტრომაგნიტების გამოყენებით. ერთის მხრივ ცნობილია, რომ თვით ელექტრომაგნიტების მაგნიტოგამტარი გულარები ახდენენ მის გარემოცვაში მაგნიტური ველების კონცენტრირებას იმისდა მიუხედავად, არის ჩართული ელექტრომაგნიტი თუ არა. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ველები მიმართულია თანხვედრად. საპირისპირო მიმართულების ველების არსებობის შემთხვევაში მაგნიტოგამტარში ველები პირობით “ეჯახებიან” ან ავიწროებენ ერთმანეთს და ამიტომ მაგნიტური ველის გატარებას ადგილი თითქმის არა აქვს. თუ ველი იპოვის ნაკლები წინააღმდეგობის გამტარს (გარემოს), მაშინ შესაძლებელია მაგნიტური ველი გადანაწილდეს ისე, როგორც ნაჩვენებია ნახ. 5-ზე. ზოგადად მაგნიტოგამტარი იზიდავს გარემოცვაში არსებულ ან ხელფენურად შექმნილ მაგნიტური ველის ძაღწირებს და ამით განაპირობებს მათ გადანაწილებას სივრცეში. ზოგ შემთხვევაში მას უნარი შესწევს “გაწყვიტოს” საპირისპიროდ მიმართული მაგნიტური ველის ძაღწირები (იხ. ნახ.4) და გადაანაცვლოს ის მაგნიტოგამტარებში (იხ. ნახ. 5, მაგნიტოგამტარები 1-2), რაც ჩვენს შემთხვევაში მომგებიანია, ვინაიდან მუდმივი მაგნიტების მიერ შექმნილი მაგნიტური ენერჯის დანაკარგი შემცირდება მინიმუმამდე.



ნახ. 5

ნახ. 5-ზე მოყვანილია მაგნიტებით შექმნილი მაგნიტური ველის განაწილება მაგნიტური გულარების შემოტანის შემდეგ. სქემა შეიცავს: 1-1, 1-2 (ორი ცალი) და 1-3 მაგნიტოგამტარებს; 2-1 და 2-2 ცილინდრული ფორმის მქონე მაგნიტორბილ მასალებს, რომელშიც სიმეტრიულად განთავსებულია სამპოლუსები (S - N - S) და (N - S - N) მაგნიტები 3-1 და 3-2, შესაბამისად; და 4-1 და 4-2 ექვსწახანაგებს, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მარტო მაგნიტების სიმეტრიულ განთავსებას  $120^\circ$  კუთხით, არამედ სტაციონარული მბრუნავი დერძის ადგილმდებარეობების დაფიქსირებას.


სქემის სიმეტრიულობის დაცვის შემთხვევაში სისტემას შეუძლია თვითონ დაიკავოს საწყისი ნულოვანი მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ მაგნიტების მიერ შექმნილი ველის ენერჯია აღემატება საკისრებში მექანიკური წინააღმდეგობის დაძლევის ენერჯიას.

ელექტრომაგნიტის ჩართვის შემთხვევაში მაგნიტოგამტარში წარმოიქმნება ველი იმ მიმართულებით, რომელსაც განაპირობებს ელექტრომაგნიტში მიწოდებული მუდმივი ან იმპულსური დენის მიმართულება. ელექტრომაგნიტის მომჭერებზე მიწოდებული დენის

პოლარობის შეცვლისას მაგნიტოგამტარში შეიცვლება მაგნიტური ველის მიმართულება, რაც გამოიწვევს ზემოქმედების შეცვლას მბრუნავი დაფიქსირებული დერძის გარშემო. ჩვენს შემთხვევაში ბრუნავ ელემენტებს წარმოადგენენ სამი მაგნიტის შემცველი ცილინდრები.

მართვის და ამავედროულად ერთი მიმართულების მოძრაობის განხორციელებისათვის უძრავი ელექტრომაგნიტების და მბრუნავი ელემენტების ზემოქმედება უნდა იყოს შეთანხმებული (და არა კონფლიქტური). ცხადია, რომ, ჩვენს შემთხვევაში, ელექტრომაგნიტს აქვს ორი პოლუსი. ამიტომ მწკრივში განთავსებული ელექტრომაგნიტი – მაგნიტის წყვილები ცალსახად ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს.


ნახ. 6-ზე მოყვანილია ორი მბრუნავი მაგნიტის და მათ შორის უძრავად განთავსებული ოთხი ელექტრომაგნიტის სტრუქტურული სქემა, რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეული მბრუნავი ელექტრომაგნიტის სხვადასხვა, მაგრამ ჩვენს მიერ არჩეული მიმართულებით მოძრაობას.



საწყის მდგომარეობაში ელექტრომაგნიტების გულარები უზრუნველყოფენ მბრუნავი მაგნიტების საწყის მდგომარეობაში განთავსებას. მოყვანილ შემთხვევაში ელექტრომაგნიტები ჩართული არ არიან, ვინაიდან მართვის სიგნალები არ მიეწოდება და შესაბამისად არ არის შეფერადებული მათი პოლუსები. შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც მბრუნავი მაგნიტების მაგნიტური ველის დაძაბულობა თვით გამოყენებული მაგნიტების ფიზიკური თვისებებიდან გამომდინარე იყოს იმდენათ სუსტი, რომ საწყისი მდებარეობა მაგნიტებმა ვერ დაიკაონ. ანუ ღრუ სამკუთხა პრიზმების 5-1 და 5-2 (იხ. ნახ.6) წახნაგები (ხელური ინფორმაციის მატარებლები და გამომსახველი) არ ან ვერ განთავსდნენ ერთ სიბრტყეში. ამ შემთხვევაში ელექტრომაგნიტების მიერ შექმნილი ველები გადაძლევს ამ მდგომარეობას და მყისიერად მაგნიტებს მოაბრუნებენ და დააყენებენ საწყის მდგომარეობაში. ამ მოქმედების შესასრულებლად საკმარისია მივაწოდოთ მოკლე ერთპოლარული მმართველი იმპულსები, მაგალითად, ზედა რკალისებურ და ორ კიდურა ელექტრომაგნიტებს. ამ მოქმედების ჩატარების შემდეგ ელექტრომაგნიტები გამოირთვება, ვინაიდან თვით მაგნიტები თავისი მაგნიტური ველის ზემოქმედებით უზრუნველყოფენ მდებარეობის შენარჩუნებას, მაშინაც როცა, სხვადასხვა მიზეზების გამო იმოქმედებს მექანიკური რხევები, მაგალითად, მაღალ ან დაბალ სიხშირული ვიბრაცია. ეს განპირობებულია იმით, რომ შეკრული მაგნიტური სისტემის ადგილმდებარეობიდან გამოყვანას სჭირდება სისტემის ჯამური მაგნიტურ ენერგიაზე გაცილებით მეტი მექანიკური ენერგია.

ხელური ინფორმაციის შეცვლა ხორციელდება საწყის გამართულ მდგომარეობაში მყოფი სამაოზიციური ხელური ინფორმაციის ინდიკატორის ნახ.6-ზე მოყვანილი სქემის ამოქმედებით. 120<sup>0</sup>-ით მობრუნებისას მართვად 6-1 და 6-2 ელექტრომაგნიტებს მიეწოდება ერთი და იგივე პოლარობის (მოყვანილ შემთხვევაში უარყოფითი) და ერთნაირი ამპლიტუდის მქონე იმპულსები. 6-3 ელექტრომაგნიტი ამ პირველი მოქმედების განხორ-

ცილებში არ იღებს მონაწილეობას. მაგნიტების და მათთან მყისიერად დამაგრებულ დრუ სამკუთხა პრიზმების მოძრაობა დასრულებდა ოპერაციის დასრულების შემდეგ, ან  $60^\circ$  კუთხით შემობრუნების შემდეგ, როდესაც დაძრულ მბრუნავ ელემენტებს შეძენილი ინერციით შეუძლიათ მოძრაობის გაგრძელება. ოპერაციის დასრულების შემდეგ ყველა ელექტრომაგნიტი გამოირთვება, ხოლო დაფიქსირებული ხედური ინფორმაცია ინარჩუნებს ახალ მდგომარეობას მაგნიტებს შორის გადანაწილებული ველის მეშვეობით. ანუ ხედური ინფორმაციის შეცვლის ინტერვალში ენერჯის ხარჯს ადგილი არა აქვს. მომდევნო ანუ  $240^\circ$ -ით მობრუნების განხორციელებისას ირთება მხოლოდ 6-1 და 6-3 ელექტრომაგნიტები, ხოლო (6-2) – გამორთულია.



ნახ. 7

მართვადი იმპულსების ლოგიკურად დასაბუთებული, ერთდროული, თანმიმდევრული და განსხვავებული მიწოდებით  $120^\circ$ -ის ჯერად კუთხეზე მობრუნება მარტივად მიიღწევა მწკრივში კენტ და ლუწ ადგილებზე განთავსებული ბრუნავი სამპოზიციური მაგნიტებით შემცველი ელემენტების საპირისპირო მოძრაობის განხორციელებით. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სამპოზიციური, ანუ პერიოდულად ცვლადი სამხედური ინფორმაციის მიღებას. მაგალითად, ნახ. 7 -ზე მოყვანილია სქემის ამოქმედებით მიიღება მოძრაობის სამპოზიციური მყისიერად ცვლადი სურათი.

სამპოზიციური დინამიური ობიექტის უკონტაქტო მართვის მიკროპროცესორული სისტემა უზრუნველყოფს ინდიკატორის ფუნქციური შესაძლებლობების გაფართოებას, მმართველი იმპულსის მოხსნის შემდეგ გარდამავალი პროცესების რხევების რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას, მოძრავი მაგნიტების მართვის, გაშვების, დამუხრუჭების და მომდევნო აჩქარების იმპულსების გამოყენების საშუალებით. და დამატებითი გრაფიკის ამოქმედებას რხევების აქტიური დემფირების დროს, საინფორმაციო ხედის შეცვლის სწრაფქმედების გაზრდას, ორხედური ინფორმაციის შეცვლის საიმედოობას და ელექტროენერჯის ხარჯის შემცირებას.

მოყვანილი უკონტაქტო სამპოზიციური დინამიური ობიექტის ძირითადი შემადგენელი უბნისათვის დამუშავებული აგების ფიზიკური საფუძვლები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დინამიური მართვის სისტემის არა მარტო დასამუშავებლად, არამედ ასაგებად.

სამპოზიციური მბრუნავი მოწყობილობა გამოიყენება ავტომატიკაში, უპირატესად ინფორმაციის ამსახველ ელექტრომაგნიტურ ხელსაწყოებში. გარდა აღნიშნულისა მოყვანილ პრინციპზე აგებული მართვის სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საინფორმაციო ტაბლოებში, ცვალებად საგზაო ნიშნებში, სარეკლამო ფარებში და სხვა მძიმე მრეწველობის პირობებში.

**უკონტაქტო სამპოზიციური დინამიური ობიექტის აბეზის ფიზიკური  
საფუძვლები და თავისებურებანი**

*ო. ლაბაძე, მ. ცერცვაძე, თ. ლაბაძე, პ. მანჯავიძე*

**რეზიუმე**

განხილულია უკონტაქტო სამპოზიციური დინამიური ობიექტის აბეზის ფიზიკური საფუძვლები და მართვის განხორციელების გზები, რომლებიც ეყდნობა სხვადასხვა სიმეტრიული ფორმის მაგნიტებზე ჩატარებულ კვლევებს.

მოძიებული და დადგენილი თავისებურებანი უზრუნველყოფენ სისტემის არა მარტო საიმედო ფუნქციონირებას, არამედ მმართველი იმპულსების მოხსნის შემდეგ ხედური ინფორმაციის შენარჩუნებას თვით მაგნიტური სისტემის ველის გამოყენებით, რაც ამცირებს მოხმარებული ენერჯის ხარჯს.

**PHYSICAL BASICS AND FEATURES OF THE CONSTRUCTION OF CONTACT-  
LESS THREE-POSITION DYNAMIC OBJECT**

*O. LABADZE, M. TSERTSVADZE, T. LABADZE, P. MANJAVIDZE*

**Summary**

The physical basics and the implementation of a contactless control of three-position dynamic object, based on studies of various symmetrical shapes of magnets are considered.

The originality of the found and installed features will provide not only the reliable operation of the control system, but also to preserve the specific information of magnet system after removing the control pulse, reducing the consumption of energy used.

**ФИЗИЧЕСКИЕ ОСНОВЫ И ОСОБЕННОСТИ ПОСТРОЕНИЯ  
БЕСКОНТАКТНОГО ТРЁХПОЗИЦИОННОГО ДИНАМИЧЕСКОГО ОБЪЕКТА**

*О. ЛАБАДЗЕ, М. ЦЕРЦВАДЗЕ, Т. ЛАБАДЗЕ, П. МАНДЖАВИДЗЕ*

**Резюме**

Рассмотрены физические основы и пути осуществления управления бесконтактным трёх-позиционным динамическим объектом, которые основываются на проведенных исследованиях различных симметричных форм магнитов.

Своеобразность найденных и установленных особенностей обеспечат не только надёжное функционирование системы управления, но и сохранение видовой информации самой магнитной системой после снятия импульса управления, что уменьшит расход потребляемой энергии.

**ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА**

1. А.Л. Поляничко, О.Л. Поляничко, А.В. Шаульский, В.К. Шикирявый и Р.С. Душко Индикатор. А.С. СССР 647707.– Оpub. в Б.И. №6, 1979 г.
2. А.Л. Поляничко, А.В. Шаульский, Ю.А. Поляничко. Матричное индикаторное устройство. А.С. СССР 940215. – Оpub. в Б.И. №24, 1982 г.
3. Патент США 4825205. Оpub. Р.Ж. "Изобретения стран мира", №2, выпуск 120, 1990 г.
4. Ласло Ягиша, Шандор Иодал и Иозеф Мандшу (ВНР). Устройство для многоцелевой индикации. А.С. СССР 427536.– Оpub. в Б.И. №17, 1975 г.
5. Патент Японии 122620. Оpub. Р.Ж. "Изобретения стран мира", №2, выпуск 120, 1990 г.
6. ო. ლაბაძე, გ. აკოპიანი, გ. ლაბაძე, პ. მანჯავიძე, ნ. აკოპიანი. ინდიკატორი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" პატენტი P 1624 განცხადებულია 08.05.1996 წ., გამოქვეყნებულია 29.01.1999 წ., სამრეწველო საკუთრების ოფიციალური საინფორმაციო ბიულეტენი 1999წ., № 1(41) გვ. 52-53.
7. А.П. Васильев, М.И. Фримтштейн. Управление движением на автомобильных дорогах.– М.: Транспорт, 1979 г., с. 176-178.

**შრთიერთინდუჰციური გარდამქმნელის იდენტიფიკაცია და მისი როლს  
ავტომატური მართვის სისტემების რბოლის მოდელის დადგენა**

*(ო.ლ.აბაძე)*

*olabadze@gmail.com*

ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების მრავალგანზომილებიანობა, ტრანსფორმატორული ურთიერთინდუქციური პირველადი გარდამქმნელის (უპგ) გამომავალი მახასიათებლების არაწრფივობა, გარდამავალი პროცესები, რომელიც თან ახლავს ინდუცირებული სიგნალების მიღებას და/ან მაგნიტოგამტარში მაგნიტური ძალწირების განაწილებას, ართულებს ზუსტი მათემატიკური მოდელის დადგენას, ხოლო რიგ კერძო შემთხვევაში ექსპერიმენტულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, შესაძლებელია მათემატიკური აღწერილობის მიღება.

იდენტიფიკაცია ამოცანაა, რომელიც საზღვრავს გამოსაკვლევი ობიექტის შესავალ  $x$  და გამოსავალ  $y = f(x)$  სიდიდეებს შორის კავშირს, მათი გაზომილი მნიშვნელობების გამოყენება.

ნ. ვინერმა [1] ერთ-ერთმა პირველმა შემოგვთავაზა ძირფესვიანი კვლევა ამ მიმართულებით.

ობიექტების იდენტიფიკაციისას ძირითადად განსახვავებენ ორ ამოცანას:

1. ობიექტის პარამეტრების და სტრუქტურის განსაზღვრას;
  2. პარამეტრების განსაზღვრას მიღებული ან მოცემული სტრუქტურის მიხედვით.
- ობიექტის აღწერის მეთოდები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან [2]; ეს მეთოდებია დიფერენციალური განტოლებების (წრფივი და არაწრფივი), ინტეგრალური-დიფერენციალური, სხვაობითი, დიფერენციალურ-სხვაობითი, ფუნქციონალური, აღწერილობითი მრუდების ოჯახების მეშვეობით. იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტისას სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით უფრო ხშირად იყენებენ დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებებს.

ობიექტი (სისტემა) იქნება არაწრფივი, თუ სისტემაში შემავალ ერთ რგოლს მაინც აქვს არაწრფივი მახასიათებელი.

იდენტიფიკაციის ხერხები კლასიფიცირდება შემავალი სიგნალების და მოდელის კლასების და მოდელის და პროცესების შესაბამისობის კრიტერიუმების მიხედვით [3].

ვინაიდან უპგ-ის სტრუქტურა ცნობილია, ამიტომ მოვიყვანოთ ცნობილი არაწრფივი მოდელის იდენტიფიკაციის ძირითადი მოდელის კლასიფიკაცია [2]:

1. სტატისტიკური ამონახსნების თეორია (დუალური მართვის თეორია);
2. რეგრესიული მეთოდები (ლიაგერის პოლინომები და სტატისტიკური მეთოდები);
3. ფაზური მეთოდები;
4. სტოხასტიკური აპროქსიმაცია.

ელემენტების მართვის სისტემების ხელსაწყოების და გამოთვლითი ტექნიკის მოდელის სახის განსაზღვრისათვის გაცილებით მიზანშეწონილია ვისარგებლოთ გამოკვლევის აქტიური მეთოდებით, ვინაიდან ისინი ნაკლებად შრომატევადია.

განტოლების რიგის განსაზღვრისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას განიერზოლიანი თეთრი ხმაურის ტიპის შემთხვევითი პროცესი, რომელიც შემოთავაზებულია დმიტრიევის ს.პ. მიერ [4].

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ [5]:

1. ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელების იდენტიფიკაციისათვის მიზანშეწონილია ვისარგებლოთ გამოკვლევის აქტიური მეთოდებით;
2. ობიექტის იძულებითი მოძრაობის მათემატიკური აღწერა უნდა ვაწარმოოთ დიფერენციალური განტოლებების სახით;
3. აპრიორული ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში დიფერენციალური განტოლებების რიგი და სახე შეიძლება განისაზღვროს ცნობილი მეთოდებით; ცნობილია, რომ ტრანსფორმატორული ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელები სტაციონარული გრავნილებით წარმოადგენენ ხაზოვან რგოლებს, რომლებიც აღიწერება არაუმეტეს მეორე რიგის ხაზოვანი დიფერენციალური განტოლებებით [6]. ვინაიდან უპგ მიეკუთვნება ტრანსფორმატორულ გარდამქმნელებს და განსხვავდება მათგან არა მარტო იმით, რომ უპგ-ში არ არის მაგნიტური გულარი, არამედ აგ და გგ წარმოადგენენ კონტროლის მთელ დიაპაზონზე სივრცეში განაწილებულ

პროფილირებული გრაფილების მქონე კონტურებს, მაშინ უპე-იც წარმოადგენს ხაზოვან რგოლს.

**ა) მათემატიკური დასაბუთება.**

ვთქვათ უპე-ის შესასვლელზე მიეწოდება სიგნალი  $U = U_{\Sigma} \cos(\omega t)$ .

ზოგადად ერთი შემავალის მქონე წრფივი სტაციონარული სისტემის განტოლების ჩაწერა შესაძლებელია შემდეგნაირად [6]:

$$(a_0 p^n + a_1 p^{n-1} + \dots + a_n) y = (b_0 p^m + b_1 p^{m-1} + \dots + b_m) U. \quad (1)$$

ამ განტოლების ზოგად ამონახსნს ექნება შემდეგი სახე:

$$y(t) = y_0(t) + y_k(t),$$

სადაც,  $y_0(t)$  - ერთგვაროვანი განტოლების ზოგადი ამონახსნია;  $y_k(t)$  - არაწრფივი განტოლების კერძო ამონახსნი. მდგრად სისტემებში  $y_0(t)$  მდგენელი მიისწრაფის 0-სკენ, როცა  $t \rightarrow \infty$ .

იძულებითი მოძრაობის კერძო ამონახსნის მისაღებად შემავალი სიგნალი წარმოვიდგინოთ ეილერის ფორმულის გამოყენებით:

$$U = U_m \cos \omega t = U_m (\exp(j\omega t) + \exp(-j\omega t)) / 2 = U_1 + U_2.$$

სუპერპოზიციის პრინციპის გამოყენებით (1) განტოლების ამონახსნი წარმოვიდგინოთ შემდეგი ფორმის სახით:  $y = y_1 + y_2$ , სადაც  $y_1$  ამონახსნია, როცა  $U = U_1$ , და  $y_2$  - ამონახსნია, როცა  $U = U_2$ .

როგორც ნაჩვენებია [5]-ში, (1) კერძო ამონახსნებს  $y_1$ -ს და  $y_2$ -ს შესაბამისი გარდაქმნების შემდეგ ექნებათ სახე:

$$y_1 = A_1 U_1 = \frac{A_1(\omega) U_m}{2} \exp j(\omega t + \varphi_1(\omega)); \quad y_2 = A_2 U_2 = \frac{A_2(\omega) U_m}{2} \exp j(\omega t + \varphi_2(\omega)), \quad (2)$$

ხოლო (1) განტოლების ამონახსნის ზოგადი სახეა:  $y = A(\omega) U_m \cos(\omega t + \varphi(\omega))$ . (3)

მაშასადამე, მდგრად სისტემებში, შესასვლელზე ჰარმონიული სიგნალის მიწოდებისას, გარდამავალი პროცესის დამთავრების შემდეგ გამომავალი სიდიდე ასევე ჰარმონიული კანონით იცვლება, ამასთან დამყარებულ მდგომარეობაში ამპლიტუდა და ფაზის წანაცვლება სისწორეზე იქნება დამოკიდებული.


საწყისი მდგომარეობის შეცვლისას, მაგალითად, აგ-ის წანაცვლებისას გგ-ის მიმართ შეიმჩნევა ამპლიტუდის ცვლილება, ხოლო ფაზათა სხვაობა უცვლელი რჩება იმ შემთხვევაშიც კი, როცა გამომავალი მახასიათებელი წრფივია ან კვაზიწრფივი.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ უპე მაგნიტოგამტარის და უკუკავშირის გარეშე წარმოადგენს ხაზოვან რგოლს და აღიწერება ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლებით.

**ბ) ექსპერიმენტული გამოკვლევა.**

მიემართოთ კვლევის აქტიურ მეთოდს. ამპლიტუდურ-სიხშირული (ასმ) და არაწრფივი დამახინჯების მახასიათებლების (აღმ) კვლევების ჩატარების დანადგარების სტრუქტურული სქემები მოყვანილია ნახ. ა და ბ, შესაბამისად. სრბ-სინუსოიდალური რხევების გენერატორია; აბ - ამგზნები გრაგნილია; ბბ-გამზომი გრაგნილია; x - აბ და ბბ შორის ურთიერთწანაცვლების სიდიდეა; M - ურთიერთინდუქციურობაა გრაგნილებს შორის; მმ - მარეგისტრირებელი მოწყობილობაა [7].

ნახაზზე მოყვანილი ბბ-ის რეზონანსული ჩართვისას (ა) აღინიშნება ორკუზა ასმ, რომელიც ადასტურებს მძლავრი კავშირის არსებობას რეზონანსური სიხშირის მიდამოში. რეზონანსული სიხშირის დროს ასმ-ის გამოკვლევის ხელსაწყო (XI-40) ეკრანზე სიხშირული დამახინჯება ქრება მაგნიტოგამტარის გამოყენების გამო, კონტროლის მთელ დიაპაზონზე რეზონანსური სიხშირე უცვლელი რჩება, ხოლო ასმ იცვლის თავის ამპლიტუდას, რაც აიხსნება აბ-სა და ბბ-ს შორის ურთიერთინდუქციური კავშირის ცვლილებით.



ნახ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ინდუცირებული სინუსოიდის ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებელის ასმ არაწრფივი დამახინჯება ნაკლებია, ვიდრე არა-წრფივი დამახინჯების მახასიათებელთან მიღებული შედეგებისა (ნახ. ბ). ეს მოვლენა დაკავშირებულია იმასთან, რომ აბ-ით აღზნებული ელექტრომაგნიტური ტალღები ბბ-ში ინდუცირებენ ენერჯიას არამილევადი რხევების დასაჭერად. რეზონანსულ სიხშირეზე აწეობილი ბბ წარმოადგენს საკუთარი ინდუქციურობის, ტევადობის და წინაღობის მქონე რხევით კონტურს. მაშასადამე, მასში აღიძვრება საკუთარი სინუსოიდური რხევები, რომლის სიხშირე ემთხვევა გარე მოქმედი იძულებითი რხევების სიხშირეს.

აქედან გამომდინარეობს ა)-ში მოყვანილი დასკვნის სისწორე.

**გ) გარდამქმნელის მოდელის სტრუქტურის დადგენა.**

უახლესი მიდგომა მოდელის სტრუქტურის დადგენაში განხილულია [8, 9], რომელშიც ობიექტზე აქტიური ზემოქმედების პერიოდული სიგნალების მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს თუ მოდელის რომელ კლასს მიეკუთვნება ობიექტი (ჰამერშტეინის თუ ვინერის). ბ. შანშიაშვილი ამტკიცებს, რომ თუ სხვადასხვა პერიოდის მქონე ჰარმონიული რხევების ზემოქმედებით ვიმოქმედებთ გამოსაკვლევი ობიექტის შესასვლელზე და გამოსავალი სიგნალის მუდმივი მდგენელი ექსპერიმენტიდან ექსპერიმენტამდე არ შეიცვლის თავის მნიშვნელობას, მაშინ ობიექტის მოდელი შეესაბამება ჰამერშტეინის მოდელს. თუკი ჰარმონიული რხევების პერიოდის შემცირებისას (გაზრდისას) გამოსავალი სიგნალის მუდმივი მდგენელი მცირდება (იზრდება), მაშინ მოდელი მიეკუთვნება ვინერის მოდელის კლასს.

უპგ-ში ჰარმონიული (სინუსოიდური) რხევების პერიოდის ცვლილებისას გამოსავალი სიგნალის მუდმივი მდგენელი უცვლელი რჩება, ამიტომ უპგ მიეკუთვნება ჰამერშტეინის კლასის მარტივ მოდელს და ზოგადი შემთხვევისთვის [9] აღიწერება გამოსახულებით:

$$y(t) = c_0 W(0) + c_1 W(p)u(t) + c_2 W(p)u^2(t),$$

სადაც  $W(p)$  წრფივი რგოლის გადაცემის ფუნქციაა,  $u(t)$  - გარდამქმნელში შესასვლელი სიგნალია.

სხვადასხვა სახით ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ უპგ განსახილველი ცვლილების რაიმე შეზღუდულ მიდამოში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს წრფივი დინამიკური რგოლით და აღიწერება არაერთგვაროვანი არაუმეტეს მეორე რიგის დიფერენციალური განტოლებით.

**ურთიერთინდუქციური გარდამქმნელის იდენტიფიკაცია და მისი რობორტ ავტომატური მართვის სისტემების რბოლის მოდელის დადგენა**

*ო. ლაბაძე*

**რეზიუმე**

განხილულია ურთიერთინდუქციური გარდამქმნელის იდენტიფიკაციის საკითხები. ვინაიდან ჰარმონიული რხევების პერიოდის ცვლილებისას გამოსავალი სიგნალის მუდმივი მდგენელი უცვლელი რჩება, ამიტომ ის აღიწერება არაუმეტეს მეორე რიგის ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლებით.

დადგენილია რომ, განხილული ურთიერთინდუქციური გარდამქმნელის მოდელი მიეკუთვნება ჰამერშტეინის კლასის მარტივი მოდელის რიცხვს.

**ИДЕНТИФИКАЦИЯ И УСТАНОВЛЕНИЕ МОДЕЛИ ВЗАИМОИНДУКТИВНОГО ПРЕОБРАЗОВАТЕЛЯ КАК ЗВЕНА АВТОМАТИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ**

*О.ЛАБАДЗЕ*

**Резюме**

Рассмотрены вопросы идентификации взаимноиндуктивного преобразователя. Ввиду того, что при изменении периода гармонических колебаний постоянная составляющая выходного сигнала остаётся неизменной, поэтому он описывается однородным дифференциальным уравнением не выше второго порядка.

Установлено, что модель рассмотренного взаимноиндуктивного преобразователя принадлежит к числу класса простых моделей Гаммерштейна.

**IDENTIFICATION AND ESTABLISHMENT OF MODEL OF INTERINDUCTIVE CONVERTER AS UNIT OF AUTOMATIC CONTROL SYSTEM**

*O.LABADZE*

**Summary**

Questions of identification of interinductive converter are considered. Due to the fact that when the period of harmonic oscillations of the constant component of the output signal remains constant, so it is described by the homogeneous differential equation of no more than second order.

It is established that the model of considered interinductive converter belongs to the class of simple models of Hammerstein.

**ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА**

1. Н.Винер Нелинейные задачи в теории случайных процессов. – М.: Изд-во иностранной литературы, 1961.-159 с.
2. Е.П.Балашов, А.А.Воевода, А.А.Смагин, П.И.Соснин. Идентификация магнитных элементов автоматики и вычислительной техники.– Л.: Энергия,1980 г. –128 с.
3. A.Zadeh On The Identification Problem. –Trans. IRE, 1956, СТ-3,№4.
4. С.П. Дмитриев. Определение порядка дифференциального уравнения в задачах стохастической аппроксимации. Техническая кибернетика, 1969, №5.
5. О.С.Лабадзе, И.Ш.Абурджания. Математическое описание взаимноиндуктивных первичных преобразователей. Министерство науки, высшей школы и технической политики Российской федерации. Московский институт приборостроения. Сборник трудов.– Москва, 1992 г., с.101-103.
6. Л.Р.Нейман, К.С.Демирчян. Теоритические основы электротехники. Ч.2. Терия линейных систем. – Л.: Энергия, 1967 г., с. 225-229.
7. О.С.Лабадзе, И.Ш.Абурджания, В.И.Гвилава. Сравнительная оценка, классификация методов идентификации и экспериментальное определение типа модели ВПП. Министерство науки, высшей школы и технической политики Российской федерации. Московский институт приборостроения. Сборник трудов. – Москва, 1992 г., с.103-107.
8. В.Г.Шаншиашвили О выборе структуры модели при идентификации одного класса нелинейных систем. Институт систем управления АН ГССР. Труды XXУ:1, Теория и устройства систем управления. - Тбилиси, Мецниереба, 1989, с. 13-23.
9. ბ.შანშიაშვილი. უწყვეტი სტაციონარული და არასტაციონალური სისტემების იდენტიფიკაცია. ავტორეგულატი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. – თბილისი, სტუ, 2001 წ. – 33 გვ.

**მიმღეუ-გადაცემი ურთიერთინდუქციური ტიპის ანტენების აგების  
ფიზიკური საფუძვლები, თავისებურებანი და გამოყენების სფეროები**

*ო.ლ.აბაძე, თ.მახარაშვილი, ბ.მაღლაკელიძე*

*olabadze@gmail.com*

დღეს არსებული ანტენების ტიპების მიხედვით ჩამონათვალი შეიცავს ორასზე მეტ დასახელებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, ცნობილი აინზენბერგის, ბევერი-ჯის, მარკონის და ტატარინოვის სახელების მატარებელი ანტენები, და ნაკლებად ცნობილი კასსეგრენის, გრეგორის, ბევერედუას, ვივალდის, ან გეომეტრიული Γ-, V- და T-სებრი ფორმის ანტენები. სხვა ანტენების დასახელებები ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აგების ხერხით, კონსტრუქციის ფორმით, გამოყენებული მეთოდით, მასალით ან/და ცნობილი ფიზიკური მოვლენის გამოყენებით.

შეთავსებული ურთიერთინდუქციული გადამცემ-მიმღები ტიპის ანტენების აგებას საფუძველად ძირითადად უდევს გადამცემი და მიმღები კოჭებისაგან შედგენილი კონტურების ურთიერთგავლენის კომპენსაცია, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა სიმეტრიული ფორმის ანტენების ელემენტებისაგან.


ანტენების პროექტირებისას უმეტეს შემთხვევაში ხდება კონტურების ცალკეული უბნების ურთიერთზემოქმედების შეფასება (რანჟირება). ამით არა მარტო მცირდება აუცილებელი გამოთვლების ჩატარების რაოდენობა, არამედ ზუსტდება გამოსათვლელი ფორმულა და კონტურების კონფიგურაცია.

ექსპერიმენტით დადგინდა, რომ სიმეტრიული გადამცემ-მიმღები ანტენების ურთიერთ გავლენის გამორიცხვის მიზნით შესასრულებელია ძირითადი პირობა – მათ შორის ურთიერთინდუქციურობა უნდა იყოს ნულის ტოლი.

ქვემოთ მოყვანილია კონტურების ცალკეული უბნების ურთიერთზემოქმედების სრული კომპენსაციის მაგალითები.

**მაგალითი 1.** პარალელურ სიბრტყეებში განლაგებული ნახევარწრეწირებით და დიამეტრებით შედგენილ კონტურთა ცალკეული უბნების ზემოქმედების ურთიერთკომპენსაცია.

ავიღოთ ორი იდენტური კონტური, რომლებიც შეიცავენ ნახევარწრეწირს და დიამეტრს. ამასთან დიამეტრის შუა წერტილები ერთმანეთს [1] ან იმყოფებიან ერთ ღერძზე. მის მიმართ კონტურების განლაგების სიბრტყეები მართობულია. სიბრტყეებს შორის მანძილი  $d$ -ს ტოლია (ნახ. 1,ა). აღვნიშნოთ უბნები  $A\bar{m}B$ ,  $AB$ ,  $C\bar{n}E$  და  $CE$ ,



ნახ. 1

შესაბამისად 1, 2, 3 და 4. მაშინ ამ კონტურების ურთიერთინდუქციურობა გამოითვლება:

$$MM = M_{13} + M_{14} + M_{23} + M_{24}.$$

ნახევარწრეწირების  $M_{13}$  და  $M_{24}$  მონაკვეთების ურთიერთინდუქციურობის ფორმულები მოყვანილია [2]. საინტერესოა  $M_{14}$  და  $M_{23}$  სიდიდეების მნიშვნელობების გამოსათვლელი ფორმულების მიღება, როცა ერთი უბანი მოძრაობს მეორის მიმართ საერთო ღერძის გარშემო (იხ. ნახ. 2,ბ და 2,გ). მაშინ მივიღებთ:

$$M_{14}(\alpha) = \frac{\mu_0}{4\pi} \int_{x=0}^{2r} \int_{\frac{\alpha}{2}}^{\frac{\pi-\alpha}{2}} \frac{R \cos(\frac{\pi}{2}-\alpha) d\alpha dx}{\sqrt{d^2 + R^2 + x^2 - 2Rx \cos \alpha}} = \frac{\mu_0 R}{4\pi} \int_{x=0}^{2r} \int_{\frac{\alpha}{2}}^{\frac{\pi-\alpha}{2}} \frac{\sin \alpha d\alpha dx}{\sqrt{d^2 + R^2 + x^2 - 2Rx \cos \alpha}}$$


და

$$M_{23}(\alpha) = \frac{\mu_0}{4\pi} \int_{x=0}^{2R} \int_{\frac{\alpha}{2}}^{\frac{\pi+\alpha}{2}} \frac{r \cos(\frac{\pi}{2}-\alpha) d\alpha dx}{\sqrt{d^2 + r^2 + x^2 - 2rx \cos \alpha}} = \frac{\mu_0 R}{4\pi} \int_{x=0}^{2R} \int_{\frac{\alpha}{2}}^{\frac{\pi+\alpha}{2}} \frac{\sin \alpha d\alpha dx}{\sqrt{d^2 + r^2 + x^2 - 2rx \cos \alpha}}.$$

როდესაც  $r=R$ , მაშინ  $M_{14}(\alpha) = -M_{23}(\alpha)$  და ამიტომ ისინი ერთმანეთს აკომპენსირებენ.

**magaliTi 2.** მართკუთხა ფორმის იდენტური კონტურების ურთიერთგავლენის სრული კომპენსაცია.

განვიხილოთ ორი მართკუთხა ფორმის იდენტური კონტური (იხ. ნახ. 2,ა) [2]. ცხადია, პარალელურ სიბრტყეებში ერთმანეთის მიმართ წანაცვლებისას მოიძებნება ისეთი ადგილმდებარეობა, როდესაც  $M=0$  ანუ  $M'=M''$ . აქედან გამომდინარეობს, რომ მართკუთ-



ნახ. 2

ხა ფორმის მქონე იდენტური კონტურების სიმეტრიის ღერძთა შორის წანაცვლების მანძილის დასადგენად უნდა ამოვსხნათ განტოლება [3]:

$$(a-l) \ln \frac{b^2 + d^2}{d^2} = b \ln \frac{\sqrt{(a-l)^2 + d^2} \cdot \sqrt{(a+l)^2 + d^2}}{l^2 + d^2},$$

სადაც  $a$ ,  $b$  და  $d$  შესაბამისად სიგანე, სიგრძე და სიბრტყეებს შორის მანძილებია.

მიღებული განტოლების პირდაპირი ამოხსნა შეუძლებელია.

განვიხილოთ შემთხვევა, როცა მართკუთხა ფორმის აღმზნები და გამზომი გრაგნილები  $d$  უცვლელი მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთისაგან (ნახ. 2,ა). პირველი გრაგნილი მივაერთოთ კვების წყაროსთან, ხოლო ორივე (ან ერთი გრაგნილი) ვამოძრაოთ ერთმანეთის მიმართ  $x$  ღერძის გასწვრივ. ამ სქემით ჩატარებულმა გამოკვლევებმა, როცა  $a = 100$  მმ,  $b = 200$  მმ, ხოლო  $U_2$  მეორე გრაგნილიდან გამოსავალი სიგნალია, მოგვცა ნახ. 2,ბ-ზე მოყვანილი მრუდწირული დამოკიდებულებები  $U_2=f(x)$ , სადაც 1 მრუდი მიღებულია შემთხვევისათვის  $U_1=180$  მვ და  $f = 5$  კპც; 2 მრუდისთვის  $U_2=80$  მვ და  $f=5$  კპც; 3 მრუდისთვის  $U_2=30$  მვ და  $f=10$  კპც.

როგორც ჩანს, როცა  $x = \pm 8$  სმ გამოსავალი სიგნალი  $u \neq 0$  და არ არის დამოკიდებული შესავალი სიგნალის სიდიდესა და სიხშირეზე.

თეორიულად ურთიერთინდუქციურობა და, მაშასადამე,  $L_{cr}$ -ის მნიშვნელობა, არ არის დამოკიდებული სიხშირეზე. მაგრამ პრაქტიკულად იგი დამოკიდებულია კონტურების მასალაში აღძრულ ინდუქციურ დენებზე. სიხშირის გაზრდასთან ერთად, თუმცა არაარსებითად, იზრდება ხეივებში გამავალი დენების ურთიერთგავლენა.


**მაგალითი 3.** მოცემული მანძილით ერთმანეთისაგან დაშორებულ ორ პარალელურ სიბრტყეში განლაგებული ორი გგ-ის და ერთი აგ-ის ურთიერთგავლენის კომპენსაცია. აგ-ის და გგ-ების ფორმები მართკუთხა (იხ. ნახ. 3,ა) და წრეწირული (იხ. ნახ. 4,ა) ფორმებისაა.

ორივე შემთხვევაში ფორმით იდენტური ორი გგ მოვათავსოთ აგ-ის განთავსების  $X$  სიბრტყიდან  $d$  მანძილით დაშორებულ პარალელურ სიბრტყეში ისე, რომ მათი სიმეტრიის ღერძები არა მხოლოდ კოლინეალური, არამედ პარალელურიც იყოს და მდებარეობდნენ  $XOZ$  სიბრტყეში. ეს კი ნიშნავს, რომ აგ-ის უცვლელი ადგილმდებარეობის მიმართ გგ-ები გადაადგილდებიან  $O'X'$  ღერძის გასწვრივ  $XOY$  სიბრტყის პარალელურ სიბრტყეში.


მივაწოდოთ აგ-ზე ცვლადი ელექტრომაგნიტური ძაბვა. მაშინ თითოეულ ცალკე აღებულ გგ-ში აღიძვრება ემძ ძალა, რომლის ხასიათი, ყველა სხვა პირობის შენარჩუნების შემთხვევაში, წარმოადგენს ნახ. 3,ბ-ზე და 4,ბ-ზე მოყვანილ მრუდებს, რომლებიც ფორმით იდენტურია. თუ შევცვლით შემავალ ძაბვას და/ან სიხშირეს, მაშინ გამოსავალი სიგნალები შეადგენენ მრუდების კონას.

გრაგნილების სქემოტექნიკური განსახიერება მოყვანილია ნახ. 3,ბ. და 4,ბ-ზე. შესაბამისად. ცხადია, ურთიერთგავლენის კომპენსაციისათვის შესაძლებელია ორივე გგ-

ს ერთდროული წანაცვლება ან მიმდევრობით ჯერ ერთი გგ-ის გაკომპენსირება, ხოლო შემდეგ – მეორის.  $\Delta x$  მანძილზე წანაცვლებისას (იხ. ნახაზები 3 ა,ბ და 4 ა,ბ) მიიღწევა სრული კომპენსაცია ნახ. 3,გ და ნახ. 4,გ ( $u_1(x)$  და  $u_2(x)$ ).




ნახ. 3




ნახ. 4

**მაგალითი 4.** ურთიერთორთოგონალურად განლაგებული მართკუთხა ფორმის კონტურების სრული კომპენსაცია ნახ. 5.

ურთიერთგადასმკვეთ და ორთოგონალურად განლაგებულ  $\alpha$  და  $\beta$  სიბრტყეებში მოვათავსოთ მართკუთხა ფორმის  $ABCD$  და  $EKLP$  კონტურები. ამ კონტურების ორი სიმეტრიის ღერძი ერთმანეთის პარალელურია, მეორე ორი კი – მართობული, ხოლო სიმეტრიის ცენტრები მოთავსებულია ან ერთ სიმეტრიის ღერძზე ან იმყოფებიან ერთ სიბრტყეში (იხ. ნახ. 5  $\beta$  სიბრტყე  $O_1$  ღერძი).



ნახ. 5



ნახ. 6

$ABCD$  კონტურში გავატაროთ დენი. აშკარაა,  $AB$  და  $CD$  უბნებში გაივლის ერთი და იგივე სიდიდის, მაგრამ საპირისპირო მიმართულების დენები. თითოეული ეს უბანი მის გარეთ შექმნილი მაგნიტური ველის მეშვეობით ბიო-სავარ-ლაპლასის კანონის თანახმად მეორე  $EKLP$  კონტურის შესაბამის  $EK$  და  $LP$  უბნებში აღძრავენ შესაბამის ემძ-ებს  $e_1$  და  $e_2$ ,  $e_3$  და  $e_4$ .  $e_1=e_2$ ,  $e_3=e_4$  ტოლობები შესრულდება მაშინ, როცა მანძილები  $|AB|=|EK|$ ,  $|CD|=|EK|$ ,  $|AB|=|PL|$  და  $|CD|=|EK|$ . ამ შემთხვევაში აღძრული ემძ-ები სიდიდით ერთმანეთის ტოლია, მაგრამ საპირისპიროდ არიან მიმართული.  $ABCD$  კონტურის  $AB$  და  $CD$  უბნები მართობულია  $\beta$  სიბრტყის და ამიტომ არავითარ გავლენას არ მოახდენენ  $EKLP$  კონტურის არც ერთ უბანზე. მაშასადამე,  $ABCD$  კონტურში დენი არ აღძრავს ემძ-ს  $EKLP$  კონტურში, ვინაიდან დენები გაკომპენსირებულია და  $M$ -იც გაკომპენსირებული იქნება.

თუ *EKLP* კონტურში გავატარებთ დენს, მაშინ ანალოგიური მსჯელობით მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ კონტური არავითარ გავლენას არ მოახდენს *ABCD* კონტურზე.

გავატაროთ სხვადასხვა სიდიდეების დენები ორივე კონტურში ერთდროულად. ზემოთმოყვანილი მსჯელობა გვაძლევს უფლებას დავადგინოთ, რომ კონტურები სავსებით დამოუკიდებელი არიან და შეუძლიათ ცალკე-ცალკე იფუნქციონერონ მაშინაც კი, როცა კონტურები *EKLP* და *ABCD* წანაცვლებული იქნებიან  $OO_1$  და  $O_2O_3$  ღერძების გასწვრივ.


ანალოგიურად გაკომპენსირებული იქნება კონტურები, რომლებიც შეიცავენ ცალსახა სწორ გეომეტრიულ ფიგურებს, მაგალითად ექვს, შვიდ, რვა და ა.შ. -კუთხედებს და საბოლოოდ წრეწირს.

სქემატურად განვალაგოთ ორი გრაგნილი ურთიერთორთოგონალურ სიბრტყეებში ნახ. 6. აგ-ზე მივაწოდოთ ცვლადი ელექტრომაგნიტური ძაბვა,


გვ გამოძრაოთ  $OY$  ღერძის პარალელურად  $OX$  ღერძის გასწვრივ. მიიღება ნახ. 6.ბ-ზე მოყვანილი მრუდი ორი პიკით და ერთი ნულოვანი წერტილით. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გგ-ს შევუცვლით ადგილმდებარეობას ღერძის გასწვრივ, მაშინაც გამოსავალ მახასიათებელს ხასიათი არ შეეცვლება და ყოველთვის მიიღებს ლუწი ფუნქციის სახეს. ნახაზზე მოყვანილი გეომეტრიული ზომების შემთხვევაში სიგნალის სიდიდე აღწევს უდიდეს (პიკურ) მნიშვნელობას არა გრაგნილის კიდურა უბნის თავზე, არამედ გრაგნილის შიგნით. ეს აიხსნება თითოეული უბნის გავლენით გამოსავალი სიგნალის ფორმირებაზე. მაშასადამე, ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ორთოგონალურ სიბრტყეებში განლაგებული გრაგნილების გავლენა ურთიერთგაკომპენსირებულია.

**მაგალითი 5.** ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეებში ურთიერთმართობულად და ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული ურთიერთწანაცვლებული და ურთიერთკომპენსირებული გრაგნილებით შედგენილი გარდამქმნელის ურთიერთინდუქციურობა.

მაგალითის სქემატური ნახაზი მოყვანილია ნახ. 7. ვერტიკალურ სიბრტყეში განთავსებულია  $11'$  და  $22'$  აგ-ბი, ხოლო ჰორიზონტალურ სიბრტყეში  $33'$  და  $44'$  გგ-ბი. აგ და გგ-ის გრაგნილები წინასწარ ურთიერთგაკომპენსირებულია და შემდეგ განთავსებულია ურთიერთმართობულ სიბრტყეებში.



ნახ. 7



ნახ. 8

ასეთი სისტემის ურთიერთინდუქციურობა გამოითვლება გამოსახულებით:

$$M = M_{13} + M_{13'} + M_{13} + M_{13'} + M_{23} + M_{23'} + M_{23} + M_{23'} = \frac{\mu_0 b}{2\pi} \ln \frac{r_{13} \cdot r_{13'} \cdot r_{23} \cdot r_{23'}}{r_{13} \cdot r_{13'} \cdot r_{23} \cdot r_{23'}}$$

იმისათვის, რომ  $33'$  გრაგნილში აღძრული ემძ ნულის ტოლი გახდეს, საჭიროა  $M = 0$ . ეს მიიღწევა მაშინ, როცა ლოგარითმის ქვეშ მდგომი წილადის მრიცხველი და მნიშვნელი ერთმანეთის ტოლი გახდება, ანუ

$$r_{13} \cdot r_{13'} \cdot r_{23} \cdot r_{23'} = r_{13} \cdot r_{13'} \cdot r_{23} \cdot r_{23'}$$

ნახ. 7 მოყვანილი სქემის მიხედვით და გრაგნილების განლაგებიდან გამომდინარეობს, რომ  $r_{13} = r_{23}$ ,  $r_{13'} = r_{23'}$ ,  $r_{23} = r_{13}$ ,  $r_{23'} = r_{13'}$ . ანალოგიური განტოლება დაიწერება  $44'$  გრაგნილისათვის.

ამრიგად, ყველა ოთხი გრაგნილის სრული გაკომპენსირებისათვის საჭიროა შესრულდეს ზემოთ მოყვანილი კომპენსირების პირობები ურთიერთწანაცვლებულ გრაგნილებს შორის. ამის გარდა აგ-ებით გადასაცემი სიგნალები უნდა იყვნენ საპირისპირო ფაზებში და მათი სისწირეები ტოლი.

**მაგალითი 6.** ურთიერთორთოგონალურად განლაგებული სამი მართკუთხა ფორმის გრაგნილების ურთიერთინდუქციურობის კომპენსირების პირობები.

მე-5 მაგალითში დავამტკიცეთ ურთიერთკომპენსაციის არსებობა ურთიერთორთოგონალურ სიბრტყეებში მოთავსებულ და ერთმანეთის მიმართ სივრცეში სიმეტრიულად განლაგებულ ორ მართკუთხა ფორმის გრაგნილებს (გრაგნილები 1 და 2 ნახ. 7) შორის. თუ მათი სიმეტრიის ღერძების  $O_1O'_1$  და  $O_2O'_2$  გადაკვეთის წერტილზე 0 და  $O_1O'_1$  სიმეტრიის ღერძზე გაავლეთ სიბრტყეს, რომელიც მართობული იქნება ჰორიზონტალურად 1 და ვერტიკალურად 2 განთავსებული გრაგნილების სიბრტყეების მიმართ, მაშინ ეს სიბრტყე იქნება 1 და 2 გრაგნილების მიმართ არა მარტო მართობული, არამედ სიმეტრიული სიბრტყე. ამ სიბრტყეებში მოთავსებული *abce* მართკუთხა ფორმის გრაგნილი 3 ასევე იქნება სიმეტრიული (იხ. ნახ. 8). სივრცეში გრაგნილების ასეთ განთავსებას ვუწოდებთ ურთიერთორთოგონალურ განლაგებას. ცალ-ცალკე აღებული ორ-ორი გრაგნილი ურთიერთგაკომპენსირებულია. აქედან გამომდინარეობს, რომ სამივე 1, 2 და 3 გრაგნილები, ზემოთ აღწერილი პირობების დაცვისას, ურთიერთგაკომპენსირებულია. მაშასადამე თითოეულ გრაგნილს შეუძლია დამოუკიდებლად იფუნქციონეროს, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას ტელემექანიკურ სისტემებში.

მოყვანილი ანალიზური გამოსახულებების გამოსათვლელად გამოვიყენებდით სეკვენციალურ მეთოდს, რომელიც ძირითადად ეყდნობა რიცხვითი გამოთვლების მეთოდებს – ექსტრემუმის (მიმინუმის) მიმდევრობითი მრავალბიჯური ძიების განხორციელებას, ყოველი განხორციელებული ბიჯის შემდეგ მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობას ვითვალისწინებთ მომდევნო ბიჯის განხორციელებისათვის და ასე შემდეგ ნულოვანი შედეგის მიღებამდე.

განხილული მაგალითები ცხადყოფენ, რომ ურთიერთინდუქციის გავლენის გაკომპენსირების შემდეგ წრედში ჩართული ყველა კონტური შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც მიმღებ, ასევე გადამცემ ანტენებად სიხშირის ფართო დიაპაზონში (0,05-2,0 მკვ). ურთიერთინდუქციური ტიპის ანტენების გამოყენება უზრუნველყოფს სხვადასხვა გაზომვის, ინფორმაციის მიღება-გადაცემის და დინამიური მართვის ამოცანების გადაჭრას.

**ურთიერთინდუქციური ტიპის შეთავსებული მიმღებ-გადაცემი ანტენების აგების ფიზიკური საფუძვლები, თავისებურებანი და გამოყენების სფეროები**  
*(ო.ლავაძე, თ.მახარაშვილი, გ.მაგლაკელიძე)*

**რეზიუმე**

განხილულია შეთავსებული ურთიერთინდუქციური ტიპის მიმღებ-გადამცემი ანტენების აგების ფიზიკური საფუძვლები და თავისებურებანი. მიღებული შედეგები ეყდნობა სხვადასხვა სახის და სივრცეში განთავსებულ სიმეტრიული ფორმის კონტურებზე ჩატარებულ კვლევებს.

დადგენილი ფიზიკური და კონსტრუქციული თავისებურებანი უზრუნველყოფენ ურთიერთინდუქციური ტიპის შეთავსებული მიმღებ-გადამცემი ანტენების გამოყენებას არა მარტო გაზომვაში და ინფორმაციის მიღება-გადაცემაში (მათ შორის მოძრავ ობიექტებზე), არამედ დინამიური მართვის სისტემის აგებაში.

**ФИЗИЧЕСКИЕ ОСНОВЫ, ОСОБЕННОСТИ И СФЕРЫ ПРИМЕНЕНИЯ  
ВЗАИМОИНДУКТИВНОГО ТИПА СОВМЕЩЕННЫХ ПРИЁМО-ПЕРЕДАЮЩИХ  
АНТЕНН**

*О.ЛАВАДЗЕ, Т.МАХАРАШВИЛИ, Г.МАГЛАКЕЛИДЗЕ*

**Резюме**

Рассмотрены физические основы и особенности построения совмещенных взаимноиндуктивных приёмо-передающих антенн. Полученные результаты основываются на проведенных исследованиях различного вида контуров симметричной формы расположенных в пространстве.

Установленные физические и конструктивные особенности обеспечивают применение совмещенных приёмо-передающих антенн не только для измерения и приемо-передачи

информации (в том числе и на подвижные объекты), но и для построения системы динамического управления.

**PHYSICAL BASICS, FEATURES AND APPLICATIONS OF INTERINDUCTIVE  
COMBINED ANTENNA**

*O.LABADZE, T.MAKHARASHVILI, G.MAGHLAKELIDZE*

**Summary**

The physical principles and features of construction of combined interinductive antennas are considered. The results are based on the researches of different circuits of symmetrical form located in the space.

Established physical and structural features provide the use of combined antenna not only for measurement and reception and transmission of information (including the moving objects), but also for build a system of dynamic control.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. ო.ს.ლაბაძე, მ.ხ.ცერცვაძე, გ.შ. კუბლაშვილი. კომპენსაცია კუთხური გადაადგილების ნახევარწრეწირულ ურთიერთინდუქციურ გარდამქმნელებში საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე. №2 (ტომი 145). 1992წ., გვ. 389-392.
2. М.Н.Калантаров, Л.А.Цейтлин. Расчёт индуктивностей. Справочная книга. – Л.: Энергоатомиздат, 1986 г. -488с.
3. О.С.Лабадзе. Некоторые особенности построения электромагнитных безгистерезисных первичных преобразователей для систем управления. Академия наук Грузии Институт систем управления. Сборник трудов. 1997г., с. 68-69.
4. К.В.Нинидзе, Э.Д.Ивашкович, О.С.Лабадзе. Способ безконтактного измерения скорости подвижного объекта и устройство для его осуществления А.с. СССР 823204. МКИ В 61 L 25/02, G 01 P 3/52. Заявлено 11.10.78, опубликовано 23.04.81, Б.И., №15, 1981 г.
5. К.В.Нинидзе, Э.Д.Ивашкович, О.С.Лабадзе. Антенное устройство для индуктивной дуплексной связи с подвижным объектом. А.с.СССР № 577593. МКИ H04Q 1/32 , G08G 1/00. Заявлено 17.05. 1976, опубликовано 25.10.1977 г., в Б.И., №39.
6. К.В.Нинидзе, Э.Д.Ивашкович, О.С.Лабадзе. Устройство для дуплексной индуктивной связи с подвижным объектом. А.с. СССР № 601735. МКИ G 08 C 19/12. Заявлено 10.05.1976,опубликовано 05.04.1978, Б.И., №13.
7. К.В.Нинидзе, Э.Д.Ивашкович, О.С.Лабадзе. Устройство для дуплексной связи между подвижным объектом и пунктом управления. А.с.СССР № 760154. МКИ G 08 C 19/12, H 04 B 7/10 . Заявлено 02.06.1978, опубликовано 30.08.1980 г., Б.И., №32.
8. О.С.Лабадзе. Антенные устройства для измерения, передачи информации и управления подвижными промышленными объектами. Третья Всесоюзная конференция “Метрологическое обеспечение антенных измерений,”ВКАИ-3. Под общей редакцией члена-корр. АН Армении, д.т.н., профессора Геруни П.М. – Ереван, Всесоюзный научно-исследовательский институт радиофизических измерений ВНИИРИ, 1984 г., с. 327-329.

**სამკოორდინატული ინდუქციური პირველადი გარდამქმნელის აგების  
ზოგადი პრინციპები**

*ო.ლ.აბაძე*


*olabadze@gmail.com*

ცნობილია, რომ მაგნიტოგამტარის გარეშე დამზადებული ელექტრომაგნიტური ინდუქციური პირველადი გარდამქმნელები ხასიათდებიან მნიშვნელოვანი ღირსებებით [1-9]. მათ შორის ძირითადად მიჩნეულია ის, რომ გარდამქმნელების ფუნქციონირების დროს გამოირიცხვება მაგნიტურ ჰისტერეზისისა და სიბლანტის გავლენა გამოსასვლელ მახასიათებელზე, რაც განპირობებულია მაგნიტური გულარის გამოყენებლობით. მართალია, ამ შემთხვევაში გამოსასვლელი ინფორმაციული სიგნალის სიდიდე მნიშვნელოვნად მცირდება, მაგრამ იზრდება მიღებული სიგნალის სიზუსტე, ვინაიდან პირდაპირი და უკუ გადაადგილებისას სივრცის ერთსადაიმთავე წერტილში არ იცვლება დაფიქსირებული სიგნალის მნიშვნელობა. ეს გარემოება კი გვაძლევს შესაძლებლობას მაღალი სიზუსტით ვაკონტროლოთ არა მარტო გადაადგილება, არამედ სიჩქარეც.


სამკოორდინატული ინდუქციური პირველადი გარდამქმნელის აგების ზოგადი პრინციპები ეფუძნება მუდმივი მაგნიტის მიერ გადაადგილებისას შექმნილი სტაციონარული, მაგრამ არაერთგვაროვანი ველის ინდუქციურებას სივრცეში ჩაკეტილ ურთიერთორთოგონალურად და შეთავსებულად განლაგებულ სამ დამოუკიდებელ კონტურში [6].

მნიშვნელოვანია ის, როდესაც ერთდროულად პირდაპირ გასაზომია მოძრავი ელემენტის მექანიკური გადაადგილების და/ან სიჩქარის სამივე ურთიერთორთოგონალური პარამეტრი.

ვინაიდან დამაგნიტების ღერძის მიმართ, მაგალითად, ორი დამაგნიტებული ნახევარსფეროდან (იხ. ნახ. 1) შედგენილი და სიმეტრიულად დამაგნიტებულ მუდმივი მაგნიტის ორპოლუსას (ამღვრძნებ რგოლს) ზედაპირის მაგნიტური ველის განაწილებას აქვს სიმეტრიული კვაზიკოსინუსოიდალური ფორმა (იხ. ნახ. 2), ამიტომ ველი არაერთგვაროვანია. ეს გარემოება იძლევა საშუალებას აღმზნები სფეროს უმნიშვნელო



ნახ. 1. განსხვავებული პოლიარობის მქონე ორი ნახევარსფერული მაგნიტი




ნახ. 2. სფერული ფორმის მაგნიტით შექმნილი მაგნიტური ველი


მობრუნების შემთხვევაშიც კი (პირობით ჩაკეტილ) კონტურში აღძრას ინდუქციის ელექტრომაგნიტური ძალა (მმძ), იმიტომ, რომ იწვევს ნაკადშემის ცვლილებას. ექსპერიმენტულად გამოკვლეული იყო გამზომ კონტურებში აღძრული მმძ გაზრდის კონსტრუქციული ხერხები. ეჭვს არ იწვევს ის, რომ სფეროს ზედაპირზე კონტურების

და მათში შემაგალი გრაგნილის ხეიების რიცხვის გაზრდით მიიღწევა სასურველი შედეგი. თუ ცნობილ სამკოორდინატულ ურთიერთინდუქციურ გარდამქმნელში [1] პირველი გამზომი კონტური განთავსებულია ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრზე, ხოლო ორი სხვა (ფორმით იდენტური კონტური) შესრულებულია პირობითი რვიანის სახით, მაშინ ახალ გარდამქმნელში იცვლება სფერულ ზედაპირზე ამ ორი გამზომი კონტურის განთავსების ტოპოლოგია. ამასთან პირველი კონტურის კონფიგურაცია არ იცვლება, ვინაიდან ის განთავსებულია ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრზე და მისი გამომავალი სიგნალის გაზრდა შესაძლებელია კონტურში შემაგალი ხეიების რიცხვის გაზრდით. ნახ. 3 - ზე მოყვანილია ორიდან ერთ-ერთი იდენტური გამზომი კონტურის შესრულების სქემა. ისრები მიუთითებს მხოლოდ გამზომი კონტურების დახვევის მიმართულებაზე. ნახ. 4 -ზე მოყვანილია იგივე გამზომი კონტურის შემაგალი ერთი ცენტრალური და ორ-ორი ZOX და ZOY სიბრტყეების მიმართ  $d_1$  და  $d_2$  მანძილებზე სიმეტრიულად განთავსებული გამზომი კონტურის სექციები, შესაბამისად. მესამე გამზომი გრაგნილის იდენტური ნაწილები განთავსებულია წინა ნახაზზე მოყვანილი სურათის ანოლოგიურად, მაგრამ სივრცეში წანაცვლებულია მეორე კონტურის მიმართ  $90^\circ$  გრადუსით.

ადვილად დასადგენია, რომ მეორე და მესამე ხუთ-ხუთ სექციანი გამზომი კონტურები (გრაგნილები) დახვეულია პირობითი რვიანის სახით. მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილება იძლევა საშუალებას უზრუნველყოთ არა მარტო ამ კონტურების, არამედ სამივე გამზომი კონტურის ერთმანეთზე დამოუკიდებელი ფუნქციონირება. ექსპერიმენტალური მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ნახ. 2-ზე მოყვანილი სქემით დამზადებული გამზომი კონტური 4-ჯერ გაზრდილ გამომავალ სიგნალს იძლევა.



ნახ. 3. სამი მიმდევრობით შეერთებული ნახევარკალით შედგენილი იდენტური გამზომი კონტურის შესრულების სქემის განთავსება ნახევარსფერულ ზედაპირზე



ნახ. 4. სამი მიმდევრობით შეერთებული ნახევარკალით შედგენილი იდენტური გამზომი კონტურის შესრულების სქემის ზედხედი


ნახ. 5-ზე ნაჩვენებია მძმ-ის მიმართულებები თითოეული გამზომი კონტურის სექციებში აღმზნები რგოლის (მუდმივი მაგნიტი) მობრუნების შემთხვევაში. ღრუ ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრზე დახვეულ 1-1 გრაგნილში (იხ. ნახ. 4) აღძრული მძმ  $\epsilon_{III}$  ერთი მიმართულებისაა და არა თუ არ კომპენსირდება, არამედ ორჯერ ძლიერდება. მეორე 1-2 და მესამე 1-3 გრაგნილებში სიგნალის სიდიდეები გამოითვლება კონტურის თითოეული სექციის მონაკვეთში ინდუცირებული სიგნალების არითმეტიკული ჯამის სახით. ვინაიდან:

მეორე 1-2 და მესამე 1-3 გრაგნილებში, ისევე როგორც ურთიერთინდუქციულ სამკოორდინატულ გარდამქმნელებში [7,9] სიგნალის სიდიდეები გამოითვლება კონტურის თითოეული სექციის მონაკვეთში ინდუცირებული სიგნალების არითმეტიკული ჯამის სახით:

$$\epsilon_{\Sigma}^{II} = 4 \cdot (\epsilon_2 + \epsilon_4 + \epsilon_6) + 2 \cdot (\epsilon^{II} - \epsilon^{IV} + \epsilon^{VI} - \epsilon^{IV} + \epsilon^{VI} - \epsilon^{VI}) = 4 \cdot (\epsilon_2 + \epsilon_4 + \epsilon_6)$$

$$\text{და } \epsilon_{\Sigma}^{III} = 4 \cdot (\epsilon_1 + \epsilon_3 + \epsilon_5) + 2 \cdot (\epsilon^I - \epsilon^I + \epsilon^{III} - \epsilon^{III} + \epsilon^V - \epsilon^V) = 4 \cdot (\epsilon_1 + \epsilon_3 + \epsilon_5).$$


ამიტომ, როგორც ვხედავთ, სიბრტყის ერთნაირ და სიმეტრიულ პოზიციებში მდებარე რკალური ფორმის სექციების პარაზიტული სიგნალები  $\varepsilon^I, \varepsilon^{II}, \varepsilon^{III}, \varepsilon^{IV}, \varepsilon^V$  და  $\varepsilon^{VI}$  მთლიანად აკომპენსირებენ ერთმანეთს, ხოლო  $\varepsilon_1, \varepsilon_3, \varepsilon_5$  და  $\varepsilon_2, \varepsilon_4, \varepsilon_6$ , რომლებიც აღძვრებიან თითოეულ ნაჩვენებ ნახევარწრეწირულ სექციებში, იკრიბება, შესაბამისად.



ნახ. 5. აღმგზნები რგოლის (სიმეტრიული მუდმივი მაგნიტის) მობრუნების შემთხვევაში მძმ-ის მიმართულებები თითოეული გამზომი კონტურების სექციებში

შესაძლებელია პირველად გარდამქმნელში მაგნიტი ჩავანაცვლოთ წრეწირული ტოროიდალური ფორმით დამზადებული აღმგზნები კონტურით და მასში გავატაროთ მუდმივი დენი. ამ შემთხვევაში მაგნიტური ველი ვერ შეაღწევს ნახევარსფეროს შიგნით, ვინაიდან აღძრულ ველს არ გააჩნია მაგნიტური ველის გამტარი თუნდაც თვით მაგნიტის სახით. ამიტომ ვერ მივიღებთ მაგნიტური ძალწირების სასურველ გადანაწილებას გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოვიყენებთ დიდი სიდიდის დენს ან შევამცირებთ გარდამქმნელის გაბარიტულ ზომებს [7].

ინდუქციური სამკოორდინატული გადამწოდის ფუნქციონალური სქემა მოყვანილია ნახ. 6-ზე. აღმგზნებ რგოლს წარმოადგენს სიმეტრიული გეომეტრიული ფორმის მქონე და ღერძსიმეტრიულად დამაგნიტებელი მუდმივი მაგნიტი (მოყვანილ შემთხვევაში  $R_0$ -რადიუსიანი სფერო) (მმ). აღმგზნები რგოლი თავისი გარსაცმით მოთავსებულია ღრუ ნახევარსფეროს შიგნით, ისე რომ სფეროს და ღრუ ნახევარსფეროს ცენტრები ერთმანეთს ემთხვევიან. ინდუქციური გადამწოდის პირველადი გარდამქმნელი 1 კონსტრუქციულად შესრულებულია სფერული ფორმის მოძრავი მუდმივი მაგნიტისაგან მმ და სამი ურთიერთორთოგონალურად და უძრავად განლაგებული (ამასთან, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი) გამზომი გრაგნილებისაგან 1-1, 1-2 და 1-3, რომლებიც დახვეული არიან სხვადასხვა დარაკებიან ღრუ ნახევარსფერულ ზედაპირზე. პირველი გამზომი გრაგნილი 1-1 დახვეულია ღრუ ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრზე. მეორე 1-2 და მესამე 1-3 გამზომი გრაგნილები შეიძლება შევასრულოთ არა მარტო სიმეტრიული რვიანის სახით, რომელიც სრულადაა აღწერილი [1-6], არამედ ორი ან სამი კოჭის ერთობლიობისაგან შედგენილი გრაგნილების სახით (იხ. ნახ. 2.). 1-2 და 1-3 გამზომი გრაგნილების სიმეტრიის ღერძები და სიბრტყეები ერთმანეთის მიმართ დაძრულია  $90^\circ$ -ით და განლაგებულია ნახევარსფეროზე პირველ გამზომ გრაგნილთან ერთად ისე, რომ თითოეული ამ გრაგნილის ყველა უბანი ურთიერთორთოგონალურია სხვა გრაგნილის მიმართ.



ნახ. 6. ინდუქციური სამკოორდინატული გადამწოდის ფუნქციონალური სქემა

სქემოტექნიკურად ინდუქციური სამკოორდინატიანი გადამწოდი შეიცავს პირველად გარდამქმნელს 1 აღმზნები რგოლით 1-1, შესრულებულს სფერული ფორმის მულმივი მაგნიტისაგან. ყოველი გამზომი გრაგნილის 1-1, 1-2 და 1-3 ბოლოები მიერთებულია ორპოზიციური დილაკების 2-1, 2-2 და 2-3 შესასვლელებთან, შესაბამისად, ხოლო მეორე ბოლოები გაერთიანებულია და დამიწებული. ორპოზიციური დილაკების პირველი გამოსასვლელი შეერთებულია ანალოგური მანქანის 3 შესაბამის შესასვლელებთან (საჭიროების შემთხვევაში), ხოლო მეორე გამოსასვლელები – ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელების 3-1, 3-2 და 3-3 პირველ შესასვლელებთან, რომელთა მეორე შესასვლელები შეერთებულია მმართავი სიგნალების მაფორმირებელის 6, შესაბამის გამოსასვლელებთან. 6-ის შესავალი მიერთებულია ტაქტური იმპულსების გენერატორთან 5, რომელიც შეერთებულია ელექტრონული გამომთვლელი მანქანის 4 გამშვებ გამოსასვლელთან. ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელების გამოსასვლელები მიერთებულია შესაბამისი ოპერატიულ-დამამახსოვრებელი მოწყობილობების 7-1, 7-2 და 7-3 საინფორმაციო შესასვლელებთან, ხოლო მათი მეორე შესასვლელები გაერთიანებულია ელექტრონული გამომთვლელი მანქანის ინფორმაციის ამოკითხვის გამოსასვლელთან. 7-1, 7-2 და 7-3 გამოსასვლელები მიერთებულია ელექტრონული გამომთვლელი მანქანის 4 შესაბამის შესასვლელთან.

ინდუქციური სამკოორდინატიანი გადამწოდი მუშაობს შემდეგნაირად: აღმზნები რგოლის 1-1 მუშაობის დროს თითოეულ გამზომ გრაგნილში 1-1, 1-2 და 1-4 აღიძვრება მძმ, რომელიც მიეწოდება 2-1, 2-2 და 2-3 დილაკების მეშვეობით ან პირდაპირ ანალოგურ გამომთვლელ მანქანას (აბმ) (არ არის ნაჩვენები), ან ელექტრონულ გამომთვლელ მანქანას (მბმ). გადამწოდის მუშაობის დაწყებისას, როდესაც მაგნიტი იწყებს მოძრაობას, ინფორმაციული სიგნალი იცვლება. აღმზნები რგოლის გაჩერებისას გამოძავალი სიგნალი განუღდება. ამიტომ ელექტრონული გამომთვლელი მანქანის 4 გამშვები გამოსასვლელიდან ტაქტური იმპულსების გენერატორზე 5 მიეწოდება სიგნალი, რომელიც აძლევს იმპულსების მიწოდების უფლებას სიგნალების მაფორმირებელზე 6. ეს უკანასკნელი კი რთავს ანალოგურ-ციფრულ გარდამქმნელებს 3-1, 3-2 და 3-3. ინფორმაცია უკვე ციფრული ფორმით მიეწოდება ოპერატიულ-დამამახსოვრებელ მოწყობილობებს 7-1, 7-2 და 7-3, რომლებშიც ინფორმაცია ინახება

ელექტრონული გამოთვლელი მანქანის ინფორმაციის ამოკითხვის გამოსასვლელიდან იმპულსის მიღებამდე. მბმ-ში ინფორმაციის გადატანის შემდეგ ოპერაცია მეორდება. სივრცული კოორდინატების მიღწევისას აღმზნები რგოლის იძულებითი გადაადგილება შეწყდება.

ძირითადად ღრუ ნახევარსფეროს და სფერული ფორმის აღმზნები რგოლის დამზადების სიზუსტეზე დამოკიდებულია გადამწოდის სიზუსტე. ასევე მნიშვნელოვანია ნახევარსფერულ ზედაპირზე ღარაკების განლაგების სიზუსტე და ნახევარსფეროს და სფეროს ცენტრების შეთავსება სივრცეში.

მიზანშეწონილია სფერული მაგნიტი დამზადდეს ორი იდენტური ნახევარსფეროსაგან, რომლებიც დამაგნიტებულია ერთნაირად, ხოლო ფუძის მიმართ საპირისპირო მიმართულებით. ეს შეამცირებს დამაგნიტებაზე ელექტრული ენერჯის ხარჯს.

ვინაიდან ინფორმაციული სიგნალის დონე განისაზღვრება შექმნილი მაგნიტური ველის სიდიდით, რომელიც დამოკიდებულია მაგნიტური ფხვნილის დისპერსიაზე, თვით მასალასა და დამაგნიტების ტექნოლოგიურ პროცესზე, ამიტომ, ძვირად ღირებული მაგნიტური ფხვნილის ეკონომიის თვალსაზრისით მაგნიტების ნახევარსფეროები უნდა შესრულდეს ღრუ ფორმის სახით.

ზედაპირული მაგნიტური ველის ინდუქციის განაწილების შენარჩუნებისათვის ნახევარსფეროების ღრუ ფორმა წარმოადგენს სიმეტრიულ ნახევარელიფსოიდს, რომლის უდიდესი ღერძი განლაგებულია და ემთხვევა ნახევარსფეროს ფუძის სიმეტრიის ღერძს და ნაკლებია მის დიამეტრზე.

აღმზნები რგოლის ღრუ ნახევარსფეროს შიგნით მოთავსება განაპირობებს მაგნიტური ენერჯის გაფანტვის შემცირებას და მაგნიტური ველის ცვლილების მაქსიმალურ გამოყენებას საინფორმაციო სიგნალის ფორმირებისათვის.

ცხადია, რომ ინდუქციური პირველადი გარდამქმნელი არ შეიცვლის გამოსასვლელ მასხასიათებლებს, თუ მოძრავი ელემენტები არის გამზომი გრაგნილებიანი ნახევარსფერო, ხოლო უძრავი ელემენტი – აღმზნები რგოლი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ნახევარსფერო და სფერო იქნება ურთიერთმოძრავი, ვინაიდან, სფერული მაგნიტის მასხასიათებელი უცვლელია სივრცის ნებისმიერ წერტილში.

განხილული ინდუქციური პირველადი გარდამქმნელი ანალოგურ გამოთვლით მანქანებში გამოიყენება პირდაპირ, ხოლო მბმ-ში მათი გამოყენება ანალოგურ ციფრული გარდამქმნელის გარეშე შეუძლებელია. ბოლო შემთხვევაში მბმ-ში პერიოდულად უნდა მოდიოდეს სიგნალი, რომელიც აღრიცხავს ანალოგურ ციფრულ გარდამქმნელში ჩაწერილ და დამახსოვრებულ ინფორმაციას.

ასეთი ტიპის სამკოორდინატული ინდუქციური გარდამქმნელები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არა მარტო საჰაერო ტოპოგრაფიული გადაღებისათვის, არამედ მრეწველობის და ტექნიკის სხვა დარგებში, მათ შორის რობოტოტექნიკაში.

## სამკოორდინატული ინფორმაციური პირველადი გარდამქმნელის აბზის ზოგადი პრინციპები

### 1). ლაბაძე

#### რეზიუმე

განხილულია ინდუქციური სამკოორდინატული კენტსექციანი პირველადი გარდამქმნელის აბზის ზოგადი პრინციპები და თავისებურებანი. დადგენილია, რომ გამზომი გრაგნილების განთავსების ტოპოლოგიის ფორმის შერჩევით და ნახევარსფეროზე კენტი ოდენობის სექციების ჩანაცვლების გზით მიიღწევა ზღურბლური მგძნობიარობის და გამოსასვლელი სიგნალის სიდიდის გაზრდა.

**THE GENERAL PRINCIPLES OF CONSTRUCTION OF THE INDUCTIVE THREE-COORDINATE PRIMARY CONVERTER**

*O.LABADZE*

**Summary**

The general principles and features of construction of the inductive three-coordinate hemispherical primary converter with odd quantity of sections of measuring windings are considered. It was established that by means of selection of the form of topology of measuring windings and replacement of odd quantity of sections on hemisphere the increase in a threshold of sensitivity and level of a target signal can be achieved.

**ОБЩИЕ ПРИНЦИПЫ ПОСТРОЕНИЯ ИНДУКЦИОННОГО ТРЁХКООРДИНАТНОГО ПЕРВИЧНОГО ПРЕОБРАЗОВАТЕЛЯ**

*О.ЛАБАДЗЕ*

**Резюме**

Рассмотрены общие принципы и особенности построения индуктивного трёхкоординатного полусферического первичного преобразователя с нечетным количеством секций измерительных обмоток. Установлено, что с помощью подбора формы топологии измерительных обмоток и заменой нечётного количества секций на полусфере может быть достигнуто увеличение порога чувствительности и уровня выходного сигнала.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. ლაბაძე ო.ს., მანჯავიძე პ.შ., ცერცვაძე მ.ზ., კუბლაშვილი გ.შ. Концепция развития взаимноиндуктивных первичных преобразователей для систем управления. Международная конференция РСРЕ-2004. Институт систем управления АН Грузии им.А.Элиашвили. 2004 г., № 8, с.221-225.
2. ლაბაძე ო., ცერცვაძე მ., პ.მანჯავიძე. ურთიერთინდუქციურობა საერთო ცენტრის მქონე წრიულ და სფერულ ზედაპირებზე ბრტყელპარალელურად განლაგებულ ნახევარწრეწირულ კონტურებს შორის. საქართველოს მეცნ. აკად. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები. №9, 2005 წ. გვ. 165-167.
3. Labadze O., Tsertsvadze M. Development and research of contactless 3D hemispherical inter-inductive primary converter of Angular transposition “The 2<sup>nd</sup> International Conference on Control and Optimization with Industrial Applications” BAKU, 2-4.06.2008 წ.
4. ო. ლაბაძე, პ.მანჯავიძე, მ. ცერცვაძე. ინდუქციური სამკოორდინატული ნახევარსფერული ლუწსეკციანი პირველადი გარდამქმნელის აგების პრინციპი. სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები. №12, 2008 წ., გვ. 88-92.
5. ლაბაძე ო.ს. Принципы построения высокочувствительного трёхкоординатного взаимноиндуктивного полусферического первичного преобразователя угловых перемещений. *Международный форум "Новые информационные технологии и менеджмент качества" (NIT&QM), научная конференция: "Датчики и преобразователи информации систем контроля, измерения, и управления"* (28 марта - 04 апреля) 2009 г., ЕГИПЕТ, г. Шарм Эль Шейх, с.94-97.
6. ლაბაძე ო. ელექტრომაგნიტური სამკოორდინაციანი გადამწოდი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქპატენტი” პატენტი P 4703. გამოქვეყნებულია

- სამრეწველო საკუთრების ოფიციალური საინფორმაციო ბიულეტენი 10.02.09წ., 2009 წ., №3 (271), გვ. 38-39.
7. ლაბაძე ო. ურთიერთინდუქციური სამკოორდინატული ნახევარსფერული კენტსექციანი პირველადი გარდამქმნელის აგების პრინციპები და თავისებურებანი. სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები. №13, 2009 წ., გვ. 89-94.
  8. Лабадзе О.С., Лабадзе Т.С., Церцвадзе М.З. Взамоиндуктивная полусферическая трёхкоординатная многосекционная ситема одновременного контроля угловых перемещения и скорости. Труды Муждународной научной конференции посвященной 80 летию со дня рождения академика И.В. Прангишвили. «Информационные и компьютерные технологии, моделирование, управление. Секция: «Проблемы управление». Грузинский Технический Университет. © Издательский дом «Технический университет», 2011 г., стр. 117-120.
  9. ლაბაძე ო., ლაბაძე თ., ცერცვაძე მ., მანჯავიძე პ. **3D**- ტიპის ურთიერთინდუქციური მრავალსექციური პირველადი გარდამქმნელის გამოყენება მექანიკური პარამეტრების ერთდროული კონტროლისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები. თბილისი, №15, 2011 წ., გვ. 128-133.

**მდინარე ენგურის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისების აუცილებლობისა  
და მასთან დაკავშირებული სოციალური და ეკოლოგიური  
პრობლემების შესახებ**

*თ.მაბრაძეშვილიძე, ვ.ჭიჭინაძე, ხ.ლომიძე, ი.არჩუაძე, მ.ჭანიბაშვილი*

*qvelit@rambler.ru*

არაერთხელ აღნიშნულა, რომ ენერგეტიკა, მათ შორის ელექტროენერგეტიკა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების საფუძველს [1]. ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ერთ სულ მოსახლეზე მოსული ელექტროენერჯის წლიური მოხმარება. ამ მაჩვენებლით, რომელიც შეადგენს 1900 კვტ.სთ/სული წ, საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის მეტად არასახარბიელო 98-ე ადგილზე იმყოფება (wikipedia.org; informatsia.ru). ასევე ერთ-ერთი ბოლო ადგილი უჭირავს ამ მაჩვენებლით საქართველოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის (ცხრილი-1). ეს ფაქტი უაღრესად საგანგაშო ვითარებაზე მიუთითებს და, ვფიქრობთ, ამ ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად საჭირო იქნება რადიკალური ზომების გატარება.

**ცხრილი-1**

**ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები გამომუშავებული ელექტროენერჯისა და მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ**

N	ქვეყანა	მოსახლეობის რაოდენობა	გამომუშავებული ელექტროენერჯია 10 <sup>6</sup> კვტ.სთ/წ	გამომუშავებული ელექტროენერჯია ერთ სულ მოსახლეზე, კვტ.სთ/წ	მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე \$/წ	K კვტ.სთ /\$
1	2	3	4	5	6	7
1	ესტონეთი	1 282 963	11 460	8932	19120	0.47
2	რუსეთი	138 739 892	1 040 000	7496	16066	0.47
3	ყაზახეთი	15 522 373	78 400	5051	12485	0.40
4	უკრაინა	45 134 707	172 900	3831	6786	0.56
5	ლიტვა	3 535 547	12 000	3420	15901	0.22
6	ბელარუსია	9 577 552	29 920	3124	13406	0.23
7	თურქმენეთი	4 997 503	15 500	3102	7332	0.42
8	ყირგიზეთი	5 587 443	15 960	2856	2121	1.35
9	აზერბაიჯანი	8 372 373	18 600	2222	10768	0.21
10	ტაჯიკეთი	7 627 200	16 100	2111	1916	1.10
11	ლატვია	2 204 708	4 620	2096	14605	0.14
12	სომხეთი	2 967 975	5 584	1881	5819	0.32
13	საქართველო	4 585 874	7 670	1673	4813	0.35
14	უზბეკეთი	28 128 600	44 800	1593	3060	0.52
15	მოლდავეთი	4 314 400	3 620	840	2300	0.37

შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელ წლებში გატარებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების საგრძნობლად გაუმჯობესება. ამასთან ერთად, არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ელექტროენერგიის გამომუშავების დღევანდელი დონე (დაახლოებით 9 მლრდი კვტ.სთ/წ) მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩვენივე ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს, რომელიც მიღწეულ იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს (თითქმის 15 მლრდი კვტ.სთ/წ). აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ მაშინ დამატებით წარმოებდა ელექტროენერგიის იმპორტი დაახლოებით 4 მლრდი კვტ.სთ/წ. ოდენობით.

ის, რომ დღეს მოსახლეობას შუქი აქვს, არ არის ეკონომიკის განვითარების სრული მაჩვენებელი. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ქვეყანაში არსებული უმუშევრობის უაღრესად მაღალი დონე, რაც, ცხადია, გამოწვეულია საწარმოების არარსებობით ან არსებულის უმოქმედობით. საწარმოთა ფუნქციონირებას კი, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ბაზა სჭირდება.

წარმოდგენელია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა ენერგეტიკული, და, მათ შორის, ელექტროენერგეტიკული ბაზის გარეშე. ამასთან დაკავშირებით ინტერესს იმსახურებს 1 ცხრილის ბოლო სვეტში წარმოდგენილი კოეფიციენტი -K, რომელიც არის ერთ სულ მოსახლეზე გამომუშავებული ელექტროენერგიის ფარდობა ერთ სულ მოსახლეზე მოსულ მთლიან შიდა პროდუქტთან. როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, არსებობს გარკვეული კორელაცია ზემოთ ნახსენებ ორ სიდიდეს შორის, კერძოდ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ -K კოეფიციენტი იცვლება 0.2-დან, 0.5-მდე (ორი გამონაკლისის გარდა). ეს იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ელექტროენერგიის გამომუშავების თანმდევი (შეიძლება წინმსწრები) ზრდის გარეშე.


ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის, რომ უაღრესად განვითარებული ქვეყნებისათვის, როგორებიცაა, მაგალითად, ისლანდია, ნორვეგია, კანადა, ფინეთი, აშშ და სხვა (ასეთი ქვეყნების რაოდენობა ათზე მეტია) ერთ სულ მოსახლეზე მოსული წლიურად გამომუშავებული ელექტროენერგიის მაჩვენებელი 10000 კვტ.სთ/სულიწ. აჭარბებს. განვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთა რიცხვში ევროპისა და აზიის 40-ზე მეტი ქვეყანაა, ეს მაჩვენებელი 5000-10000 კვტ.სთ/სულიწ. ფარგლებშია.

ასე რომ, ელექტროენერგიის გამომუშავების მკვეთრად გაზრდა ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად აქტუალურია. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების თუნდაც დღევანდელ საშუალო დონეს რომ მივაღწიოთ (7-8 ათასი კვტ.სთ/სული წ), საჭირო იქნება 40-45 მლრდი კვტ.სთ/წ. ელექტროენერგიის გამომუშავება. ამ დონის მიღწევა, რასაც, ალბათ, 20-25 წელი მაინც დასჭირდება, შეუძლებელია წყალსაცავიანი ჰესების აშენების გარეშე. ამ ჭრილში განვიხილოთ საქართველოს ერთ-ერთი წყალუხვი და დიდი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მქონე მდინარე ენგური. მდინარე ენგურის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისება დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებში ენგურჰესის მშენებლობით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილი სქემის მიხედვით. აღნიშნული სქემა წარმოდგენილია 1 ნახაზზე [1].

პირველი მძლავრი ელექტროსადგური, რომელიც აშენდა ამ სქემის მიხედვით, არის წყალსაცავიანი და ამავე დროს დერივაციული ენგურჰესი. წყალსაცავი შექმნილი არის მდინარე ენგურზე, დაბა ჯვარის ზემოთ, 271მ სიმაღლის თაღოვანი კაშხლის საშუალებით. აღნიშნული სეზონური რეგულირების წყალსაცავის მთლიანი მოცულობა შეადგენს 1.1 მილიარდ მ<sup>3</sup>, აქედან მარგი მოცულობა არის 676 მილიონი მ<sup>3</sup>. მ წყალსაცავიდან 9.5 მ დიამეტრიც მქონე დაწნევიით გვირაბით, რომლის სიგრძე 15 კმ-ია, წყალი მიეწოდება ენგურჰესის 5 აგრეგატს, თითოეული აგრეგატის სიმძლავრე შეადგენს 250 მგტ. აგრეგატებში ნამუშევარი წყალი ჩაედინება მდინარე ერისწყალში, სადაც 100 მ სიმაღლის კაშხლით შექმნილია მეორე მოცულობა, რომლის ქვემოთ განლაგებულია ოთხი ვარდნილჰესი. ენგურჰესისა და ვარდნილჰესების საერთო სიმძლავრე შეადგენს 1640 მგტ-ს, ხოლო საპროექტო წლიური გამომუშავება 5.12 მლრდ კვტ.სთ-ს. როგორც აღწერილ სქემიდან ჩანს, აღნიშნული ჰიდროკვანძის აშენების შედეგად, მდინარე ენგური გადაგდებულ იქნა მდინარე ერისწყალში. იმ მიზნით, რომ არ მოხდეს ენგურის

წყალსაცავის ქვემოთ კალაპოტის გაუწყლოება, პროექტით გათვალისწინებულია წყლის სანიტარული გაშვებები ენგურის კალაპოტში 145 მილიონი მ<sup>3</sup> წელიწადში მოცულობით

1 ნახაზზე წარმოდგენილი სქემის თანახმად, როექტით გათვალისწინებულია ასევე სეზონური რეგულირების წყალსაცავიანი ხუდონჰესის აშენება, სიმძლავრით 700 მგტ, წლიური გამომუშავებით 1,65 მილიარდი კვტ.სთ წელიწადში. ხუდონჰესის ზემოთ – თობარის წყალსაცავიანი სეზონური რეგულირების ჰესი, სიმძლავრით 600 მგტ, წლიური გამომუშავებით 2,18 მილიარდი კვტ.სთ. უკანასკნელ ზემო საფეხურს კასკადისა წარმოადგენს ფარიჰესი, სიმძლავრით 140 მგტ, გამომუშავებით 570 მილიონი კვტ.სთ წელიწადში. აღნიშნული პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო აგრეთვე რამდენიმე მცირე ჰესის მშენებლობა მდინარე ენგურზე და მის შენაკადებზე. წარმოდგენილი სქემის განხორციელების შედეგად მოხდება მდინარე ენგურის სრული დარეგულირება, რის შედეგადაც საერთო სიმძლავრე იქნება 3.2 მილიონი კვტ, ხოლო წლიური გამომუშავება 10 მილიარდი კვტ.სთ.



ნახ.1. მდინარე ენგურის ენერგეტიკული რესურსების ათვისების სქემა

წარმოდგენილმა სქემამ შემდგომში რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება, ძირითადად სოციალური და ეკოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თუმცა ძირითადი არსი ენგურჰესის ათვისებისა, შეიძლება ითქვას, უცვლელი დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ ენგურჰესის ექსპლოატაციაში შეყვანის შემდეგ, გასული საუკუნის 80-იან წლებში უკვე დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობა. ჩატარებული იყო საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს “მწვანეების”

კატეგორიული მოთხოვნით, მშენებლობა შეჩერდა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ “მწვანეების” აქტიურობის გარეშე, 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად ხულონჰესის მშენებლობა მაინც შეწყდებოდა.

ახლახან დღის წესრიგში ისევ დადგა ხულონჰესის მშენებლობის განახლების საკითხი, კვლავ, ისევე, როგორც ორი ათეული წლის წინ, ატყდა ხმაური იმის თაობაზე, თუ სოციალურად და ეკოლოგიურად რამდენად გამართლებულია აღნიშნული ჰესის, და, საერთოდ, წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობა. საკითხი, ცხადია, უაღრესად აქტუალურია და ოპტიმალურ გადაჭრას მოითხოვს.

სამწუხაროდ, არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს, ამა თუ იმ სტრატეგიული მიზნების განხორციელების დროს, უწევს მოსახლეობის გადასახლება ერთი ადგილიდან მეორეზე. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევებში მაქსიმალური ზომები უნდა იქნეს გატარებული, რომ მინიმუმამდე დავიდეს მოსახლეობის მიგრაცია. ამასთან ერთად, ასეთი ღონისძიების აუცილებლობის შემთხვევაში, როგორც სახელმწიფოს, ისე ინვესტორის მხრიდან ყველა ღონე ინდა იქნეს გაწეული, იმისათვის რომ მოსახლეობას, რომელთაც საცხოვრებელი ადგილიდან გადანაცვლება უწევს, სრულად დაუკმაყოფილდეს მოთხოვნები და ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლით მათი ცხოვრების პირობები კი არ გაუარესდეს, არამედ გაუმჯობესდეს მკვეთრად. ეს, ცხადია, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ სახელმწიფომ ასეთი ხარჯების გაწევისაგან თავი არ უნდა შეიკავოს.

რაც შეეხება ეკოლოგიურ საკითხებს, ბუნებრივია, რომ ადამიანის ყოველგვარი ზემოქმედება გარემოზე საციცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით აუცილებლად წარმოშობს ამ პრობლემას. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით: მინიმალური ზარალი – მაქსიმალური სიკეთე.

საერთოდ, მდინარეებზე, და, მათ შორის ენგურზე, წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობა დაკავშირებულია რამდენიმე ეკოლოგიურ პრობლემასთან. ეს პრობლემებია:

**წყალსაცავის შევსებითა და დაცლით გამოწვეული შესაძლო პროვოცირება მიწისძვრისა.** ამ პრობლემის გადასაჭრელად დაგროვილია საკმარისი გამოცდილება და შემუშავებულია სათანადო რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით სერიოზულ პრიბლემებს თავიდან აგვაცილებს.

**ნიადგის ეროზია.** როგორც სხვა წყალსაცავიანი ჰესების გამოცდილება გვიჩვენებს, ამ მხრივ, სერიოზული, გადაუჭრელი პრობლემები არ უნდა წარმოიქმნას. თუმცა, დარგის სპეციალისტების მიერ პრობლემის შესწავლა და მუდმივი მონიტორინგი აუცილებელი იქნება.

**მიკროკლიმატის შეცვლა.** რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსებობს გამოკვლევები, რომელთა თანახმად, ისეთი მასშტაბის წყალსაცავის აგება, როგორც ხულონჰესის წყალსაცავი იქნება, მიკროკლიმატის მნიშვნელოვან ცვლილებას არ გამოიწვევს. ამასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წყალსაცავიდან სულ რაღაც 100 კილომეტრის მოშორებით არსებობს უზარმაზარი “წყალსაცავი”-შავი ზღვა, მიკროკლიმატის მნიშვნელოვან ცვლილებაზე საუბარი, ვფიქრობთ, არასერიოზულია.

**შავ ზღვაში მყარი ნატანის შემცირება და ამის შედეგად ზღვის შემოტევა სანაპირო ზოლზე.** ზოგადად, ეს პრობლემა ყველაზე აქტუალურად შეიძლება ჩაითვალოს. სანაპირო ზოლზე ასეთი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად არსებობს ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი, როგორცაა სატრანსპორტო საშუალებებით მყარი ნატანის ჩატანა და ზღვის სანაპიროზე დაყრა. ეს, რა თქმა უნდა, აძვირებს ჰესში გამომუშავებული ელექტროენერჯის თვითღირებულებას, მაგრამ მისი გამოყენება სრულიად გამართლებულად ითვლება.

ხულონის წყალსაცავის, ისევე, როგორც ენგურის კასკადზე სხვა წყალსაცავების აგების შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული პრობლემა შესუსტებულია, იმის გამო, რომ, ენგურჰესის წყალსაცავის აშენების შემდეგ პრაქტიკულად გადაიკეტა გზა მყარი ნატანების ჩატანისა შავ ზღვაში და ამ წყალსაცავის ზემოთ ახალი წყალსაცავების აგება საერთო სურათს ვეღარ შეცვლის. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, შავ ზღვაში, ენგურის შესართავთან, სანაპირო ზოლთან ახლოს არის დიდი კანიონი, რომელშიც უკვალოდ იკარგება მყარი

ნატანის უდიდესი ნაწილი. ასე რომ, ხუდონის წყალსაცავის აგება ზღვის სანაპიროზე მყარი ნატანის დეფიციტის თვალსაზრისით ახალ პრობლემებს ევლარ შექმნის.

**მდინარე ენგურის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისების აუცილებლობისა და მასთან დაკავშირებული სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების შესახებ**

*თ.მაგრაკველიძე, ვ.ჭიჭინაძე, ხ.ლომიძე, ი.არჩუაძე, მ.ჯანიკაშვილი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების დღევანდელი დონე. ნაჩვენებია, რომ ელექტროენერჯის გამომუშავების მხრივ საქართველო მკვეთრად ჩამორჩება არა მხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. აღნიშნულია რომ, ელექტროენერგეტიკის განვითარება საქართველოში უნდა მოხდეს ძირითადად ჰიდროენერგორესურსების ათვისების ხარჯზე.

განალიზებულია მდინარე ენგურის ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების არსებული სქემა და ამ სქემის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები. ნაჩვენებია, რომ ენგურის ჰიდროენერგო პოტენციალის ათვისებას წყალსაცავიანი ჰესებით ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ ამასთან ერთად, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა.

**ABOUT NECESSITY OF USAGE OF ENERGETIC POTENTIAL OF RIVER EN-GURI AND SOCIAL AND ECOLOGICAL PROBLEMS RELATED**

*T.MAGRAKVELIDZE, V.CHICHINADZE, KH.LOMIDZE, I.ARCHUADZE, M.JANIKASHVILI*

**Summary**

Current level of development of Georgian electric power engineering is reviewed in the paper. It is shown that in electric power generation Georgia is far from leading countries, and is on the one of the last positions among former Soviet countries. It is mentioned that in the future electric power generation in Georgia should be increased due to hydro power plants.

It is analyzed the existing scheme of usage of hydro energetic potential of river Enguri and the problems related to implementation of this scheme. It is shown that there is no alternative of hydro power production with dams on the river Enguri, but together with this social and ecological problems should be solved.

**О НЕОБХОДИМОСТИ ОСВОЕНИЯ ЭНЕРГЕТИЧЕСКОГО ПОТЕНЦИАЛА РЕКИ ИНГУРИ И СВЯЗАННЫХ С ЭТИМ СОЦИАЛЬНЫХ И ЭКОЛОГИЧЕСКИХ ПРОБЛЕМАХ**

*Т.МАГРАКВЕЛИДЗЕ, В.ЧИЧИНАДЗЕ, Х.ЛОМИДЗЕ, И.АРЧУАДЗЕ, М.ДЖАНИКАШВИЛИ*

**Резюме**

В статье рассмотрен сегодняшний уровень развития электроэнергетической системы Грузии. Показано, что по выработке электроэнергии Грузия значительно отстает не только от развитых стран мира,

но и находится на одном из последних мест среди стран бывшего Советского Союза. Отмечено, что развитие электроэнергетики в Грузии должно быть основано на освоение гидроресурсов.

Проанализированы существующая схема освоения гидроэнергоресурсов реки Ингури и проблемы связанные с осуществлением этой схемы. Показано, что освоение потенциала Ингури путем построения ГЭС с водохранилищами не имеет альтернативы, но, при этом, максимально должны быть учтены социальные и экологические проблемы.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. მაგრაქველიძე თ., ჭიჭინაძე ვ., ლომიძე ხ., მიქაშავიძე ა., ჯანიკაშვილი მ., არჩუაძე ი. საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების ზოგიერთი აქტუალური საკითხის შესახებ ა.გლიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი. შრომათა კრებული. თბილისი, 2011, გვ.134-140.
2. Чоговадзе Г.И., Хачатурян Р.А. Использование нетрадиционных возобновляемых источников в энергетике Грузинской ССР. Мецниерева. 1989. 247с.

**კარმანის მუდმივას შესახებ ტურბულენტურ ნაკადში სიჩქარეთა  
განაწილების ლობარითმულ ფორმულაში**

*თ.მაბრაქველიძე*

*qvelit@rambler.ru*

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ლ.პრანდტლის, თ.კარმანის და ი.ნიკურაძის ძალისხმევით ჩამოყალიბდა ტურბულენტური დინების ნახევრად ემპირიული თეორია, რომელსაც საფუძვლად დაედო პრანდტლის შერევის მანძილის ჰიპოტეზა [1,2]. სასაზღვრო შრეში ტურბულენტური დინების გამარტივებულ განტოლებას როგორც ცნობილია აქვს შემდეგი სახე:

$$\tau = \tau_\delta + \tau_\delta = \rho \nu \frac{du}{dy} - \rho u'v', \quad (1)$$

სადაც  $\tau$  არის სრული მხეები ძაბვა,  $\tau_\delta$  – სითხის სიბლანტით გამოწვეული მხეები ძაბვა,  $\tau_\delta$  – ტურბულენტური მხეები ძაბვა,  $\rho$  – სითხის სიმკვრივე,  $\nu$  – სიბლანტის კინემატიკური კოეფიციენტი,  $u$  – სითხის გასაშუალებული სიჩქარე,  $y$  – მანძილის მილის კედლიდან,  $u'$  – სიჩქარის გრძივი პულსაციები,  $v'$  – სიჩქარის განივი პულსაციები.

ლ.პრანდტლის შერევის თეორიის თანახმად:

$$-u'v' = l^2 \left( \frac{du}{dy} \right)^2, \quad (2)$$

სადაც  $l$  არის შერევის მანძილი.

აღნიშნული თეორია სამართლიანია მილში დინების დროს ტურბულენტური ბირთვისათვის, სადაც  $\tau_\delta \gg \tau_\delta$ . ამის გათვალისწინებით (2) ფორმულის (1)-ში ჩასმით მივიღებთ:

$$\tau = \tau_\delta = \rho l^2 \left( \frac{du}{dy} \right)^2. \quad (3)$$

პრანდტლის ჰიპოტეზის თანახმად

$$l = k y, \quad (4)$$

სადაც  $k$  არის კარმანის მუდმივა.

(4)-ის გათვალისწინებით, (3) ფორმულიდან მიიღება ე.წ. სიჩქარის დეფიციტის ფორმულა:

$$\frac{u_{\max} - u}{u_\tau} = \varphi_{\max} - \varphi = \frac{1}{k} \ln \frac{\eta_0}{\eta}, \quad (5)$$

სადაც  $\varphi_{\max} = \frac{u_{\max}}{u_\tau}$  არის უგანზომილებო სიჩქარე მილის ცენტრში,  $\varphi = \frac{u}{u_\tau}$  -

უგანზომილებო სიჩქარე,  $\eta_0 = \frac{R_0 u_\tau}{\nu}$  - უგანზომილებო მანძილი კედლიდან მილის


ცენტრამდე,  $u_\tau = \sqrt{\tau_\delta / \rho}$  - დინამიური სიჩქარე,  $\eta = \frac{y u_\tau}{\nu}$  - უგანზომილებო მანძილი

კედლიდან,  $u_{\max}$  - სიჩქარე მილის ცენტრში,  $R_0$  - მილის რადიუსი,  $\tau_\delta$  – მხეები ძაბვის მნიშვნელობა კედელთან.

ი.ნიკურაძემ ზემოთ მოყვანილი თეორიის, საკუთარ ექსპერიმენტულ მონაცემებთან შედარების საფუძველზე მიიღო, რომ  $k=0.4$ . ამის შემდეგ სხვადასხვა ავტორთა მიერ შემოთავაზებული იყო  $k$ -ს სხვადასხვა მნიშვნელობები, მათ შორის თეორიულად დასაბუთებულებიც [3,4].

[5] სამუშაოში აღნიშნული იყო, რომ კარმანის მუდმივა იძენს გარკვეულ ფიზიკურ აზრს, თუ დავუშვებთ, რომ  $k=e^{-1}$ . ამასთან ერთად, როგორც  $1$  ნახაზიდან ჩანს, (5) ფორმულა უკეთეს თანხვედრაშია ნიკურაძის ექსპერიმენტულ მონაცემებთან იმ

შემთხვევაში, როდესაც  $k=e^{-1}$  ტურბულენტური ბირთვის გარე საზღვრის არეში. ტურბულენტური ბირთვის ცენტრალურ ნაწილში (5) ფორმულა ზემოთ აღნიშნული  $k$ -ს ორივე მნიშვნელობის შემთხვევაში ოდნავ უფრო მაღლაა ექსპერიმენტულ მონაცემებთან შედარებით. ამ განსხვავების მიზეზი ახსნილი იყო [5] გამოკვლევაში.



ნახ.1. სინქარის დეფიციტის დამოკიდებულება მილის კედლიდან ფარდობით მანძილზე.

1. (5) ფორმულის მიხედვით,  $k=e^{-1}$ ; 2. (5) ფორმულის მიხედვით,  $k=0.4$ .

ინიკურადის ექსპერიმენტული მონაცემები:

3.  $Re=4 \cdot 10^3$ ; 4.  $Re=6.1 \cdot 10^3$ ; 5.  $Re=43.4 \cdot 10^3$ ; 6.  $Re=2.05 \cdot 10^3$ ; 7.  $Re=3.24 \cdot 10^3$ .

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, მილში მაქსიმალური სინქარიდან საშუალო სინქარის დეფიციტის საკითხი. როგორც ცნობილია, საშუალო სინქარე გამოსახება ფორმულით:

$$\bar{u} = \frac{Q}{f}, \quad (6)$$

სადაც  $Q$  არის სითხის ხარჯი,  $f$  – მილის განიკვეთის ფართი.

როგორც ცნობილია, საშუალო სინქარე

$$\bar{u} = \frac{1}{f} \int_0^{R_0} u \cdot 2\pi r \, dr \quad (7)$$

(5)-ის გათვალისწინებით (7)-ის ინტეგრების შედეგად მივიღებთ, რომ

$$\bar{u} = u_{\max} - \frac{3}{2k} u_{\tau}, \quad (8)$$

ახ

$$\frac{u_{\max} - \bar{u}}{u_{\tau}} = \frac{3}{2k} \quad (9)$$

ცხადია, იმ შემთხვევაში, როდესაც  $k=0.4$

$$\frac{u_{\max} - \bar{u}}{u_{\tau}} = 3.75 \quad (10)$$

(10)-გან განსხვავებით, ინიკურადის ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად

$$\frac{u_{\max} - \bar{u}}{u_{\tau}} = 4.07 \quad (11)$$

იმ შემთხვევაში, როდესაც  $k=e^{-1}=0.368$

$$\frac{u_{\max} - \bar{u}}{u_{\tau}} = 4.077, \quad (12)$$

რაც შესანიშნავ თანხვედრაშია ინიკურადის ექსპერიმენტულ მონაცემებთან.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კარმანის მუდმივას შემოთავაზებული მნიშვნელობა –  $k=e^{-1}=0.368$  კარგ შედეგებს იძლევა ექსპერიმენტული მონაცემების განზოგადების თვალსაზრისით.

**კარმანის მუდმივას შესახებ ტურბულენტურ ნაკაღში სიჩქარეთა  
ბანაწილების ლოგარითმულ ფორმულაში**

*თ.მაგრაქველიძე*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ცილინდრულ მილში სითხის დინების დროს ტურბულენტურ ბირთვში სიჩქარეთა განაწილების საკითხები. ნაჩვენებია, რომ, შერევის მანძილის თეორიაზე დაფუძნებული სიჩქარეთა განაწილების ლოგარითმული ფორმულის თანხვედრა ექსპერიმენტულ მონაცემებთან გაცილებით უკეთესია იმ შემთხვევაში, როდესაც კარმანის მუდმივა  $k=e^{-1}=0.368$ , ვიდრე მაშინ, როდესაც  $k=0.4$ .

**ABOUT KARMAN CONSTANT IN THE LOGARITHMIC FORMULA OF VELOCITY  
DISTRIBUTION IN THE TURBULENT FLOW**

*T.MAGRAKVELIDZE*

**Summary**

Some issues of velocity distribution in the turbulent bulk in case of liquid flow in the cylindrical pipe are considered in the paper. It is shown that coincidence with experimental data of logarithmic formula of velocity distribution based on the theory of mixing range is better when Karman constant  $k=e^{-1}=0.368$ , than in case when  $k=0.4$ .

**О ПОСТОЯННОЙ КАРМАНА В ЛОГАРИТМИЧЕСКОЙ ФОРМУЛЕ  
РАСПРЕДЕЛЕНИЯ СКОРОСТЕЙ В ТУРБУЛЕНТНОМ ПОТОКЕ**

*Т.МАГРАКВЕЛИДZE*

*Резюме*

В статье рассмотрены вопросы, распределения скоростей в турбулентном ядре потока, при течении жидкости в цилиндрической трубе. Показано, что соответствие полученной на основе теории пути перемешивания логарифмической формулы с экспериментальными данными гораздо лучше при значении постоянной Кармана -  $k=e^{-1}=0.368$ , чем случае, когда  $k=0.4$ .

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Nikuradze I. Gesetzmässigkeiten deer turbuleten stromung in glaten rohren. Forschungsheft, 356, 1932.
2. Прандтль Л. Гидродинамика. Изд. ИЛ,М. 1949, 520 с.
3. Шлихтинг Г. Теория пограничного слоя. Изд. Наука. М., 1969, 742с.
4. Кутателадзе С. Пристенная турбулентность. Наука. Новосибирск, 1973, 227с.
5. Маграквелидзе Т.Ш. //О распределении скоростей в ядре турбулентного потока в круглой трубе. Институт системы управления им. А.И.Елиашвили Сборник трудов. 2000, Тбилиси, с.73-78.

## პრანდტლის რიცხვის გავლენა თბოგაცემაზე სარევიან აპარატში

თ.მაგრაძველიძე, ნ.ბანცაძე, ნ.ჯეკვიციანი, ხ.ლომიძე,

ა.მიქაშავიძე, ჯ.რუსიშვილი

qvelit@rambler.ru

იმის გამო, რომ სარევიანი აპარატები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებში, თბოგაცემის ინტენსიფიკაცია ასეთ აპარატებში ძალზე აქტუალური პრობლემაა.

ავტორთა მიერ ადრე ჩატარებულ გამოკვლევებში ნახვენები იყო, რომ ასეთ აპარატებში თბოგაცემ ზედაპირზე ხელოვნური ხაოიანობის შექმნა განაპირობებს თბოგაცემის მნიშვნელოვან ინტენსიფიკაციას [1,2]. აღნიშნულ გამოკვლევებში თბოგადამტანად გამოყენებული იყო დისტილირებული წყალი, შესაბამისად პრანდტლის (Pr) რიცხვის დიაპაზონი იყო საკმაოდ მცირე და იცვლებოდა 2-დან 6-მდე. ცხადია, ინტერესს წარმოადგენს გამოკვლევის ჩატარება პრანდტლის რიცხვის უფრო ფართო დიაპაზონში. ამ მიზნით ექსპერიმენტულ დანადგარზე, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი [1,2] გამოკვლევებში, ჩვენ მიერ ჩატარდა ექსპერიმენტები, რომელშიც თბოგადამტანად გამოყენებული იყო ტრანსფორმატორის ზეთი.

ექსპერიმენტებში თბოგაცემ ელემენტად გამოყენებული იყო უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული რგოლის ფორმის მქონე მილი, რომელიც ხურდებოდა მასში დაბალი ძაბვის ელექტროდენის უშუალო გატარებით. ექსპერიმენტები ტარდებოდა როგორც გლუვი, ისე ხაოიან ზედაპირებზე. ხაოიანობა იქმნებოდა თბოგაცემ მიღზე სხვადასხვა დიამეტრის მქონე მავთულის სხვადასხვა ბიჯით დახვევის შედეგად. რეინოლდის იცვლებოდა დიაპაზონში 5000 – 250000, ხოლო პრანდტლის რიცხვი 2-დან 75-მდე. ექსპერიმენტები ჩატარდა სხვადასხვა დიამეტრის სარევიანობის და სხვადასხვა ხაოიანობის გეომეტრიული პარამეტრების მქონე ზედაპირებისათვის. მიღებული შედეგების ნაწილი კოორდინატებში (A,Re) წარმოდგენილია ნახ.1-ზე. აღნიშნულ ნახაზზე წარმოდგენილია შედეგები როგორც გლუვი, ისე ხაოიანი ზედაპირებისათვის.

ნახ.1-ზე მთლიანი ხაზები 1, 2 შეესაბამება [1] გამოკვლევაში მიღებულ კრიტერიულ განტოლებას, რომელსაც ასეთი სახე აქვს:


$$Nu = 0.82 Re^{0.62} Pr^{0.33} \left(\frac{D}{d}\right)^{0.35} \left(\frac{D}{H}\right)^{0.25} \left(\frac{25b}{H}\right)^{0.35} \left(1 + \frac{|\Delta H|}{b}\right)^{-0.12} \left(\frac{Z}{2}\right)^{0.35} \left(\frac{\mu}{\mu_j}\right)^{0.14} \varepsilon_{th} \quad (1)$$

სადაც გლუვი ზედაპირის შემთხვევაში  $\varepsilon_{th} = 1$ , ხოლო ორგანზომილებიანი ხაოიანობის ეფექტის სრული გამოვლინების დროს

$$\varepsilon_{th} = Pr^{0.05} \left(\frac{D}{d}\right)^{-0.15} \left(1 + \frac{|\Delta H|}{b}\right)^{0.1} \left(\frac{Z}{2}\right)^{-0.1} (1 + 0.2(s/h) \exp(-0.1(s/h))). \quad (2)$$

როგორც გრაფიკიდან ჩანს, თბოგაცემ ზედაპირზე ხელოვნური ხაოიანობის შექმნა განაპირობებს თბოგაცემის მნიშვნელოვან ინტენსიფიკაციას როგორც დისტილირებული წყლის (პრანდტლის მცირე მნიშვნელობები), ისე დიდი პრანდტლის რიცხვის მქონე ტრანსფორმატორის ზეთისათვის.

აღნიშნულ ექსპერიმენტებში დაფიქსირდა ხაოიანობის ეფექტის როგორც ნაწილობრივი, ისე სრული გამოვლინების რეჟიმები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტრანსფორმატორის ზეთის შემთხვევაში ხაოიანობის გამოვლინების რეჟიმი იწყება რეინოლდის უფრო დაბალი მნიშვნელობების დროს, ვიდრე წყლის შემთხვევაში. ეს გაპირობებულია იმით, რომ დიდი პრანდტლის რიცხვის მქონე სითხეების შემთხვევაში თერმიული წინაღობა პრაქტიკულად მთლიანადაა თავმოყრილი ბლანტ ქვეშრეში, რომლის შემფოთება ან გათხელება შესაძლებელია ხაოიანობის ელემენტების მცირე სიმაღლის შემთხვევაშიც.



ნახ.1. თბოგაცემის ინტენსიურობის დამოკიდებულება რეინოლდსის რიცხვზე. გლუვი ზედაპირი:

1 - ზეთი, Pr=42; 2 - წყალი, Pr=3.

ხაოიანი ზედაპირები:

3 - ზეთი, Pr=42, h=13მ, s/h=10; 4 - წყალი, Pr=3, h=1.4მ, s/h=7;

I - (1) ფორმულის მიხედვით, გლუვი ზედაპირისათვის;

II - (1) ფორმულის მიხედვით ხაოიანო ზედაპირისათვის.


ნახ.2-ზე ლოგარითულ კოორდინატებში  $Nu=f(Re)$  წარმოდგენილია ექსპერიმენტების შედეგები, რომლებიც მიღებულია რგოლის ფორმის მილის თბოგაცემის პროცესის შემთხვევაში. აღნიშნულ ექსპერიმენტებში ხაოიანობის ელემენტების სიმაღლე  $h=2$ მმ, ხოლო ხაოიანობის ელემენტებს შორის ბიჯის ფარდობა მათ სიმაღლესთან -  $s/h=10$ . თბომტარად გამოყენებული იყო დისტილირებული წყალი და ტრანსფორმატორის ზეთი. რეინოლდსის რიცხვი იცვლებოდა 6 000-დან 65 000-მდე, ხოლო პრანდტლის რიცხვი 2-დან 60-მდე. ტრანსფორმატორის ზეთის შემთხვევაში სითხის დონე ჭურჭელში შეადგენდა 170 მმ-ს, ხოლო წყლის შემთხვევაში - 250მმ-ს.

როგორც წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, თბომტარის Pr რიცხვის ზრდით მნიშვნელოვნად იზრდება ორგანოზომილებიანი ხაოიანობის მქონე ზედაპირის თბოგაცემის ინტენსიურობა.

ადრე ჩატარებული გამოკვლევებით [1,2] თბომტარად დისტილირებული წყლის გამოყენების შემთხვევაში (Pr=2.6) დადგენილი იყო, რომ ხაოიანი ზედაპირების შემთხვევაში თბოგაცემის ინტენსიურობა

$$Nu \sim Pr^{0.38} \quad (3)$$

ნახ.2-ზე წარმოდგენილი შედეგები ადასტურებენ, რომ (3) დამოკიდებულება სამართლიანია Pr რიცხვის გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობების შემთხვევაშიც.



ნახ.2. ხაოიანი ზედაპირის თბოგაცემის ინტენსიურობის დამოკიდებულება Re რიცხვზე (თბომტარი – ტრანსფორმატორის ზეთი, წყალი)

ნახ.3-ზე ლოგარითმულ კოორდინატებში  $A=f(Re)$  წარმოდგენილია ექსპერიმენტების შედეგები, რომლებიც მიღებულია ტრანსფორმატორის ზეთისათვის თბოგამცემი ზედაპირის ხაოიანობის ელემენტების სხვადასხვა სიმაღლის ( $h=1\text{მმ}$ ,  $h=2\text{მმ}$ ) შემთხვევაში. ამ ექსპერიმენტებში  $Pr=42$ , ხოლო ხაოიანობის გომეტრიული პარამეტრი –  $s/h=10$ .

როგორც ნახ.3-ზე წარმოდგენილი შედეგებიდან ჩანს, თბოგამცემი ზედაპირის ხაოიანობის ელემენტების სიმაღლე პრაქტიკულად არავითარ გავლენას არ ახდენს თბოგაცემის ინტენსიურობაზე.

აღსანიშნავია, რომ ნახ.2, ნახ.3 და ნახ.4-ზე წარმოდგენილი შედეგების თანახმად თბოგაცემის ინტენსიურობა


$$A \sim Re^{0.66} \quad (4)$$

ამასთან ერთად, ჩვენ მიერ ადრე გამოქვეყნებულ გამოაკვლევებში დადგენილ იყო, რომ სითხის ტურბულენტური არევის დროს ხაოიანობის სრული გამოვლინების რეჟიმში თბოგაცემის ინტენსიურობა

$$A \sim Re^{0.62} \quad (5)$$


ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ ნახაზებზე წარმოდგენილი შედეგები განეკუთვნება ხაოიანობის ნაწილობრივი გამოვლინების რეჟიმს. მეორე მხრივ, ზემოთ აღნიშნულ გამოკვლევებში დადგენილ იყო, რომ თბომტარად დისტილირებული წყლის შემთხვევაში ხაოიანობის ნაწილობრივი გამოვლინების რეჟიმში, ნახ.3-ზე წარმოდგენილი შედეგებისაგან განსხვავებით, თბოგაცემის ინტენსიურობა იზრდება ხაოიანობის ელემენტების სიმაღლის ზრდით. აღნიშნული განსხვავების მიზეზის დასდგენად სასურველია შემდგომი კვლევების ჩატარება.

ნახ.4-ზე ლოგარითმულ კოორდინატებში  $A=f(Re)$  წარმოდგენილია ექსპერიმენტების შედეგები, რომლებიც მიღებულია ტრანსფორმატორის ზეთისათვის თბოგამცემი ზედაპირის ხაოიანობის გომეტრიული პარამეტრების სხვადასხვა მნიშვნელობების ( $s/h=5$ ,  $s/h=10$ ) დროს. ამ ექსპერიმენტებში  $Pr=42$ , ხოლო ხაოიანობის ელემენტების სიმაღლე –  $h=2\text{მმ}$ .



ნახ.3. ხაოიანი ზედაპირის თბოგაცემის ინტენსიურობის დამოკიდებულება Re რიცხვზე

როგორც აღნიშნული ნახაზიდან ჩანს, თბოგაცემის ინტენსიურობა ხაოიანი ზედაპირისა, რომლის გეომეტრიული პარამეტრი –  $s/h=5$ , ოდნავ აღემატება იმავე სიდიდეს, როცა გეომეტრიული პარამეტრი –  $s/h=10$ .



ნახ.4. ხაოიანი ზედაპირის თბოგაცემის ინტენსიურობის დამოკიდებულება Re რიცხვზე

აღნიშნული ტენდენცია შეინიშნებოდა ადრე ჩატარებულ, ზემოხსენებულ გამოკვლევებში, როდესაც თბომტარად გამოყენებული იყო დისტილირებული წყალი. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ არსებში ტურბულენტური დინების დროს, ორგანოზომილებიანი ხელოვნური ხაოიანობის მეთოდით თბოგაცემის მაქსიმალური ინტენსიფიკაცია მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც  $s/h=12-14$  [3]. აღნიშნული განსხვავების ახსნა დღეისათვის არსებული მონაცემებით ვერ ხერხდება. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით საჭირო იქნება შემდგომი ექსპერიმენტული და თეორიული გამოკვლევების ჩატარება.

### **პრანდტლის რიცხვის გავლენა თბოგაცემაზე სარევიან აპარატში**

*თ.მაგრაქველიძე, ნ.ბანცაძე, ა.მიქაშავიძე, ნ.ლექვეიშვილი, ჯ.რუსიშვილი, ხ.ლომიძე*  
**რეზიუმე**

სტატიაში წარმოდგენილია ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები, რომელთა თანახმად დიდი სიბლანტის მქონე სითხეების შემთხვევაში თბოგაცემის ინტენსიურობის დამოკიდებულება პრანდტლის რიცხვზე როგორც გლუვი, ისე ხაოიანი ზედაპირებისათვის პრაქტიკულიდ ისეთივეა, როგორც დისტილირებული წყლის შემთხვევაში.

### **INFLUENCE OF PRANDTL NUMBER ON HEAT TRANSFER IN THE APPARATUS WITH STIRRER**

*T. MAGRAKVELIDZE, N. BANTSADZE, A. MIKASHVIDZE, N. LEKVEISHVILI,  
J. RUSISHVILI, KH. LOMIDZE*

#### **Summary**

According to the results of experimental investigation represented in the paper, in case of liquids with high viscosity relation of heat transfer intensity on the Prandtl number both for smooth and rough surfaces is the same as in case of distilled water.

### **ВЛИЯНИЕ ЧИСЛА ПРАНДТЛЯ НА ТЕПЛОТДАЧУ В АППАРАТЕ С МЕШАЛЬКОЙ**

*Т.МАГРАКВЕЛИДЗЕ, Н.БАНЦАДЗЕ, А.МИКАШАВИДЗЕ, Н.ЛЕКВЕИШВИЛИ,  
ДЖ.РУСИШВИЛИ, Х.ЛОМИДЗЕ*

#### **Резюме**

В статье представлены результаты экспериментального исследования, согласно которым в случае жидкости с большой вязкостью зависимость интенсивности теплоотдачи как гладкой, так и шероховатой поверхностей практически такая же, как в случае дистиллированной воды.

### **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**


1. Magrakvelidze T.Sh., Bantsadze N.O., Lekveishvili N.N. //Influence of Artificial Roughness on Heat Transfer to Turbulent Mixed Liquid in a Pool. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 1996, N3, pp.397-400.
2. Magrakvelidze T., Bantsadze N., Lekveishvili N., Mikashavidze A., Rusishvili J., Lomidze Kh Influence of Artificial Roughness on Convective and Boiling Heat Transfer in the Rotating Flow. 9<sup>th</sup> WSEAS International Conference on Heat and Mass Transfer (HMT'12). Harvard. USA. 2012.
3. Gomelauri V. – Influence of two – dimensional artificial roughness on convective heat transfer. Int. J. of Heat and Mass Transfer, v.7, N6, 1964, pp.653-663.

პრავებისა და გენერატორების მართვის საპითხები

0. ტროყაშვილი, ბ. ურუშაძე

ცნობილია სქემა, რომელითაც შესაძლებელია ქსელიდან მიღებული ძაბვის რეგულირება დიპაზონში  $0 \div 220$  ვოლტი. ამ სქემაში გამოყენებულია სიმისტორი, რომლითაც შესაძლებელია ქსელის ძაბვის ორივე ნახევარპერიოდის ფართის ნაწილობრივი კომუტაცია


სქემაში აღნიშნული პროცესი ხორციელდება პოტენციომეტრის საშუალებით, ნახ. 1.



ნახ. 1

აღნიშნული სქემა შესაძლებელია გამოვიყენოთ ავტომატური რეგულირების წრედებში თუ მოვახდენთ R წინაღობის ჩანაცვლებას გაღვანურად იზოლირებული წინაღობით – მაგალითად ოპტრონით.

ნახ. 2 ნაჩვენებია ოპტრონის ОЭП – ს მახასიათებელი, რომელიც გამოსახავს ოპტრონის წინაღობის დამოკიდებულებას ოპტრონის პირველად წრედში გამავალ დენზე, მრუდი 1.




ნახ. 2

ნახ. 1 ნაჩვენებ სქემაში R წინაღობა შეიძლება იცვლებოდეს  $0 \text{ კომ} -$  დან  $100 \text{ კომ} -$  მდე. წინაღობის ასეთი ცვლილებით შესაძლებელია მომხმარებლებზე  $R_L$  ძაბვის

ცვლილება 0 – დან 220 ვოლტამდე. ოპტრონის წინაღობას პარალელურად დამატებული აქვს წინაღობა 200 კომ. შესაბამისი მახასიათებელი გამოსახულია მრუდი 2- ით.


აღნიშნული სქემა შესაძლებელია გამოვიყენოთ: ძაბვის რეგულირებისა და სტაბილიზაციისთვის, ძრავებში ბრუნთა რიცხვის რეგულირებისათვის, ჰიდროაგრეგატებში სისხირის რეგულირებისათვის და სხვა.

ნახ. 3 ნაჩვენებია ჰიდროაგრეგატის სისხირის რეგულირება ერთი ბალასტური წინაღობის გამოყენებით. ამ სქემაში პოტენციომეტრი  $R_{per}$  ჩანაცვლებულია ოპტრონით, რომლის წინაღობა იმართება შეცდომის სიგნალის მიხედვით.



ნახ. 3

გენერატორიდან მოხსნილი ძაბვა მიეწოდება ბლოკს 1, რომელიც შემაჯავლი ძაბვის  $U = U_0 \sin 2\pi f t$  მნიშვნელობიდან განსაზღვრავს და გარდაქმნის  $f$  სისხირეს შესაბამის მუდმივ ძაბვაში; 50 ჰერც სისხირეს ეთანადება 1 ბლოკის გამოსავალზე ძაბვა 5 ვოლტი. შეცდომის სიგნალის  $\Delta f = f_0 - f$  და მისი პირველი წარმოებული  $\dot{\Delta f}$  მიეწოდება ამჯამავ მოწყობილობას, რომლის გამოსავალი სიგნალის მიხედვით იმართება ინტეგრატორი (შემსრულებელი მექანიზმი).



ნახ. 4

## პრავებისა და გენერატორების მართვის საკითხები

ცდომილების  $\Delta f$  – ის გაჩენის შემთხვევაში ინტეგრატორის გამოსავალი სიგნალი შეცვლის  $R_{opt}$  – ის წინაღობას იმ მომენტამდე, ვიდრე სისშირე არ გახდება ნულის ტოლი.

ნახ. 4 - ზე მაგალითის სახით ნაჩვენებია ინტეგრატორისა და ოპტორის მართვის სქემა აგებული ორ ოპერაციულ გამაძლიერებელზე.

## პრავებისა და გენერატორების მართვის საკითხები

*თ. ტროყაშვილი, გ. ურუშაძე*

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ჰიდროაგრეგატის სისშირით მართვის სქემა. სქემაში ჩართულია ბალასტური წინაღობა, რომლის კომუტაცია ხდება სიმისტორის გამოყენებით. სიმისტორის გამოყენებით. სიმისტორის მართვის წრედში ჩართულია ოპტორეზისტორი, რომლის წინაღობა იმართება სისშირის ცდომილების მიხედვით

## ISSUES OF MANAGEMENT MOTORS AND GENERATORS

*T.TROKASHVILI,G.URUSHADZE*

### Summary

The scheme of hydraulic controlled by frequency is considered in the paper. The scheme includes the ballast resistance, which is switched by a triac. In the control triac enabled optorezistor, the resistance of which is controlled by the frequency error.

## ВОПРОСЫ УПРАВЛЕНИЯ ДВИГАТЕЛЕЙ И ГЕНЕРАТОРОВ

*Т.ТРОКАШВИЛИ, Г. УРУШАДЗЕ*

### Резюме


Рассматривается схема управления гидроагрегата по частоте. В схему включено балластное сопротивление, которое коммутируется при помощи симистора. В контур управления симистора включен опторезистор, сопротивление которого управляется по сигналу частоты.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Евсеев Ю.А., Крылов С. С. – Симисторы и их применение в бытовой электроаппаратуре. Москва, ЭНЕРГОАТОМИЗДАТ, 1990
2. Татце У., Щенк К. – Полупроводниковая схемотехника. МИР,1983.
3. Фолкенберри Л. – Применение операционных усилителей и линейных ИС. МИР, 1985.
4. ტროყაშვილი თ. მცირე ჰესების ჰიდროაგრეგატის გაშვება და მართვა. სტუ, მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2008, №12, გვ.128.

**დაბალი სიხშირის სიბნალის პირველი და მეორე რიგის წარმოებულის განსაზღვრა**  
*თ. ტროქაშვილი, დ. ცინცაძე*

ავტომატური მართვის სისტემებში შეცდომის სიგნალის სიდიდე და გარდამავალი პროცესის დინამიკა, რიგორც ცნობილია დამოკიდებულია სისტემის რიგზე და ანალიზის შედეგად შერჩეული მართვის ალგორითმის ეფექტიანობაზე. ცნობილია აგრეთვე, რომ მართვის ალგორითმში შემაჯავალი ცვლადები: შეცდომის სიგნალისა და მისი წარმოებულების რაოდენობის შეყვანა მართვის ალგორითმში დამოკიდებულია სისტემის რიგზე.



ნახ. 1

ნახ. 1- ზე ნაჩვენებია მესამე რიგის სისტემაში მიმდინარე გარდამავალი პროცესების დიაგრამები. დიაგრამა 1-ის შესაბამისი პროცესი განპირობებულია მართვის ალგორითმში შეცდომის სიგნალისა და მისი პირველი წარმოებულის გამოყენებით. დიაგრამა 2-ის მიხედვით მართვის ალგორითმში გამოყენებულია დამატებით შეცდომის სიგნალის მეორე წარმოებულის. დიაგრამების შედარებით ცხადი ხდება მეორე წარმოებულის ზეგავლენა მოძრაობის დინამიკაზე.

მრავალ ტექნიკურ სისტემაში თითქმის ყოველთვის შესაძლებელია შეცდომის სიგნალის გაზომვა. წარმოებულის მიღება კი გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მისი მიღება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით.


ნახ. 2-ზე ნაჩვენებია  $x$  სიგნალის წარმოებულის მიღების ცნობილი სქემა, კორპარატორისა და ინტეგრატორის გამოყენებით [1].

ნახაზზე 3 ნაჩვენებია ხერხისებური ძაბვის შესაბამისი წარმოებულები, რომლებიც ამ სქემიდან გამოიყოფა ფილტრის საშუალებით ( $\dot{y}$  ფ).

ფილტრის პარამეტრის  $\tau_1$  შერჩევა დამოკიდებულია შემაჯავალი  $x$  - სიდიდის სიხშირეზე. სიდიდე  $\dot{y}$  არის მაღალი სიხშირის - ( $10 \div 100$  კილოჰერცის) სიგნალი ამპლიტუდით  $\pm E$  (კომპარატორის ამპლიტუდა), რომელიც დამოკიდებულია კომპარატორის სწრაფქმედებაზე.  $\tau_1$  პარამეტრის სიდიდე სასურველია შეირჩეს იმ შემთხვევისათვის, როდესაც  $x = 0$ ; ამ დროს პულსაცია უნდა იყოს მინიმალური, რაც წინასწარაა განსაზღვრული.


ნახ. 2- ის მარჯვენა ნაწილში ნაჩვენებია  $x$ -ის მეორე წარმოებულის მიღების სქემა, რომელიც პირველის ანალოგიურია. მეორე ნაწილის შესასვლელს მიეწოდება  $\dot{y}$  ფ.  $\dot{Z}$  სიდიდის საშუალო მდგენელი ნაჩვენებია ნახ. 3 ბ.

განხილული სქემის მიხედვით  $x$  სიგნალის პირველი და მეორე რიგის წარმოებულების შეფასებისათვის სიზუსტის მიხედვით, ჩატარებულია გარდამავალი პროცესის დინამიკის შედარება იდეალურ შემთხვევასთან - როდესაც მართვაში გამოიყენება "სუფთა" წარმოებულები.




ნახ. 2

გარდამავალი პროცესების განსხვავების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ X სიგნალის წარმოებულების მიღების სიზუსტეზე. ხოლო  $\Delta x$  – ის მეორე წარმოებულის სიზუსტისა და სწრაფმოქმედების შესაფასება დამოკიდებულია შერჩეული კომპარატორისა და ინტეგრატორის ტიპზე.



ნახ. 3



ნახ. 4

ნახ. 4-ზე ნახვენები სქემის მიხედვით აგებული მოწყობილობა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ქსელის ძაბვის  $U=U\sin 2\pi ft$  სიხშირის, მისი ნომინალური მნიშვნელობიდან გადახრის  $\Delta f = f_0 - f$  და ამ გადახრის წარმოებულის  $\Delta f'$  განსაზღვრა. ამ მოწყობილობის სტრუქტურული სქემა ნახვენებია ნახ. 2.

ქსელის ძაბვა  $U$  მიეწოდება ამპლიტუდის სტაბილიზაციის სქემას, რომელიც აგებულია  $R, D_1, D_2$  ელემენტებზე, ფილტრი  $\Phi$  აგებულია რეზონანსულ სიხშირეზე 50 ჰერცი. ფილტრები  $\Phi_1$  და  $\Phi_2$  აგებულია შესაბამისად რეზონანსულ სიხშირეზე 40 და 50 ჰერცი. მ ფილტრების მახასიათებლები შერჩეულია ისეთნაირად, რომ როდესაც  $f=50$  ჰერცს, მაშინ  $\Delta f=0$ .

**დაბალი სიხშირის სიგნალის პირველი და მეორე რიგის წარმოებულის განსაზღვრა**  
 თ. ტროკაშვილი, დ. ცინცაძე  
 რეზიუმე

განხილულია დაბალი სიხშირის სიგნალის წარმოებულების მიღების მოწყობილობა კომპარატორისა და ინტეგრატორის გამოყენებით. ნახვენებია სტრუქტურული სქემა ქსელის ძაბვის სიხშირის, მისი ცლომილებისა და წარმოებულის მისაღებად.

**LOW-FREQUENCY SIGNAL IS PRODUCED LOCALLY BY THE FIRST AND SECOND ORDER**

T.TROKASHVILI, D. TSINTSADZE

**Summary**

The scheme of obtaining the derivative of the low-frequency signals using a comparator and integrator is considered in the article. The block diagram for the frequency, errors and derivative voltage is shown in the paper.

**ОПРЕДЕЛЕНИЕ ПРОИЗВОДНЫХ ПЕРВОГО И ВТОРОГО ПОРЯДКА НИЗКОЧАСТОТНОГО СИГНАЛА**

Т.ТРОКАШВИЛИ, Д. ЦИНЦАДЗЕ

**Резюме**

Рассматривается схема получения производной низкочастотных сигналов с использованием компаратора и интегратора. Показана структурная схема для определения частоты, ошибки и производной напряжения сети.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Уткин В. И. – Скользящие режимы и их применения в автоматике с переменной структурой. Москва, изд. «НАУКА», 1974г.
2. Полушкин Н.П. – Автоматическое регулирование гидротурбин. Ленинград, 1967г.
3. ტროყაშვილი თ. – მცირე ჰესების ჰიდროაგრეგატის გაშვება და მართვა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №12, გვ.128, 2008წ.

**თხიზი აირის მასის განსაზღვრა ჩაკეტილ რეზერვუარში**

*ზ.ახმაიშარაშვილი, ნ.ოთხოზორია, ვ.ოთხოზორია, მნარჩემაშვილი*

*m.narchemashvili@gtu.ge*

არსებობს აირის წონის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება პრაქტიკაში. ჩვენი მიზანია შევიმუშავოთ ისეთი სისტემა, რომლის სიზუსტე გაცილებით მეტი იქნება არსებულთან შედარებით და, ამასთან ერთად კონსტრუქციული გადაწყვეტა იქნება უფრო მარტივი.

ცნობილია სითხის დონის განმსაზღვრელი ტევადური მზომი სამი მგრძობიარე ელემენტით კოაქსილური მილის სახით, რომლებიც შეერთებულია ბოგირული სქემის საშუალებით. მასში გამოსასვლელი სიგნალი არ არის დამოკიდებული საკონტროლო სითხის დიელექტრიკულ შეღწევადობაზე. ამ მოწყობილობის საშუალებით შესაძლებელია მხოლოდ მოცულობის განსაზღვრა და შეუძლებელია ჩაკეტილ რეზერვუარში სითხის მასის განსაზღვრა, გარდა ამისა სამი მგრძობიარე ელემენტის არსებობა საგრძობლად ართულებს მოწყობილობის კონსტრუქციას. ცნობილია ასევე საზომი სისტემა, რომელიც შეიცავს სამ მგრძობიარე ელემენტს სამი სხვადასხვა სიგრძის კოაქსილური მილის სახით. ერთ-ერთი ყველაზე მოკლე მილი გაზომვის პროცესში იმყოფება აირად ფაზაში, მეორე სიგრძით უტოლდება თხევადი აირის დონის ცვლილების დიაპაზონს, ხოლო მესამე მცირედით შემცირებული ზომისაა. მასის განსაზღვრა ხდება თითოეულ ელემენტზე აღძრული ელექტრომაგნიტური რხევების მნიშვნელობების მიხედვით. ამ მოწყობილობის საშუალებით ხდება მასის განსაზღვრის მარტივი ალგორითმის რეალიზაცია, თუმცა მასში არსებული სამი ელემენტი საზომი სისტემის გაბარიტულ მოცულობას ზრდის და, ამასთან, მოითხოვს ინფორმაციული განსაზღვრის განსაზღვრისძალიან მაღალ სიზუსტეს. სასურველია არსებული გაზომვის სისტემის გამარტივება და გაზომვის სიზუსტის ამაღლება, აგრეთვე ცდომილებების მინიმუმამდე დაყვანა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სისტემაში გამოყენებულია კონტროლისა და გაზომვის ელექტრომაგნიტური მეთოდი და გამოიყენება რეზერვუარებში სხვადასხვა პირობებში თხევადი აირის, მათ შორის, ნებისმიერი ერთფაზიანი (აირი ან სითხე) ან ორფაზიანი (აირი და სითხე) ფაზური მდგომარეობის სითხეების მასის განსაზღვრისათვის.

შემოთავაზებული მოწყობილობა გამოიყენება ჩაკეტილ რეზერვუარში თხევადი აირის მასის განსაზღვრისათვის, მათ შორის, კრიოგენული სითხეების (აზოტი, ჰელიუმი) მასის განსაზღვრისათვის მიუხედავად მათი ფაზური მდგომარეობისა: ერთფაზიანი (აირი ან სითხე) ან ორფაზიანი (აირი და სითხე, რომლებიც გაყოფილია მათ შორის მკვეთრი საზღვრით). ეს მოწყობილობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე ორი გარემოს გამყოფი საზღვრის დონის („აირი-სითხე“) გასაზომად.

შემოთავაზებული მოწყობილობის მიკროპროცესორულ ბლოკში რეალიზდება რეზონანსული სიხშირეების ცვლილების ალგორითმები და მათი გარდაქმნა თხევადი აირის მასის განსაზღვრავად.

ორფაზიან მდგომარეობაში, აღზნებული რეზონატორის მგრძობიარე ნაწილის პირველ სამ საკუთარ სიხშირეზე, თხევადი აირით დროში თანამიმდევრულად შევსებისას რეზონანსული სიხშირეების  $f_i$  ( $i=1,2,3$ ) სხვადასხვა ფუნქციონალურ დამოკიდებულებას მივიღებთ ფაზებს შორის გამყოფი  $x$ -ის საზღვრების (დონის) მნიშვნელობისა და მათი დიელექტრიკული შეღწევადობის მიხედვით.

ამ სახის კავშირი დამოკიდებულია მხოლოდ ორი გარემოს გამყოფი საზღვრის მდგომარეობაზე და არ არის დამოკიდებული საკონტროლო გარემოს აირადი და თხევადი ფაზების დიელექტრიკულ შეღწევადობაზე.

$$\psi(x) = \frac{\frac{f_{h1} - f_{h2}}{f_1^2 - f_2^2}}{\frac{f_{h2} - f_{h3}}{f_2^2 - f_3^2}} \quad (1)$$

სადაც  $f_{oi}$  არის სიხშირეები რეზონატორის მგრძნობიარე ნაწილის აიროვან ფაზაში სრული ჩაძირვის დროს.

ღრეხოს მქონე საზისა და კაბულების სიგრძის გარკვეული თანაფარდობის დროს  $\psi(x)$  ფუნქცია წრფივ სახეს ღებულობს.


მაგალითისთვის, ცილინდრული ფორმის რეზერვუარში, რომლის სიმაღლეა  $H$ , თხევადი აირის მასა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = K \left( \frac{\epsilon_a - 1}{\epsilon_a + 2} \frac{x}{H} + \frac{\epsilon_b - 1}{\epsilon_b - 1} \left( 1 - \frac{x}{H} \right) \right) \quad (2)$$

სადაც  $K$  ცნობილი ნივთიერებისათვის მუდმივი სიდიდეა.

(1) ფორმულის მიხედვით ვლბულობთ  $\psi(x)$ -ის მნიშვნელობას და გამოითვლება თხევადი აირის  $x=x^*$  ორი ფაზის გამყოფის საზღვრის მდგომარეობა, როგორც  $\psi(x)$ -ის საპირისპირო მნიშვნელობა.

(2) ფორმულაში  $x=x^*$ ,  $E_g=E_g^*$ ,  $E_{თ}=E_{თ}^*$  ჩასმით მივიღებთ თხევადი აირის მასის მიმდინარე მნიშვნელობას, რომელიც ინდიკაციის ბლოკ 16-ში ფიქსირდება.



1 - ელექტრომაგნიტური რეზონატორი, რომელიც წარმოადგენს მგრძნობიარე ელემენტს;

2, 3 - რეზონატორის მაკავშირებელი ორი ელემენტი;

4 - სინთეზატორი;

5, 6, 7 - ფილტრი;

8 - სელექტორი;

9 - ფარტოზოლოვანი მაძლიერებელი;

10, 11 - დეტექტორი;

12 - მაძლიერებელი;


- 13 - დიფერენციალური მაძლიერებელი;
- 14- ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელი;
- 15 - მიკროპროცესორული ბლოკი;
- 15<sub>1</sub>, 15<sub>2</sub>, 15<sub>3</sub> - მიკროპროცესორული ბლოკის გამოსასვლელები.

დასშულ რეზერვუარში თხევადი აირის მასის გასაზომი მოწყობილობა რეზერვუარში ჩაშენებული ელექტრომაგნიტური რეზონატორისა და სიხშირის გარდამქმნელი ელექტრომაგნიტური რხევების გენერატორის ელექტრონული გარდამქმნელისგან შედგება. დანადგარი იმით გამოირჩევა, რომ ელექტრომაგნიტური რეზონატორი მეტალის მილის სახითაა წარმოდგენილი, რომლის კედელში წარმოქმნილია მილის გასწვრივ გაწვდილი მეანდრის ფორმის ხვრელისებრი უწყვეტი ხაზი.

ხვრელისებრი ხაზის ბოლოები მილის ერთ-ერთ კედელს აღწევს და შესაბამის კაბელს უერთდება მოკლე ჩართვის ბოლოთი, რომლითაც კავშირის პირველი ელემენტის გავლით ფართოსარტყლიანი მაძლიერებლის შესასვლელს უერთდება, რომლის შესასვლელი სელექტორის გამოსასვლელთან არის შეერთებული.

სელექტორის სამი შესასვლელიდან თითოეული, შესაბამისი ფილტრით მიკროპროცესორის ბლოკის ციფრულ გასასვლელს ციფრული შესასვლელით მიერთებული სიხშირის სინთეზატორის გასასვლელს უერთდება. იგივე კაბელი მოკლე ჩართვის ბოლოთი კავშირის პირველი ელემენტის გავლით პირველი ამპლიტუდური დეტექტორის შესასვლელთან არის მიერთებული, რომლის გასასვლელი დიფერენციალური მაძლიერებლის ერთ-ერთ გასასვლელს უერთდება. მეორე კაბელი კი კავშირის მეორე ელემენტის გავლით მეორე ამპლიტუდურ დეტექტორს უერთდება.

მაძლიერებელი დიფერენცირებული მაძლიერებლის მეორე შესასვლელს უერთდება, რომლის გასასვლელი ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელის შესასვლელს უერთდება, ხოლო ციფრული გასასვლელები მიკროპროცესორული ბლოკის ციფრულ შესასვლელებს, რომლის პირველი გასასვლელი სინთეზატორს უერთდება, მეორე – სელექტორის მმართველ შესასვლელს, მესამე – ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელის გაშვების შესასვლელს, ხოლო მეოთხე გასასვლელი ინდიკაციის ბლოკთან არის მიერთებული.



ბლოკში „სინთეზატორი-ფილტრი-სელექტორი“ თანამიმდევრულად ფორმირდება რეზონატორის სამი საკუთარი სიხშირის ცვლილების დიაპაზონის ელექტრომაგნიტური რხევები.

სისტემის გამართივებას და გაზომვის სიზუსტის ამაღლებას უზრუნველყოფს რეზონატორის ტიპი, რომელიც მეტალის მილის კედელზე უწყვეტი ხერხელების ხაზის სახითაა წარმოდგენილი და რომელშიც თითოეული ხაზის ბოლო კოაქსილური კაბელის მოკლე ჩართულ ბოლოს უერთდება.

მიზნის მიღწევას აგრეთვე უზრუნველყოფს სიხშირის სინთეზატორი, რომლის გამოსასვლელი შესაბამისი ფილტრის გავლით, მიკროპროცესორიდან მართული სიგნალით სელექტორს უკავშირდება.

### თხიერი აირის მასის განსაზღვრა ჩაკეტილ რეზერვუარში

*ზ.აზმაიფარაშვილი, ნ.ოთხოზორია, ვ.ოთხოზორია, მ.ნარჩემაშვილი*

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია თხევადი აირის მასის გაზომვის სისტემა და მისი მუშაობის ალგორითმი. სისტემის გამოყენებით შესაძლებელია რეზერვუარში ჩაშვებულ რეზონატორში აღძრული ელექტრომაგნიტური რხევებით თხევადი აირების მასის გაზომვა.

სისტემას გააჩნია გაზომვის მაღალი სიზუსტე და გამოირჩევა მარტივი კონსტრუქციით. გაზომვის მაღალი სიზუსტის მიღწევას უზრუნველყოფს რეზონატორის ტიპი და მიკროპროცესორი, რომელშიც რეზონატორის სამი საკუთარი სიხშირე ფიქსირდება და ხდება თხევადი აირის მასის განსაზღვრის ალგორითმის რეალიზაცია.

### MEASURING THE MASS OF LIQUID GAS IN A CLOSED RESERVOIR

*Z. AZMAIPHARASHVILI, N. OTKHOZORIA, V. OTKHOZORIA, M. NARCHEMASHVILI*

#### Summary

The system of measuring the mass of liquid gas and the algorithm of its performance is discussed in the article. The system enables to measure the mass of liquid gases by means of electromagnetic waves raised by the resonator put in a reservoir.

The system has high precision of measuring and it is distinguished with its simple construction. The high precision of measuring is provided by the type of a resonator and the microprocessor in which three own frequencies of a resonator are shown and the algorithm of measuring the mass of liquid gas is realized.

**ОПРЕДЕЛЕНИЕ МАССЫ ЖИДКОГО ГАЗА В ЗАКРЫТОМ РЕЗЕРВУАРЕ**  
*З. АЗМАИПАРАШВИЛИ, Н. ОТХОЗОРИА, В. ОТХОЗОРИА, М. НАРЧЕМАШВИЛИ*

**Резюме**

В статье рассмотрена система измерения массы жидкого газа и алгоритм ее работы. С использованием этой системы возможно измерение массы жидких газов по электромагнитным колебаниям, возбужденным в резонаторе, опущенном в резервуар.

Система обладает высокой точностью измерений и отличается простой конструкцией. Достижение высокой точности измерений обеспечивается типом резонатора и микропроцессором, в котором фиксируются три собственные частоты резонатора и реализуется алгоритм определения массы жидкого газа.

**ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА**

1. Криксунова Н.А., Лункин Б.В. Инвариантные измерения положения границы раздела двух сред на основе радиоволнового датчика, ж - л Автоматика и телемеханика, №11, 1991г

## ჰიდრორეაქტიული ტუმბოს დამუშავება

დ. შურცხვანიძე

mshoblebi@posta.ge

ახალი ტიპის ტუმბოს (ჰიდრორეაქტიული ტუმბოს) მუშაობის პრინციპი ემყარება წყალში ელექტრული განმუხტვის დროს წარმოშობილი წნევის მოქმედებას განმუხტვის არის ირგვლივ განლაგებულ წყლის ფენებზე.

როგორც ცნობილია წყალში ელექტრული განმუხტვისას მიიღება აფეთქების დროს წარმოშობილი დარტყმითი ტალღის მსგავსი ტალღები, რომლებიც წნევას გადასცემენ ყველა მიმართულებით. განმუხტვისას წყალი წარმოიშობა აფეთქების პროდუქტები რომელთაც აქვთ დიდი სიმკვრივე და იმყოფებიან დიდი წნევის ქვეშ. საწყის მომენტში ისინი გარშემორტყმულნი არიან წყლის წყნარი გარემოთი ნორმალური სიმკვრივისა და წნევის პირობებში. აფეთქებისას გაფართოებული პროდუქტები შეკუმშავენ ირგვლივ მყოფ წყალს, თანაც დროის ყოველ მომენტში შეკუმშული აღმოჩნდება მხოლოდ წყალი რომელიც განსაზღვრულ მოცულობაშია მოქცეული. ამ მოცულობის გარეთ წყალი რჩება ნორმალურ მდგომარეობაში.

თუ  $P_1$ -წნევაა  $\rho_1$ -სიმკვრივე,  $\varepsilon_1$ -კუთრი შინაგანი ენერგია,  $U_1$ -კი სიჩქარე წყლის დარტყმითი ტალღის მიღმა, ხოლო  $P_0, \rho_0, \varepsilon_0, U_0$  - იგივე სიდიდეები ტალღის ფრონტის წინ, მაშინ ნაკადის მასის შენახვის კანონიდან ვღებულობთ:

$$\rho_1 U_1 = \rho_0 U_0 \quad (1)$$

იმპულსის შენახვის კანონიდან ვღებულობთ

$$P_1 + \rho_1 U_1^2 = P_0 + \rho_0 U_0^2 \quad (2)$$

ენერჯიის შენახვის კანონიდან კი მივიღებთ

$$\varepsilon_1 + (P_1/\rho_1) + (U_1^2/2) = \varepsilon_0 + (P_0/\rho_0) + (U_0^2/2) \quad (3)$$

თუ შემოვიტანთ კუთრ მოცულობას  $V = 1/\rho$  ამ განტოლებებიდან შეგვიძლია მივიღოთ

$$U_0^2 = V_0^2 \frac{P_1 - P_0}{V_0 - V_1} \quad (4)$$

$$U_1^2 = V_1^2 \frac{P_1 - P_0}{V_0 - V_1} \quad (5)$$

$$|V_0 - V_1| = \sqrt{(P_1 - P_0)(V_0 - V_1)} \quad (6)$$


აქედან შეგვიძლია განვსაზღვროთ წყლის მოცულობის ცვლილება აფეთქებამდე და მის შემდეგ. აფეთქებამდე მოცულობა ტუმბოს შიგა მოცულობის ტოლია.

როდესაც წარმოშობილი ტალღები ერთი მიმართულებით წინააღმდეგობას არ ხვდებიან ისინი ამ მიმართულებით გაიტყორცნებიან და მიიღება წყლის ჭავლი რომელიც ტუმბოს გარეთ არსებულ წყლის მასაზე ზემოქმედებით წარმოშობენ ჭარბ წნევას. ახალი ტიპის ჰიდრორეაქტიული ტუმბოს მუშაობის პრინციპი ემყარება წყალში ელექტრული დენის განმუხტვისას წარმოშობილი წნევის მოქმედებას მომიჯნავე წყლის ფენებზე. აფეთქების ცენტრში წარმოიშობა მაღალი წნევა, რომელიც დარტყმითი ტალღის სახით ვრცელდება ყველა მიმართულებით. წყალში ელექტრული განმუხტვის ეს თვისება გამოიყენება მაგალითად თუნუქის ფურცელის ტვიფრის დამზადების დროს.

ელექტრო ჰიდრორეაქტიული ტუმბოს ძირითადი ნაწილია ცილინდრული ფორმის დახშული სათავსი, რომელსაც აქვს ორი სარქველი. პირველი მათგანი იხსნება ისე, რომ წყალს შეუძლია გამოსვლა სათავსიდან გარეთ. ხოლო მეორით შეუძლია შესვლა გარედან შიგნით, სათავსში. ანუ, პირველი სარქველიდან წყალი გამოდის ტუმბოდან მეორე სარქველიდან წყალი შედის ტუმბოში.

მოწყობილობა მუშაობს შემდეგნაირად: პირველ ტაქტში ორივე სარქველი დახურულია. მეორე ტაქტში ხდება ელექტრული განმუხტვა, სათავსში მიიღება მაღალი

წნევა, იხსნება პირველი სარქველი და სათავსიდან წყალი გამოდის გარეთ. მესამე ტაქტში იხურება პირველი სარქველი. სათავში დაბალი წნევაა. იხსნება მეორე სარქველი და ტუმბოში შედის წყალი. მეოთხე ტაქტში იხურება მეორე სარქველი და ტუმბო უბრუნდება საწყის მდგომარეობას.



ნახ. 1. ჰიდრორეაქტიული ტუმბო  
1 – პირველი სარქველი, 2 – მეორე სარქველი, 3 – ძაბვის მიმყვანი სადენები, 4 – ელექტრული განმუხტვის არე.

ჰიდრორეაქტიული ტუმბო გამოირჩევა უნარით განავითაროს მაღალი წნევა მის გამოსასვლელზე და შესაბამისად დიდ სიმაღლეზე წყლის ატუმბვის უნარით.

### ჰიდრორეაქტიული ტუმბოს დამუშავება

დ. შურცხვანიძე

#### რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ახალი ტიპის ტუმბოს დამუშავებას. ჰიდრორეაქტიული ტუმბოს მუშაობის პრინციპი ემყარება წყალში ელექტრული განმუხტვის დროს წნევის ძალების წარმოშობის მოვლენას. ელექტრული განმუხტვისას მიიღება აფეთქების დროს წარმოშობილი დარტყმითი ტალღის მსგავსი ტალღები, რომლებიც წნევას გადასცემენ ყველა მიმართულებით. ტუმბოს ძირითადი ნაწილია ცილინდრული ფორმის სათავსი ორი სარქველით. ერთი სარქველით წყალს შეუძლია სათავსში შესვლა, მეორით – გამოსვლა. განმუხტვისას წარმოქმნილი წნევის ძალა წყლის მასებს სათავსიდან გამოდევნის. ამის შემდეგ სარქველი იხურება და მეორე სარქველით სათავსში შედის იმდენივე წყალი, რამდენიც გამოიდევნა განმუხტვისას.

ტუმბოს მეშვეობით შესაძლებელია დიდი წნევის განვითარება და შესაბამისად წყლის ატუმბვა დიდ სიმაღლეებზე.

### DEVELOPMENT OF HYDROJET PUMP

D. PURTSHVANIDZE

#### Summary

The article is dedicated to the development of a new type of pump. The principle of hydrojet pump operation is based on the pressure forces that appear during the electric discharge in water. At the electric discharge the waves similar to the shock waves produced by explosions are created, that transmit pressure in all directions. The main part of the pump is a cylinder with two valves. Water flows into the pump through the one valve and it comes out of the pump through the other one. At discharge the arising

pressure pushes water from the pump after what the first valve is closed and the second valve lets the water into the pump.

With the help of the hydrojet pump it is possible to develop high pressure and, accordingly, pump water at high altitudes.

## **РАЗРАБОТКА ГИДРОРЕАКТИВНОГО НАСОСА**

*Д. ПУРЦХВАНИДЗЕ*

### **Резюме**

Статья посвящается разработке нового типа насоса. Принцип действия гидрореактивного насоса основан на возникновении сил давления при электрическом разряде в воде. При электрическом разряде возникают волны, подобные ударным волнам, возникающим при взрыве, которые передают давление по всем направлениям. Основная часть насоса- цилиндр с двумя клапанами. Через один клапан вода может поступать в насос, а через второй- выходить из насоса. При разряде возникшая сила давления выталкивает воду из насоса, после чего клапан закрывается, и через второй клапан вода поступает в насос.

С помощью гидрореактивного насоса возможно развить большое давление и, соответственно, качать воду на большую высоту.


## მოქნილი მანიპულიატორის „ხორთუმის“ ადაპტური მართვის სისტემა

დ. შურცხვანიძე

mshoblebi@posta.ge

ამჟამად მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში მიმდინარეობს სამუშაოები მოქნილი მანიპულიატორების შესაქმნელად. ჩვენს მიერ დამუშავებული იყო მოქნილი მანიპულიატორი [1]. შემდგომში მოხდა მისი აღჭურვა მუდმივი მაგნიტებით [2], რაც უზრუნველყოფს მანიპულიატორის მართვის ხარისხის ამაღლებას. მოქნილი მანიპულიატორის „ხორთუმის“ მართვას ეძღვნება ნაშრომები [3,4,5]. ზოგიერთ მათგანში „მანიპულიატორის“ ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა „რობოტი“, რაც გაუგებრობას არ უნდა იწვევდეს; აღწერილი სისტემა საჭიროების მიხედვით შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ ასევე მეორე დანიშნულებით. ქვემოთ ნაცვლად „მოქნილი მანიპულიატორისა“ გამოყენებული იქნება ტერმინი „ხორთუმი“


ხორთუმის კონსტრუქციული სირთულე, კერძოდ მისი სახსრების დიდი რაოდენობა პრობლემურს ხდის მისი მართვის სისტემის აგებას. მართვა უკუკავშირის გარეშე ე. წ. პირდაპირი მართვა აქ არ გამოდგება. მართვის პრობლემა განსაკუთრებით რთულდება წარმოებაში მისი დანერგვისას. ამდენად აუცილებელია ხორთუმის აღჭურვა უკუკავშირის გადამწოდებით და ჩაკეტილი მართვის სისტემის აგება. ჩვენ შემთხვევაში გამოყენებულია ადაპტური მართვის სისტემა.



ნახ. 1. ადაპტური მართვის სისტემა

როგორც ცნობილია ადაპტური მართვა, ჩაკეტილი ტიპის მართვისაგან განსხვავებით, მოიცავს სამართი ობიექტის მოდელს, რომელშიდაც ანალიზი უკეთდება მართვის შესაძლო შედეგები (პროგნოზი). სწორი ანალიზი და შესაბამისად სწორი რეაქცია შესაძლებელია მხოლოდ ობიექტის მაქსიმალურად ზუსტი მოდელის აგებისას, რომელიც ადეკვატურად ასახავს ფუნქციონირების გარემოსა და თვით მართვის ობიექტს. ნახ.1-ზე


წარმოდგენილია კლასიკური ადაპტური მართვის სისტემა. ნახ.2-ზე წარმოდგენილია ჩვენს მიერ შემოთავაზებული მართვის სისტემა.



ნახ.2. ხორთუმის ადაპტური მართვის სისტემა

უკუკავშირისათვის ვიყენებთ ულტრაბგერით გადამწოდებს. გადამწოდი შედეგება ხორთუმის ჩამჭერზე დამაგრებული ულტრაბგერის წყაროსაგან და ოთხი მიმღებისაგან. ულტრაბგერის მიმღებებიდან სამს შეუძლია გადაადგილება სამი ურთიერთმართობი წრფის გასწვრივ, ხოლო მეოთხე უძრავადაა დამაგრებული წრფეების გადაკვეთის წერტილში. ნახ. 3-ზე ისინი აღნიშნულია პირობითად OX, OY და OZ წრფეებად. ჩამჭერზე მოთავსებული ულტრაბგერის წყარო წყ, ხოლო ულტრებგერის მიმღებები შესაბამისად მ1, მ2, მ3 და მ4. ამათგან მ1, მ2 და მ3 შეუძლიათ გადაადგილება იმ წრფის გასწვრივ რომელზედაც ისინია მოთავსებული,

ხოლო მ4 მიმღები გაუნძრევლად კოორდინატთა სათავის O წერტილშია მოთავსებული და გამოიყენება r მანძილის გასაზომად კოორდინატთა სათავიდან ჩამჭერამდე.



ნახ.3. მოძრაობის კორექტირების სისტემა

ხორთუმის მართვა ხდება სამართი სისტემიდან მისული ბრძანებების მეშვეობით. ამ ბრძანებების შესაბამისად გადაადგილდება ხორთუმის ჩამჭერიმის სამუშაო სივრცეში. ასევე გადაადგილდებიან ულტრაბგერის მიმღები გადამწოდები OX, OY და OZ ღერძების გასწვრივ. ეს გადაადგილებები შეესაბამება ჩამჭერის პროგრამით გათვალისწინებულ მდებარეობას. ამის შემდეგ ხდება უკუკავშირის ულტრაბგერითი გადამწოდების მეშვეობით ჩამჭერის რეალური მდებარეობის შემოწმება. ამ მიზნით ჩამჭერზე დამაგრებული ულტრაბგერის წყაროდან ტალღები იგზავნება ყველა მიმართულებით. ხორთუმის სამუშაო არეს გაჭიმული ელიფსოიდის ფორმა აქვს, რომლის ღერძის მიმართულება ემთხვევა „გაჭიმული“ ხორთუმის მიმართულებას ე.ი ისეთ მდგომარეობას როდესაც გადახრა არა გვაქვს არც ერთ სახსარში.

ჩამჭერის რეალური მდებარეობის დასადგენად ხორთუმის სამუშაო პროგრამიდან წაიკითხება ჩამჭერის კოორდინატები, ანუ ის კოორდინატები რომელიც მას უნდა ჰქონოდა იდეალურ შემთხვევაში (საწარმოო პირობებში სტოხასტური აღმშფოთი ზემოქმედებით გამოწვეული ცთომილების გარეშე). OX, OY და OZ ღერძების გასწვრივ მოძრაი ულტრაბგერის მიმღები გადაადგილდებიან ისე რომ OX ღერძის გასწვრივ მოძრაი მიმღები მივიდეს (x,0,0) წერტილში, OY ღერძის გასწვრივ მოძრაი მიმღები (0,y,0) - წერტილში და OZ ღერძის გასწვრივ მოძრაი მიმღები (0,0,z) წერტილში. მიმღებიდან მიღებული სიგნალის მეშვეობით ამოითვლება ჩამჭერიდან OX ღერძამდე a, OY ღერძამდე b და OZ ღერძამდე c მანძილები.

როგორც ნახაზიდან ჩანს:

$$x^2+a^2=r^2; y^2+b^2=r^2; z^2+c^2=r^2 \text{ შესაბამისად } x = \sqrt{r^2 - a^2}; y = \sqrt{r^2 - b^2}; z = \sqrt{r^2 - c^2}$$

რადგან ულტრაბგერითი გადამწოდიდან მიმღებამდე მანძილი გაცილებით აღემატება ულტრაბგერითი ტალღის სიგრძეს იგი სეიდლება განვიხილოთ როგორც ბრტყელი ტალღა. დავწეროთ ამ ტალღის მოძრაობის განტოლება. თუ ჰაერის ფარდობით სიმკვრივეს აღვნიშნავთ  $\delta(x,t)$ -თი, ხოლო x წერტილში სიმკვრივეს  $\rho(x,t)$ -თი, ცხადია:

$$\delta(x,t) = \frac{1}{\rho} \rho(x,t) - 1$$

თუ ტალღური ზედაპირის წანაცვლებაა  $\xi(x)$  მაშინ

$$\delta(x,t) = -\frac{\partial \xi}{\partial x} \quad (1)$$

ტალღური განტოლების გამოსაყვანად დავწეროთ კლაპეირონის განტოლება ჰაერისათვის PV=RT სადაც P წნევაა, V მოცულობა, T ტემპერატურა და R=const ბოლცმანის მუდმივაა.

თუ განტოლების ორივე მხარის დიფერენცირებას მოვახდენთ და საწყის განტოლებაზე გავყოფთ მივიღებთ

$$\frac{dT}{T} = \frac{dP}{P} + \frac{dV}{V} \quad (2)$$

თუ მუდმივ წნევას აღვნიშნავთ  $P_0$ -ით, ხოლო ბგერით წნევას (ანუ წნევის ნაზრდს)  $P$ -თი მაშინ

$$P = \gamma_c P_0 \delta \quad (3)$$

სადაც  $\gamma_c$  კუთრ სითბოტევადობათა ფარდობაა მუდმივი წნევისა და მუდმივი მოცულობის დროს და ჰაერისათვის ტოლია 1,40.

$S$  ფართისა და  $dx$  სისქის ჰაერის ფენაზე მარჯვნიდან და მარცხნიდან წარმოებულ წნევათა სხვაობის შედეგად წარმოქმნილი ძალა ტოლია  $-Sdx \frac{\partial P}{\partial x}$ ; ნიუტონის მეორე კანონით იგი უტოლდება ჰაერის მასისა  $\rho Sdx$  და აჩქარების ნამრავლი  $\frac{\partial^2 \xi}{\partial t^2}$

$$\rho \frac{\partial^2 \xi}{\partial t^2} = - \frac{\partial P}{\partial x} \quad (4)$$

მიღებული განტოლებები ერთმანეთთან აკავშირებს: ტალღური ზედაპირის წანაცვლებას  $-\xi$ , ბგერით წნევას  $-P$  და გარემოს ფარდობით სიმკვრივეს. მათი მეშვეობით შეგვიძლია განვსაზღვროთ ულტრაბგერის ტალღური ზედაპირის მდებარეობა დროის ნებისმიერ მომენტში ანუ სრულად აღწერს ულტრაბგერის ტალღის მოძრაობას.

## მოქნილი მანიპულატორის „ხორთუმის“ ადაპტური მართვის სისტემა

დ. შურცხვანიძე

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მოქნილი მანიპულატორის მართვის ადაპტური სისტემა, უკუკავშირის ულტრაბგერითი გადასწოდების გამოყენებით. გაანალიზებულია ადაპტური მართვის სისტემის გამოყენების აუცილებლობა. დამუშავებული მართვის სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ობიექტის მოდელი რეალიზებულია თვით ობიექტში. ულტრაბგერითი გადასწოდები იმართებიან იმავე ბრძანებებით როგორც ხორთუმი, ოღონდ მათზე არ მოქმედებს ის აღმშფოთი ზემოქმედებები რომლებიც ხორთუმზე. პროგრამული მართვის მეხსიერებიდან მოსული ბრძანებებით სრულდება გადაადგილებები როგორც ხორთუმის ჩამჭერისა სამუშაო სივრცეში ასევე ულტრაბგერითი მიმღებებისა OX, OY და OZ ღერძების გასწვრივ. შესრულებული გადაადგილების შემდეგ ხდება შემოწმება ჩამჭერის რეალური კოორდინატებისა და პროგრამით გათვალისწინებულ კოორდინატებს შორის. განსხვავების შემთხვევაში მმართველ ბლოკს მიეწოდება შესაბამისი სიგნალი.

## АДАПТИВНАЯ СИСТЕМА УПРАВЛЕНИЯ ГИБКОГО МАНИПУЛЯТОРА „ХОБОТ“

Д. ПУРЦХВАНИДЗЕ

### Резюме

В труде рассмотрена адаптивная система управления ультразвуковыми датчиками обратной связи. Проанализирована необходимость применения адаптивной системы управления.

Особенностью разработанной системы управления является реализация модели объекта в самом объекте. Ультразвуковые датчики управляются теми же сигналами, которыми управляется хобот, но при этом на него не действуют возмущающие воздействия. По команде, поступающей из памяти программного управления, производятся перемещения как схвата хобота в реальном рабочем объеме, так и ультразвуковых приемников вдоль OX, OY и OZ осей соответственно.

После выполнения перемещения производится проверка соответствия между реальными координатами и координатами, предусмотренными программой. При обнаружении разногласия на блок управления подается соответствующий сигнал коррекции.

## ADAPTIVE SYSTEM OF CONTROLLING FLEXIBLE ROCKER “ TRUNK”

*D.PURTSHVANIDZE*

### Summary

The paper discusses the adaptive system of controlling ultrasonic feedback sensors. The necessity for using adaptive management system is analyzed in the article.

The realization of the object model in the object itself constitutes the specificity of the designed control system.

Ultrasonic sensors are controlled by the same signals that control the trunk, but it is not affected by disturbances. At the command coming from the program control memory the movement of both the gripper trunk in real working volume and of the ultrasonic receivers along OX, OY and OZ axes, are implemented respectively.

After the movement is implemented, the correspondence between the real coordinates and the coordinates provided by the program is checked. In case difference is noticed, the corresponding correction signal is sent to the control unit.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- 1 Д. А. Пурцхванидзе, Г. Д. Челидзе. МАНИПУЛЯТОР. Авторское свидетельство 1077780, публикация 07.03.84 Бюлет. № 9
- 2 А. Ш Колискор. МАНИПУЛЯТОР. Авторское свидетельство 1098257, публикация 05.02.85 Бюлет. № 4
- 3 დ. ფურცხვანიძე. მრავალსახსრული სამრეწველო რობოტის (ხორთუმის) მართვის საკითხები. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №72003.
- 4 Клименко А.К. Об оптимизации коэффициента усиления в адаптивной системе с обратной моделью. // Автоматика. Автоматизация. Электротехнические комплексы и системы. – 2006, N2. – (125-131).

**ავტომატიზებული დანადგარი ნედლეულის მეტალურგიული თვისებების  
შესწავლისათვის**

*ნ. ბეჰლიშვილი, ძ. წერეთელი, ნ. მირიანაშვილი, ვ. ხათაშვილი*

ფეროშენადნობთა თვისებების შესწავლაში უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტემპერატურულ ინტერვალებში მადნის და კონცენტრატების დნობისას მათი გარბილების და ელექტროწინალობის დადგენას, რასაც ჯამში ძირითადი აღმდგენლის, მადნის კონცენტრატების ფლუსების კაზმში მათი თანაფარდობა განსაზღვრავს. ამასთან, ერთი და იგივე მსგავს პირობებში და მსგავსი კომპონენტების შემცველი კაზმების შემთხვევაშიც კი მათ ელექტროწინააღმდეგობას და გარბილებას კაზმის მომზადების მეთოდის განსაზღვრავს.

ამდენად, ყოველი ახალი მეტალურგიული ნედლეულისა და მათ ფუძეზე დამზადებული კაზმების თვისებების ცოდნას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია.

არსებული დანადგარის ძირითადი ნაწილია ტამანის ღუმელი, მასში მოთავსებული ცეცხლგამძლე მასალის ალუმდის მიღში მოთავსებული საცდელი ნიმუშით. ნიმუშს ორივე მხრიდან ებჯინება განსაზღვრული ფორმის და ზომის გრაფიტის ელექტროდები ცალკეული ნიმუშისათვის დგინდება, გარბილების ხარისხი რაც მიღში მოთავსებულ საცდელ ნიმუშზე ზედა ელექტროდის დაწოლის გამო, მისი ვერტიკალური ზომის შემცირებაში გამოიხატება. ამავდროულად, ელექტროდებიდან იხსნება ნიმუშის ელექტროწინააღმდეგობის ცვლილებების შესაბამისი ინფორმაცია.


დანადგარის ავტომატიზების მიზნით გამოყენებულია ინდუქციური გადამწოდი ზედა ელექტროდის გადაადგილების ინტერვალების დადგენისათვის, რომელიც გადაადგილებას აღიქვამს გრაფიტის ზედა ელექტროდზე დამაგრებული არამაგნიტური მასალისაგან დამზადებული კბილებიანი სახაზავიდან, ხოლო წინააღმდეგობების ცვლილების დასადგენად – სპეციალური ტესტერი, რომელიც მუშაობს წინააღმდეგობის ცვლილებების გაზომვის რეჟიმში, გაზომვების მართვისათვის კი ტამანის ღუმელის ტემპერატურული რეჟიმის მართვის მოწყობილობა.

ზემოხაზოთვლილის საფუძველზე დაყრდნობით დამუშავებული ავტომატიზებული დანადგარის ფუნქციონალური სქემა მოცემულია ნახ. 1-ზე.

დამუშავებულ ფუნქციონალურ სქემაზე: **იგ**-წარმოადგენს ინდუქციურ გადამწოდს, რომელიც გამოიმუშავებს გადაადგილების შესაბამის სიგნალებს კბილებიანი სახაზავის გადაადგილების პროპორციულად, რომელიც დაკავშირებულია ზედა ელექტროდთან; **გას**-ელექტრონულ გასაღებს; **მრ1**-ორობით მრიცხველს გადამწოდიდან გამოცემული სიგნალების დამახსოვრებისათვის, მის გამოსასვლელზე მიერთებულ „და“-სქემების ანაკრებით, რომელიც საჭიროა ინფორმაციის მოხსნისათვის და მრიცხველიდან პროცესორთან კავშირის მოწყობილობაში გადასაცემად; **მმ**-ღუმელის მართვის მოწყობილობაა; **მრ2**-წარმოადგენს ორობით მრიცხველს, რომელიც მიერთებულია ღუმელის მართვის მოწყობილობის ორობით-ათობითი მრიცხველის შესასვლელთან და მის პარალელურად დებულობს შევსების სიგნალებს, გამოიმუშავებულებს მართვის მოწყობილობაში; **მ**-მეხსიერებაა მიერთებული **მრ2** მრიცხველის ცალკეული თანრიგების გამოსასვლელებთან მიერთებულ ტრიგერებთან; **დშ**-დეშიფრატორების ანაკრებია, შერჩეული ტემპერატურების მონაკვეთების მიხედვით შესაბამისი სიგნალების გამოიმუშავებისთვის; **მრ3**-ორობით-ათობითი მრიცხველია მეგომეტრის ჩვენებების დასაფიქსირებლად და შედის მეგომეტრის შემადგენლობაში; **ტ**-ტრიგერი საჭიროა **მრ3**-მრიცხველიდან ინფორმაციის გაცემის ნებართვისათვის, პროცესორთან კავშირის მოწყობილობაში დეშიფრატორებიდან მიღებული ტემპერატურის მნიშვნელობების მიხედვით; **დაყ**-დაყოვნების ელემენტი.

სქემა მუშაობს შემდეგნაირად: მოწყობილობასთან მუშაობის დაწყებამდე უნდა მომზადდეს და ჩაირთოს მასში შემავალი მოწყობილობები, მეგომეტრი და ღუმელის მართვის მოწყობილობა მათზე დართული ინსტრუქციების შესაბამისად.

დანადგარის ავტომატიზებულ რეჟიმში მუშაობა იწყება სიგნალის მიწოდებით **გას**-გასაღების **მრ1** და **მრ2** მრიცხველების ნულოვან მდგომარეობაში მოსაყვანად, დეშიფრატორიდან მიღებული სიგნალით, რომელიც გამოიმუშავდება ქვედა ზღვარის შესაბამისი სიგნალით. იგივე სიგნალი დაყოვნების გავლით გააღებს გასაღებს და სიგნალები გადაადგილების შესახებ დაიწყებენ გავლას **მრ1** მრიცხველის შესავსებად.



ნახ.1 ავტომატიზებული დანადგარის მართვის ფუნქციონალური სქემა

შემდგომში შერჩეული ტემპერატურების მონაკვეთების მიხედვით დეშიფრატორების მიერ გამოშუშავებული სიგნალები „ან“ ელემენტის გავლით რიგრიგობით ამზადებენ ტ-ტრიგერს და მრ1-მრიცხველის გამოსასვლელებზე „და“ ელემენტების ამ სიგნალებით დამუშავების შედეგად მრ1-მრიცხველში ჩაწერილი იმფორმაცია გაიცემა პროცესორთან კავშირის მოწყობილობაში, ხოლო მეგომმეტრის მართვის მოწყობილობიდან ტ-ტრიგერის მეორე შესასვლელზე მისვლისას მეგომმეტრის მრ3-მრიცხველში ჩაწერილი იმფორმაცია ასევე გაიცემა პროცესორთან კავშირის მოწყობილობაში ეს ხორციელდება იმ მომენტამდე ვიდრე არ მოხდება ყველა ტემპერატურული მონაკვეთების შესაბამისი იმფორმაციის დამუშავება და ზედა ზღვარის შესაბამისი სიგნალის გამოყოფა დეშიფრატორიდან. ამრიგად, კომპიუტერში ჩაიწერება მოცემული კაზმის თვისებებთან დაკავშირებული ყველა გაზომვის მნიშვნელობები.

ავტომატიზებული დანადგარის გამოყენება მეტალურგიული პროცესების შესწავლისათვის უზრუნველყოფს გაზომვის რეზულტატების მიღებას მაღალი სიზუსტით და ამცირებს გაზომვებისათვის საჭირო დროს.

**ავტომატიზებული დანადგარი ნედლეულის მეტალურგიული თვისებების  
შესწავლისათვის**

*ბ. ბელოშვილი, ძ. წერეთელი, ნ. მირიანაშვილი, ვ. ხათაშვილი*

**რეზიუმე**

შემოთავაზებული კომპიუტერული სისტემა სპეციფიკური კატეგორიის მომხმარებელს დაეხმარება სიმბოლოების გამოყენებით კომუნიკაციის დამყარებაში.

**THE COMPUTER COMMUNICATION SYSTEM FOR PERSONS WITH SPECIAL NEEDS**

*L. LORTKIPANIDZE, L. SAMSONADZE*

**Summary**

The offered computer communication system will be developed for Windows as software and will help a person with a severe communication disorder to communicate by using symbols.

## КОМПЬЮТЕРНАЯ КОММУНИКАЦИОННАЯ СИСТЕМА ДЛЯ ПОТРЕБИТЕЛЕЙ СПЕЦИФИЧЕСКОЙ КАТЕГОРИИ

Л.ЛОРТКИПАНИДЗЕ, Л.САМСОНАДЗЕ

### Резюме

Предлагаемая компьютерная система поможет потребителям специфической категории в налаживании коммуникации с помощью символов.

### ლიტერატურა – REFERENCES –ЛИТЕРАТУРА

1. ლორთქიფანიძე ლ. ქართული ენის „კომპიუტერული სუფლიორის“ ხელშემწყობი ლექსიკონების პროგრამული უზრუნველყოფა. სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №13, 2009
2. ამირეხაშვილი ნ., ლორთქიფანიძე ლ., სამსონაძე ლ., ჯავაშვილი ნ. ქართული ენის კომპიუტერული სუფლიორი. საერთაშორისო კონფერენცია. “ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები”, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, 2009.
3. ბატატუნაშვილი ა. „მოლაპარაკე ხელები“, საქართველოს ყრუთა კავშირი

**კომპიუტერული საკომუნიკაციო სისტემა სპეციფიკური კატეგორიის  
მოგზაარეპელთათვის**

*ლ. ლორთქიფანიძე, ლ. სამსონაძე*

*l\_lordkipanidze@yahoo.com*

*liasams@yahoo.com*

ადამიანებს ვერბალური კომუნიკაციის უნარი ადრეულ ასაკში უყალიბდებათ. ეს პროცესი იმდენად ავტომატურია, რომ ჩვენ მასზე მცირე წარმოდგენა გვაქვს. ზეპირი მეტყველების წერილობითი სახით გამოხატვისას ვაცნობიერებთ, რომ შეტყობინება შედარებით მცირე ელემენტების საშუალებით არის კოდირებული.

ყოველ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს წერილობითი სახით ნებისმიერი აზრის გამოხატვა 33 ასოს კომბინაციით შეუძლია. მეტყველების დეფექტის მქონე პირთათვის კი აუცილებელია დამატებითი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა იმისათვის, რომ მათ შესაძლებელია შეტყობინების ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ანბანურად გადმოცემა შეძლონ. ალტერნატიული მეთოდების შესწავლის ამოცანა უფრო გაიოლდება, თუ პირველად განიხილება ენის ორგანიზაცია.

ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ ტრადიციული მეთოდებით წერისა და მეტყველების უნარი, ნორმალური კომუნიკაციისთვის დამატებითი სტრატეგიების ცოდნას საჭიროებენ, რაც გულისხმობს შეტყობინებების ან კოდების არჩევას შედარებით ნაკლები რაოდენობის ელემენტებისაგან. ეს ელემენტები გამოიყენება ცალ-ცალკე ან შერეულად, როგორც მოითხოვს შეტყობინებების მრავალფეროვნება. კომუნიკაცია დამყარებულია სიმბოლოთა ერთი ან რამდენიმე ტიპის არჩევანზე. ნათელია, რომ შეტყობინება წარმოდგენილი უნდა იყოს მსმენელისათვის გასაგები ფორმით.

დღეისათვის მსოფლიოში მრავალი ორგანიზაცია ცდილობს მკვეთრად დაქვეითებული სამეტყველო უნარებისა და სერიოზული კომუნიკაციური დარღვევების მქონე პირებისთვის დახმარების გაწევას და მათი ბუნებრივი დეფექტის კომპენსირებას. სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის მრავალი კომპიუტერული სისტემაა შექმნილი, რომელთა გამოყენებაც შეუზღუდავად შეუძლიათ სხვადასხვა ასაკის სოციალური წრისა და ეროვნების ადამიანებებს. თუმცა თითოეულ მათგანს აუცილებლად ესაჭიროება დამხმარე ასისტენტი.

შემოთავაზებული საკომუნიკაციო კომპიუტერული სისტემა იქნება ვინდოუსის გარემოსთვის დამუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებს დაეხმარება სიმბოლოების გამოყენებით კომუნიკაციის დამყარებაში. სისტემა შედგენილი იქნება რამდენიმე დამოუკიდებელი პროგრამისაგან. თითოეულ მათგანს შეეძლება მიმართოს მრავალფეროვანი სიმბოლოების მონაცემთა ბაზებს. სისტემა გამოყენების თვალსაზრისით მოქნილი იქნება: მომხმარებლის უნარის ზრდასთან ერთად, მას თანდათან დაემატება სიმბოლოების ახალი კომპლექტი.

თითოეული სიმბოლო, გამოსახულება ან ფოტოსურათი, რომელიც შევა სისტემის მონაცემთა ბაზაში, დაკავშირებული იქნება უნიკალურ კონცეფციასთან (ცნებასთან) კონცეფციათა სპეციალურ სიაში. კონცეფციები კატეგორიების მიხედვით დალაგებული იქნება სტანდარტული კატეგორიების სტრუქტურებში. იგივე კონცეფციების სია და კატეგორიების სტრუქტურა გამოყენებული იქნება სიმბოლოების არჩევის ოფციაში. აგრეთვე, შესაძლებელი იქნება სისტემის მონაცემთა ბაზაში ერთი და იმავე კონცეფციის გახმოვანების დამატება, ვიდეოჩვენება და სხვა.

მომხმარებელს საშუალება ექნება იმუშაოს ე.წ. დოკუმენტის შემქმნელთან. ამ პროგრამის საშუალებით მომხმარებელს შეეძლება დაწეროს წერილები, ისტორიები, შეთხზას ლექსები. შეძლებს დოკუმენტის შენახვას, ხელმეორედ გამოძახებას და რედაქტირებას. დოკუმენტის შემქმნელ პროგრამას, მომხმარებლის მიერ არჩეული სიმბოლოდან გამომდინარე, შეეძლება დოკუმენტში დაამატოს სიტყვები, ფრაზები, გამოთქმები და შეადგინოს ტექსტი.


გარდა ამისა, გათვალისწინებული იქნება ლექსიკონის შემქმნელი და პერსონალური კომუნიკატორი. ლექსიკონის შემქმნელით მომხმარებელი შექმნის თავის ინდივიდუალურ ლექსიკონს, ხოლო პერსონალური კომუნიკატორი დაეხმარება მას თვითონ გამოთქვას სიტყვები სალაპარაკო ენაზე ნათლად და გარკვევით. პროგრამა სინთეზატორისა და სამუშაო დიაგრამაზე ასახული ჩანაწერის დახმარებით მომხმარებელს შეატყობინებს

რამდენად სწორად წარმოთქვა მან ესა თუ ის სიტყვა და მის გასწორებას შეეცდება ვარჯიშის გზით.

სისტემის რეალიზაცია მოხდება Visual C++ ობიექტურ-ორიენტირებული ენის გამოყენებით, ხოლო მონაცემთა ბაზად გამოყენებულ იქნება Microsoft SQL.

საკომუნიკაციო ენებად მოიაზრება შემდეგი სახის სიმბოლიკები და შესტები: შესტური ენა არის ბუნებრივი ენის ნაირსახეობა ყრუ და სმენადაქვეითებულებისათვის. ასეთი ადამიანები აზრის გადმოსაცემად იყენებენ ხელების მოძრაობას და სხვა შესტებს, ვინაიდან ისინი მოკლებულნი არიან კომუნიკაციის ვერბალურ საშუალებებს. მსოფლიოში გავრცელებულია 650-ზე მეტი შესტური ენა – ამერიკული - ASL (American Sign Language), ბრიტანული - BSL (British Sign Language), გერმანული შესტური ენა - GSL (German Sign Language) და სხვა. მათთან შედარებით, ქართული შესტური ენა ნაკლებადაა ყურადღების ცენტრში.

შესტური ენა, ისევე როგორც სხვა ენები, ეყრდნობა რამდენიმე გრამატიკულ დონეს, როგორცაა ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური დონე. მეცნიერთა უმეტესობა იყენებს ლექსიკურ დონეს, ვინაიდან, რიგ შემთხვევაში, მისი სტანდარტიზაცია უკვე განხორციელებულია მომხმარებელთა მოცემული არეალისთვის და ყველა შესტის მოძებნა შესაძლებელია ლექსიკონში. ქართული შესტური ენის დამუშავება განხორციელდება თითოეული ინდივიდუალური შესტისთვის. აქაც, ძირითადად, ყურადღების ცენტრში იქნება ლექსიკური დონე. ფორმირებული იქნება შესტური ენის დასურათებული მონაცემთა ბაზა, სადაც თითოეული შესტი შეეთანადება გარკვეულ ცნებას (კონცეპტს) და იქნება სიტყვის ან ფრაზის ანალოგი. ბაზაში ჩაიწერება თითოეული კონცეპტის განმარტება და მისი შესაბამისი შესტური ენის სიმბოლო ანუ ხელების შესტიკულაციის ფოტოასლი. მონაცემთა ბაზაში თითოეულ კონცეპტთან დაკავშირებული იქნება მისი გამომხატველი სიმბოლოების ყველა სინონიმი (იხ. სურ.1).



სურ.1. კონცეპტის კავშირი შესტური ენის სხვადასხვა სიმბოლოებთან.

ცნებების უფრო ზუსტად გადმოცემის მიზნით გამოიყენება შესტური ანბანი (დაქტილი). დაქტილი იხმარება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მეტყველების დროს გვინდა გამოვთქვათ საკუთარი სახელები, აბრევიატურა, ან ისეთი სიტყვა, რომელსაც არა აქვს ანალოგიური სიმბოლო შესტების ენაზე.

დაქტილი (ხელების ანბანი) არის ისეთი სპეციფიკური კომუნიკაციის საშუალება, რომლის აღქმა მხედველობით ხდება. სხვადასხვა ასო-ბგერის ასახვა ხდება ხელის მტევნის მოძრაობით: თითები თითქოსდა იმეორებენ ასოს მოხაზულობას.

დაქტილის ქართულ ანბანში იმდენივე ნიშანია, რამდენი ასოცაა ალფაბეტში - 33. დაქტილის ნიშნებით სიტყვების აწყოება იმგვარად ხდება, რომ მათი დახმარებით გამოითქმება წერილობითი ტექსტი.


ბაზაში ჩაიწერება ქართული ასო-ბგერები და მათი შესაბამისი უესტის როგორც ფოტოასლი, ასევე ჩანახატი. გარდა ამისა, თითოეული კონცეპტისთვის შეივსება მისი წერილობითი გამოსატვის შესაბამისი ჩანაწერი დაქტილზე (იხ. სურ.1).

ბლის-სიმბოლიკა (ტერმინი მომდინარეობს სიმბოლიკის შემქმნელი მეცნიერის Charles K. Bliss გვარისგან) თავიდანვე ჩაფიქრებული იყო როგორც წერის იდეოგრაფიული სისტემა, რომელშიც თითოეულ კონცეპტს გარკვეული გრაფიკული გამოსახულება შეესაბამება. ბლის-სიმბოლოების საერთაშორისო ორგანიზაცია BCI (Blissymbolics Communication International) უზრუნველყოფს მათ გავრცელებას და მოხმარებას სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის. განსაკუთრებით სასარგებლოა ბლის-სიმბოლოებით წერის ჩვევები იმ პირთათვის, ვისაც დარღვეული აქვს კომუნიკაციის დამყარების როგორც ვერბალური, ისე უესტური შესაძლებლობა. ბლის-სიმბოლოები განსხვავდება ყველა ცნობილი წერის სისტემისაგან. ბლის-სიმბოლოებით გამოსატული სიმბოლოების წარმოთქმა არ ეთანადება არც ერთ სალაპარაკო ენის სიტყვათა წარმოთქმას.

ამჟამად ბლის-სიმბოლოთა ენაში არის 500 საბაზისო (ავტორიზებული) სიმბოლო - ბლის-სიტყვა. ცნობილია თითოეული მათგანის სემანტიკა. ბლის-სიტყვებითა და მათი კომბინაციებით შესაძლებელია ნებისმიერი ცნების გამოსატვა და აგრეთვე წინადადებების შედგენა.

კომპიუტერული სისტემების სწრაფმა განვითარებამ და მონაცემთა ბაზების წარმოდგენის, შენახვისა და ორგანიზაციის ახალმა მეთოდებმა შესაძლებელი გახდა უესტური ენის ვიდუო-ჩანაწერების გაციფრება. პრაქტიკული თვალსაზრისით უესტური ენის ვიდუო-ჩანაწერით სწავლება უფრო ეფექტურია, რადგანაც ინფორმაციის გადაცემა ხდება უესტური ენის არა სტატიკური გზით, არამედ მოძრაობაში და ამასთან ერთად არტიკულაციითაც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული საკომუნიკაციო სისტემის უესტური ენის ლექსიკონის ბირთვი იქნება კონცეპტების (ცნებების) მონაცემთა ბაზა. ჩამოთვლილი სამუშაოების პარალელურად მოხდება კონცეპტების კლასიფიცირება და გაერთიანება ადამიანის ყოფითი მდგომარეობის (სიტუაციის) ამსახველ სხვადასხვა კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებსში. კატეგორიები იქნება, მაგალითად: მოქმედება; ტანსაცმელი; პირადი ნივთები; აღწერა; საკვები; ავად ყოფნა; ბუნება; რელიგია და მრავალი სხვა. მაგალითად, საკვების ქვეკატეგორიები შეიძლება იყოს: ცხოველური წარმოშობის პროდუქტები; პურეული; ხილი; ბოსტნეული და სხვ. გარდა ამისა თითოეული კონცეპტისთვის შეივსება შესაბამისი განმარტება და ყველა სახის სიმბოლოს, უესტური იქნება ის, ჩანახატი, თუ ბლის-სიმბოლო, მიეწერება კონცეპტის აღმნიშვნელი მარკერი ქართულად. მაგალითად, თუ ეს კონცეპტი არის 'წიგნი', მაშინ ის ჩაიწერება კონცეპტების მონაცემთა ბაზაში თავისი შესაბამისი მარკერით, რომელიც მიწერილი იქნება მის ყველა სიმბოლოს (იხ. სურ. 2).




სურ. 2 კონცეპტი 'წიგნი'-ის სიმბოლოები.

საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამა მოემსახურება ძირითადად სამ მიზანს: სწავლებას, კომუნიკაციის დამყარების ხელშეწყობას და ქართული ენის სიმბოლოების ლექსიკონების გაფართოებას. ზემოთ დასახელებული ლექსიკონის შემქმნელისა და პერსონალური კომუნიკატორის გარდა ვაპირებთ ტექსტური ინტერპრეტატორის

შემუშავებას, რომელსაც შეეძლება ვესტური ენის წერილობით სახეზე გადაყვანა და პირიქით.

როგორც საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამის ინსტრუმენტების ფუნქციონირების ზოგადი ალგორითმიდან ჩანს (იხ. სურ. 3), სიმბოლოების დახმარებით ტექსტის შედგენის დროს, თუ სიმბოლო მონაცემთა ბაზაში არ აღმოჩნდება, სისტემა გამოიძახებს ლექსიკონის შემქმნელს. მომხმარებელს შეეძლება თვითონ, ან პედაგოგის დახმარებით, დაამატოს ბაზას საძიებელი სიმბოლოს ყველა გამოსახულება და შემდეგ ისევ გააგრძელოს ტექსტის შედგენა.



სურ.3. კომპიუტერული პროგრამის ინსტრუმენტების ფუნქციონირების ზოგადი ალგორითმი

შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის ყველა მოდული თავსებადი იქნება როგორც სტაციონალურ კომპიუტერებთან, ასევე ანდროიდის ოპერაციული სისტემის მქონე მობილურ ხელსაწყოებთან.

**კომპიუტერული საკომუნიკაციო სისტემა სპეციფიკური კატეგორიის მომხმარებელთათვის**

*ლ. ლორთქიფანიძე, ლ. სამსონაძე*

**რეზიუმე**

შემოთავაზებული კომპიუტერული სისტემა სპეციფიკური კატეგორიის მომხმარებელს დაეხმარება სიმბოლოების გამოყენებით კომუნიკაციის დამყარებაში.

**THE COMPUTER COMMUNICATION SYSTEM FOR PERSONS WITH SPECIAL NEEDS**

*L. LORTKIPANIDZE, L. SAMSONADZE*

**Summary**

The offered computer communication system will be developed for Windows as software and will help a person with a severe communication disorder to communicate by using symbols.

**КОМПЬЮТЕРНАЯ КОММУНИКАЦИОННАЯ СИСТЕМА ДЛЯ ПОТРЕБИТЕЛЕЙ  
СПЕЦИФИЧЕСКОЙ КАТЕГОРИИ**

*Л.ЛОРТКИПАНИДЗЕ, Л.САМСОНАДЗЕ*

**Резюме**

Предлагаемая компьютерная система поможет потребителям специфической категории в налаживании коммуникации с помощью символов.

**ლიტერატურა – REFERENCES –ЛИТЕРАТУРА**

1. ლორთქიფანიძე ლ. ქართული ენის „კომპიუტერული სუფლიორის“ ხელშემწეობი ლექსიკონების პროგრამული უზრუნველყოფა. სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №13, 2009
2. ამირეხაშვილი ნ., ლორთქიფანიძე ლ., სამსონაძე ლ., ჯავაშვილი ნ. ქართული ენის კომპიუტერული სუფლიორი. საერთაშორისო კონფერენცია. “ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები”, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, 2009.
3. ბატატუნაშვილი ა. „მოლაპარაკე ხელები“, საქართველოს ყრუთა კავშირი

## ლექსემა „თოვლის“ აღწერა ლექსიკური ფუნქციებით

ბ. ლოკვაძე

განმარტებითი კომბინატორული ლექსიკონი წარმოადგენს სიტყვათა მრავალმხრივი განსაზღვრების წყაროს.

ლექსიკურმა ფუნქციებმა და სინონიმურმა მწკრივებმა უნდა მოაწესრიგონ ლექსიკური ერთეულების – ლექსემების დიდი სიმრავლე. ლექსიკურმა მწკრივებმა ლექსიკურ პარადიგმაში თავი უნდა მოუყაროს მსგავსი შინაარსისა და საერთო სემანტიკური ბირთვის მქონე ლექსემებს, ხოლო ლექსიკურმა ფუნქციებმა უნდა მოახდინოს ლექსიკური კომბინატორიკის სემანტიკის კლასიფიცირება და მოავგაროს ურთიერთობები როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული სემანტიკის ლექსემათა კლასებს შორის.

ნაშრომში მოცემულია ლექსემა „თოვლის“ განსაზღვრა ლექსიკური ფუნქციებით, ანუ სემანტიკური მახასიათებლებით.

ლექსიკური ფუნქცია არის ის ზოგადი მნიშვნელობა, რომელიც სხვადასხვა სახით გამოიხატება მრავალ სალექსიკონო ერთეულში. ლექსემა „თოვლთან“ წარმოდგენილია ლექსემის 1) “პარადიგმატიკული” ვარიანტები, ან “ჩანაცვლებები” – საშუალებები, რომელთაც გარკვეულ პირობებში  $C_0$  უნდა ჩანაცვლონ ამა თუ იმ კონტექსტში ძირითადი აზრის შეუცვლელად, ასეთებია: Syn (სინონიმები), Anti (ანტონიმები), Conv (კონვერსიები), Der (დერივატები); 2) მათი “სინტაგმატიკური პარტნიორები” ან “პარამეტრები” (ლექსიკური ფუნქციები), რომლებიც მკვეთრად ცვლიან ამოსავალი  $C_0$  სიტყვის მნიშვნელობას [1].

მაგალითად, ლექსიკური ფუნქცია Result (რეზულტატივი) – „მდგომარეობა“, რომელიც ზმნით ასახული პროცესის შედეგს წარმოადგენს. Result-ის მნიშვნელობა და მისი მიმართება Perf-თან აისახება სამი წევრის საშუალებით:

$C_0$	Perf ( $C_0$ )	Result ( $C_0$ )
წვება	დაწვა	წვეს
ღვება	აღვა	ღვას
იწონებს	მოიწონა	მოსწონს და ა.შ.

ძალზე მნიშვნელოვანია განვმარტოთ ისეთი ლექსიკური ფუნქციები, როგორებიცაა სინონიმები და კვაზისინონიმები. Syn – სინონიმი არის სიტყვა, რომელიც შინაარსით ემთხვევა ამოსავალ  $C_0$  სიტყვას, მიეკუთვნება იმავე მეტყველების ნაწილს და გააჩნია ისეთივე აქტიური სინტაქსური ვალენტობები, როგორც  $C_0$  სიტყვას. სრულ სინონიმებთან ერთად სალექსიკონო სტატიაში წარმოდგენილია კვაზისინონიმები, რომლებსაც სინონიმებთან საერთო მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან რაღაც ნიუანსით. კვაზისინონიმებს თან ახლავს შემდეგი ინდექსები:  $\supset$  (შინაარსით უფრო ფართო),  $\subset$  (შინაარსით უფრო ვიწრო),  $\cap$  (გადაიკვეთება შინაარსობრივად). აღნიშნული ინდექსები გამოიყენება ჩანაცვლების სხვა ფუნქციებთანაც: Conv (კონვერსივი), Anti (ანტონიმი) და ყველა Der (დერივატი).

ამოსავალ სალექსიკონო ერთეულთან მითითებულია აგრეთვე ის სიტყვები, ანუ კორელატები, რომლებიც აზრობრივად შეესაბამება, მიესადაგება მას. სიტყვის სიტყვასთან მისადაგებას, შესამებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ენის შესწავლისა და ცოდნისთვის, ისე ენის სიწმინდის დაცვისთვისაც, რომ არაფერი ვთქვათ გრძნობიერი მხატვრული სიტყვის სახეთა შექმნაზე.

ნაშრომში გათვალისწინებულია ბუნების მოვლენის ამსახველი ლექსემის – „თოვლის“ განსაზღვრა ლექსიკური ფუნქციებით. აგრეთვე გათვალისწინებულია [2], [3]-ში მოცემული მასალა “თოვლის“-ს შესახებ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში [4] “თოვლი” განმარტებულია, როგორც „ატმოსფერული ნალექი, წყლის კრისტალები ყინვისაგან შეკავშირებული თეთრ ფიფქებად; ასეთი ფიფქების მასა“.

თოვლი განსაკუთრებულია ბუნების მოვლენათა შორის. ის მართლაც ბუნების საჩუქარია; როცა თოვს, როცა ბარდნის უხვად, ბარაქიანად ადამიანი გარიდებული ყველაფრისაგან – გარინდებულია, თავდავიწყებულია. თოვლი უყვარს და მისი მოსვლა ერთნაირად უხარია დიდებსა და პატარებს. ხელოვანთათვის ხომ თოვლი ზეშთაგონების წყაროა. რის მეტაფორად არ გვევლინება ქართულ პოეზიაში „თოვლი“. გალაკტიონთან

სულის სიწმინდედაა მიხნეული. მისთვის ყველაზე უმთავრესი – სამშობლოც კი თოვლთანაა გაიგივებული:

„რა სიწუმეა, როგორ აჩნია  
გზებს ნაკვალევი არ საამსოფლო,  
რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია,  
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

ქართულ პოეზიაში თოვლის ფიფქების მეტაფორებია: თეთრი მფრინავი პეპლები {თეთრი პეპლებით სავსე ქუჩები და სიწუმეში შრიალი ქარის კოლაუ ნადირაძე}; ნარგიზთა გროვა [თოვლი კი როგორც ნარგიზთა გროვა, დაგეფარფატებდა ფრთების შრიალით კოლაუ ნადირაძე]; დაფეთებული მტრედები [ეს თოვლია, თუ მიმინომ დააფეთა მტრედები გ. ლეონიძე]; თეთრი აფრები [მავრამ ჯერ უნდა მოვიდეს თოვლი და გადმოფინოს თეთრი აფრები ო. ჭილაძე]; თოვლის მოსვლა [თოვლი მობრძანდა ტენორის ყელით და უსპეტაკეს ხელთათმანებით გ. გაფრინდაშვილი]; „წამყვანი“ თოვლი [და თოვლს მიჰყავდა ყინვის აღვირით ჩვენი ქუჩები როგორც ცხენები გ. გაფრინდაშვილი]. სხვა მაგალითებს აქ აღარ მოვიშველიებთ, რადგან ქვემოთ ლექსიკური ფუნქციებით წარმოდგენილი მაგალითები თითქმის ყველა მეტაფორულია.

ლექსემა „თოვლის“ აღწერისას გამოყენებულ ლექსიკურ ფუნქციათა ჩამონათვალი:

Syn – სინონიმი;

Gener – ამოსავალი სიტყვის მიმართ საზიარო ცნების დასახელება;

S<sub>0</sub> – დერივატი, არსებითი სახელი;

A<sub>0</sub> – დერივატი, ზედსართავი სახელი;

Adv<sub>0</sub> – დერივატი, ზმნიზედა;

V<sub>0</sub> – დერივატი, ზმნა;

Figur – C<sub>0</sub>-სთვის მიღებული მეტაფორა;

Mob – გადაადგილება;

Incep – <დაწყება> ( $Incep \xrightarrow{2} C_0$ );

Mult – სიმრავლე, მრავლობა;

Sing – ცალკეული, ერთეული;

Funk<sub>0</sub> – ზმნა, რომელსაც სიტუაციის დასახელებად აქვს ქვემდებარე, აკტანტებად კი დამატებები;

Grad – გრადაცია სიტყვისა – სიმაღლის, ფერის, სიმკვრივის, სინქარის დაფარვის მიხედვით;

Degrad – დანგრევა, გაფუჭება;

Magn – რაღაც მოვლენის მაღალი ინტენსივობით (≈'ძალიან') აღნიშვნა;

Bon – კარგი;

Caus – კაუზაცია;

Fin – შეწყვეტა;

Son – ხმოვანება;

Loc – ტიპური ლოკალიზაციის თანდებული.

ქვემოთ მოცემულია ლექსემა "თოვლის" განსაზღვრა ლექსიკური ფუნქციებით:

**C<sub>0</sub> = თოვლი**

Syn ⊃ : ფიფქი<sup>2</sup>, ყაპყი, ყაპი, პაპყი

[ახალმოსული,

მშრალი],

[მშრალი]

: ცუფქარა

Magn [ჩამოშლილი] : ზგავი<sup>1</sup>, შგავი<sup>1</sup> [გეხმის გრიალი მთებიდან ზგავის გალაკტიონი], [ზგავის ქვეშ მე რას შევცოდებდი, თუ არ მსხმოდა ტანზე ნაბადი ბ. ხარანაული]; [მოსხლეტილ ზგავთა სრიალში, ცაში ნაგარდი არწივის ი. ნონეშვილი].

Bon

: თეთრი, ქათქათა, სპეტაკი, უსპეტაკესი, გადაპენტილი, ირიბი, აღმაცერი, ელვარე, იისფერი, ვარდისფერი, წმინდა, სუფთა,

	გაკვალი, გაუკვალი
Anti Bon	: თოვლტილა
Der - S <sub>0</sub>	: <b>თოვლობა, უთოვლობა, თოვლიანობა</b> [იმ ზამთარს დიდი <b>თოვლობა</b> იყო ხალხ.ზღაპარი]
- V <sub>0</sub>	: თოვს, ფიფქავს, ფერფლავს
- A <sub>0</sub>	: <b>თოვლიანი</b> [ფანჯრიდან ხედავს თოვლიანი მინდვრის თეთრ გულმკერდს ბ. ხარანაული], <b>თოვლივით</b> [თრთოლა ფურცელი, თოვლივით თეთრი ო. ჭილაძე], [თოვლივით თეთრი, თოვლში დგას ცხენი რ. ამაშუკელი], <b>ათოვლებული</b> [მის სადიდებლად გამოვიჭრი ყელს ათოვლებულს ვ. გაფრინდაშვილი], <b>მთოველი, მთოვარი, ნათოველი, დათოვლილი, უთოვლო, მთოვლილი</b> [ცოტა მთოვლილი ყოფილა ბ. ხარანაული], <b>თოვლური.</b>
- Adv <sub>0</sub>	<b>თოვლიანად, უთოვლოდ.</b>
Gener	: <b>ატმოსფერული მოვლენა (ნალექი)</b>
[ქარისგან ატანილი]	<b>ბუქი, თოვლბუქი, თოვლქარი</b> [... და მრავალ ქალაქს აჭვლიჯეს ქალა, ყინვის თოვლქარის თეთრმა მწვერებმა ბ. ხარანაული], <b>თოვლქარბუქი, ქარბუქი</b> [თითქოს ქარბუქი წამოიღებს ჩემს ფიქრებს მწარეს და შენს საფლავთან გარინდება ა. სალუქვაძე], [და სუბსარქის მკაცრი ქარბუქი უნაზეს სიოდ გეჩვენებოდა ი. გრიშაშვილი], <b>ნამქერი</b> [ქარი უბერავს, მოაქვს ნამქერი, ჩიტი ნიბლია ატირდა გ ზაზე ვაჟა-ფშაველა].
[მდნარი, წყლიანი]	<b>ჭყაპი, თოვლ-ჭყაპი, თოვლ-შხაპი</b>
Sing	: <b>ფიფქი</b> <sup>1</sup> თოვლში თბილისი უტურფესია, ყლორტზე ნაზია თოვლის ფიფქები ს. ჩიქოვანი], <b>ფანტელი</b> [მთებზე მფრინავი ფანტელებია, მე კი მგონია ყვავის ტყემლები ს. ჩიქოვანი], <b>ფარტენა</b> [კაცს ხშირი თოვლის ფარტენების ცაში ტრიალი თავბრუს ახვევს ბ. ხარანაული], <b>ფერფლი, ქინქლი.</b>
Grad [წვრილი ფიფქი]	: ფირფლი
Grad [წვრილი, გაყინული ფანტელი]	: ხორხოში, ხორხოშელა, ხოშკაკალი, ხოშკაკალა
Mult [დადებული ფანტელები]	: ბარდანი
[ფიფქი <sup>1</sup> დნობის შემდეგ შეყინული]	: არხლი, არხილი
Mult [თოვლი]	: ძანძალი
Mult [თოვა]	: <b>ბრილეა, ბარდნა</b> [და კვლავ ბარდნიდნენ ჩემს მწუხარებას თოვლი და მკრთალი პანაშვიდები ნ. სამადაშვილი]
Magn [თოვა]	: ხეაერიელი, ბარაქიანი
Degrad	: <b>დნობა</b> [რომ ზამთრის სევდა თოვლივით დნება, ისე ვით ხსოვნა შესანდობარი ვ. გაფრინდაშვილი], [ეს თოვლი მალე დადნება, წყალმა გაიღოს ჩხრიალი მიხა ხელაშვილი], [ღამის ბარის სამკუთხედ სახურავზე დნება თოვლი და წვეთ-წვეთ ჩამოდის გაღვიძებულ კრამიტებზე ბ. ხარანაული], [დოლების ხმაზე დნებოდა თოვლი ო. ჭილაძე], <b>ლხობა, ლლობა, ლელა.</b>
[შეყინული თოვლის]	: ლელმა
[ალაგ-ალაგ თოვლი]	: ლილო
[თოვლის ღვარი]	: <b>ლანქერი</b> [მოდის მოივრავნება წვიმით, ქარით, ლანქერით ს. მკელაძე], [თოვლი ატირდა ლანქერად, აღიდდა ჩვენი წყლებია რ. ერისთავი].

[მცენარეზე, ბალახზე შეყინული თოვლი]	: ჭირხლი, თოვლჭირხლი
Caus	: <b>თოვა</b> , <b>ფიფქვა</b> [თოვლი თოვს, ქარი ბობოქრობს ვაჟა], [ყოველდღე <b>თოვდა</b> და თოვლი ქუჩებს იმედებივით ართმევდა ფერებს ო. ჭილაძე], [მე ეხლა მხოლოდ ამ თოვლით ვცხოვრობ, <b>მათოვს</b> და <b>მათოვს</b> თეთრი ვარდები ო ჭილაძე], [უდროოდ ჩამოათეთრა ზამთრის <b>ფიფქვების თოვამა</b> გ. ჩოსელი], <b>გადაპენტვა</b> [თეთრად გადაპენტილა ცა ხალხ.], <b>ათოვს</b> [ათოვს გამგლელებს და გულცივ ბალებს გ. ტაბიძე], [რა თოვლია! შენობებს და ბაღში ხარდანს ფარავს თეთრად დასახული ი. აბაშიძე], [გარემოცული თოვლით და ქარით, თავის ბუნაგში ცხოვრობს ქალაქი ო. ჭილაძე], <b>თოვლს დადებს</b> , <b>თოვლით დაიფარება</b> [თოვლით დაფენილ ტრიალ მინდორსა თითქოს ღრმა ძილით ჩასძინებოდა ნ. ლომოური] დათოვს, დათოვლავს – დათოვლილი, ჩამოთოვს – ჩამოთოვილი, მოთოვს – მოთოვილი, შეფიფქავს – შეფიფქული, ფიფქდაყრილი.
Incep	: თოვდება
Perf Incep Funko	: წამოვიდა, წამოთოვა
Fin	: <b>გაქრობა</b> <sup>2</sup> შარშანდელი თოვლივით გაქრა, [გაზაფხულზე, როცა თოვლი დადნება და გაქრება, სულ პირველი მე მოვივიარ, ია მქვია სახელად თ. მეტრეველი], <b>აღება</b> <sup>7</sup> [დმურთმა დასწყევლოს ტყვიავი თოვლს დასდებს, აღარ აიღებს ხალხ.], [ვაი, გზას ჩამოთოვილსა, სამ თვეს არ აუღებსაო ბ. ხარანაული], <b>წასვლა</b> [წავიდა თოვლი, მოვიდა მიწა შ. ჩანტლაძე]
Funko	: <b>მოსვლა</b> [ეს თოვლია, თოვლი მოდის, განა მართლა პეპლებია გ. აბაშიძე], [მაგრამ ჯერ უნდა მოვიდეს თოვლი და გადმოფინოს თეთრი აფრები ო. ჭილაძე], <b>ცვენა</b> [უხვად მოცვივა სანგარში თოვლი რ. მარგიანი], <b>დაშვება</b> [დაეშვა თოვლი, ფრინველი ლიბრი, ბოლოდაწყობილ ფრთათა ჭაღარით გ. ტაბიძე], <b>ეწვეთება</b> [თოვლი სახეზე და მკლავებზე მათ ეწვეთება ვ. გაფრინდაშვილი], <b>დაცემა</b> [მიწას დაეცა პირველი ფიფქი შენსავით წმინდა ი. ნონეშვილი], <b>ეყრება</b> [და ახლა აღბათ რუსთველზეც ათოვს და ჩვენ აივანს ეყრება თოვლი რ. მარგიანი]. : <b>ძრწოლა</b> [ქუჩაში დაძრწის თოვლი და ქარი დაღლილი ყალბი ცრემლით და ფიცით ო. ჭილაძე], <b>ფარფატი</b> [თოვლი დაგეფარფატებდა ფრთების შრიალით კოლაუ ნადირაძე], <b>ფრიალი</b> [დაფრიალებენ ვით ფრინველები... ფიფქები რ. მარგიანი].
LOC=adv	: <b>-ში</b> [ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი გ. ტაბიძე], [თოვლში მოვიყვანს ზაფხულის ყვავილს, ჩემი ბახალა გ. ტაბიძე], [იდგა ბერძუნა ღამის მთევარი თოვლში ნაბდითა ა. კალანდაძე]. : <b>-ზე</b> [ყვავილი თოვლზე, კვალი თოვლზე, თოვლზე მოსრიადლა]. : <b>-გან</b> [და თოვლისგან მთლად გავიპენტე ვ. გაფრინდაშვილი]
Figur	: <b>[-ის]</b> <b>საფარი</b> , <b>სუდარა</b> [როცა ისინი მოიშორებენ თოვლის <b>სუდარას</b> ა. კალანდაძე], [მახსოვს საღამო თოვლის <b>სუდარით</b> მღუმარე არეს ასე რომ შეენის კოლაუ ნადირაძე], [ <b>მიეთოვოს</b> , <b>მოეთოვოს</b> კედლებს ფარშევანგები გ. ტაბიძე], [სად ზღვის ჭაგლებია ყვავილთა <b>მთოველი</b> , კვლავ ვხვდებით ერთმანეთს მე და ბეთჰოვენი გ. ტაბიძე]. : <b>თოვლის მოკიდება</b> {თოვლით დაფარვა, თოვლის დადება}, <b>თოვლეთი</b> – თოვლის სამყარო, სადაც მუდამ თოვლია [ჭიხვინი

ისმის თავლიდან, თავალს ეფერება თოვლეთი ე. კვიტიანიშვილი].  
: **კენესა** [ყურს არ ვუგდებდი სახურავზე თოვლის ჩუმ კენესას ბ. ხარანაული], **სიმღერა** [და თოვლს, სიმღერით ისედაც დაღლილს, სთხოვდნენ ემღერა ისევ და ისევ ო. ჭილაძე], **თოვლის ქურქი** [იღვა ვერღენი ცრემლიანი და თოვლის ქურქში – პაოლო იაშვილი], **თოვს** [თოვს თონის პური ფართე და თეთრი შ. ჩანტლაძე].

Anti Mob : **ღება** [თოვლი იღო ჯაგახეთის მთათა ზედა ა. კალანდაძე], [თოვლი აჭარა-გურიის მთების, ნისლი და თოვლი ა. კალანდაძე], **დგომა** [თოვლი ქალაქში იღვა ყელამდე, თოვლის ყალიბში იყო ჩასხმული ო. ჭილაძე], **წოლა** [ეს ვეფხვი არ არის, ეს თოვლი წევს გაღმა ხეებში ბ. ხარანაული], **გდება** [სიზმრის ლეშივით აგდია თოვლი ო. ჭილაძე].

Son : **ხრაშუნი, ხრაშა-ხრუში, შრიალი** [მარტო თოვლის ხრაშუნი ისმის. ხრაშ-ხრუშ, ხრაშ-ხრუშ რ. ინანიშვილი], [თოვლის **შრიალი** შეხვედრის წამი კოლაუ ნადირაძე], [გარეთ **შრიალებს** იანვრის თოვლი ო. ჭილაძე], [თეთრი პეპლებით სავსე ქუჩები და სიჩუმეში **შრიალი** რბილი კოლაუ ნადირაძე], **კენესა, სიმღერა** [ავსებს პაერს კენესა თოვლის ნიკა ჯორჯანელი].

თოვლთან დაკავშირებული მრავალი განმარტება თავმოყრილია „ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონში“:

**ბერილი** ბუჩქებისა ან წაქცეული ხის ტოტებისაგან შეკავებული თოვლის გროვა;  
**ქურხლი** ხეზე დადებული თოვლი;  
**ხრილი** მშრალი ქურხლი;  
**ხურხლი** ხის ტოტებზე შერჩენილი თოვლი;  
**ხორტი** მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი;  
**ჯიშთი** ხევში ჩარჩენილი თოვლი;  
**ჩუმქარი, ხიაწი, ნაბუქი** ქარისაგან ატანილი და სადმე მიყრილი თოვლი;  
**თოვლის დახვევა** თოვლის დატრიალება და სვეტად აყრა;  
**ჩამომზღველევა** ჩამოწოლა, ჩამონგრევა (თოვლისა) **ნამზღველევი**;  
**ფირნი** ყინულის მარცვლებად ქცეული დადებული თოვლი;  
**თოვლხოშორა** წყლით გაუღენთილი და გაყინული თოვლი მთაზე;  
**სათოვლე** ტაფობში დაგროვილი თოვლი;  
**ნაჩოთირები** ნაკვალევი თოვლზე;  
**გუნდა, თოვლბურთა** ბურთივით დამრგვალებული თოვლი (სათამაშოდ);  
**გუნდაობა, თოვლაობა** გუნდებით თამაში;  
**ბუმბვლა, გუნგვლა** თოვლში გორება;  
**გადმოთოვლა** თოვლის გადმოყრა სახურავიდან;  
**ნაფთული** ბანიდან გადმოხვეტილი თოვლის გროვა;  
**თოვლის პაპა** თოვლისგან გაკეთებული კაცი, თოჯინა.

სტატიაში მოცემულია ბუნების ერთ-ერთი მოვლენის ამსახველი ლექსების - 'თოვლი'-ს განსაზღვრა, რომელიც წარმოდგენილია "ლექსიკური ფუნქციების", "სინონიმური რიგების" და ა.შ. ტერმინებში.

## DESCRIPTION OF LEXICAL UNIT “SNOW” BY THE LEXICAL FUNCTIONS

*E. DOKVADZE*

### Summary

In the paper is given definition of a lexical unit *tovli* ('snow'), which belongs to the lexical units expressing “natural phenomenon”; its description is formulated in the terms of “lexical functions”, synonymical series”, etc.

## ОПИСАНИЕ ЛЕКСЕМЫ “СНЕГ” ПОСРЕДСТВОМ ЛЕКСИЧЕСКИХ ФУНКЦИЙ

*Е. ДОКВАДЗЕ*

### Резюме

В статье дано определение одной из лексических единиц, обозначающих “явления природы”, а именно лексемы *tovli* (‘снег’), определение построено в терминах “лексических функций”, “синонимических рядов” и др.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Мельчук И. Ф., Жолковский А.К. Толково-Комбинаторный Словарь русского языка, Вена, 1984
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი, 1986
3. ფონსუა ბ., თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, 1987
4. ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ”ლექსიკონი, 1978

## ქართული ენის კომპიუტეროზაციის კონცეფციები

ლ. მარბუკელი

ენის დამუშავება-შესწავლა კომპიუტერთან მიმართებაში ენათმეცნიერებისათვის ის სფეროა, სადაც ორ კითხვას უნდა გავცეს პასუხი: რა კონცეპტუალურ-თეორიული ხასიათის ღირებულება შეიქმნა და რა პრაგმატული გამოყენება აქვს მას.

ენა გარე სამყაროს შეცნობისა და დაყოფის საშუალებაა. ცნობილია ისიც, რომ ყველა ენამ თავისებურად დაყო და აღიქვა სინამდვილე, მათ შორის ქართულმაც. მასაც აქვს სამყაროს აღქმის საკუთარი თვალთახედვა. ენის თვალთახედვა, თავისებურება ენის ყველა დონეზე მეტ-ნაკლებად ჩანს, იქნება ეს სემანტიკური, ლექსიკური, სინტაქსური თუ მორფოლოგიური დონე. ენათა თავისებურება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სინტაქსურ და მორფოლოგიურ დონეზე.

უნდა ითქვას, რომ მორფოლოგიას ქართულში დიდი ინფორმაციულ-ენობრივი დატვირთვა აქვს. ბევრი რამ, რაც ამა თუ იმ ენაში სხვა დონეებზეა გამოხატული, ქართულში მორფოლოგიურ დონეზე წყდება. ვამბობთ კიდევ, “ქართულს მდიდარი მორფოლოგია აქვს”. მდიდარია კატეგორიებით და ფორმებით სახელიც, ზმნაც (ზმნას შეუძლია თოთხმეტამდე კატეგორია გამოხატოს). რაც მეტია ენაში ფორმები, მით მეტ პრობლემას უკავშირდება მათი კომპიუტეროზაცია.

ქართულ ენას აკუთვნებენ ავლუტინაციურ ენათა ტიპს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვაფორმაში თავმოყრილი აფიქსები სტანდარტულია და მათი დაკავშირება გრამატიკულ მნიშვნელობასთან (გრამემასთან) ხერხდება, მაგრამ არა იოლად: ერთ გრამემას რამდენიმე გამოხატულება აქვს, რამდენიმე აფიქსი შეესაბამება (ე. ი. ადგილი აქვს სინონიმის) და პირიქით, ერთი აფიქსით ხშირად რამდენიმე გრამემა გამოიხატება (ანუ საქმე გვაქვს ომონიმისთან). ორივე მოვლენა (სინონიმია/ომონიმია) გარკვეულ დაბრკოლებას გვიქმნის სისტემების აგებისას. ბუნებრივი ენა, როგორც სისტემა, ამ რთულ მოვლენას შესანიშნავად უვლის (ამის დასტურია ის, რომ ვმეტყველებთ და ვწერთ და გვესმის ერთმანეთის), მაგრამ ეს ხდება გაუცნობიერებლად, ენობრივი სისტემა ჩვენშივე დევს. კომპიუტერული სისტემა კი ისე უნდა აიგოს, რომ სინონიმია/ომონიმის და, საერთოდ, ყველა სახის პრობლემა გააცნობიეროს და ისე დაძლიოს. თუ ენის მატარებელი ინტუიციით სწორად შეარჩევს საჭირო ფორმას, კომპიუტერული სისტემისათვის ცალსახად უნდა განისაზღვროს ფორმის აგების თუ გაგების გზა.

მორფოლოგიური ხასიათის პრობლემები უმეტესად მორფოლოგიის დონეზევე წყდება, მაგრამ ზოგჯერ მორფოლოგიური დონის მონაცემები არ კმარა და სირთულის მოსახსნელად მივმართავთ სხვა დონეებს. სხვა დონეები საჭიროა უფრო მორფოლოგიური ანალიზის დროს. მაგალითად უ ან ო ხმოვნებზე დაბოლოებული სახელებისთვის ს-იანი ფორმა მიცემითი ბრუნვაც არის და ნათესაობითის ბრუნვაც – სიტყვის (ანუ მორფოლოგიის) დონეზე ფორმა “ოქროს” არ გაირჩევა. უნდა მივმართოთ სხვა სიტყვებს ფრაზაში (ანუ სინტაქსურ დონეს). ფრაზაში “ოქროს აწარმოებენ” მიცემითშია “ოქროს”, ხოლო სიტყვათა წყვილში “ოქროს წარმოება” – ნათესაობით ბრუნვაში. კიდევ მაგალითი, ფორმა “კეთს” არსებითი სახელის მიცემითი ბრუნვაცაა და ზმნის პირიანი ფორმის აწმყოს მწკრივის III პირიც მხ. რიცხვში. ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემის მოხსნის შესაძლებლობა სინტაქსურ დონეზე ინაცვლებს. ზოგჯერ სინტაქსური დონეც არ გვშველის. ამის კლასიკურ ნიმუშად ითვლება ფრაზა “წიწილები მზადაა საჭმელად”. ეს ფრაზა ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ან წიწილები უნდა ჭამონ, ან წიწილებს უნდა აჭამონ. კიდევ მაგალითი: 1. გაზაფხულდა ბუჩქის ძირას, თავს იწონებს ნაზი ია. 2. გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია. ორაზროვანია მძიმის მიხედვით. მორფოლოგია/ სინტაქსი ამის გასარჩევად უძლურია. უნდა მივმართოთ სხვა დონეს, სხვა პლანს, შესაძლებელია ჩავრთოთ სიტუაცია, თემა/რემა და ა. შ. ეს ნიმუშები მცირედი ნაწილია სირთულეებისა, მაგრამ მიუხედავად სირთულეებისა, როგორც ამბობენ ხოლმე, ამოცანა ამოხსნადია. ენობრივი მოვლენები გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება, თუმცა უმეტესად ისინი იმპლიციტურნი არიან. საჭიროა მათი გამოვლენა, ცხადი სახით წარმოდგენა, სადაც მოხერხდება ზოგადი კანონების, წესების გამოყვანა. ზოგადი წესების გვერდით, რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისებიც (კერძო წესები).

კომპიუტერული სინთეზური სისტემა შინაარსს (ლექსემა/ გრამემებს) შეუსაბამებს გამოსატყულებას (ფუძე/აფიქსებს) ანუ აგებს სიტყვა-ფორმას, ანალიზური სისტემა პირიქით, გამოსატყულებას (ფუძე/აფიქსებს) უსადაგებს შესაბამის შინაარსს ანუ შლის სიტყვაფორმას შემადგენელ ნაწილებად – კვალიფიცირებულ კომპონენტებად. თუ მთლიანად ენაზე განგავრცობთ სინთეზისა და ანალიზის დანიშნულებას, შეიძლება ითქვას, რომ სინთეზურ სისტემას ეკისრება ტექსტის (წერითი იქნება ის, თუ ზეპირი) აგება ანუ ტექსტთშემოქმედება, გარკვეულწილად ენათშემოქმედება. ამის გამო იგი შეიძლება შევადაროთ შემოქმედებით პროცესს, კერძოდ, ის, რაც ადამიანის თავში (ამ შავ ყუთში) არაცნობიერად თუ ქვეცნობიერად მიმდინარეობს, გამოვიტანოთ სააშკარაოზე, ანუ – იმპლიციტური ვაქციოთ ექსპლიციტურად. პროცედურა გამარტივებულად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: პიროვნების ნებასურვილის მიხედვით გამოიკვეთება სიტუაცია, თემა, რისი გამოსატყუაც და სხვისთვის გაგვინება სურს მას, შეირჩევა სიტუაციის თუ თემის აღსაწერად შესაბამისი ერთეულები, მორფოლოგიის დონეზე – ლექსემები და გრამემები, რომელთა შესატყვისებიც გამოსატყულების პლანში არსებობს ფუძეებისა და აფიქსების სახით. შედეგად ვიღებთ ტექსტს. ამ ორი პლანის ერთეულების ერთმანეთთან მისადაგება თუ ადეკვატურად მოხდა, სწორი ტექსტი აიგება, რაც სწორად წერას და სწორად მეტყველებას გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ სინთეზური სისტემის ამგები სრულ ინფორმაციას ფლობს იმის შესახებ, თუ რა ააგოს და რა საშუალებებით – მთელი ენობრივი ინვენტარი და ამ ინვენტარით მანიპულირების წესები გაცნობიერებული აქვს. ამ გარემოების გამო სისტემის ამგები ერთგვარად თავისუფალია პროცედურული რეჟიმის არჩევაში (რა თქმა უნდა, არჩევანი ოპტიმალური უნდა იყოს). პროცედურული რეჟიმის არჩევის თავისუფლება შემდეგს გულისხმობს (ვიფარგლებით მორფოლოგიური დონის ობიექტებით): სინთეზირებისას ამგების ნება-სურვილზე და მოკიდებული რა რიგითობა დაიცვას, რას მიანიჭოს პრიორიტეტი, ანუ ჯერ ზმნის ამგები წესები შექმნას, თუ სახელისა, ჯერ პრეფიქსებს მიხედოს, შემდეგ – სუფიქსებს, თუ პირიქით, ანდა ჯერ ფორმაწარმოებას მოუაროს თუ სიტყვაწარმოებას და ა.შ. აქედან გამომდინარე, რამდენადაც მთელი ენობრივი მასალა სინთეზის შემთხვევაში იდენტურობის პრინციპით ლაგდება (ერთი მნიშვნელობისა ერთად), წესებიც (ალგორითმი) იდენტურობის პრინციპიდან ამოსვლით შეიძლება შექმნათ. ანალიზური სისტემის შექმნისას, რამდენადაც მას სიტყვაფორმის დაშლა ევალება, ერთობ შეზღუდული ვართ. თუ სინთეზური სისტემის აგებისას მოძრაობის ტრაექტორია დამოკიდებულია სისტემის ამგების, ასე ვთქვათ, ნება-სურვილზე, ანალიზური სისტემის შემთხვევაში თვით სიტყვაფორმა განაგებს მოძრაობის მიმართულებას, ენობრივი მასალის დალაგებას და შესაბამისად, ალგორითმის ხასიათს – იდენტურ ოდენობათა ერთად თავმოყრა ხშირად არც ხერხდება. ამიტომ თავისი აგებულებით ანალიზური სისტემა-ალგორითმი განსხვავებულია სინთეზური სისტემა-ალგორითმისაგან. გარდა აგებულებისა, ამ ორ (ანალიზურ/სინთეზურ) სისტემას ერთმანეთისაგან პრობლემებიც განსხვავებული აქვს. სინთეზის პრობლემას სინონიმია წარმოადგენს, ანალიზისას – ომონიმია. ომონიმურ სიტუაციას და, აქედან გამომდინარე, დამატებით თავისებურ დაბრკოლებას ქმნის ქართული სიტყვაფორმებისთვის დამახასიათებელი პრეფიქსიანობა – პრეფიქსი შეიძლება დაემთხვას ფუძის დასაწყისს და არის საშიშროება, ეს უკანასკნელი ჩაითვალოს მარკერად. ეს შემთხვევაც აგრეთვე მოსაგვარებელ საკითხთა წრეს განეკუთვნება. ანალიზური სისტემის ავტორი თავისუფალია ანალიზის ჩატარების მხოლოდ სასტარტო ეტაპის არჩევაში, კერძოდ, ანალიზი შეიძლება ჩატარდეს სიტყვაფორმის დასაწყისიდან, სიტყვაფორმის ბოლოდან და აგრეთვე უშუალოდ ფუძის მოძიებით. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილთაგან ოპტიმალური ვარიანტია შესარჩევი. ჩვენ წინაშეც იდგა საკითხი, პრეფიქსებიდან დაგვეწყო ანალიზი თუ სუფიქსებიდან, ანუ მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულებით გვემოძრავა, თუ მარჯვნიდან მარცხნივ. უპირატესობა მაინც პირველ ვარიანტს მიეცა, რადგან:

1. სიტყვაფორმის ანალიზის დაწყება სუფიქსებიდან (ბოლოდან) ისეთივე პრობლემურია (თუ უფრო მეტად არა), როგორც ანალიზის პრეფიქსებიდან (სიტყვის დასაწყისიდან) ჩატარება. ამაში დაგვარწმუნა ზმნის საწყისის (ზმნის სხვა ფორმებთან შედარებით მარტივი აგებულების მქონე) ფორმების ბოლოდან ანალიზის ცდამ.

2. მაინც ძლიერი ფაქტორია ის, რომ ვკითხულობთ და ეწერთ მარცხნიდან მარჯვნივ. ამიტომ ვთვლით, რომ ქართულისთვის ავტომატური ანალიზის ჩატარება სიტყვაფორმის დასაწყისიდან (მარცხნიდან მარჯვნივ) ისეთივე ბუნებრივი პროცედურაა, ბუნებრივი

აქტია, როგორც კითხვა და წერა მარცხნიდან მარჯვნივ (მით უმეტეს, მეორე ვარიანტი – მარჯვნიდან მარცხნივ – არავითარ შედეგს არ იძლევა).

მიუხედავად კონკრეტულ საკითხთა გადაწყვეტის გზების სხვაობისა, შესასწავლი ობიექტი სინთეზს და ანალიზს ერთი აქტით – ენა თავისი ენობრივი ფაქტებით და მოვლენებით.

ენის სისტემური ხასიათიდან გამომდინარე, მასში (ენაში) დადასტურებული ენობრივი პროცესები უმეტესად რეგულარულ ხასიათს ატარებს, გარკვეულ წესებს ემორჩილება. მაგრამ ისიც ენის თვისებაა, რეგულარულთან ერთად გვიჩვენოს არა ერთი გადახვევა წესიდან. ყოველივე ეს სათანადოდ უნდა იქნეს ასახული სისტემაში (თუ კი გვინდა, რომ სისტემამ იმუშაოს).

სისტემის – ალგორითმის შექმნისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე (და ეს პრინციპად გაპყვება საერთოდ მთელს სამუშაოს), რომ შემუშავებული წესი გავრცელდეს რაც შეიძლება დიდ ენობრივ არეალზე. მოიცვას მეტი ენობრივი მასალა. ამასთან, წესის ჩანაწერი სასურველია (თუ აუცილებელი არა) შეძლებისდაგვარად იყოს გამჭვირვალე და ადეკვატური, სრულიად მომზადებული მანქანური რეალიზაციისათვის. ერთი შეხედვით, ამოცანა თითქოს ტექნიკური (თუ მექანიკური) ხასიათისა ჩანს. ერთი მხრივ, ეს ასეც არის, რაც თავისთავად დაკავშირებულია მეტად შრომატევად და ხშირად რთულად მოსაგვარებელ სამუშაოსთან. შედეგად ენის პრაგმატულ-საკომუნიკაციო ფუნქციის ანალოგიური დანიშნულებისათვის სისტემა მზად არის. მაგრამ, მეორე მხრივ, ენობრივი კომპიუტერული სისტემის აგება-დამუშავება უკავშირდება პრინციპული ხასიათის თეორიულ პრობლემებსაც, რომელთა გადაწყვეტის გარეშე ენის პრაგმატული მხარის საკითხები არ გვარდება. აქედან გამომდინარე, სისტემა იგება ორივე მხარის – თეორიულ (კონცეპტუალურ) და პრაგმატულ-საკომუნიკაციო წინამძღვრებზე დაყრდნობით. ერთი განაპირობებს მეორეს და პირიქით.

ბუნებრივია, ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების მიმართ არსებული საგან (ტრადიციულისაგან) განსხვავებულმა მიდგომამ (რაც გამოწვეულია მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მონაპოვართ – კომპიუტერული ინდუსტრიით) განსხვავებული მოსაზრებები გააჩინა (ზოგჯერ სადავო, ზოგჯერ ჰიპოტეზური ხასიათის მქონე, უმეტესად კი დაზუსტებული და მართებული) როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში.

სურვილი, დაგვეძლია ენის ფორმალური მეთოდით შესწავლის სირთულე, გარდა თვით პრობლემის არსის მომხიბვლელობისა, თემის აქტუალობითაც არის განპირობებული. სწორად წერას და სწორად მეტყველებას შეშველება სჭირდება – გლობალური ხასიათი მიიღო ქართულ ენაზე მეტყველთა მიერ დაშვებულმა შეცდომებმა, მათ ქმედითი დახმარება სჭირდებათ პრაქტიკული წესებისა თუ რჩევების სახით.

აღსანიშნავია ასეთი ფაქტიც: ქართული არის მსოფლიოში ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი, ხოლო იბერიულ და კავკასიურ ენათა ოჯახებში ერთადერთი ენა, რომელსაც საკუთარი დამწერლობა და მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა აქვს. არაერთი მეცნიერი ქართულს უძველესი ცივილიზაციის ენებსაც აკუთვნებს. ამიტომ, ალბათ, არ არის გასაკვირი ენის დარგში მომუშავეთა დიდი სურვილი მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს მონაპოვართა გამოზარებელი ცივილიზებული ერების ენათა რიგში ქართული ენაც იდგეს, ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, "შინა ენად" არ იქცეს. ვფიქრობთ, მოვალეც არის ყველა ის პირი, ვისაც შეუძლია რაიმე წვდილის შეტანა საქმეში, ამ ამოცანას ემსახუროს. დღეს, როცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხს, საშურიცაა ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც მოემსახურებიან სწორად წერას და სწორად მეტყველებას.

## ქართული ენის კომპიუტერიზაციის კონცეფციები

*ლ. მარბვლაძე*

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ქართული ენის მოდელირებისა და კომპიუტერიზაციის კონცეფციები და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები.

**THE CONCEPTIONS OF THE GEORGIAN LANGUAGE COMPUTERIZATION**

*L. MARGVELANI*

**Summary**

The conceptions of both computerization and modeling of the Georgian language, also the ways of the solution of related to them problems are considered in the work..

**КОНЦЕПЦИИ КОМПЬЮТЕРИЗАЦИИ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА**

*Л. МАРГВЕЛАНИ*

**Резюме**

Рассматриваются концепции моделирования и компьютеризации Грузинского языка и пути решения касающихся проблем.

**ლიტერატურა – REFERENCES –ЛИТЕРАТУРА**

1. მარგველანი ლ., ქართული ენის კომპიუტერული მოდელები (მონოგრაფია), თბილისი, 2008.
2. Апресян Ю. Д., Современные методы изучения значений и некоторые проблемы структурной лингвистики. Сборник "Проблемы структурной лингвистики", 1963.
3. Маргвелანი Л. П. О семантической модели для диалоговых систем; Языковые процессоры и распознавание речи. Труды института систем управления Академии наук Грузии, XXII; XXIII:2. Изд. "Мецниереба", Тбилиси, 1985, стр. 3-13.
4. მარგველანი ლ. ქართული სიტყვაფორმების კომპიუტერული სინთეზის საკითხები; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები. 1997 წ. გვ. 142-149.
5. Чикоидзе Г. Б. Сетевое представление морфологических процессоров, изд.-ство «Интеллекти», Тбилиси, 2004.
6. მარგველანი ლ. სინთეზურ-ანალიზურ პროცესორებზე დაფუძნებული სპელჩეკერი ქართული ენისათვის; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები. 2001 წ. გვ. 134-138.

ი თემისნიშნისანი მედიოაქტივების ზმნური მოდელები  
ელექტრონული ლექსიკონისთვის

6. ჰავაშვილი

ninojavashvili@yahoo.com

ელექტრონული ლექსიკონისთვის ზმნური მოდელების (არა მხოლოდ ი თემისნიშნისანი მედიოაქტივების) სტატიაში მოცემული სახით წარმოდგენა გამოწვეულია, ერთი მხრივ, ტრადიციული ლინგვისტური ცოდნის და, მეორე მხრივ, ექსპერტული სისტემის მოთხოვნების გათვალისწინებით. სისტემას მიეწოდება ექსპერტი ლინგვისტის მიერ გრამატიკულად სწორად აგებული პარადიგმა, რომელიც შემდეგ ტიპურ პარადიგმად ანუ მოდელად მიიჩნევა. ტიპური პარადიგმა მოიცავს ე.წ. “ქულს” შესაბამისი ძირითადი გრამატიკული მახასიათებლებით და საკუთრივ პარადიგმას, რომლის სათანადო დამუშავების შემდეგ შეიქმნება მორფოლოგიური წესი/მოდელი და ჩაიწერება წესებისა და ამოსავალ სიტყვაფორმათა ბაზაში. წესად მიჩნეული პარადიგმით სისტემა იძენს “ცოდნას” და ამ “ცოდნის” საფუძველზე ხდება ელექტრონული ლექსიკონის შედგენა. ვრცელი ინფორმაცია სისტემის მუშაობის პრინციპებისა და მისი საშუალებით ბაზების სწრაფი და ეფექტური შევსების შესახებ აღწერილია ნაშრომებში: [1], [2], [3], ხოლო ლექსიკონის სტრუქტურა – [4]-[5]-ში.

სტატიაში წარმოდგენილი მოდელები არ არის დაფუძნებული მხოლოდ ლინგვისტური ხასიათის კვლევებზე. ექსპერტული სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში მოდელები იქმნება ტექნიკური ხასიათის თავისებურების გათვალისწინებითაც. სისტემის სპეციფიკაში იგულისხმება პროგრამის მუშაობის პრინციპი, რომ ერთ მოდელში/წესში გაერთიანებულია ფორმალური წარმოების თვალსაზრისით აბსოლუტურად ერთნაირი პარადიგმები. მაგალითად, დ. მელიქიშვილის “ქართული ზმნის უღლების სისტემის” [7] მიხედვით ერთ ტიპში გაერთიანებული ი თემისნიშნისანი მედიოაქტივები *იღვწის-იღვწებს, იცინის-(გა)იცინებს, ჯობნის-აჯობებს* და მისთ. ჩვენი სისტემის მიერ სხვადასხვა წესით ჩაიწერება, ანუ სხვადასხვა მოდელით იქნება წარმოდგენილი იმიტომ, რომ I შემთხვევაში აწმყოში ფუძე შეკუმშულია (*იღვწის*), მყოფადში და II სერიაში კი არა – (*იღვწებს*). II შემთხვევაში – *იცინის* ზმნას მყოფადში და სხვა დანარჩენ მწკრივებში სრული ასპექტის გამოსახატავად შეიძლება დაერთოს ზმნისწინი (*გა)იცინებს*, III მაგალითში კი აწმყოს ფორმებში შენარჩუნებულია ფუძისეული ნ (*ჯობნის*). ამ ფორმალური განსხვავებების გამო, სისტემა მათ ერთი წესით ვერ ჩაწერს, ვინაიდან, პროგრამა წესად/მოდელად მხოლოდ წარმოების თვალსაზრისით აბსოლუტურად მსგავს პარადიგმებს აღიქვამს. თუმცა პარადიგმის “ქული” ყველა ამ მოდელს საერთო ექნება, ანუ მიეთითება ერთნაირი გრამატიკული მახასიათებლები.

მოდელებისთვის პარადიგმების შედგენისას ძირითადად დავეყრდნით ა. შანიძის [6], დ. მელიქიშვილისა [7] და ნ. ჯორბენაძის [8] ნაშრომებს. მოდელების წარმოსადგენად გამოვიყენეთ დ. მელიქიშვილის კლასიფიკაცია, რომელსაც დაემატა ექსპერტული სისტემის მიერ ამა თუ იმ (ხშირად ტექნიკური) მიზეზით გამოყოფილი მოდელები.

მონაცემთა ბაზაში ყველა მოდელს თავისი სახელი ანუ მარკერი აქვს, რომელიც, რასაკვირველია, პირობითია და შერჩეულია ისე, რომ მარკერმა ასახოს მოდელის შინაარსი და გაამარტივოს წესის მოძებნა. მარკერი ორი ნაწილისგან შედგება – წერტილამდე და წერტილის შემდეგ. წერტილის მარცხენა მხარეს მითითებულია წესის/მოდელის მარკერი და მახასიათებლის ნომერი, რომელსაც ირჩევს ექსპერტი (ვინც ბაზას ავსებს), წერტილის მარჯვენა მხარეს კი – წესის ნომერი, რომელსაც ანიჭებს სისტემა. ზმნებისთვის ყველა წესის მარკერი იწყება ზმნის (verb) ლათინური სახელწოდების პირველი ასოთი (v), მას მოჰყვება გვარის და სხვა კატეგორიების აღმნიშვნელი სიმბოლოები და ბოლოს, სისტემის მიერ მინიჭებული ნომრები. საშუალო გვარის ზმნების საერთო სახელია vmed, რომელსაც ემატება თემის ნიშანი (ამ შემთხვევაში i) და შემდეგ ნომრები. ერთი მარკერის ფარგლებში წესების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

წარმოვიდგინოთ ზმნური მოდელების ნიმუშებს. თითოეული მოდელი იწყება მარკერით და ზმნის ამოსავალი ფორმით (ზმნის ამოსავალ ფორმად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მიჩნეულია მყოფადის მხოლოდითი რიცხვის III პირის ფორმა):

ზმნები, რომელთაც აწმყოშიც ახლავს ი- პრეფიქსი:

*vmedi1.6 (და)იკვებებს, (და)იძახებს*

*vmedi1.8 იღვაწებს*

*vmedi1.15 (გა)იციინებს*

*vmedi1.16 (გა)იღიმებს*

[7]-ში ამავე კლასშია ზმნები, რომელთაც, მართალია, აწმყოში არ აქვთ ი- პრეფიქსი, მაგრამ ისინიც, ზემოთ წარმოდგენილი ზმნების მსგავსად, ლაბიალურგარდამავალია (თუმცა ჩვენი სისტემისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს).

*vmedi1.5 (და)იკვებებს, (და)იჭყვირებს, (და)იხენეშებს, (და)იყვირებს.*

*vmedi1.9 იმღერებს, იტირებს.*

ერთი მოდელით არის წარმოდგენილი -ნ სუფიქსიანი საწყისის მქონე ზმნები:

*vmedi1.17 აჯობებს, აკოცებს.*

რამდენიმე მოდელით არის წარმოდგენილი ზმნები, რომელთა ფუძეც ძირითადად ბოლოვდება ავ, ივ, უვ მარცვლებზე:

*vmedi1.60 ბღვის, ბზვის.*

*vmedi1.61 ბღავის.*

*vmedi1.63 ფშვის, ფვის, ფხვის, ქშვის, ღვის, შვის, შხვის.*

*vmedi1.64 ღნავის, ღვივის, შხივის, ყივის, ყვავის.*

ავ, ივ, უვ დაბოლოებები, ექსპერტული სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად იწვევს ლინგვისტურად ერთნაირი ზმნების სხვადასხვა მოდელით წარმოდგენას აწმყოში ფუძისეული ვ-ს დაკარგვის გამო. მაგ. *ბღავის-იბღავლებს* და *ბღუ(ვ)ის-იბღუველებს*:

*vmedi1.3 (და)იბღავლებს, (და)იხიველებს, (და)იხხავლებს, (და)იჯღავლებს, (და)იკიველებს* და ა.შ.

*vmedi1.4 (და)იბღუველებს, (და)იბზუველებს (და)იღმუველებს, (და)იწკმუველებს, (და)იემუველებს, (და)იზმუველებს* და ა.შ.

ამავე ტიპის ზმნები ცალკე მოდელით არის ჩაწერილი იმის გამო, რომ აწმყოს წრის ფორმები არ გააჩნიათ და კიდევ ზმნისწინთა სხვადასხვაობის გამო:

*vmedi1.31 ამოიბღავლებს, ამოიენავლებს, ამოიღნავლებს, ამოიემუველებს, ამოიზმუველებს* და ა.შ.

-ოლ სუფიქსიანი საწყისის მქონე ზმნები, რომელთაც აწმყოში არ აქვთ სუფიქსი. ესენია კრთის, ქრის, თრთის და ძრწის:

*vmedi1.2 იკრთოლებს, იქროლებს, ითრთოლებს, იძრწოლებს.*

აქვეა იბრძვის – *vmedi1.1 (გა)იბრძოლებს.*

ზოგ მოდელს მხოლოდ აწმყოს ფორმები აქვს:

*vmedi1.32 ბარდნის*

*vmedi1.23 შეჭვერის* და ა.შ.

მოდელები, რომლებიც მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმებს აწარმოებენ და აწმყოშივე დაირთავენ ზმნისწინებს. ამ შემთხვევაში ზმნისწინები არა ასპექტის, არამედ მიმართულების, სახელო ლოკაციის ან ინტენსივობის გამომხატველია.

და- ზმნისწინი ერთპირიანებთან ინტენსივობას გამოხატავს:

*vmedi1.24 დაქრის, დარბის, დახტის, დაძრწის* და ა.შ. (მეშველზმნიანი ფორმებია)

*vmedi1.25 დაბღვის, დაბზვის, დანათის, დანატრის* და ა.შ.

ორპირიანებთან კი გადმოსცემს ზემოდან ქვემოთ მოქმედებას:

*vmedi1.23 დაჰკრთის, დაჰხარის, დაჰყვირის, დასტირის, დასძახის* და ა.შ.

შე- ზმნისწინი ორპირიანებთან ქვემოთ ზემოთ მოქმედებას გადმოსცემს, ჩა- ზმნისწინი კი, პირიქით, – ზემოდან ქვემოთ:

*vmedi1.23 შეჰბზვის, შეჰყმუის, შეჰყვირის, შესცინის, შესცქერის, შესტირის, ჩაჰყმუის, ჩაჰყვირის, ჩასცქერის, ჩასტირის* და ა.შ.

გა- ზმნისწინი გარკვეული ტიპის ზმნებთან (კივის, წივის ყვირის) მოქმედების ინტენსივობას თუ დიდ დიაპაზონს გამოხატავს:

*vmedi1.23 გაჰყმუის, გაჰყვირის, გასცქერის, გასძახის* და ა.შ.

ინტენსიური მოქმედების გამომხატველი მოდელები:

*vmedi1.25 მოიხქარის, მოიმღერის, მოიხქარის, მოიმღერის, მოშხვის, შეღიმის*, და ა.შ.

*vmedi1.41 მოიწწრავის*

*vmedi1.43 მოელის*

*vmedi1.48 გამოსჯვის*

მიმართულების ზმნისწინები დაერთვის მოძრაობის გამომხატველ ზმნებს. მოდელების სხვადასხვაობას იწვევს ზმნისწინთა მარცვლების რაოდენობა. ერთმარცვლიანები ერთ მოდელებში ერთიანდებიან, ორიანები – მეორეში:

*vmedi1.25 მოშხუის, მიშხუის და ა.შ.*

*vmedi1.37 გამოშხუის და ა.შ.*

*vmedi1.24 შერბის, ხარბის, გარბის, მირბის, მორბის და ა.შ.*

*vmedi1.50 ჩამორბის, გადარბის, გამორბის, მიმოქრის, შემოქრის, შემორბის და ა.შ.*

შევეცადეთ სტატიაში მოკლედ გვეჩვენებინა ექსპერტული სისტემის მიერ მოდელების შექმნის პრინციპები. ჩვენი აზრით, ელექტრონული ლექსიკონის შევსების ასეთი სისტემა ძალიან მოსახერხებელია. მას ის უპირატესობა აქვს, რომ ექსპერტი-ლინგვისტის მიერ გრამატიკული ცოდნის მიხედვით კლასიფიცირებული პარადიგმებიდან სისტემას არ გამოეპარება თუნდაც ერთი ასოთი განსხვავებული პარადიგმა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცობინებს ლექსიკონის შემსვსებს. ლინგვისტის მიერ სათანადო დამუშავების შემდეგ სისტემა ამ პარადიგმას ცალკე წესად ჩაწერს.

ამჟამად ბაზაში გვაქვს დაახლოებით 33 000 ზმნური პარადიგმა. აქედან საშუალო გვარისაა 3286, რომელთა ჩაწერასაც დასჭირდა 269 მოდელები. ი თემისნიშნიანი 353 მედიოაქტიური ზმნა ჩაიწერა 110 მოდელებით.

О ТЕМИСНИШНИАНИ МЕДИОАКТИВНЫХ ЗМНУРИ МОДЕЛИ  
ელექტრონული ლექსიკონისთვის

*ბ. ჯავაშვილი*

**რეზიუმე**

ელექტრონული ლექსიკონებისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ლექსიკონისთვის, საჭიროა სათანადო ცოდნითა და წესებით შევსებული მონაცემთა ბაზები. ჩვენ მიერ გამოყენებული ცოდნის დაგროვების ექსპერტული სისტემის დახმარებით ბაზები ივსება წესებით, რომლებიც დაფუძნებულია გრამატიკულად სწორ პარადიგმებზე. ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ენის მონაცემთა ბაზის/ლექსიკონის ზმნური კომპონენტის ერთ-ერთი ქვეჯგუფი, კერძოდ, ი თემისნიშნიანი მედიოაქტივი მოდელები.

**VERBAL MODELS OF MEDIOACTIVE VERBS WITH i THEMATIC MARKER  
FOR ELECTRONIC DICTIONARY**

*N. JAVASHVILI*

**Summary**

Data basis filled with proper knowledge and rules is necessary for electrical dictionaries as well as for any other dictionaries. Due to our knowledge storing computational expert system bases are filled with rules which are based on grammatically correct paradigms. The medium voice models with i thematic marker which are one of the subgroups of verb component of Georgian language data basis are considered in the work.

**МОДЕЛИ ГЛАГОЛОВ СРЕДНЕГО ЗАЛОГА С ТЕМАТИЧЕСКИМ МАРКЕРОМ i  
ДЛЯ ЭЛЕКТРОННОГО СЛОВАРЯ**

*Н. ДЖАВАШВИЛИ*

**Резюме**

Для электронных словарей, так же как для любого словаря, необходимы базы данных, заполненных соответствующими знаниями и правилами. При использовании компьютерной экспертной системы накопленных знаний базы заполняются правилами, которые основаны на

грамматически правильных парадигмах. В статье представлен глагольный компонент одной из подгрупп базы данных грузинского языка, в частности, модели среднего залога (в основном медиаактивы) с тематическим маркером *i*.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ლორთქიფანიძე ლ., ლინგვისტური კვლევების ხელშემწყობი ავტომატური სისტემების შემუშავება და გამოყენება. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006.
2. Lortkipanidze L. Record and reproduction of morphological functions. Proceedings of the 5th Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation. ILLC, University of Amsterdam CLLS, Tbilisi State University, 2003.pp. 105-111.
3. ლორთქიფანიძე ლ. მორფოლოგიური ხერხები და მორფოლოგიური ნიშნები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომების კრებული №9, თბილისი, 2005, გვ. 275-282.
4. ჯავახიშვილი ნ., საშუალო გვარის ზმნების კლასიფიკაცია ექსპერტული სისტემის მიხედვით. სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №14, 2010, გვ. 193-199.
5. ჯავახიშვილი ნ., ებ თემისნიშნისანი მედიოაქტივების კლასიფიკაცია ელექტრონული ლექსიკონისთვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №15, 2011, გვ. 203-208.
6. შანიძე ა., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980.
7. მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა. გამომცემლობა “ლოგოს პრესი”, თბილისი, 2001.
8. ჯორბენაძე ნ., საშუალო გვარის ზმნათა უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006, <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0002/000049/>

**წინადადების უშუალო შემადგენლური სტრუქტურა და სინონიმური  
ჩანაცვლებები სახელურ ფრაზაში**

*ა. ჩუტკერაშვილი*

*annachutkerashvili@yahoo.com*

სინტაქსური სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია მისი უშუალო შემადგენლური სტრუქტურით წარმოდგენა, როცა წინადადება მოცემულია მოდელებისა და მათი გაშლების მიმართებების სახით, მაგალითად წინადადება “პატარა ბიჭი თამაშობს ბურთს” წარმოადგენს “ბიჭი თამაშობს”, ან ბავშვი უყურებს”, “კაცი ჭამს” და სხვა მოდელების გაშლას. ყველა ამ ტიპის წინადადება განეკუთვნება წინადადებათა საერთო ტიპს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სუბიექტ-პრედიკატული წინადადება, ანუ მოქმედი-მოქმედება ტიპის წინადადება.

ადვილი დასაინახია, რომ ამ მოდელებში პირველ ადგილას წარმოდგენილია არსებითი სახელები (ან ნაცვალსახელები) გარკვეულ ფორმაში, ან მათი სხვადასხვა გაშლა, ხოლო მეორე ადგილას წარმოდგენილია ზმნის პირიანი ფორმა, რომელიც ხასიათდება გარკვეული კონკრეტული მახასიათებლებით. ამგვარად, მოქმედება-მოქმედი ტიპის წინადადებაში გამოიყოფა ორი უშუალო შემადგენელი. წინადადების ეს ტიპი ყველაზე უფრო გავრცელებულია სხვადასხვა ენაში, თუმცა ზოგან იგი შეიძლება მხოლოდ ერთ სიტყვას შეიცავდეს. ასე, მაგალითად “ვწერ” (ქართ.), scribo (ლათ.), განსხვავებით ინგლისურისა და გერმანულისგან, სადაც უსათუოდ ორი შემადგენელია წარმოდგენილი.

თუ ფრაზის ერთ-ერთი შემადგენელი იმავე სტრუქტურული ფუნქციით ხასიათდება, რითაც მთელი ფრაზა, ე.ი., ამ შემადგენლის გამოყენება მთელი ფრაზის ნაცვლად არ არღვევს ფრაზის კონსტრუქციის სისწორეს, ფრაზა ენდოცენტრულია, ანუ შიდაცენტრული. მაგალითად, “პატარა გოგო” ენდოცენტრული ფრაზაა, რამდენადაც მისი ერთ-ერთი შემადგენელი “გოგო” – იმავე ფუნქციით ხასიათდება, რითაც მთელი ფრაზა “პატარა გოგო თამაშობს”, ფრაზაში “პატარა გოგო”-ს ნაცვლად რომ ჩავსვათ “გოგო”, მთელი ფრაზა ისევ გრამატიკულად სწორი და ისევ მოქმედება-მოქმედი ტიპისაა.

ის შემადგენელი, რომელიც იმავე ფუნქციით ხასიათდება რაც მთელი ფრაზა, წარმოადგენს ამ ფრაზის ბირთვს, ხოლო მეორე შემადგენელი არის ატრიბუტი, ანუ სატელიტი. “გოგო” არის ბირთვი ფრაზისა “პატარა გოგო”, ხოლო “პატარა” არის ამ ფრაზის ატრიბუტი. “კარგად თამაშობს” ფრაზის ბირთვია “თამაშობს”, ხოლო “კარგად” არის ამ ფრაზის ატრიბუტი.

ატრიბუტულ ენდოცენტრულ კონსტრუქციაში წევრებს შორის დამოკიდებულება ქვეწიქსობილია – ბირთვი წარმოადგენს დომინანტ შემადგენელს, ხოლო ატრიბუტი – დაქვემდებარებულს. წინადადების წევრების ტერმინებში ეს შეიძლება იყოს საზღვრული და მისი მსაზღვრელი: სხვადასხვა სახის განსაზღვრება არსებითი სახელით გამოხატული წევრების მიმართ, ქვემდებარის, დამატების მიმართ, ანდა შემასმენელი და მისი მსაზღვრელები – სხვადასხვა სახის გარემოებები.

ენდოცენტრული კონსტრუქცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ატრიბუტის გარეშე, მხოლოდ ბირთვებისგან შედგენილი, მაგალითად, დედა და მამა. თუ ენდოცენტრული ფრაზა მხოლოდ ბირთვისგან შედგება, მის შემადგენლებს შორის მიმართება არის თანწყობის მიმართება, ანუ არც ერთი შემადგენელი არის დომინანტი, ან დაქვემდებარებული წევრი.

შეიძლება ასე მოხდეს, რომ რომელიმე წინადადების უშუალო შემადგენლებად თანმიმდევრული დაშლის დროს მივიღოთ ბირთვი და სატელიტი, ხოლო მომდევნო დონეზე წინა დონის ბირთვი, თავის მხრივ, დაიშალოს ბირთვად და სატელიტად და ა.შ. ასეთი დაყოფის შედეგად მივაღწეოთ საბოლოო ბირთვამდე, რომელიც იქნება მთელი კონსტრუქციის ცენტრი.

წინადადება წარმოადგენს ორგანიზებულ მთლიანობას, რომლის ელემენტებია სიტყვები. ეს სიტყვები წინადადებაში აღარ არის ისე იზოლირებული როგორც ლექსიკონში და მიმართებებს ამყარებენ სხვა სიტყვებთან, რომელთა ერთობლიობაც ქმნის სწორედ წინადადების ჩონჩხს, ანუ სტრუქტურას.


სინტაქსურ კავშირებს ისეთი სახე აქვთ, რომ ისინი რომელიმე მოცემულ ზემოთ მდგომ ელემენტს უკავშირებენ დაბლა მდგომ ელემენტს, ე.ი. ეს კავშირები იერარქიულია. ზემოთ მდგომ ელემენტს ეწოდება მმართველი, ხოლო დაბლა მდგომს –

მართული ან დაქვემდებარებული. მაგალითად, “ბავშვი თამაშობს” “თამაშობს” არის მმართველი, ხოლო “ბავშვი” კი მართული. წინადადებაში ერთი და იგივე წევრი შეიძლება იყოს ერთის მხრივ მმართველი, ხოლო მეორე მხრივ – მართული. მაგალითად, “პატარა ბავშვი თამაშობს” “ბავშვი” მართავს სიტყვას “პატარა”, ამავდროულად თავადაც არის მართული “თამაშობს” სიტყვით. თუ მმართველი ელემენტი ერთ ან მეტ მართულ ელემენტს იქვემდებარებს, მაშინ იგი ქმნის ე.წ. კვანძს. მაგალითად, “პატარა ბავშვი მღერის ლამაზ სიმღერას”, “მღერის” წარმოადგენს ე.წ. ცენტრალურ კვანძს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არის ზმნა.

წინადადებას თუ დავეყოფთ ზმნურ და სახელურ ნაწილებად S→NP+VP, მაშინ სახელური ნაწილის (NP) შემთხვევაში, როგორც წესი, მმართველ ელემენტს, ბირთვს არსებითი სახელი წარმოადგენს, ზმნური ფრაზის (VP) შემთხვევაში კი ზმნა. მთლიანი წინადადების შემთხვევაში კი ცენტრალურ ელემენტს ზმნა წარმოადგენს. ლ. ტენიერის გრამატიკაში [?] საკმაო ადგილი ეთმობა ისეთი ცნებების გამოყენებას, როგორებიცაა სტრუქტურა და ფუნქცია, სტრუქტურული პლანი და სემანტიკური პლანი. სემანტიკურ მიმართებებში მთავარი წევრი განსაზღვრულია დაქვემდებარებული წევრით, დაქვემდებარებული წევრი ახასიათებს მთავარ წევრს. წინადადებაში არ არის განსაზღვრული დაქვემდებარებული წევრების რაოდენობა. სახელური ფრაზის შემთხვევაში არსებით სახელს შეიძლება ახასიათებდეს ერთი ან რამდენიმე ატრიბუტი, ასევეა ზმნური ფრაზის შემთხვევაში – ზმნას შეიძლება ახასიათებდეს განუსაზღვრელი რაოდენობა სირკონსტანტებისა. სირკონსტანტები წარმოადგენენ გარემოებებს, რომელშიც ხდება ესა თუ ის მოქმედება. ამ ფუნქციის შესრულებას თავის თავზე იღებს ზმნიზედა, ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც ფუნქციურად ზმნიზედის ეკვივალენტულია. ზოგ შემთხვევაში სირკონსტანტის ფუნქცია შეიძლება სახელურმა ფრაზამ იტვირთოს, ანუ განსაზღვროს ზმნით გადმოცემული მოქმედება. ბირთვთან დაკავშირებული ატრიბუტებისა თუ სირკონსტანტების მიმართ განლაგების რიგი, როგორც წესი, განსაზღვრულია. მოქმედების ვითარების გამომხატველი სირკონსტანტები, როგორც წესი, წინ უსწრებენ ზოგადი დროის აღმნიშვნელ სირკონსტანტებს. ზოგადი დროის აღმნიშვნელი სირკონსტანტები კი, თავის მხრივ, წინ უსწრებენ რაოდენობის აღმნიშვნელ სირკონსტანტებს და ა.შ. სახელის ატრიბუტების შემთხვევაშიც მასალის გამომხატველი მსაზღვრელი ყველაზე ახლოს არის ბირთვთან. ზოგიერთ ენაში ეს რიგი უფრო მკაცრად არის განსაზღვრული, ვიდრე სხვებში, თუმცა ისეთი თავისუფალი რიგის ენებშიც კი, როგორიც ქართულია, ატრიბუტთა ერთი მეორის მიმართ განლაგება, სინტაქსურად თუ არა სტილისტიკურად მაინც, არის შეზღუდული. გარკვეული უნივერსალურობა შეინიშნება ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ენაში. ეს იმის მანიშნებელია, რომ ბირთვთან დაკავშირებული მსაზღვრელთა რიგი არა გრამატიკულად, არამედ ლოგიკურად არის განსაზღვრული.

სახელური ფრაზის შემადგენლები, რომლებიც განსაზღვრავენ არსებითი სახელის ანუ NP-ის ბირთვს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაგდება ლოგიკური თანმიმდევრობით, თუ ცხადია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს სტილისტიკურად და ინფორმაციულად ნეიტრალური წინადადება. მაგ., ოთახში შემოვიდა პატარა, ლამაზი, ქერა კულულებიანი, წითელ ბაფთიანი გოგონა.

ამ წინადადებაში მოცემული გვაქვს ორი წვეილი სხვადასხვა ტიპის ზედსართავი სახელები: ვითარებითი ანუ პირველადი ზედსართავები – პატარა, ლამაზი; და მიმართებითი: ქერა კულულებიანი, წითელ ბაფთიანი; მიმართებითი ზედსართავები (კულულებიანი, ბაფთიანი) თავის მხრივ განსაზღვრულია ვითარებითი ზედსართავებით (ქერა, წითელი).



წინადადების წევრები შეიძლება სხვაგვარადაც დალაგდეს, თუმცა შეიძლება მივიღოთ ქართული ენისათვის სტილისტიკურად გაუმართავი წინადადება. მაგ.,

“ოთახში შემოვიდა პატარა, ქერა კულულებიანი, ღამაზი, წითელბაფთიანი გოგონა”.

წინადადება გრამატიკულად გამართულია, თუმცა მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს შესაძლოა არაბუნებრივად მოეჩვენოს. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ყურში გვხვდება არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკის მეტყველება, მიუხედავად გრამატიკულად გამართული საუბრისა.

როგორც წესი, ერთი ტიპის ატრიბუტები, მსაზღვრელები წინადადებაში ლაგდება ერთად, ერთი მეორის შემდეგ. თუმცა, მრავალ ენაში ერთი ტიპის მსაზღვრელებს შორისაც განსაზღვრულია თანმიმდევრობა მათი ქვეტიპების მიხედვით. მაგალითად, ვითარებითი ზედსართავეები შეიძლება დაეყოს სხვადასხვა ქვეჯგუფებად როგორებიცაა: ფერი: წითელი, თეთრი, მწვანე; ფორმა: მრგვალი, ოთხკუთხა, ოვალური; ასაკი: ძველი, ახალი, ახალგაზრდა; ზომა: დიდი, პატარა, უზარმაზარი.

წინადადებაში/ფრაზაში მრავალი მსაზღვრელის არსებობის შემთხვევაში ზოგიერთ ენას გამოყოფილი აქვს ამ მსაზღვრელთა თანმიმდევრობის გარკვეული წესები. მაგალითად, ინგლისურ ენაში ბირთვთან ყველაზე ახლოს არის მატერიის ან მასალის გამომხატველი მსაზღვრელები. ქართულ ენაში ასეთი შეზღუდვები ნაკლებად არის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, სწორედ სიტყვათა რიგი განაპირობებს ფრაზისა თუ გამონათქვამის შინაარსს. მაგ., 1. “ბევრი ბავშვის ჩანთა” – ამ წინადადებაში “ბევრი” არის “ბავშვის” ატრიბუტი. 2. “ბავშვის ბევრი ჩანთა” – ამ შემთხვევაში, “ბავშვის” და “ბევრი” ორივე ჩანთის ატრიბუტებია.

ამგვარი შეცდომები ძალიან ხშირია ზეპირ თუ წერით მეტყველებაში, რასაც ხშირად ორაზროვნებამდეც მივყავართ.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი, “ოთახში შემოვიდა პატარა, ღამაზი, ქერა კულულებიანი, წითელ ბაფთიანი, თოჯინიანი გოგონა”. “თოჯინიანი”-ც მიეკუთვნება მიმართებითი ზედსართავეების ტიპს და შესაბამისად წინადადებაში მსგავსი ტიპის სახელებთან მოხვდა. წინადადების ამგვარი წყობა ყველაზე უფრო მართებულია, რადგან ჯერ მოცემულია თავად გოგონას აღწერა, ხოლო შემდეგ გოგონას ატრიბუტებისა. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ შევცვლით წინადადების წევრებს, ანუ ჩავანაცვლებთ მათი სინონიმებით, რომლებიც იმავე ტიპის სიტყვებს არ მიეკუთვნებიან, შეიცვლება წინადადების წყობაც.

მაგ., “ოთახში შემოვიდა პატარა, ღამაზი გოგონა ქერა კულულებით, წითელი ბაფთითა და თოჯინით”.

წინადადების თავდაპირველი წყობა, როდესაც ყველა ატრიბუტი წინ უძღოდა ბირთვის, ამ შემთხვევაში სრულიად მიუღებელია. მაგალითად, “ოთახში შემოვიდა პატარა, ღამაზი, ქერა კულულებით, წითელი ბაფთით, თოჯინით გოგონა” – ქართულ ენაში სახელურ ფრაზაში ბირთვის მსაზღვრელთა რიგთან დაკავშირებული წესები ზუსტად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული არ გვაქვს, თუმცა ზოგიერთი კონსტრუქცია ცალსახად მოითხოვს მსაზღვრელთა გარკვეულ რიგს. ზომის აღმნიშვნელი მსაზღვრელები ყოველთვის წინ უსწრებს ფერის აღმნიშვნელ ატრიბუტებს. მაგალითად,

დიდი, მწვანე მინდორი – მწვანე დიდი მინდორი

პატარა წითელი ჭიამაია – წითელი პატარა ჭიამაია

უზარმაზარი შავი ღრუბელი – შავი უზარმაზარი ღრუბელი

ეს ყველაფერი, ცხადია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტილისტიკურად და ინფორმაციულად ნეიტრალურ წინადადებებს ეხება. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ გარკვეული ინფორმაციის ხაზგასმა გვინდა, ცხადია, წინ წამოვწევთ ფრაზის იმ წევრს, რომლის გამოყოფაც გვსურს.

წინადადების უშუალო შემადგენლური სტრუქტურა და სინონიმური  
ჩანაცვლებები სახელურ ფრაზაში

ა. ჩუტკერაშვილი

რეზიუმე

წინადადების უშუალო შემადგენლური სტრუქტურა ამა თუ იმ სინტაქსური სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, როდესაც წინადადება მოცემულია მოდელებისა და მათი გაშლების მიმართებების სახით. სტატიაში განხილულია სინონიმური ჩანაცვლებები წინადადების სახელურ ფრაზაში. სახელური ფრაზის შემადგენლები, რომლებიც განსაზღვრავენ არსებითი სახელის ანუ NP-ის ბირთვს, ლაგდება ლოგიკური თანმიმდევრობით, თუ ცხადია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს სტილისტიკურად და ინფორმაციულად ნეიტრალური წინადადება. სახელური ფრაზის შემადგენლების მათი სინონიმებით ჩანაცვლებისას შესაძლოა წინადადების წყობა შეიცვალოს.

**IMMEDIATE CONSTITUENT STRUCTURE OF A SENTENCE AND SYNONYMIC  
SUBSTITUTIONS IN NP**

A. CHUTKERASHVILI

Summary

Immediate constituent structure of a sentence is one of the most common representations of one or the other syntactic structure, when a sentence is represented by models and relations between their extensions. The paper considers synonymic substitutions in the noun phrase of a sentence. The constituents of noun phrase, which define noun, the nucleus of NP are ordered in logical line, in case of stylistically and informationally neutral sentences. If we substitute constituents of noun phrase by their synonyms the word order might be changed.

**НЕПОСРЕДСТВЕННАЯ СОСТАВНАЯ СТРУКТУРА ПРЕДЛОЖЕНИЯ И  
СИНОНИМИЧНОЕ ЗАМЕЩЕНИЕ В ИМЕННОЙ ФРАЗЕ**

A. ЧУТКЕРАШВИЛИ

Резюме

Непосредственная составная структура предложения, одно из наиболее распространенное представление той или иной синтаксической структуры, когда представление предложения происходит моделями и их относительными раскрытиями. В статье рассмотрены синонимичные замещения в именной фразе предложения. Составные части именной фразы, которые определяют имени существительного т.е. ядро NP, размещаются по логической последовательности ясно, что у нас в виду синтаксический и информатический нейтральное предложение. Если заменить составные части именной фразы синонимами может изменится порядок предложения.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Chomsky N., Syntactic Structure, 's-Gravenhage, "Mouton and Company", 1957;
2. Postal P.M., Constituent Structure: A Study of Contemporary Models of Syntactic Descriptions, "Indiana University Publications in Folklore and Linguistics", Bloomington 1964;
3. Tesnière, L., Elements de Syntaxe Structurale. The Russian edition. M., 1998 ;
4. Wells R.S., Immediate Constituents ("Language", vol. 23), 1947;
5. Yngve V.H., A Model and Hypothesis for Language Structure, Cambridge 1960;

**ქენის ადაპტირებული ქვანტური პარალელური ალგორითმები**

*მ.არჩუაძე, ბ.ბესიაშვილი, მ.ხაჩიძე*

*maianino@gmail.com, gela.besiashvili@tsu.ge, manana.khachidze@tsu.ge*

უკანასკნელ წლებში სულ უფრო იზრდება ინტერესი ქვანტური კომპიუტერებისდმი. შესაბამისად ჩნდება ახალი ქვანტური მიდგომები კლასიკური ალგორითმებისადმი, რომელთა ანალოგის არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს ქვანტური კომპიუტერის თეორიის განვითარებისათვის.

ქვანტური მიდგომის განსავითარებლად უპირველესად უნდა დაფიქსირდეს “საწყისი ელემენტი”. ქვანტური კომპიუტერი მუშაობს ქვანტური ბიტებით - ქუბიტებით. იგი წარმოადგენს კლასიკური ბიტის ანალოგს. თუმცა ქვანტურ ბიტს გააჩნია კლასიკური ბიტისაგან პრინციპულად განსხვავებული თვისებები: მას შეუძლია ყოფნა ბაზისური მდგომარეობების სუპერპოზიციაში.

$$|q\rangle = \alpha|0\rangle + \beta|1\rangle$$

სადაც  $\alpha$  და  $\beta$  კომპლექსური რიცხვებია და ეწოდება სისტემის ამპლიტუდა. ისინი აკმაყოფილებენ პირობას:

$$\alpha^2 + \beta^2 = 1$$

სისტემის მთლიანად აღწერისათვის საჭიროა თითოეული მდგომარეობისათვის განისაზღვროს ამპლიტუდა, რომელიც არის კომპლექსური რიცხვი.

ქუბიტის მდგომარეობა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ვექტორის მდგომარეობა, რომელიც მდებარეობს ორგანზომილებიან კომპლექსურ ვექტორულ სივრცეში ორთონორმირებული ბაზისით  $\{|0\rangle, |1\rangle\}$  [1]:

$$\alpha|0\rangle + \beta|1\rangle = \begin{bmatrix} \alpha \\ \beta \end{bmatrix}$$

სადაც

$$|0\rangle = \begin{bmatrix} 1 \\ 0 \end{bmatrix}, \quad |1\rangle = \begin{bmatrix} 0 \\ 1 \end{bmatrix}$$

როგორც კლასიკურ, ასევე ქვანტურ კომპიუტერებში, ბიტები და ქუბიტები გაერთიანებულია ვენტილებად, რომლითაც ხორციელდება სისტემის გარდაქმნა.

ორ ქუბიტიანი ქვანტური რეგისტრი შესაძლებელია გამოვსახოთ ოთხ განზომილებიან კომპლექსურ ვექტორულ სივრცეში, ორთონორმირებული ბაზისით  $\{|00\rangle, |01\rangle, |10\rangle, |11\rangle\}$  შემდეგნაირად:

$$\alpha_0|00\rangle + \alpha_1|01\rangle + \alpha_2|10\rangle + \alpha_3|11\rangle = \begin{bmatrix} \alpha_0 \\ \alpha_1 \\ \alpha_2 \\ \alpha_3 \end{bmatrix}$$

$$|00\rangle = \begin{bmatrix} 1 \\ 0 \\ 0 \\ 0 \end{bmatrix}, |01\rangle = \begin{bmatrix} 0 \\ 1 \\ 0 \\ 0 \end{bmatrix}, |10\rangle = \begin{bmatrix} 0 \\ 0 \\ 1 \\ 0 \end{bmatrix}, |11\rangle = \begin{bmatrix} 0 \\ 0 \\ 0 \\ 1 \end{bmatrix}$$

$n$  ქუბიტიანი ქვანტური რეგისტრისათვის შედეგობრივი მდგომარეობა იქნება  $2^n$ . ქვანტური მდგომარეობა არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც სისტემას შეუძლია ერთდროულად ყოფნა სხვადასხვა მდგომარეობაში გარკვეული ალბათობით. ამიტომ

ქვანტური ალგორითმები ძირითადად ალბათური ალგორითმების ჯგუფს მიეკუთვნებიან. შესაბამისად სისტემის ევოლუცია შეიძლება გამოისახოს მდგომარეობის ცვლილების მატრიცით.

კლასიკური ალგორითმების მსგავსად, ქვანტური ალგორითმები აღწერენ სისტემის სხვადასხვა მდგომარეობას განსხვავებული ალბათობებით. შესაძლებელია ისეთი სუპერპოზიციის შექმნა, რომელსაც შეესაბამება 50%  $|0\rangle$  და 50%  $|1\rangle$

$$\frac{|0\rangle+|1\rangle}{\sqrt{2}} \rightarrow 0 \text{ ალბათობით } 1/2$$

$$\frac{|0\rangle+|1\rangle}{\sqrt{2}} \rightarrow 1 \text{ ალბათობით } 1/2$$

$$\text{prob } |0\rangle + \text{prob } |1\rangle = 1 \gg \alpha^2 + \beta^2 = 1$$

განსხვავებით კლასიკურისაგან, სადაც  $n$  ნაწილაკიანი სისტემის მდგომარეობა შეიძლება გამოვსახოთ ცალკეულ მდგომარეობათა დეკარტული ნამრავლით, ქვანტურ სისტემებში მდგომარეობათა შეერთება ხდება მდგომარეობათა ტენზორული ნამრავლით [2].


**ქვანტური გეიტები**

ქვანტური კომპიუტერი, კლასიკურის მსგავსად აგებულია ქვანტური სქემებით. ქვანტური სქემა ეს არის გამოთვლითი მოდელი, რომელიც წარმოადგენს ქვანტური გეიტების სიმრავლეს. ქუბიტების ტრანსფორმაცია ხორციელდება ქვანტური გეიტებით. ზოგადად  $n$  ქუბიტისანი გეიტის მდგომარეობა შეიძლება გამოვსახოთ, როგორც  $|\psi\rangle = \sum_{i=0}^{2^n-1} a_i |i\rangle$

ქვანტური ფიზიკის კანონებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ ყველა გარდაქმნა, რომელიც ხორციელდება ქვანტური პროცესებით, არის შექცევადი და უნიტარული. რაც ნიშნავს, რომ თუ გვაქვს ქვანტური სისტემა  $U$ , რომლის შესავალი მდგომარეობა არის  $|\psi\rangle$ , ხოლო გამოსავალზე გვაქვს განსხვავებული  $|\psi'\rangle$  მდგომარეობა, მაშინ შეგვიძლია  $U$  ავღწეროთ, როგორც უნიტარული წრფივი ტრანსფორმაცია.

$U \begin{pmatrix} a & b \\ c & d \end{pmatrix} = U \begin{pmatrix} a^* & b^* \\ c^* & d^* \end{pmatrix}$  ოპერატორი, რომელიც ახორციელებს უნიტარული ვექტორის გარდაქმნას სხვა უნიტარულ ვექტორად, არის უნიტარული და აკმაყოფილებს პირობას:  $U^\dagger U = I$

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჰადამარის გეიტი. ჰადამარის ოპერატორი არის  $H = \frac{1}{\sqrt{2}} \begin{pmatrix} 1 & 1 \\ 1 & -1 \end{pmatrix}$

სქემატურად იგი გამოისახება შემდეგნაირად: 

მისი მოქმედების შედეგი ასეთია:  $H : |0\rangle \rightarrow \frac{|0\rangle+|1\rangle}{\sqrt{2}}$ ,  $H : |1\rangle \rightarrow \frac{|0\rangle-|1\rangle}{\sqrt{2}}$

თუ გვაქვს  $n$  ქუბიტისანი რეგისტრი, ადამარის გარდაქმნის გამოყენებით თითოეული ქუბიტისათვის მივიღებთ მდგომარეობების  $2^n$  სუპერპოზიციას.

$$(H \otimes H \otimes \dots \otimes H) |00 \dots 0\rangle = \frac{1}{\sqrt{2^n}} ((|0\rangle + |1\rangle) \otimes (|0\rangle + |1\rangle) \otimes \dots \otimes (|0\rangle + |1\rangle)) = \frac{1}{\sqrt{2^n}} \sum_{x=0}^{2^n-1} |x\rangle$$

ეს არის ულმ-ჰადამარის გარდაქმნა  $W$ , რომელიც შეიძლება განისაზღვროს რეკურსიულად შემდეგნაირად:  $W_1 = H$ ,  $W_{n+1} = H \otimes W_n$

განვიხილოთ ყველა შესაძლო მნიშვნელობების სუპერპოზიცია, როგორც ერთი მდგომარეობა. საწყისი მდგომარეობა იყოს  $|00 \dots 0\rangle$ . გამოვიყენოთ ულმ-ჰადამარის გარდაქმნა სუპერპოზიციის  $\frac{1}{\sqrt{2^n}} (|00 \dots 0\rangle + |00 \dots 1\rangle + \dots + |11 \dots 1\rangle + |1\rangle)$

მისაღებად, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ყველა  $0 \leq x \leq 2^n - 1$  რიცხვის სუპერპოზიცია.

$U_f$  წრფივი გარდაქმნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა ბაზისური მდგომარეობისათვის სუპერპოზიციაში დამოუკიდებლად. ამიტომ თუ მას გამოვითვლით ერთხელ, მაშინ შესაძლებელია გამოთვლილი იქნეს ყველა  $2^n$  მნიშვნელობა  $f(0), \dots, f(2^n - 1)$ ,

$$|\psi\rangle = U_f \left( \frac{1}{\sqrt{2^n}} \sum_{x=0}^{2^n-1} |x\rangle \right) |0\rangle = \left( \frac{1}{\sqrt{2^n}} \sum_{x=0}^{2^n-1} |x\rangle \right) |f(x)\rangle$$


ეს კი არის ქვანტური პარალელიზმის ეფექტი.

ნებისმიერი ქვანტური ალგორითმი მანიპულირებს ქვანტური პარალელიზმის ეფექტით, ისე, რომ შედეგი ყოველთვის მიიღება გაზომვის მაღალი ალბათობით.

ტოფოლის გეიტი არის უნივერსალური გეიტი კლასიკური გამოთვლებისათვის, თუმცა მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვანტურ გამოთვლებშიც. სამიზნე ხაზის  $x_j$  მრავალჯერადი კონტროლის ტოფოლის კარიბჭე და კონტროლის ხაზები  $\{x_{i_1} x_{i_2} \dots x_{i_k}\}$  აისახებიან რუკებით  $(x_1 \dots x_j \dots x_n)$ -დან  $(x_1 \dots (x_{i_1} x_{i_2} \dots x_{i_k}) \oplus x_j \dots x_n)$ -მდე [3]. მისი უნივერსალურობა განპირობებულია იმით, რომ იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი გეიტის წარმოდგენისათვის. იგი არის სამ ქუბიტანი გეიტი. შესავალზე იღებს სამ ბიტს  $a, b, c$  ხოლო გამოსავალზე იძლევა  $a', b', c'$ . პირველი ორი  $a$  და  $b$  ბიტები არის კონტროლირებადი, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი არ იცვლებიან გამოთვლების განმავლობაში, ხოლო მესამე იცვლება იმ შემთხვევაში, თუ ორივე  $a, b$  არის 1-ის ტოლი.

შემავალი			გამომავალი		
a	b	c	a'	b'	c'
0	0	0	0	0	0
0	0	1	0	0	1
0	0	0	0	1	0
0	1	1	0	1	1
1	1	0	1	0	0
1	0	1	1	0	1
1	0	0	1	1	1
1	1	1	1	1	0

მისი შესაბამისი სქემა გამოისახება შემდეგნაირად:



ყველა გამოთვლა, რომელიც სრულდება კლასიკურ კომპიუტერებზე, შესაძლებელია განხორციელდეს ქვანტურ კომპიუტერზეც. უპირატესობა არის ის, რომ ქვანტური გამოთვლები, რომლებიც ხორციელდება ქვანტური ალგორითმებით არის უფრო სწრაფი. ყოველივე ეს კი განპირობებულია ქვანტური პარალელიზმით და ქვანტური აბურღვით, რომლებიც მიუღწეველია კლასიკურ კომპიუტერებში.

**გროვერის ალგორითმი**

ისევე როგორც კლასიკური ალბათური ალგორითმები, ქვანტური ალგორითმები გამოსახავენ მდგომარეობებს სხვადასხვა ალბათური განაწილებებით. მათი საშუალებით მდგომარეობის სრულად აღწერა არ ხდება. მდგომარეობის სრულად აღწერისათვის საჭიროა მდგომარეობათა ამპლიტუდების ცოდნა, რომელიც კომპლექსური რიცხვით გამოსახება. სისტემის ევოლუცია გამოსახება მდგომარეობის ცვლილების მატრიცით. თუ ცნობილი იქნება საწყისი განაწილება და მდგომარეობის ცვლილების მატრიცა, მაშინ შესაძლებელია გამოვთვალოთ განაწილება დროის ნებისმიერ მომენტში.

ქვანტურ გამოთვლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს გროვერის ალგორითმს, რომლის საშუალებითაც ხდება დაულაგებელ  $N=2^n$  ელემენტთან მონაცემთა ბაზაში (მაგ. ტელეფონების ნომრის ცნობარი) კონკრეტული ელემენტის ძებნა. ამ ალგორითმით შესაძლებელი გახდა კლასიკურ გამოთვლებში არსებული ბევრი გადაუჭრელი პრობლემის გადაწყვეტა. კლასიკური მეთოდებით ალბათობის თეორიაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებისმიერი  $m$  ელემენტის დათვალიერებისას, ალბათობა იმისა, რომ ჩანაწერი ემთხვევა მოთხოვნას ტოლია  $m/N$ . ნათელია, რომ ბაზაში საჭიროა განხორციელდეს  $O(N)2^n$  მოთხოვნა საჭირო ელემენტის მოსაძებნად. გროვერის ალგორითმის გამოყენებით კი შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ მოთხოვნების საჭირო რაოდენობა (ბიჯი) არის  $O(\sqrt{N}) = (2^{\frac{n}{2}})$

ამოცანას შეიძლება ასეთი ფორმულირება მივცეთ: მოცემულია  $A$  სისტემა  $N=2^n$  მდგომარეობებით. თითოეული მდგომარეობის შესაბამისი მნიშვნელობებია  $S_1, S_2, \dots, S_n$ . ამ მდგომარეობებიდან არის ერთი უნიკალური მდგომარეობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობას:  $f(s_u)=1$  მხოლოდ ერთი  $s \in A$  ელემენტისათვის, და  $f(s)=0$  ყველა დანარჩენი ელემენტებისათვის.

გროვერის ალგორითმში გამოყენებულია ქვანტური რეგისტრები, პირველი  $N$  ქუბიტით, ხოლო მეორე 1 ქუბიტის რეგისტრი. გამოყენებულია აგრეთვე Oracle, რომელიც არის  $f$  ფუნქციაზე დამოკიდებული უნიტარული ოპერატორი  $O_f$

$$\mathcal{H} \otimes \mathcal{H}_2 \rightarrow \mathcal{H} \otimes \mathcal{H}_2, \quad O_f(|i, j\rangle) = |i, j \oplus f(i)\rangle.$$

ქვანტური ძებნის ალგორითმში მოსახერხებელია Oracle  $\frac{|0\rangle - |1\rangle}{\sqrt{2}}$  საწყის მდგომარეობაში. ამ პირობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავწეროთ:

$$O_f = (|i\rangle \langle i| \otimes \frac{1}{\sqrt{2}} (|0\rangle - |1\rangle)) \frac{O_f(|i0\rangle - O_f(|i1\rangle))}{\sqrt{2}} = \frac{(|if(i)\rangle - (|i1 \oplus f(i)\rangle))}{\sqrt{2}} = (-1)^{f(i)} |i\rangle \frac{1}{\sqrt{2}} (|0\rangle - |1\rangle)$$

გროვერის ალგორითმის მუშაობისას გამოიყოფა შემდეგი ეტაპები [5], [6]:

- პირველი რეგისტრის ბაზისურ  $N$  მდგომარეობათა სუპერპოზიციის მისაღწევად, შეგვიძლია მოვახდინოთ მისი ინიციალიზაცია  $|0,0,0, \dots, 0\rangle$  და გამოვიყენოთ ულმ-ადამარის ოპერატორი  $W = H^{\otimes n}$ . ასევე გამოვიყენებთ ჰადამარის გეიტს თითოეული ქუბიტისათვის. თითოეული მდგომარეობის ამპლიტუდა ტოლია  $\frac{1}{\sqrt{N}}$ ;

მეორე რეგისტრის ინიციალიზაცია შესაძლებელია მოხდეს მდგომარეობით  $|1\rangle$ , ხოლო ჰადამარის გეიტის გამოყენების შემდეგ კი მისი მდგომარეობა იქნება  $|\varphi\rangle = \frac{|0\rangle - |1\rangle}{\sqrt{2}}$

გამოვიყენოთ უნიტარული  $O(\sqrt{N})$  ოპერაციები.

$C(S_u)=1$  იმ შემთხვევაში თუ ბრუნვა  $\pi$  რადიანზეა.  $C(S_u)=0$  იმ შემთხვევაში თუ სისტემა რჩება უცვლელი.

გამოვიყენოთ Oracle:

გამოვიყენოთ დიფუზიური ტრანსფორმაცია, რომელიც აღიწერება მატრიცით:

$$D_{ij} = \frac{2}{N} \text{ თუ } i \neq j, \quad D_{ij} = -1 + \frac{2}{N}$$

დიფუზიური ტრანსფორმაცია შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც  $D=WRW$ , სადაც  $R$  არის ფაზის შემობრუნების მატრიცა [4], ხოლო  $W$  არის უოლშ-ადამარის გარდაქმნა.

$$R_{ij} = 0 \text{ თუ } i \neq j$$

$$R_{ii} = 1 \text{ თუ } i=0, \quad R_{ii} = -1 \text{ თუ } i \neq 0,$$

$W_{ij} = 2^{-n/2} (-1)^{ij}$ , სადაც  $i, j$  აღნიშნავს ორი ბიტური სტრიქონის ბიტურ სკალარულ ნამრავლს.

- ბოლო ეტაპი არის პირველი რეგისტრის საბოლოო მდგომარეობის გაზომვა.  $C(S_n)=1$  არის უნიკალური მდგომარეობა, როგორც ფინალური მდგომარეობა  $S_n$ , რომლის ალბათობაც იქნება სულ მცირე  $1/2$  [5].

ქვანტური სისტემის ყოველი ახალი მდგომარეობა განისაზღვრება საშუალო ალბათური წესით, ანუ სისტემის საშუალო ამპლიტუდის განსაზღვრისას სისტემის მდგომარეობა არის ამ ამპლიტუდის შესაბამისი.

ჩვენ ვეძებთ ქვანტური ძებნის ალგორითმის გაუმჯობესების შესაძლებლობებს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არ ვიცით საწყისი ეტაპის შეცდომის ალბათობა (მხოლოდ ცნობილია განაწილება და საზღვრები). მოსალოდნელი მოთხოვნების რიცხვი მცირეა და ამავე დროს ყოველი დამატებითი მოთხოვნა ზედმეტ ხარჯებს იწვევს. ასეთი შემთხვევები განიხილება სახეთა ამოცნობის და გამოსახულების ანალიზის ამოცანებში, სადაც ყოველ მოთხოვნას გააჩნია თავისი განსაზღვრული ფასი. საწყისი შეცდომის ალბათობა არის მცირე, მაგრამ უცნობი. ასეთ შემთხვევაში ქვანტური ძებნის ალგორითმი და „ამპლიტუდის შეფასება“ დიდად არ გამოიყენება.

კლასიკური გამოთვლების სტრატეგია ეფუძნება ალგორითმებს, რომლებიც ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ მათი ამპლიტუდები იკრიბებოდეს მიზნის მდგომარეობებისაკენ. ეს შესაძლებელია, თუ გამოყენებული იქნება იტერაციული არატრივიალური გარდაქმნები, საკუთარი რიცხვები არიან 1-ის ტოლი მაგნიტუდა.

ეს მისაღებია იმ პირობების გათვალისწინებით, რომ გვაქვს “Limit cycle” და არა “fixed point”.

მახასიათებლები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ:

- მანძილის განსაზღვრა მიზნის მდგომარეობამდე. ეს შეფასება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შემდეგი ტრანსფორმაციის ექსტენტის კონტროლი.
- შესაბამისად დამუშავებული, მაგრამ განსხვავებული ოპერაციები არ სრულდება მიმდევრობით იტერაციებზე. ასეთი მეთოდით შეიძლება ამპლიტუდები იკრიბებოდეს ფიქსირებული წერტილისაკენ. ამას შეგვიძლია მივაღწიოთ ძებნის ალგორითმში უნიტარული გარდაქმნებით  $\pi/3$  ფაზით.
- შეუქცევადი ჩაქრობადობა გათვალისწინებულია ალგორითმში, მაგრამ ამავე დროს მიიღება მხედველობაში მიზნის მდგომარეობის თვისებები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთრივი რიცხვების მნიშვნელობები ფიქსირებული იტერაციული გარდაქმნებისათვის  $<1$ , ალგორითმი კრებადია. ქვანტურ გამოთვლებში ასეთი შეუქცევადობა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ოპერაციების პროექციული გაზომვებით (Projective measurement).

ძებნისას ფიქსირებული წერტილის მისაღებად საჭიროა ვიპოვოთ ალგორითმი, რომელიც თანაბრად ამცირებს არამიზნობრივი მდგომარეობების მიღების ალბათობებს.

განვიხილოთ ქვანტური რეგისტრი, რომელშიც კოდირებულია მონაცემთა ბაზის ელემენტები [7, 8, 9]. ვთქვათ რეგისტრზე ინიციალიზირებულია საწყისი მდგომარეობა:

$$U|s\rangle = \sin\theta|t\rangle + \cos\theta|t_\perp\rangle$$

განუსაზღვრელი სუპერპოზიციით მისაღები  $t$  მიზნის მდგომარეობა და არამიზნობრივი მდგომარეობა  $t_{\perp}$  (ზოგადობის შეუზღუდავად აქ ჩავთვალეთ, რომ  $t$  და  $t_{\perp}$  თვის აღნიშნულია ნებისმიერი ფაზები. ამ რეგისტრისათვის *ancilla* კოდს ვანიჭებთ საწყის მდგომარეობას  $|0\rangle$ , შემდეგ მოთხოვნა გადაგვყვავს *oracle*-ში და ვახდენთ *ancilla*-ს გადატრიალებებს, მანამ სანამ რეგისტრი არ გადავა მიზნის მდგომარეობაში. გაზომვის შედეგი როცა იქნება 1, ვთვლით, რომ რეგისტრის გაზომვამ უნდა მოგვცეს მიზნობრივი მდგომარეობა. თუ შედეგი არის 0, მაშინ ვამბობთ, რომ რეგისტრი იმყოფება  $t_{\perp}$  არამიზნობრივ მდგომარეობაში. ალბათობის შესამცირებლად, ვიყენებთ „დიფუზიის ოპერატორს“  $U_{\perp}$  რეგისტრისათვის, განპირობებული ნულოვანი შედეგისათვის.  $|t_{\perp}\rangle|0\rangle$  გამოსახება  $U|s\rangle|0\rangle$  ოპერატორით მოცემული მდგომარეობით.

$$\sin 2\theta |t\rangle|0\rangle + \cos 2\theta |t_{\perp}\rangle|0\rangle$$

შეცდომის ალბათობა მცირდება  $\cos 2\theta$ -ით. *oracle* მოთხოვნის იტერაციული მიმდევრობის და  $n$ -ჯერ დიფუზიური ოპერატორის გამოყენებით. შეცდომის ალბათობა მცირდება  $\cos^2 \theta \cos^{2n} 2\theta$   $n=1$ -თვის შეცდომის ალბათობა არის  $\epsilon(2\epsilon^3 - 4\epsilon^2 + \epsilon)$

ჩვენ მიზანია ვიპოვოთ ისეთი ოპერატორი, რომელიც ოპტიმალური კრებადობისაა ყველა  $\epsilon$ -მნიშვნელობისათვის. იმის და მიუხედავად ვიცით თუ არა რა საზღვრებშია მოქცეული შეცდომა. ბუნებრივია ზედა ზღვარი  $f$ -თვის არის 1, ჩვენ შეგვიძლია ის გავხადოთ  $\frac{1}{2}$ . მისი შეცვლა ხდება *ancilla* ქუბიტის დამატებით  $|+\rangle \equiv \frac{|0\rangle - |1\rangle}{\sqrt{2}}$  მდგომარეობაში და მისი კონტროლი ხორციელდება *oracle* მოთხოვნით.

იტერაციული ალგორითმი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- ორი *ancilla* ქუბიტის ჩაშენება  $|0\rangle$  მდგომარეობაში  $|s\rangle$  ბაზური რეგისტრისათვის. ანუ  $|s\rangle \rightarrow |0\rangle|s\rangle|0\rangle$ ;

ალგორითმის ინიციალიზაციისათვის გამოვიყენებთ  $H \otimes U \otimes I$ . ამ გაფართოებული რეგისტრისათვის  $|+\rangle(U|s\rangle)|0\rangle$ ; ორბიტიანი იტერაცია  $q$ -ჯერ.

ბოჯო 1. თუ *ancilla* არის 1 მდგომარეობაში, *oracle* მოთხოვნის გამოყენებით იგი გადავა *ancilla* 2-ში როცა რეგისტრი მიზნის მდგომარეობაშია.

ბოჯო 2. *ancilla* 2-ის გაზომვა. თუ გამოსავალი მდგომარეობა არის 1, მაშინ ეს არის რეგისტრის მიზნობრივი მდგომარეობა და იტერაცია დამთავრდება. ხოლო თუ არის 0, მაშინ დიფუზიის ოპერატორის გამოყენებით  $(H \otimes U)I_{\infty} (H \otimes U)^{\dagger}$  მოხდება *ancilla* 1-ის და რეგისტრის გაერთიანება.

ციკლის ბოლოს დამთავრდება იტერაციული ალგორითმი.

მოვახდინოთ ამ ალგორითმის ანალიზი:

საწყისი მდგომარეობა

$$|\psi_i\rangle = H \otimes U \otimes I |0\rangle|s\rangle|0\rangle = \left(\frac{|0\rangle + |1\rangle}{\sqrt{2}}\right) (\sin \theta |t\rangle + \cos \theta |t_{\perp}\rangle)|0\rangle$$

ალბათობის საწყისი შეცდომაა  $\epsilon = \cos^2 \theta$  საწყისი წარმატებულობის ალბათობა ტოლია  $f \equiv 1 - \epsilon \sin^2 \theta$ . ჩვენ ვეძებთ შედეგს გაერთიანებულ სივრცეში *ancilla*-ის და რეგისტრის, სადაც ყველა დანარჩენი მდგომარეობა არ არის მიზნობრივი.  $|0\rangle|t\rangle, |0\rangle|t_{\perp}\rangle, |1\rangle|t_{\perp}\rangle$ , მხოლოდ  $t_j \equiv |1\rangle|t\rangle$  არის მიზნობრივი მდგომარეობა ამ გაერთიანებულ სივრცეში. გამოვიყენოთ ყველა არამიზნობრივი მდგომარეობა  $|t_j'\rangle$  საშუალო სუპერპოზიციით წარმოვადგინოთ ყველა არამიზნობრივი მდგომარეობა სუპერპოზიციით  $|t_j'\rangle$ -ით ძებნის სივრცეში. საწყისი მდგომარეობა გამოსახება ფორმულით:

$$|\psi_i\rangle = \left(\frac{\sin \theta}{\sqrt{2}}\right) |t_j\rangle|0\rangle + \frac{1}{N} |t_j'\rangle|0\rangle$$

სადაც

$$|t_j\rangle = N \left( \frac{\sin\theta}{\sqrt{2}} \right) |0\rangle|t\rangle + \frac{\cos\theta}{\sqrt{2}} |0\rangle|t_\perp\rangle + \frac{\cos\theta}{\sqrt{2}} |1\rangle|t_\perp\rangle$$

და ნორმალიზაციის ფაქტორი  $N$  არის

$$|t_j\rangle = N \left( \frac{\sin\theta}{\sqrt{2}} \right) |0\rangle|t\rangle + \frac{\cos\theta}{\sqrt{2}} |0\rangle|t_\perp\rangle + \frac{\cos\theta}{\sqrt{2}} |1\rangle|t_\perp\rangle$$

შეცდომის აღბათობა იქნება

$$|0\rangle|t_\perp\rangle|t_j'\rangle^2 + |1\rangle|t_\perp\rangle|t_j'\rangle^2 = N^2 \cos^2\theta = N^2 \epsilon$$

გროვერის ძებნას ალგორითმი გამოიყენება მონაცემთა ბაზების ძებნის არასტრუქტურირებულ ბაზაში. ჩვენ ვიყენებთ  $\pi/3$ -ფაზა იტერაციული ძებნის ალგორითმებს, რომელიც დაიყვანება მიზნობრივ მდგომარეობამდე, სამიზნე ამპლიტუდის აღბათობასთან ერთად, რითაც საწყისი შეცდომების რაოდენობა მცირდება.

### ძებნის ადაპტირებული ქვანტური პარალელური ალგორითმები

მ.არჩუაძე, ბ.ბესიაშვილი, მ.ხაჩიძე

#### რეზიუმე

განხილულია ქვანტური ჯგუფებისა და ქვანტური ლოგიკური გეიტების მათემატიკურ აპარატზე დაფუძნებული ქვანტური გამოთვლები, რომელიც გამოყენებულია არასტრუქტურირებულ მონაცემთა ბაზებში გროვერის ძებნის იტერაციული ალგორითმის ერთ-ერთ ვარიანტში, სადაც  $\pi$  შეცვლილია  $\frac{\pi}{3}$  ფაზით და შეცდომის აღბათობის მინიმიზაცია ხდება ეტაპობრივად ალგორითმის კრებადობის პროცესში.

### THE ADVANCED QUANTUM SEARCH ALGORITHM

M.ARCHUADZE, G.BESIASHVILI, M.KHACHIDZE

#### Summary

In quantum computation the Grover's algorithm is of most importance. The present paper considers the quantum computing based on the mathematical machines of quantum groups and quantum logic gates. Such computing is used in unstructured data bases in one of the options for the iterative Grover's search algorithm, where  $\pi$  is replaced by  $\frac{\pi}{3}$  and the minimization of error probability happens on stage wise in the process of convergence of the algorithm.

### РАСШИРЕННЫЙ КВАНТОВЫЙ АЛГОРИТМ ПОИСКА

М.АРЧУАДЗЕ, Г.БЕСИАШВИЛИ, М.ХАЧИДЗЕ

#### Резюме

В квантовых вычислениях алгоритм Гровера имеет наиболее важное значение. В настоящей работе рассматриваются квантовые вычисления на основе математических машин квантовых групп и квантовой логики. Такие вычисления используются в неструктурированных базах данных с одним из вариантов итерационного алгоритма поиска Гровера, где  $\pi$  заменено на  $\frac{\pi}{3}$  и минимизация вероятности ошибок происходит поэтапно в процессе сходимости.

### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. M.Archuadze, G.Besiashvili, M.Khachidze, P.Kervalishvili. Knowledge Engineering: Quantum ways. In the book: Philosophy and Synergy of Information: Sustainability and Security . NATO Science for Peace and Security Series - E: Human and Societal Dynamics, Volume 93, 2012.pp. 175-185.
2. Peter Witte, S'andor Dar'anyi. "Introducing Scalable Quantum Approaches in Language Representation". Quantum Interaction 5th International Symposium, QI 2011 Aberdeen, UK, June 26-29, 2011.
3. Ahmed Younes. Database Manipulation on Quantum Computers, <http://arxiv.org/abs/0705.4303>
4. D. Michael Miller, Robert Wille and Z. Sasanian Elementary Quantum Gate Realizations for Multiple-Control Toffoli Gates. [www.informatik.uni-bremen.de/agra/doc/.../11\\_ismvl\\_decomp.pdf](http://www.informatik.uni-bremen.de/agra/doc/.../11_ismvl_decomp.pdf)
5. L.K.Grover, Quantum Mechanics Help in Searching for a Needle in a Haystack, Phys. Rev. Letter 79,325-328,1997.
6. Lov K. Grover. A fast quantum mechanical algorithm for database search. <http://arxiv.org/abs/quant-ph/9605043>
7. Lov K. Grover. A New Algorithm For Fixed Point Quantum Search. <http://arxiv.org/abs/quant-ph/0505007>
8. Lov K. Grover. A different kind of quantum search; <http://arxiv.org/abs/quant-ph/0503205>.
9. Richard Jozsa. Searching in Grover's Algorithm. <http://arxiv.org/abs/quant-ph/9901021>.

---

## РОЛЬ И МЕСТО СБОЕВ В ИНФОРМАЦИОННОЙ БЕЗОПАСНОСТИ СОВРЕМЕННЫХ СЛОЖНЫХ СИСТЕМ

*М. СУРГУЛАДЗЕ*

*sfm12@mail.ru*

Развитие элементной базы, усложнение программного обеспечения решаемых задач и ужесточение условий эксплуатации современной аппаратуры (вычислительная техника, датчики, исполнительные механизмы, оптико-телевизионные комплексы и т.д.) требует совершенствования существующих и поиска новых подходов в повышении надежности и безопасности. Особо много проблемных вопросов возникает при создании высоконадежной аппаратуры для объектов ракетной, космической и авиационной техники, в частности при обеспечении высоких требований безотказности и долговечности в условиях воздействия сверхнизких и сверхвысоких (до сотен градусов) температур и высоких уровней нагрузок [1]. Среди перечня отказов аппаратуры самыми проблемными для контроля и диагностики следует признать перемежающиеся отказы, называемые также кратковременными, скрытыми, плавающими, самоустраняющимися или мерцающими отказами. Такие отказы приводят к сбоям в работе всего оборудования и могут привести не только к существенным материальным потерям, но и к человеческим жертвам. Под сбоем понимают самоустраняющееся нарушение нормального функционирования аппаратуры вследствие кратковременных воздействий на некоторый элемент (или совокупность элементов) внешних и внутренних факторов.

После сбоя аппаратура длительное время может работать нормально, но при этом может быть искажена информация при операциях передачи, хранения или обработки.

Проблемой сбоев в аппаратуре ученые занимаются несколько десятков лет, начиная с 60-х годов 20-го столетия. Но она полностью не решена до наших дней. Более того, в последнее время ей уделяется повышенное внимание. Так, например, одной из важнейших характеристик автономной системы навигации в создаваемой сегодня международной космической станции является ее устойчивость к сбоям, причем приоритетность задач обеспечения высокой надежности по параметру сбоев выше, чем приоритетность задач управления объектами, классически стоявших на первом месте.

При разработке аппаратуры, имеющей в своем составе большое (до нескольких тысяч и десятков тысяч) число потенциальных источников сбоя (многоконтактные соединители, контактирующие устройства БИС и СБИС, печатные проводники, линии связи – интерфейсные шины, шины электропитания и заземления и т. д.), ключевой проблемой кардинального повышения надежности является диагностика сбоев, что непосредственно связано с обнаружением и регистрацией источников сбоев в аппаратуре.

Анализ отечественных и зарубежных исследований по данному вопросу показал, что существуют многочисленные методы контроля, направленные не на выявление и устранение источников сбоя, а на результаты их проявления, при этом устраняется не сама причина (в данном случае источник сбоев), а ее следствие (т.е. ошибка, вызванная сбоем), оставляя тем самым потенциальную возможность существования в аппаратуре скрытых дефектов [4].

Принципиальная особенность новой концепции резкого повышения надежности аппаратуры за счет исключения воздействия на нее сбоев состоит в том, что в отличие от всех ранее используемых подходов к решению данной проблемы обнаруживаются и регистрируются не места сбоев, а источники сбоев. В зависимости от принципов формирования и получения информативных признаков, по совокупности которых оценивается сбойное состояние элементов аппаратуры как источников сбоев, предложены различные методы обнаружения и регистрации источников сбоев (рис. 1), имеющие значительный приоритет.

Причинами сбоев в пассивных элементах (ПЭ) современной радиоэлектронной аппаратуры (РЭА) могут быть как различные внешние воздействия (вибрации, силовые электрические поля, температурные и химические воздействия), так и многочисленные скрытые дефекты аппаратуры, ускоренно приводящие к её деградации. Наиболее сложным для описания является такой важный элемент аппаратуры как соединитель (электрический контакт). Современная теория представляет электрический контакт в виде колебательного контура с элементами  $R_n$ ,  $L_n$  и  $C_n$  – соответственно омическим, индуктивным и емкостным сопротивлением переходной зоны контактов (переходным сопротивлением) [4]. Данные параметры, определяющие резонансные колебания в области высоких частот, являются зависимыми от множества факторов, трудно контролируемых при

эксплуатации и, следовательно, делающие актуальной задачу интегральной и оперативной их оценки.



Рис.1. Классификация методов обнаружения и регистрации источников сбоев

Диагностирование пассивных элементов РЭА как процесс определения их сбойного состояния включает решение трех задач: изучение пассивных элементов как объекта диагностирования сбоев, построение алгоритмов диагностирования сбоев; разработка средств диагностирования сбоев.

Теоретическое обобщение процесса диагностирования сбоев пассивных элементов РЭА при ограниченной информации об их техническом состоянии предопределяет использование формального описания ПЭ РЭА, то есть их математической модели диагностирования. Последняя должна обеспечивать диагностирование сбоев и быть пригодной для дальнейшего синтеза и реализации алгоритмов диагностирования.

Для построения математической модели диагностирования сбоев в ПЭ РЭА в качестве основы использованы структурные схемы кодо-импульсного управления асинхронными двухфазными двигателями, так как они дают возможность задать не только максимальную глубину диагностирования, позволяющую регистрировать сбой, но и отразить конструктивные решения реального ПЭ, допускающие решить вопросы практической реализации системы диагностики.

Экспериментальные доказательства. На основании предложенной кодо-импульсной модели источников сбоев экспериментально обнаружено сбойное состояние и получен нормальный закон распределения параметров и пуассоновский закон появления сбоев на примере наиболее перспективных соединителей типа РППМ 27<sup>1</sup>. Количество контактных пар «п» было выбрано порядка 100 (точная цифра – 88), как достаточно представительная выборка. Динамика изменения параметров контактов в простейшем случае обеспечивалась их ускоренным износом за счет изменения числа включений-выключений и наблюдением за изменением одного из них – омического сопротивления. Испытания контактных пар проводилась в соответствии с техническими условиями (ТУ) методом миллиомметра для измерения переходного сопротивления контактных пар R и методом падающей и отраженной волны для измерения коэффициента

отражения  $K^{omp}$ . Типы используемых при этом измерителей – Е7-8 (погрешность  $\pm 0,001$  от измеренного значения  $\pm 1$  единица счета на табло индикатора) и стробоскопический осциллограф (граничная частота  $f_{zp} \leq 10$  ГГц).

При экспериментах по устойчивому получению режима сбоя решались следующие задачи: определение закона распределения сопротивлений контактных пар как функции включений-выключений N; расчет статистических характеристик математического ожидания  $m^*(R)$  или  $R^*$ , дисперсии  $D^*(R)$  или  $D^*$ ; среднеквадратичного отклонения  $\sigma^*(R)$  или  $\sigma^*$ ; проверка полученных экспериментально законов распределения существующим теоретическим по критериям: Пирсона ( $\chi^2$ ) и Колмогорова А.Н.. Кроме того, решались задачи экспериментального определения числа серий опытов N, приводящих гарантировано к сбойному состоянию контактных пар, а также определение закона появления сбоев и проверка достоверности полученных результатов.

Расчет математического ожидания  $m^*(R)$  осуществлялся по формуле:

$$m^*(R) = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n R_i$$

<sup>1</sup> Работа выполнялась в НИИ «Квант», г. Москва. Научный руководитель академик РАН Левин В.К.

дисперсии  $D^*(R)$ :

$$D^*(R) = \frac{1}{n-1} \sum_{i=1}^n [R_i - m^*(R)]^2,$$

среднеквадратичного отклонения  $\sigma^*(R)$ :

$$\sigma^*(R) = \sqrt{D^*(R)}.$$

В соответствии с существующими нормами одним из важнейших показателей качества является надежность технической системы (объекта). С другой стороны, работа любой технической системы может характеризоваться ее качеством, под которым понимается совокупность свойств, определяющих способность системы выполнять при ее создании определенные задачи. В свою очередь, одной из характеристик надежности является безотказность – свойство объекта непрерывно сохранять работоспособность в течение некоторого времени. Характеризуется сбой в соответствии с ГОСТом как самоустранимый отказ, поэтому очевидно, что в понятие «безотказность» входит и понятие «сбой». Таким образом, вводя активную диагностику сбоев (посредством фиксации их источников) через регистрацию промежуточного состояния («предсбой») и различные информативные параметры выводим понятие «сбой» в самостоятельную категорию («бессбойность»). Учитывая, что понятие «качество» оперирует с такими понятиями как дефекты явные и неявные, т.е. не выявляемые по нормативно-технической документации (НТД), устанавливаем связь между сбоями и скрытыми дефектами. Поэтому существующие основные свойства надежности технических систем целесообразно добавить новым свойством – «бессбойность». Введение такого понятия в качество, в частности через измерения параметров сбоев бесконтактными и контактными методами, позволит управлять им, используя тонкий (малых, до 10-15 мкм, размеров) пограничный слой предсбойного состояния пассивных элементов аппаратуры. В соответствии с изложенным, данную структуру можно представить в следующем виде (рис. 2).

На рис. 2 надежность связана с качеством через бессбойность и безопасность обратной связью, причем  $N$  – число опасных воздействий.

Роль и место сбоев в методах электромагнитной совместимости. С точки зрения проблем электромагнитной совместимости (ЭМС) аппаратуры важно отметить, что сбой представляет собой кратковременное невыполнение требований по электромагнитной изоляции от внешних источников (помех), которые ведут к сбоям. С другой стороны, внутреннее состояние аппаратуры может само быть источником электромагнитных помех. Другими словами, между электромагнитными помехами и сбоями существует тесная взаимная связь. Рассмотрим проблему ЭМС при сбоях на примере многослойных (в частном случае, однослойных) печатных плат. Одна из причин сбоев в проводниках многослойной печатной платы — это частичное нарушение контакта проводника с контактными площадками внутренних слоев. Известным способом оценки качества электрических соединений является анализ моделей, характеризующих линию связи, в частности, соединяющую БИС между собой, по заданным параметрам омического сопротивления  $R$  и полученным параметрам паразитных индуктивности  $L$  и емкости  $C$ . В состав таких моделей входят: передатчик — генератор импульсов, приемник — блок высокочастотных логических схем, соединенный с генератором через линию связи. Анализ таких моделей проводится временным методом. Однако представляется проблематичным использование данного метода для обнаружения и фиксации сбоев в линиях связи по двум причинам. Первая из них заключается в малых диапазонах изменения параметров режима "сбой", поэтому изменения, вносимые, например, за счет ослабления контакта в линиях связи, соизмеримы с изменениями сопротивлений, вызванных допустимыми изменениями геометрии печатных элементов вследствие нестабильности технологических процессов. Вторая причина заключается во вносимой погрешности средств тестирования при контактировании с диагностируемыми элементами.

$$Q = Q_1 \cap Q_2 \cap \dots \cap Q_m = \left\{ \frac{\min \mu_{ij}}{R} \dots \frac{\min \mu_{ij}}{R_n} \right\}$$

В качестве рекомендуемой альтернативы решения должно стать то, которое имеет самое высокое значение функции принадлежности в  $Q$ , поскольку оно удовлетворяет множеству оценок с максимальным значением /9/. В случае, если исходя из состояния больного, критериям, по которым оцениваются лекарственные препараты, приписывается разная ценность, эту относительную ценность можно учесть при теоретико-множественной операции концентрации размытых множеств.

$$\text{Con } A = A^\alpha$$

Операция концентрации размытых множеств приводит к возрастанию функции принадлежности при значении  $\alpha < 1$  и к уменьшению при значении  $\alpha > 1$ . Причём эти изменения незначительны при величинах, близких к единице, носят весьма существенный характер по мере уменьшения величины функции принадлежности. Для вычисления величины показателя степени в операции концентрации размытого множества необходимо построение соответствующей матрицы. Эта матрица строится на основе попарного сравнения альтернатив. Пусть рассмотренные характеристики имеют следующие коэффициенты ценности:

$$Q_1=f_1 \quad Q_2=f_2 \quad \dots \quad Q_m=f_m$$

Попарно сравнивая эти параметры получим следующую  $m$  разрядную матрицу

	$Q_1$	$Q_2$	.....	$Q_m$
$Q_1$	$\frac{f_1}{f_1}$	$\frac{f_1}{f_2}$	.....	$\frac{f_1}{f_m}$
$Q_2$	$\frac{f_2}{f_1}$	$\frac{f_2}{f_2}$	.....	$\frac{f_2}{f_m}$
...	.....	.....	.....	.....
..	..	..		.
$Q_m$	$\frac{f_m}{f_1}$	$\frac{f_m}{f_2}$	.....	$\frac{f_m}{f_m}$

Проведя в соответствии с [9] ряд операций с элементами этой матрицы, получим численные значения показателей степени  $\alpha_1, \alpha_2, \dots, \alpha_m$  для каждой строки. Эти показатели степени используются для выполнения теоретико-множественной операции концентрации размытых множеств. Выполнив эту операцию над исходными размытыми множествами, получим множества:

$$Q_1^{\alpha_1} = \left\{ \frac{(\mu_{11})^{\alpha_1}}{R_1} \dots \frac{(\mu_{1n})^{\alpha_1}}{R_n} \right\}$$

. . . . .

$$Q_m^{\alpha_m} = \left\{ \frac{(\mu_{m1})^{\alpha_m}}{R_1} \dots \frac{(\mu_{mn})^{\alpha_m}}{R_n} \right\}$$

Проведя над этими множествами операцию пересечения, получим:

$$Q^\alpha = Q_1^{\alpha_1} \cap Q_2^{\alpha_2} \dots Q_m^{\alpha_m} = \left\{ \frac{\min(\mu_{i1})^{\alpha_i}}{R_1} \dots \frac{\min(\mu_{in})^{\alpha_i}}{R_n} \right\}, \text{ где } i=1,2,\dots,m.$$

Выбрав из полученного множества элемент  $R_j, j=1,2,\dots,n$ , соответствующий максимальному значению степени принадлежности, находим лекарственный препарат, наиболее эффективный в отношении всех заданных критериев, с учётом их ценностей.

На основе рассмотренных выше методов была разработана модель интеллектуальной системы для решения неформально заданной задачи медицинской диагностики и выбора метода лечения, которая была реализована на примере заболеваний класса гастритов. Знания об этом классе заболеваний приобретались системой в процессе диалога с экспертом. В качестве модели представления знаний использовалась подробно описанная выше, иерархически организованная семантическая сеть с нечёткими отношениями, представленная в машине в виде матрицы. К настоящему моменту в машину внесены знания о 12 разновидностях гастрита таких, как аллергический, эрозивный, коррозийный, эндогенный и т.д. и 83-х проявлениях болезней, из которых 20 связаны с рентгенологическими и гастроскопическими обследованиями. Для установления диагноза использовались такие проявления болезней, какими являются тошнота, ощущение переполнения, рвота, потеря аппетита, бледность, головокружение, затруднение при глотании, боль в области желудка и т. д., а также данные рентгенологических и гастроскопических обследований. Большинство симптомов носит качественный характер. В машину вводились также знания о факторах, способствующих основному заболеванию. Это могут быть заболевания, сопутствующие основной болезни, а также некоторые вредные привычки (курение, употребление алкоголя, переедание, плохое разжёвывание, принятие горячей пищи и т.д.), наличие которых позволяет с большей вероятностью установить правильный диагноз. Эти факторы также качественные. Они связаны с вершиной, характеризующей диагностируемую болезнь отношением «способствует», которому также, как и отношениям «возможная причина» приписаны весовые коэффициенты. Эти коэффициенты несут вклад в оценку вершины, характеризующей заболевание, и соответственно в поддержку той или иной гипотезы. Для выбора лекарственного препарата используются знания о соответствующих препаратах, взятые из справочников. Каждое лекарство оценивается по определённым критериям и выбирается лекарство, наиболее эффективное в отношении всех критериев. При выборе противogaстритных препаратов лекарства оцениваются, например, по таким критериям, как эффективность в отношении противовоспалительного действия, эффективность в отношении регенеративного действия, эффективность в отношении спазмолитического действия.

Если, исходя из состояния больного, каждому из указанных критериев приписана некоторая оценка, некоторый приоритет, то в соответствии с рассмотренным выше методом, выбор лекарственных препаратов происходит с учётом этих приоритетов и может быть проведён более эффективно. Рассмотренные методы были использованы также при программной реализации системы медицинской диагностики для класса болезней, объединённых общим названием «острый живот».

**სამედიცინო დიაგნოსტიკის და მკურნალობის არჩევის ინტელექტუალური სისტემა**

*ვ.რადიევსკი, ნ.ჯალიაბოვა, დ.რადიევსკი*

**რეზიუმე**

შემოთავაზებულია რთულ სისტემათა მდგომარეობის კომპიუტერული დიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია დიაგნოზირებადი ობიექტის ცოდნაზე. ცოდნა შეიცავს სისტემის კომპონენტების შესაძლო დარღვევათა აღწერას და აგრეთვე დარღვევებს შორის არსებული ურთიერთკავშირების შესახებ ინფორმაციას. გადაჭრილია გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზაციის ამოცანა, რომელიც მიმართულია დარღვევათა თავიდან ასაცილებლად და ხორციელდება იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც მოცემულია და შეფასებულია ექსპერტის მიერ. ამოცანის გადაჭრა ილუსტრირებულია სამედიცინო დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდის არჩევის მაგალითზე. დამუშავებულია ყველაზე ალბათური დიაგნოზის დადგენის ალგორითმი. შემოთავაზებულია წამლების არჩევის მეთოდი, რომელიც ნაჩვენებია მოცემულ დაავადებათა დროს მრავალი კრიტერიუმის საფუძველზე.

**INTELLIGENT SYSTEMS MEDICAL DIAGNOSIS AND TREATMENT OF CHOICE**

*V.RADZIEVSKI, N.JALIABOVA, D. RADZIEVSKI*

**Summary**

The method of the computerized diagnostics of the state of complex systems based on the diagnosed system knowledge is offered in the work. Such knowledge includes the descriptions of possible breaks of components of the system, and also the information concerning the correlations existing among the breaks. The problem of the decisions automation, directed to the removal of the breaks under the criteria given and estimated by experts, is solved. The problem solution is illustrated by the example of medicine diagnostics, and the choice of treatment mode. The most probable diagnose algorithm, at the given level of consideration, is worked out. The method of the choice of medical products, prescribed to the given disease on the basis of multiple criteria, is offered.

**ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНАЯ СИСТЕМА МЕДИЦИНСКОЙ ДИАГНОСТИКИ И ВЫБОРА ЛЕЧЕНИЯ**

*В. РАДЗИЕВСКИЙ, Н. ДЖАЛЯБОВА Д. РАДЗИЕВСКИЙ*

**Резюме**

Предложен метод компьютерной диагностики сложных систем, базирующийся на знаниях о диагностируемой системе. Эти знания включают описания возможных нарушений компонентов системы, а также информацию о взаимосвязях, существующих между нарушениями. Решается задача автоматизации выбора решений, направленных на устранение нарушений по критериям, которые заданы экспертом. Решение задачи проиллюстрировано на примере медицинской диагностики и выбора метода лечения. Разработан алгоритм установления наиболее вероятного диагноза. Предложен метод выбора лекарственных препаратов показанных при данном заболевании на основе многих критериев.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. New ell A. Heuristic programming ill-structured problems. Progress on operation research – New York: Willy and Sons, 1969 – V.3 p. 362-414.
2. Simon H. The structure of ill-structured problems .Artificial Intelligence –1973. – v.4 – p.181-201.

## დაავადებათა დიფერენცირება ინტელექტუალური სისტემის მეშვეობით

ნ. ჯალაღობა ვ.რადიევსკი

v\_radzievski@yahoo.com, noraj@mail.ru

დიაგნოზირების ამოცანათა ამოხსნა მჭიდროდაა დაკავშირებული დიაგნოზირებადი ობიექტის დაკვირვებად დარღვევათა(სიმპტომების) ანალიზთან და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენასთან. მხოლოდ დარღვევათა მიზეზების გამოვლენის საფუძველზე შეიძლება არჩეულ იქნას სისტემაზე ზემოქმედების მეთოდები, რომლებსაც ექნებათ უნარი ამ დარღვევათა აცილებისა. უნდა აღინიშნოს, რომ დიაგნოზირებადი ობიექტის თვისებები, მათი წარმოდგენის ხერხი კარნახობს დასმული ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა მეთოდებს. თუ ობიექტი წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელსაც გააჩნია ზოგიერთი თვისება ჩამოთვლილი [1,2]-ში და ამის გამო წარმოდგენილია არაფორმალურად, მაშინ ამ ამოცანათა ამოხსნა სრულდება, როგორც წესი, შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ, მისი ცოდნის, გამოცდილების და ინტუიციის საფუძველზე.

ამ ამოცანის ამოხსნის ავტომატიზაციის მიზნით გამოვიყენოდ მიზეზობრივი ანალიზის მეთოდი, აღწერილი [3]-ში მისი ავტორის მიერ და რომელიც იყო გამოყენებული რიგი ამოცანების ამოხსნაში [4,5,6,7,8]. ამ მეთოდის გამოყენებისას კომპიუტერში ჩამოვყალიბოთ ცოდნა მედიცინის შესაბამისი დარგის შესახებ.

ცოდნა შეიცავს დიაგნოზირებადი სისტემების ქვესისტემების დარღვევათა აღწერას, კავშირს სიმპტომებს და დაავადებებს შორის, დაავადებული ორგანიზმის სხვადასხვა კომპონენტებს შორის დამოკიდებულებებს. მანქანაში აღნიშნული ცოდნის წარმოდგენის მიზნით, სისტემა-ორგანიზმის შესაძლო დარღვევათა სიმრავლე დაიყოფა კლასებად და ქვეკლასებად და წარმოდგინება იერარქიული სტრუქტურის – დარღვევათა ხის სახით (ყველაზე მაღალ ნულოვან დონეზე აღნიშნულია ყველა დარღვევა, შემდეგ, პირველ დონეზე – დარღვევათა ქვეკლასები და ა.შ.). ხსენებულ დარღვევათა თითოეული ქვეკლასი კონკრეტდება შემდეგ, უფრო დაბალ დონეზე გადასვლისას.

ცოდნის მოდელის აგების მიზნით აუცილებელია ცოდნის წარმოდგენის ენა. მოცემულ ნაშრომში ასეთი ენის როლში გამოიყენება ბუნებრივი ენის რაღაც ქვესიმრავლე, რომელიც შეიცავს ცნებებს, რომლებიც სისტემა-ორგანიზმის და მისი კომპონენტების შესაძლო დარღვევებს ახასიათებენ, აგრეთვე ახასიათებენ დამოკიდებულებებს დარღვევათა შორის. ცოდნის წარმოდგენის მოდელის როლში ვიყენებთ სემანტიკურ ქსელს, რომელიც მიიღება ხსენებული დარღვევათა ხისაგან ნიშნების და მიმართებების შევსების ხარჯზე. ამ ქსელში ცნებები – წვეროები, რომლებსაც მიეწერებათ ნიშნების მნიშვნელობები, განსაზღვრავენ სისტემის სხვადასხვა კომპონენტების დარღვევას, მხოლოდ მიმართებათა როლში გამოიყენებიან ისეთები, როგორც არის „ცნება-ქვეცნება“, რომლებიც ცნებათა იერარქიას ასახავენ და აგრეთვე ისეთი არამკაფიო მიმართებები, როგორიც არის „შესაძლო მიზეზი“, „შესაძლო შედეგი“. ისინი დაავადებასთან და მეურნალობის პროცესთან დაკავშირებული სიტუაციის უფრო ზუსტი აღწერის საშუალებას იძლევიან. ქსელზე გამოიყოფა წვეროები, რომლებიც შეიძლება უშუალოდ დაკვირვებადი აღმოჩნდნენ და ამოსავალ ინფორმაციას მოიცავდნენ. ამ წვეროებს სიმპტომები ეწოდოთ. სისტემა-ორგანიზმის თითოეული ქვესისტემა ხასიათდება თავისი სპეციფიური ნიშნებით, მისი მდგომარეობა ხასიათდება მოცემული ქვესისტემისათვის სპეციფიური სიმპტომების ამონაკრებით, რომლებიც ექვემდებარებიან შემოწმებას ყოფნაზე ან არყოფნაზე. სიმპტომები ლაგდებიან იმის მიხედვით თუ რამდენად ადვილია მათი გამოვლენა.

ყოველ ზემოთ ხსენებულ არამკაფიო მიმართებას მიეწერება წონითი კოეფიციენტი  $a_i$ , რომელიც ასახავს სარწმუნოების ხარისხს. მაგალითად მიმართებისათვის „შესაძლო მიზეზი“, „შესაძლო შედეგი“ ეს კოეფიციენტები ასახავენ სარწმუნოების ხარისხს იმისა, რომ რომელიღაც დარღვევა  $d_i$  არის სიმპტომის  $s_j$ -ს მიზეზი, ან რომელიღაც სიმპტომი  $s_j$  არის შედეგი  $d_i$  დარღვევის.

გვაქვს რა შეფასებები ყოველი რკალისათვის, განვსაზღვრავთ შეფასებებს წვეროებისათვის. ყოველ წვეროს, რომელიც ასახავს კონკრეტული ავადმყოფის სიმპტომების შესაძლო მიზეზს ენიჭება შეფასება  $A_i$ , რაც წარმოადგენს იმ რკალების

წონითი კოეფიციენტების ჯამს, რომლებიც გამოდიან წვერო-სიმპტომებისაგან (რომლებიც კონკრეტულ ავადმყოფს გააჩნია) და შედიან  $d_i$  წვეროში. ეს შეფასებები ახასიათებენ კონკრეტულ ავადმყოფს და იცვლებიან ყოველ ახალ პაციენტისთვის. თუ წვერო  $d_i$  დაკავშირებულია არა მარტო წვეროებთან, რომლებიც სიმპტომებს ახასიათებენ, არამედ სხვა წვეროებთანაც, რომლებიც ახასიათებს, მაგალითად პაციენტის რაიმე დამატებით დაავადებას, ან რაიმე საზიანო ჩვევას, მაშინ წონა, რომელიც მიეწერება ამ კავშირებს ემატება შესაბამისი წვეროს წონას, რაც ადიდებს ამ წვეროს სარწმუნოების ხარისხს.

ყველაზე ალბათური დიაგნოზის დასადგენად (განხილვის მოცემული დონის ფარგლებში), ამოირჩევა წვერო, რომელიც ღებულობს მაქსიმალურ შეფასებას (8). ეს წვერო ყველაზე სარწმუნო ჰიპოთეზას ასახავს. ამ ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით ვათვალიერებთ იმ წვეროებს (სიმპტომებს), რომლებიც დაკავშირებული არიან განხილულ წვეროსთან და ვამუდავებთ იმ სიმპტომებს, რომლებიც საწყის სტადიაზე არ იყვნენ გამოვლენილნი, მაგრამ რომლებიც დაკვირვებადი უნდა იყვნენ თუ საწყისი ჰიპოთეზა სწორია. ამ ამონაცემების საფუძველზე გამოითვლება აღნიშნული წვეროს ახალი შეფასება, აგრეთვე სხვა წვეროების ახალი შეფასებები ხელახლა გამოვლენილი სიმპტომების გათვალისწინებით. ამოირჩევა წვერო, რომელმაც მიიღო მაქსიმალური შეფასება. თუ ეს არის აღნიშნული წვერო, მაშინ ჰიპოთეზა ითვლება დადასტურებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პროცედურა მეორდება იმ ახალი წვეროსადმი, რომელმაც მიიღო მაქსიმალური შეფასება. დიაგნოზის დასმის პროცედურა მოცემულ დონეზე მთავრდება, როდესაც რომელიმე ჰიპოთეზა დასტურდება.

განხილული მეთოდების საფუძველზე დამუშავდა ინტელექტუალური სისტემის მოდელი, გამიზნული სამედიცინო დიაგნოზირების, რომელიც იყო რეალიზებული მუცლის ღრუს დაავადებათა მაგალითზე.

ცოდნის შექმნა ამ კლასის დაავადებათა შესახებ ხორციელდებოდა სისტემის მიერ მენიუს საშუალებით დიალოგის პროცესში.

ცოდნის წარმოსადგენად გამოყენებული იქნა ზემოთ აღწერილი იერარქიულად ორგანიზებული სემანტიკური ქსელი არამკაფიო მიმართებებით, რომელიც წარმოდგენილი იყო კომპიუტერში მატრიცის სახით.

მუცლის ღრუს დაავადებათა მწვავე ფორმების დიფერენცირება ხშირ შემთხვევებში ექიმისათვის საკმაოდ გაძნელებულია, ვინაიდან დაავადების სხვადასხვა ფორმათა კლინიკური სურათი ერთმანეთის მსგავსია – ვლინდება მწვავე ტკივილებით მუცლის არეში.

“მწვავე მუცელი” – არ არის საბოლოო დიაგნოზი, ეს არის მხოლოდ მუცლის ღრუს პათოლოგიის სახიფათო სიგნალი, რაც აიძულებს ექიმს, მიიღოს სასწრაფო ზომები ავადმყოფის გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციისათვის.

მეტწილად ძლიერი და მწვავე ტკივილები მუცლის ღრუს არეში ერთადერთი მახვევებელია ავადმყოფის მდგომარეობის დასადგენად. დიაგნოსტიკების კრიტიკულ ეტაპზე უშეცდომოდ უნდა განისაზღვროს საჭიროებს თუ არა ავადმყოფის მდგომარეობა გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას. კრიტიკულ დიაგნოსტიკურ ეტაპზე არასწორად დასმული დიაგნოზი შეიძლება ადამიანისათვის საბედისწერო გახდეს.

ჩვენს მიერ შემუშავებული ინტელექტუალური სისტემა შეიძლება დაენმაროს ექიმს ამ კრიტიკულ ეტაპზე დაავადების სწორად დიაგნოსტიკაში.

ინტელექტუალური სისტემის ასაგებად შესწავლილ იქნა მუცლის ღრუს დაავადებათა მწვავე ფორმების ხუთი სახეობა: მწვავე აპენდიციტი, მწვავე ხოლცისტიტი, მწვავე პანკრეატიტი, ნაწლავის მწვავე გაუვალობა, საშვილოსნოს დანამატების მწვავე ანთება.

თითოეული ნოზოლოგიური ფორმისათვის, ექსპერიმენტის სახით, დამუშავებულ იქნა 20-20 ფორმალიზებული ისტორია. თითოეული ფორმალიზებული ისტორია შეიცავდა 130 ნიშან-თვისებას. აქედან 71 ნიშან-თვისება იყო ანამნეზის მონაცემები, დანარჩენი 59 კი – ექიმის მიერ ავადმყოფის გასინჯვის შედეგად მიღებული მონაცემები.

საწყისი 130 ნიშან-თვისებიდან თითოეული ნოზოლოგიური ფორმისათვის ხდებოდა პათოლოგიის შესაბამისი ნიშან-თვისებების დამახსოვრება და დამუშავების შემდეგ სათანადო წონების მინიჭება იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით გვხვდებოდა მოცემული დაავადებისათვის ესა თუ ის ნიშან-თვისება.


**დაავადებათა დიფერენცირება ინტელექტუალური სისტემის...**

თითოეული ნოზოლოგიური ერთეულისათვის აგებულ იქნა შესაბამისი ვექტორი, რაც წარმოადგენდა ინტელექტუალური სისტემის ცოდნის ბაზას.

დიაგნოსტიკა ტარდებოდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდებოდა ანამნეზის მონაცემების დამუშავება და სავარაუდო დიაგნოზის დასმა, მეორეზე კი – დიაგნოზის დაზუსტება ექიმის მიერ ავადმყოფის გასინჯვის შედეგად მიღებული მონაცემებით.



ინტელექტუალური სისტემა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში ბუნებრივ ენაზე.

მუშაობის დაწყებისთანავე ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა, რომელშიც შედის მენიუს სამი ძირითადი პუნქტი: New, Edit, Diagnose.




New – პუნქტი გამოიყენება ახალი მონაცემების დასამატებლად და თავისთავად შეიცავს ხუთ ქვეპუნქტს: Disease, Symptoms, Questionarie, DSymptoms, DQuestionarie.

Disease – ახალი დაავადების დასახელების დამატება




Symptoms – ახალი სიმპტომის დამატება

Questionarie – კითხვართან მუშაობა. ითვალისწინებს კითხვარში დამატებას, წაშლას,



რედაქტირებასა და ცოდნის ბაზის განახლებას შესაბამისი დილაგების საშუალებით DSymptoms – ექიმის მიერ ავადმყოფის გასინჯვის შედეგად შევსებული ანკეტის სიმპტომების შეტანა



Dquestionarie – ექიმის მიერ შევსებული კითხვართან მუშაობა. ასევე ითვალისწინებს კითხვარში დამატებას, წაშლას, რედაქტირებასა და ცოდნის ბაზის გა-


ნახლებას შესაბამისი დიაგნოზების საშუალებით  
 Edit – პუნქტი შეიცავს სამ ქვეპუნქტს: Disease, Symptoms, DSymptoms.  
 Disease – დაავადების დასახელების რედაქტირება  
 Symptoms – სიმპტომის დასახელების რედაქტირება

დაავადების დასახ	პაციენტი	თარ
მწვავე აქნდიციტი	111/78	
მწვავე აქნდიციტი	246/78	
მწვავე აქნდიციტი	621/77	
მწვავე აქნდიციტი	589/77	
მწვავე აქნდიციტი	589/77	
მწვავე აქნდიციტი	4845/77	
მწვავე აქნდიციტი	1424/77	

DSymptomas - ექიმის მიერ ავადმყოფის გასინჯვის შედეგად მიღებული სიმპტომების რედაქტირება.


დიაგნოზის დასასმელად ექიმს არ სჭირდება პირველი ორი პუნქტის გამოყენება. საკმარისია მხოლოდ მესამე Diagnose punctis გამოძახება. Diagnose – პუნქტი შედგება დიაგნოსტიკების ორი ქვეპუნქტის ანუ ორი ეტაპისაგან. პირველ ეტაპზე ხდება ავადმყოფის ანამნეზის სიმპტომების დამუშავება, ხოლო მეორეზე კი - ექიმის მიერ ავადმყოფის გასინჯვის შედეგად მიღებული სიმპტომების დამუშავება.

თავდაპირველად ეკრანზე გამოჩნდება პირველი ეტაპის შესაბამისი ნიშან-თვისებები. ექიმმა უნდა მონიშნოს მხოლოდ ის სიმპტომები, სადაც არსებობს პათოლოგია.



ექიმის მიერ მონიშნული ნიშან-თვისებები დარდება თითოეული ნოზოლოგიური ერთეულის პირველი ეტაპის შესაბამის ვექტორს. იმის მიხედვით, თუ რომელ ვექტორთან, ან ვექტორებთან მოხდა უფრო მეტი რაოდენობის მაღალი წონების მქონე სიმპტომების თანხვედრა, სისტემას გამოაქვს სავარაუდო დიაგნოზი ერთი ან მეტი. მეორე ეტაპზე ხდება დიაგნოზის დაზუსტება.

ეკრანზე გამოჩნდება ამ ეტაპის შესაბამისი ნიშან-თვისებები და ამჯერად ექიმი მონიშნავს ავადმყოფის გასინჯვის შედეგად მიღებულ ნიშან-თვისებებს.



ამ ეტაპზეც ექიმის მიერ მონიშნული ნიშან-თვისებები დარდება თითოეული ნოზოლოგიური ერთეულის მეორე ეტაპის შესაბამის ვექტორს და კვლავ განისაზღვრება სავარაუდო დიაგნოზი ერთი ან მეტი.


ამის შემდეგ ხდება პირველ და მეორე ეტაპზე მიღებული შედეგების შედარება.

თუ პირველ ეტაპზე მიღებული იყო ერთი ან მეტი დიაგნოზი და მეორე ეტაპზე მიღებული ერთი ან რამდენიმე დიაგნოზიდან მხოლოდ ერთი დაემთხვა პირველ ეტაპზე მიღებულს,

სისტემა ცალსახად განსაზღვრავს დიაგნოზს. აკეთებს დასკვნას, რომ ავადმყოფს აქვს სწორედ ის ერთი დაავადება და ეკრანზე გამოჩნდება ამ დაავადების შესაბამისი დიაგნოზი.

თუ კი პირველსა და მეორე ეტაპზე ერთი ან მეტი დაავადება დაემთხვა ერთმანეთს, სისტემა ზუსტ გადაწყვეტილებას ვერ ღებულობს და ეკრანზე გამოჩნდება რამდენიმე სავარაუდო დიაგნოზი.

იმ შემთხვევაში, როცა პირველსა და მეორე ეტაპზე მიღებული დიაგნოზებიდან არც ერთი არ ემთხვევა ერთმანეთს, სისტემას ეკრანზე გამოაქვს შეტყობინება, რომ დამუშავებული მონაცემების საფუძველზე დაავადების ამოცნობა არ ხერხდება.



როგორც აღვნიშნეთ, მოცემული ინტელექტუალური სისტემა მხოლოდ ესმარება ექიმს მუცლის დრუს მწვავე დაავადებათა ზოგიერთი სახეობის დიფერენცირებაში. საბოლოო გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ექიმი ღებულობს.

აგებული სისტემა ემყარება ავადმყოფთა მდგომარეობის მხოლოდ კლინიკურ სურათს. შემდგომში ნავარაუდევია სისტემის მონაცემთა ბაზის შევსება ლაბორატორიული გამოკვლევებითაც.

პროგრამა შედგენილია CBuilder – ზე. გამოყენებულია Borland Paradox-ის მონაცემთა ბაზები. პროგრამა მუშაობს Windows-ის ოპერაციულ სისტემაში.

## დაავადებათა დიფერენცირება ინტელექტუალური სისტემის მეშვეობით

6. ჯალიაბოვა ვ. რადიევსკი

### რეზიუმე

აგებულია ინტელექტუალური სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება მუცლის ღრუს დაავადებათა მწვავე ფორმების დიფერენცირება. გადაჭრილია გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზაციის ამოცანა. დამუშავებულია ყველაზე ალბათური დიაგნოზის დადგენის ალგორითმი განხილვის მოცემულ დონეზე.

სისტემა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში. ექიმთან დიალოგი ბუნებრივ ენაზე მიმდინარეობს. ამ დიალოგის საფუძველზე სისტემა ამოიცნობს დაავადებას და ადგენს დიაგნოზს.

## DIFFERENTIATION OF DISEASES BY MEANS OF INTELLECTUAL SYSTEM

N.JALIABOVA, V.RADZIEVSKI

### Summary

The intellectual system by means of which diseases of a sharp stomach are distinguished is constructed. The problem of automation of a choice of decisions is solved. The algorithm of establishment of the most probable is developed, at the set level of consideration, the diagnosis.

The system works in a dialogue mode. Dialogue with the doctor is conducted in a natural language. Being based on this dialogue system distinguishes an illness and makes the diagnosis.

## ДИФФЕРЕНЦИАЦИЯ ЗАБОЛЕВАНИЙ С ПОМОЩЬЮ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНОЙ СИСТЕМЫ

Н. ДЖАЛЯБОВА, В. РАДЗИЕВСКИЙ

### Резюме

Построена система, с помощью которой происходит дифференциация заболеваний острого живота. Решается задача автоматизации выбора решений. Разработан алгоритм установления наиболее вероятного, при заданном уровне рассмотрения диагноза.

Система работает в диалоговом режиме. Диалог с врачом ведётся на естественном языке. Основываясь на этом диалоге, система распознаёт болезнь и ставит диагноз.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Newell A. Heuristic programming ill-structured problems. Progress on operation research – New York: Willy and Sons, 1969 – V.3 p. 362-414.
2. Simon H. The structure of ill-structured problems .Artificial Intelligence –1973. – v.4 – p.181-201
3. Радзиевский. В.С. О представлении некоторых аспектов медицинских знаний и их использовании в задачах диагностики. Труды Института Кибернетики АН ГССР, т.I, Тбилиси,1977, стр.571-580. .

4. Радзиевский В.С. Использование знаний об экологических взаимосвязях в задачах машинной диагностики и прогнозирования состояния экосистем. Труды Международного симпозиума по проблемам математического моделирования процессов взаимодействия человеческой активности и окружающей среды. Т. ПВЦ АН СССР Москва 1981, стр. 119 – 126.
5. Радзиевский В.С, Н.И.Джалябова, Н.Г.Ломашвили. Экспертная система с нечёткими знаниями для задач технической диагностики. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის აკადემიის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 1999წ. გვ. 198-203.
6. ვ.რაძიევსკი, ნ.ჯაღალიაბოვა, ნ.ლომაშვილი. არამკაფიო ცოდნის მოდელი სამედიცინო დიაგნოზირების და მკურნალობის მეთოდის არჩევის ამოცანებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 1998 წ., გვ. 214-218.
7. Н.Джалябова, М.Хачидзе Анализ причин негативного состояния среды помещений. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება. შრომები, თბილისი, 2010. გვ. 215-218.
8. Н.Джалябова. Интеллектуальная система диагностики некоторых заболеваний სსიპ აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 2006წ., გვ. 256-259.

3. Радзиевский В.С. "Лингвистические модели знаний в задачах управления сложными системами . Языковые процессоры и распознавание речи". Труды ИСУ АН ГССР XXVII-2 Тбилиси, Мецниереба 1989.
4. Радзиевский. В.С О представлении некоторых аспектов медицинских знаний и их использовании в задачах диагностики. Труды Института Кибернетики АН ГССР, т.1, Тбилиси,1977, стр.571 – 580.
5. Радзиевский В.С. Использование знаний об экологических взаимосвязях в задачах машинной диагностики и прогнозирования состояния экосистем. Труды международного симпозиума по проблемам математического моделирования процессов взаимодействия человеческой активности и окружающей среды. Т. II ВЦ АН СССР Москва 1981, стр. 119 – 126.
6. Радзиевский В.С, Н.И.Джалябова, Н.Г.Ломашвили. Экспертная система с нечёткими знаниями для задач технической диагностики. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 1999წ. გვ. 198 – 203.
7. Н.Джалябова, М.Хачидзе.Управление негативным состоянием среды на основе причинного анализа. სტუ, არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №15, გვ. 258 – 262, 2011.
8. ნ.ჯალიაბოვა ნიადაგის ხარისხის შეფასების და მისი პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციების გაცემის სისტემა. სტუ, არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №14, თბილისი, გვ. 241 – 244, 2010.
9. R.R.Jager. Multiple objective decision – making using fussy sets – “Int – jMen. Mashine studies 1977, v 9.
10. Л Заде. Понятие лингвистической переменной и его применение к принятию приближённых решений. Мир, Москва, 1976.

**ეკოლოგიური სისტემის დიაგნოსტიკაა წონასწორობის თვალსაზრისით  
და მისი შესაძლო დარღვევების მიზეზობრივი ანალიზი**

*ვ. რადიევსკი, ნ. ჯალიაბოვა, მ. მიქელაძე, ღ. რადიევსკი*

*v\_radzievski@yahoo.com, noraj@mail.ru, mikeladzemaia@yahoo.com dradzievski@gmail.com*

ეკოლოგიური სისტემის წონასწორობა, ანუ ორგანიზმების სახეობათა ბალანსირებული შეფარდება, მჭიდროდაა დაკავშირებული იმ პროცესებთან, რომლებიც იწვევენ ცვლილებას გარემოში (ეკოლოგიურ სისტემაში). ასეთი ცვლილება შეიძლება იყოს გამოწვეული როგორც ბუნებრივი პროცესებით, აგრეთვე ანტროპოგენული ზემოქმედებით. ეკოლოგიური სისტემის წონასწორობის დარღვევა შეიძლება იყოს როგორც შექცევადი, ასევე შეუქცევადი. ეკოლოგიური სისტემის დიაგნოსტიკა იძლევა საშუალებას დიაგნოზის საფუძველზე განვახორციელოთ ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ავიცილოთ წონასწორობის დარღვევა ან ხელს შეუწყობენ სისტემის წონასწორობის აღდგენას. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დარღვევების აცილებისათვის და მიზანმიმართული მოქმედებების შემუშავებისთვის უნდა იყოს ზუსტად გამოვლენილი ამ დარღვევების წყაროები და მიზეზები. სწორედ ეკოლოგიური სიტუაციის დიაგნოსტიკაა წონასწორობის თვალსაზრისით და მისი მიზეზობრივი ანალიზი წარმოადგენს ჩვენი სამუშაოს ძირითად მიზანს.

**ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკა**

ეკოლოგიური სისტემა არის ბუნებრივი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ცოცხალი და არაცოცხალი ელემენტების ერთობლიობას. ამ ელემენტების ურთიერთქმედების შედეგად იქმნება სტაბილური სისტემა, სადაც ადგილი აქვს ცოცხალ და არაცოცხალ ნაწილებს შორის ნივთიერებათა მიმოქცევას. სისტემის სირთულე განისაზღვრება ელემენტების დიდი რაოდენობით და ელემენტებს შორის ურთიერთკავშირების რთული ქსელით.

ეკოლოგიური სისტემის სხვადასხვა სახეობის ორგანიზმებზე მოქმედებენ გარემოს ფაქტორები. განსაკუთრებულ გავლენას ორგანიზმებზე, კერძოდ, მცენარეებზე ახდენენ ეკოლოგიური ფაქტორები. არჩევენ აბიოტიკურ ფაქტორებს (ტემპერატურა, ტენიანობა, სინათლე, ნალექები, ქარი, ნიადაგი და ა. შ. ). არის აგრეთვე ბიოტიკური ფაქტორები (ორგანიზმების ზეგავლენა ერთმანეთზე). ეკოლოგიური სისტემის სტაბილურობა განისაზღვრება გარე ზემოქმედების დაპირისპირების უნარით. თუ ამ ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული შემოფოტება არ არის ძალიან ძლიერი, ეკოსისტემა ინარჩუნებს წონასწორობას. ეკოლოგიური სისტემის სტაბილურობა დროში და სივრცეში განისაზღვრება ეკოსისტემის სირთულით, რაც თავის მხრივ განპირობებულია ორგანიზმების სახეობათა რაოდენობით და კვებათა კავშირებით. რაც უფრო მეტია ორგანიზმების სახეობა და კვების კავშირები, მით უფრო სტაბილურია ეკოლოგიური სისტემა. ეკოლოგიური სისტემის დიაგნოსტიკა განსხვავდება ტრადიციული სამედიცინო დიაგნოსტიკებისგან. დიაგნოსტიკების ამოცანის ამოსახსნელად საჭიროა, რომ ცნობილი იყოს შესაძლო დაავადებათა დასახელებები და მათი აღწერები. ასეთი აღწერები არის მედიცინაში. თითოეული აღწერა წარმოადგენს დაავადების გამოვლინებათა კლასს, რომლის საფუძველზე ხორციელდება დიაგნოსტიკების ამოცანის ამოხსნა. ეკოლოგიური სისტემის შემთხვევაში არ არის განსაზღვრული დაავადებათა აღწერები, რომლებიც წარმოადგენენ მსგავსი გამოვლინებების კლასებს. ამის გამო ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის განსაზღვრა (დიაგნოსტიკა) ხორციელდება არაცოცხალი კომპონენტების ანალიზის მეშვეობით, დაყოფა კი ხერხდება მხოლოდ ორ კლასად: წონასწორი და არაწონასწორი მდგომარეობა. არაცოცხალი კომპონენტების ანალიზი გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობა წონასწორობის თვალსაზრისით [1,7].

ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული არაცოცხალი კომპონენტების (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) დაბინძურების დონესთან. განვიხილოთ, მაგალითად, ჰაერის დაბინძურება. განვიხილება ჰაერის დაბინძურების ოთხი კლასი. ეს

არის დაბალი დაბინძურება, მომატებული დაბინძურება, მაღალი დაბინძურება, ძალიან მაღალი დაბინძურება. ასეთი კლასიფიცირება როგორც წესი ხდება ბიონდიკაციის საფუძველზე. პირველი და მეორე კლასის დაბინძურება როგორც წესი არ იწვევს დიდ დარღვევებს ეკოლოგიურ სისტემაში და გარემოს მდგომარეობის აღდგენა ხორციელდება უკუკავშირის ხარჯზე. ასეთი მდგომარეობა არის შექცევადი. მესამე კლასის დაბინძურებაც იწვევს შექცევად ცვლილებას ეკოლოგიურ სისტემაში, მაგრამ გარემოს ჯონასწორების აღდგენა თხოულობს ადამიანის ჩარევას. მეოთხე კლასის დაბინძურება იწვევს ძალიან დიდ დარღვევას გარემოში, მთლიანად ირღვევა ეკოლოგიური სისტემის სტაბილურობა და მისი აღდგენა შეუძლებელი ხდება (დარღვევა შეუქცევადია). ე.ი. ეკოლოგიური სისტემის დიაგნოსტიკების მიზნით საჭირო ხდება არაცოცხალი კომპონენტების დაბინძურების დონის დადგენა, იმის გარკვევა, რომელ კლასს მიეკუთვნება დაბინძურება და ამის საფუძველზე ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის შეფასება ჯონასწორების თვალსაზრისით. დაბინძურების მიკუთვნება გარკვეული კლასისადმი ნიშნავს გამოცნობას. ე.ი. ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკებისთვის საჭიროა გამოცნობის ამოცანის ამოხსნა [1].

გამოცნობის ამოცანის გადასაწყვეტად შეიძლება სხვადასხვა მეთოდების გამოყენება. ყოველ მეთოდში გამოცნობის საწყისი ინფორმაცია წარმოადგენს განსახილველი ობიექტის ნიშნებს და ნიშანთა მნიშვნელობებს. ეკოლოგიური დიაგნოსტიკების ამოცანაში ნიშნების მნიშვნელობები შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი. ამიტომ ამ ამოცანის გადასაწყვეტად უნდა გამოვიყენოთ მეთოდი, რომელიც შეძლებს თვისობრივი ინფორმაციის დამუშავებას და მის ასახვას ცოდნის მოდელებში [1, 8]. ასეთია მეთოდი, სადაც გამოიყენება ლოგიკური ფუნქციები. იმისათვის რომ გამოვიყენოთ ლოგიკური ფუნქციები, უნდა გადავიდეთ ნიშნების ბინარულ წარმოდგენაზე. ამ მიზნით ამოცანის ამოხსნისას ნიშნების მნიშვნელობები დაიყოფა შუალედებად. ბინარული ნიშნების როლში გამოიყენება პრედიკატები “ყოფნა მოცემულ შუალედში”. ამასთან ნებისმიერი ნიშანი  $X$ , რომლის მნიშვნელობა დაიყოფა  $k$  შუალედად, იცვლება  $k$  ორბითი ნიშნით. ყოველი ნიშანი წარმოადგენს ერთადგილიან პრედიკატს  $P(x)$  – ყოფნა მოცემულ ინტერვალში. ცხადია, რომ  $P(x) = 1$  თუ  $x$  მოხვდება მოცემულ შუალედში და  $P(x) = 0$  წინააღმდეგ შემთხვევაში. თუ  $x$ -ის მაგივრად იქნება ჩასმული შესაბამისი მნიშვნელობები, მაშინ ნებისმიერი მტკიცება იქნება ან ჭეშმარიტი ან მცდარი ე. ი. წარმოადგენს გამონათქვამს. გამოცნობის ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ამ გამონათქვამებიდან უნდა აიგოს ლოგიკური ფუნქციები. ყოველ სასწავლო ნაკრებს ენიჭება შესაბამისი კლასის სახელი. თითოეული ფუნქცია განსაზღვრავს  $R_i$  კლასს და ღებულობს ჭეშმარიტ მნიშვნელობას მხოლოდ იმ ობიექტებზე, რომლებიც  $R_i$  კლასს მიეკუთვნებიან. ეს ფუნქცია წარმოადგენს დიზიუნქციურ ნორმალურ ფორმას, რომელიც აგებულია სასწავლო ამონაკრეფში შეშავალი იმ ობიექტების აღწერების საფუძველზე, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ და იგივე კლასს. მაგალითისთვის, განვიხილოთ ჰაერში ზოგიერთი მანე ელემენტების კონცენტრაციის მნიშვნელობები.<sup>1</sup>

მტვერი $\psi_1$	$SO_2 - \psi_2$	$SO_4 - \psi_3$	$NO_2 - \psi_4$	$H_2S - \psi_5$
0,42	0,18	0,02	0,48	0,875
1,96	0,16	0,08	0,94	1,125
0,70	0,38	0,1	0,58	1,5
0,30	0,34	0,02	0,94	0,25
0,34	0,20	0,02	0,24	0,375

ცხრილი 1

<sup>1</sup>(მონაცემები აღებულია საქართველოს ერთერთ რაიონში 2006 წლის მდგომარეობით).

ცხრილი (1)-ში მოყვანილია ამ მონაცემების ფრაგმენტი, გამოსახული ყოველი დამაბინძურებელი ელემენტის ზ.დ.კ.-ს მეშვეობით.

ბინარიზაციის მიზნით ხდება რაოდენობითი მნიშვნელობების დაყოფა შუალედებად. ავლნიშნოთ ნიშნის  $\psi_1$  მნიშვნელობა –  $\psi_{11}$ , თუ ეს მნიშვნელობა ნაკლებია ვიდრე ზღვ შესაბამისი დამაბინძურებელი ელემენტის. ნიშნის  $\psi_1$  მნიშვნელობა ავლნიშნოთ  $\psi_{12}$ , თუ ეს მნიშვნელობა იქნება 1ზღვ – 1,5ზღვ შუალედში. მნიშვნელობა, რომელიც 1,5ზღვ – 2 ზღვ შუალედშია ავლნიშნოთ  $\psi_{13}$  და მნიშვნელობა, რომელიც მეტია 2 ზღვ-ზე ავლნიშნოთ –  $\psi_{14}$  [1, 2, 3].

ე.ი. ნიშანი  $\psi_1$ , რომლის მნიშვნელობა დაყოფილია ოთხ ინტერვალად, იცვლება ოთხი ბინარული ნიშნით  $\psi_{11} \psi_{12} \psi_{13} \psi_{14}$ . ანალოგიურად  $\psi_2$  იცვლება ბინარული ნიშნებით –  $\psi_{21} \psi_{22} \psi_{23} \psi_{24}$ ,  $\psi_3$  –  $\psi_{31} \psi_{32} \psi_{33} \psi_{34}$ ,  $\psi_4$  –  $\psi_{41} \psi_{42} \psi_{43} \psi_{44}$ .  $\psi_5$  –  $\psi_{51} \psi_{52} \psi_{53} \psi_{54}$  ე.ი. მოცემული ობიექტების ნიშნების რაოდენობა გაიზარდა და იქნება წარმოდგენილი 20 ბინარული ნიშნის მეშვეობით. იხილი ცხრილი 2.

ამ მონაცემთა ბინარიზაციის შემდეგ ვღებულობთ ახალ ცხრილს (ცხრილი 2).

$\psi_{11}$	$\psi_{12}$	$\psi_{13}$	$\psi_{14}$	$\psi_{21}$	$\psi_{22}$	$\psi_{23}$	$\psi_{24}$	$\psi_{31}$	$\psi_{32}$	$\psi_{33}$	$\psi_{34}$	$\psi_{41}$	$\psi_{42}$	$\psi_{43}$	$\psi_{44}$	$\psi_{51}$	$\psi_{52}$	$\psi_{53}$	$\psi_{54}$	
1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	R <sub>1</sub>
0	0	1	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	0	1	0	0	R <sub>1</sub>
1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	0	1	0	0	R <sub>1</sub>
0	0	0	1	0	1	0	0	1	0	0	0	0	0	1	0	1	0	0	0	R <sub>2</sub>
0	0	1	0	0	0	1	0	1	0	0	0	0	0	0	1	1	0	0	0	R <sub>2</sub>
0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	R <sub>3</sub>

ცხრილი 2

ამ ცხრილში მონაცემთა დაყოფა ხდება სამ კლასად. ასეთი შეფასებები ხორციელდება ექსპერტის მიერ ბიოინდიკაციის საფუძველზე. ქვემოთ მოცემულია ლოგიკური ფუნქციები, მიღებული სასწავლო ამონაკრეფის საფუძველზე, რომელიც ახორციელებს მონაცემთა მიკუთვნებას შესაბამისად R<sub>1</sub>, R<sub>2</sub> R<sub>3</sub>კლასებისადმი..

$$f_1 = \psi_{11} \bar{\psi}_{12} \bar{\psi}_{13} \bar{\psi}_{14} \psi_{21} \bar{\psi}_{22} \bar{\psi}_{23} \bar{\psi}_{24} \psi_{31} \bar{\psi}_{32} \bar{\psi}_{33} \bar{\psi}_{34} \psi_{41} \bar{\psi}_{42} \bar{\psi}_{43} \bar{\psi}_{44} \psi_{51} \bar{\psi}_{52} \bar{\psi}_{53} \bar{\psi}_{54} \vee$$

$$\vee \bar{\psi}_{11} \bar{\psi}_{12} \psi_{13} \bar{\psi}_{14} \psi_{21} \bar{\psi}_{22} \bar{\psi}_{23} \bar{\psi}_{24} \psi_{31} \bar{\psi}_{32} \bar{\psi}_{33} \bar{\psi}_{34} \psi_{41} \bar{\psi}_{42} \bar{\psi}_{43} \bar{\psi}_{44} \psi_{51} \psi_{52} \bar{\psi}_{53} \bar{\psi}_{54} \cdot \vee$$

$$\vee \bar{\psi}_{11} \bar{\psi}_{12} \bar{\psi}_{13} \bar{\psi}_{14} \psi_{21} \bar{\psi}_{22} \bar{\psi}_{23} \bar{\psi}_{24} \psi_{31} \bar{\psi}_{32} \bar{\psi}_{33} \bar{\psi}_{34} \psi_{41} \bar{\psi}_{42} \bar{\psi}_{43} \bar{\psi}_{44} \bar{\psi}_{51} \bar{\psi}_{52} \bar{\psi}_{53} \bar{\psi}_{54}$$

$$f_2 = \bar{\psi}_{11} \bar{\psi}_{12} \bar{\psi}_{13} \bar{\psi}_{14} \psi_{21} \bar{\psi}_{22} \bar{\psi}_{23} \bar{\psi}_{24} \psi_{31} \bar{\psi}_{32} \bar{\psi}_{33} \bar{\psi}_{34} \psi_{41} \bar{\psi}_{42} \bar{\psi}_{43} \bar{\psi}_{44} \vee \psi_{51} \bar{\psi}_{52} \bar{\psi}_{53} \bar{\psi}_{54}$$

$$\vee \bar{\psi}_{11} \bar{\psi}_{12} \psi_{13} \bar{\psi}_{14} \psi_{21} \bar{\psi}_{22} \bar{\psi}_{23} \bar{\psi}_{24} \psi_{31} \bar{\psi}_{32} \bar{\psi}_{33} \bar{\psi}_{34} \psi_{41} \bar{\psi}_{42} \bar{\psi}_{43} \psi_{44} \psi_{51} \bar{\psi}_{52} \bar{\psi}_{53} \bar{\psi}_{54}$$

$$f_3 = \bar{\psi}_{11} \bar{\psi}_{12} \bar{\psi}_{13} \psi_{14} \bar{\psi}_{21} \bar{\psi}_{22} \bar{\psi}_{23} \psi_{24} \bar{\psi}_{31} \bar{\psi}_{32} \psi_{33} \psi_{34} \bar{\psi}_{41} \bar{\psi}_{42} \bar{\psi}_{43} \psi_{44} \bar{\psi}_{51} \bar{\psi}_{52} \bar{\psi}_{53} \psi_{54}$$

პირველი ფუნქცია ღებულობს ჭეშმარიტ მნიშვნელობას, თუ ობიექტი მიეკუთვნება R<sub>1</sub> კლასს და მცდარს, წინააღმდეგ შემთხვევაში. მეორე ფუნქცია ღებულობს ჭეშმარიტ მნიშვნელობას, თუ ობიექტი მიეკუთვნება R<sub>2</sub> კლასს და მცდარს, წინააღმდეგ შემთხვევაში. საბოლოო დასკვნა ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის შესახებ გამოსახულია პროდუქციაში:

თუ ჰაერის დაბინძურების დონე მიეკუთვნება R<sub>1</sub> ან R<sub>2</sub> კლასს,

**მაშინ** ეკოლოგიური სისტემის, რომელიც შეიცავს ცოცხალ და არაცოცხალ კომპონენტებს, მდგომარეობა არის სტაბილური წონასწორობის თვალსაზრისით.

თუ ჰაერის დაბინძურების დონე მიეკუთვნება R<sub>3</sub> კლასს,

**მაშინ** ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობა წონასწორობის თვალსაზრისით არის არასტაბილური მაგრამ შექცევადი.

**ეკოლოგიური სიტუაციის მიზეზობრივი ანალიზი**

როგორც იყო აღნიშნული ეკოლოგიური სისტემის დიაგნოსტიკა ხორციელდება არაცოცხალი კომპონენტების დიაგნოსტიკის მეშვეობით. ამიტომ თუ ჩვენ აღმოვაჩინებთ

დააღნიშნები	დაბინძურების წყაროები	აღნიშნები	დამაბინძურებელი ნივთიერება
$a_1$	თბო ელექტროსადგურები	$p_1$	მტვერი
$a_2$	შავი და ფერადი ლითონების მეტალურგიული საწარმოები	$p_2$	SO <sub>2</sub>
$a_3$	ხელოვნური ბოჩკოს დამზადების საწარმო	$p_3$	NO <sub>2</sub>
$a_4$	შაქრის დამზადების საწარმო	$p_4$	NO
$a_5$	კოკსოქიმიური საწარმო	$p_5$	M <sub>n</sub> O <sub>2</sub>
$a_6$	ნავთობის გადამუშავების საწარმოები	$p_6$	SO <sub>4</sub>
$a_7$	ნახშირის, ნავთობის, აირის დაწვა, ფერადი ლითონების გამოდნობა, გოგორდმკვას წარმოება	$p_7$	H <sub>2</sub> S
$a_8$	აზოტის სასუქის, აზოტმკვას საწარმო	$p_8$	CO <sub>2</sub>
		$p_9$	CO
		$p_{10}$	CS <sub>2</sub>
$a_9$	სამშენებლო მასალების წარმოება	$p_{11}$	ქლორის ნაერთი
$a_{10}$	ალიუმინის, ემაილს, მინის ფოლადის, ფოსფორული სასუქის საწარმო.	$p_{12}$	ფტორის ნაერთი
$a_{11}$	ავტომანქანების გამონაბოლქვი და მყარი ნარჩენების დაწვა	$p_{13}$	ვერცხლისწყლის ნაერთი
		$p_{14}$	დარიშხანის ნაერთი


ცხრილი 3

ცხრილი 4

დარღვევას ეკოლოგიური სისტემის არაცოცხალ კომპონენტებში და გამოგავლენთ ამ დარღვევის მიზეზს, მაშინ მიზეზზე ზემოქმედების გზით, შესაძლებელი გახდება მთელი ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესება და წონასწორობის აღდგენა. ამ ამოცანის ამოსახსნელად გამოვიყენოთ მეთოდი, რომელიც აღწერილია შრომაში [2] ავტორის მიერ

და გამოყენებულია ამოცანების [3, 4, 5, 6] ამოსხნისას. ცოდნის წარმოდგენის მიზნით გამოიყენება სემანტიკური ქსელი. სემანტიკური ქსელი წარმოადგენს გრაფს, რომელშიც აღნიშნულია წვეროები და რკალები. გრაფის წვეროები, ჩვენ შემთხვევაში, წარმოადგენენ მავნე ნივთიერებათა დასახელებებს (წვეროები-შედგვი) და აგრეთვე დაბინძურების წყაროებს (წვეროები-მიზეზი), რკალები კი წარმოადგენენ მავნე ნივთიერებათა და მათი გამომწვევი მიზეზებს შორის დამოკიდებულებას. ქსელზე გამოიყოფა წვეროები, რომლებიც ასახავენ დაკვირვებად დარღვევებს (მავნე ნივთიერების კონცენტრაციას, რომელიც აღემატება ზღ-ას) და აგრეთვე წვეროები, რომლებიც ასახავენ დარღვევათა შესაძლო მიზეზებს. ამ წვეროებს აკავშირებენ რკალები, რომლებიც ასახავენ მიზეზ-შედგებობრივ მიმართებებს. რკალებს, რომლებიც ასახავენ არამკაფიო მიმართებებს „შესაძლო მიზეზი“ და „შესაძლო შედეგი“, ენიჭება წონითი კოეფიციენტები (0-1) შუალედიდან. ვინაიდან ნებისმიერი გრაფი წარმოიდგინება მატრიცის სახით, ხსენებული სემანტიკური ქსელი მკაფიო მიმართებების შემთხვევაში წარმოიდგინება (01) მატრიცის სახით (ცხრილი 5). არამკაფიო მიმართებების შემთხვევაში გვექნება მატრიცა, რომლის ელემენტებია წონითი კოეფიციენტები (0-1) შუალედიდან.

დაკვირვებადი დარღვევების მიზეზების გამოვლენის მიზნით განიხილება ხსენებული სემანტიკური ქსელი. ქსელის წვეროებს, რომლებიც ასახავენ რეალურ სისტემაში აღმოჩენილ დაკვირვებად დარღვევებს, გუწოდოთ აქტივიზირებული წვეროები.



ნახატი 1. მიზეზ – შედეგობრივი სემანტიკური ქსელი

ამ წვეროებიდან გამოსული რკალები იკვეთებიან წვეროებში, რომლებიც ასახავენ შესაძლო მიზეზს. ამ წვეროების შეფასება ყალიბდება რკალების კოეფიციენტების დაჯამების გზით. ყველაზე ალბათური მიზეზი განისაზღვრება იმ წვეროთი, რომლის შეფასება არის მაქსიმალური. მიზეზობრივი ანალიზის ილუსტრირება ჩავატაროთ ატმოსფერული ჰაერის ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზის მაგალითზე. ატმოსფერული ჰაერი, როგორც წესი, შეიცავს ეკოლოგიის თვალსაზრისით მავნე მინერალების დიდ რაოდენობას. ცნობილია, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო არის სამრეწველო საწარმოები, თბოელექტროსადგურები, ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო საქვებები. ატმოსფეროში სხვადასხვა მავნე ნივთიერებების მოხვედრა დამოკიდებულია გამოსაშვებ პროდუქციის სახეობაზე, საწვავზე, რომელიც გამოიყენება ელექტროსადგურებზე, საყოფაცხოვრებო საქვებებზე, ტრანსპორტში.

მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის მიზნით ავაგოთ სემანტიკური ქსელი, სადაც გამოიყენება ცხრილში (3,4) წარმოდგენილი აღნიშვნები. ასოთი  $a_i$  აღინიშნება წვერო, რომელიც ასახავს მიზეზს, ხოლო ასოთი  $p_i$  – შედეგს. სემანტიკური ქსელის მონაცემთა ანალიზის და შესაბამისი მიმართებითი მატრიცის საფუძველზე შეიძლება იყოს მიღებული ჰიპოტეზები დაკვირვებადი დარღვევების მიზეზების შესახებ.

ცხრილში წარმოდგენილ მონაცემთა შესაბამისად აგებულია სემანტიკური ქსელი, სადაც  $p_1, p_2, \dots, p_{14}$  არის დამაბინძურებელი ნივთიერებების აღნიშვნები, ხოლო  $a_1, a_2, \dots, a_{11}$  – დაბინძურების წყაროების აღნიშვნები.

ასე  $p_2, p_5, p_8$  დარღვევების საფუძველზე ხდება აქტივიზირება ჰიპოტეზის, რომ ამ

მიზეზი	$P_1$	$P_2$	$P_3$	$P_4$	$P_5$	$P_6$	$P_7$	$P_8$	$P_9$	$P_{10}$	$P_{11}$	$P_{12}$	$P_{13}$	$P_{14}$
$a_1$	0	1	0	0	1	0	0	1	0	0	0	0	0	0
$a_2$	0	0	1	1	0	0	1	0	0	0	1	0	1	1
$a_3$	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0
$a_4$	0	0	0	0	0	0	1	0	0	1	0	0	0	0
$a_5$	0	0	0	0	0	0	1	0	0	1	0	0	0	0
$a_6$	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0
$a_7$	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
$a_8$	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
$a_9$	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
$a_{10}$	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
$a_{11}$	0	0	0	0	0	0	0	1	1	0	0	0	0	0

ცხრილი 5. მიზეზ–შედეგობრივი მიმართებების მატრიცა

დარღვევების შესაძლო წყარო არის თბოელექტროსადგურები.  $p_3, p_4, p_7, p_{11}, p_{13}, p_{14}$  დარღვევების საფუძველზე ხდება აქტივიზირება ჰიპოტეზის, რომ ამ დარღვევების შესაძლო წყარო არის შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოები. იმისათვის, რომ უფრო ზუსტად დავადგინოთ მიზეზები, უნდა გამოყენებულ იქნას სარწმუნოების კოეფიციენტები და აგრეთვე ინფორმაცია დაბინძურების წყაროების შესახებ, რომლებიც

არსებობენ რეგიონში. ასეთი ანალიზი გვაძლევს საშუალებას გამოვრიცხოთ განხილვიდან ჰიპოტეზები, რომლებიც არ ეთანხმებიან არსებულ მონაცემებს დაბინძურების წყაროების შესახებ.

**ეკოლოგიური სისტემის დიაგნოსტიკა ფონასწორების თვალსაზრისით  
და მისი შესაძლო დარღვევების მიზეზობრივი ანალიზი**

*ვ. რადიევსკი, ნ. ჯალიაბოვა, მ. მიკელაძე, დ. რადიევსკი*

**რეზიუმე**

იხსნება ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკის ამოცანა ფონასწორების თვალსაზრისით. მიზეზობრივი ანალიზის გამოყენებით ხორციელდება დაკვირვებადი დარღვევათა მიზეზების და წყაროების გამოვლენა. დიაგნოსტიკის და მიზეზობრივი ანალიზის ამოცანის ამოხსნა საშუალებას იძლევა ავიცილოთ ფონასწორების დარღვევა ან ხელი შევეწყუთოთ ფონასწორების აღდგენას. მოყვანილია რეალურ ამოცანათა ამოხსნის მაგალითები.

**DIAGNOSTICS OF ECOLOGICAL SYSTEM FROM THE POINT OF VIEW OF  
BALANCE AND THE CAUSAL ANALYSIS OF ITS POSSIBLE INFRINGEMENTS**

*V.RADZIEVSKI, N.JALIABOVA, M.MIKELADZE, D. RADZIEVSKI*

**Summary**

The problem of diagnostics state of ecological system from the point of view of balance is solved. Revealing of the reasons and sources of observable infringements with use of the causal analysis is carried out. The decision of a problem of diagnostics and the causal analysis gives possibility to avoid infringement of balance of ecological system or to promote its restoration. Examples of the decision of real problems are given.

**ДИАГНОСТИКА ЭКОЛОГИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ С ТОЧКИ ЗРЕНИЯ  
РАВНОВЕСИЯ И ПРИЧИННЫЙ АНАЛИЗ ЕЁ ВОЗМОЖНЫХ НАРУШЕНИЙ**

*В. РАДЗИЕВСКИЙ, Н. ДЖАЛЯБОВА, М. МИКЕЛАДЗЕ, Д. РАДЗИЕВСКИЙ*

**Резюме**

Решается задача диагностики состояния экологической системы с точки зрения равновесия. Осуществляется выявление причин и источников наблюдаемых нарушений с использованием причинного анализа. Решение задачи диагностики и причинного анализа даёт возможность избежать нарушения равновесия экологической системы или способствовать его восстановлению. Приведены примеры решения реальных задач.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Радзиевский В.С., Радзиевский Д. В. Распознавание и оценка экологического состояния атмосферного воздуха на основе данных экомониторинга. Сборник докладов международной научной конференции «Информационные технологии в управлении» Министерства просвещения и науки Грузии Грузинский технический университет. Тбилиси, 2007, стр. 270 – 274.
2. Радзиевский. В.С. О представлении некоторых аспектов медицинских знаний и их использовании в задачах диагностики. Труды Института Кибернетики АН ГССР, т.1, Тбилиси, 1977, стр.571-580.
3. Радзиевский В.С. Использование знаний об экологических взаимосвязях в задачах машинной диагностики и прогнозирования состояния экосистем. Труды международного симпозиума по проблемам математического моделирования процессов взаимодействия человеческой активности и окружающей среды. Т.II ВЦ АН СССР Москва 1981, стр. 119 – 126.

4. Радзиевский В.С, Н.И.Джалябова, Н.Г.Ломашвили. Экспертная система с нечёткими знаниями для задач технической диагностики. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 1999წ. გვ. 198 – 203.
5. Н.Джалябова, М.Хачидзе Анализ причин негативного состояния среды помещений. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია გარემოს დაცვა და მგრადი განვითარება. შრომები, თბილისი, გვ. 215 – 218, 2010.
6. Н.Джалябова, М.Хачидзе. Управление негативным состоянием среды на основе причинного анализа. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №15, გვ. 258 – 262, 2011.
7. მ. მიქელაძე, კ. კვინიხიძე. ზედაპირული წყლების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ინტელექტუალური სისტემა. სტუ-ს ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი, შრომათა კრებული, თბ., 2011, გვ. 253-256.
8. К. Квинихидзе, М. Микеладзе, М. Хачидзе. К вопросу единообразного представления данных в системе мониторинга качества поверхностных вод. Сборник трудов Института систем управления А. И. Элиашвили АН Грузии, Тб., 2009, с. 214-220.

---

## ПРОГРАММА РАСПОЗНАВАНИЯ СТЕПЕНИ ЗАГРЯЗНЕНИЯ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ ПО ОТДЕЛЬНЫМ ЕЁ КОМПОНЕНТАМ – ВОЗДУХУ, ВОДЕ И ПОЧВЕ

Д. РАДЗИЕВСКИЙ

*dradzievski@gmail.com*

